ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეშვიდე

№ VIII

აგვისტო, 1900

ტფილისი
სტამბა ეროვ.-ბიბ. ალმ. ალექსანდროვისა ტიპ. ГРУЗ. ИЗД. Т—ВА.
1900

საქართველოს სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
თბილისი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Сентября 1900 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

შინაარსი

		გვ.
I	**ბუნების მეფენი** (ეტიუდი).—**შ. არაგვისშვილისა.**	1
II	**ვერტერი.**—ხსზ. **გოეტესი.**—თარგმ. **გერმანულიდან.**—**ი—ნისა**	7
III	**ასული ისრაელისა.**—ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია.—**ანტ. ფურცელაძისა** (გაგრძელება)	36
IV	*** (ჰეინედან).—ლექსი.—**სა—სა.**	78
V	**ბატონ-ყმობა სამეგრელოში.** — **კ. ბოროზდინისა,** თარგმანი **თ. ს.—სი** (დასასრული).	1
VI	**„ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები.**—LXXX—LXXXIII.—**ალ. ს—შვილისა.**	21
VII	**ჩინელები სახლში**	39
VIII	**სამეგრელოს აღწერა.**—არქანჯელო ლამბერტისა, (თარგმანი იტალიურით) (გაგრძელება)	58
	ქრონიკა:	
IX	**შინაური მიმოხილვა.**—მარგანეცის მრეწველთა კრება.—რამდენიმე ცნობა მარგანეცის მრეწველობის შესახებ.—საბჭოს ენერგიული და ნაყოფიერი მოქმედება.—მისი ზრუნვა მრეწველთა და მუშათათვის.—ფართო და საიმედო პროგრამმა მოღვაწეობისათვის.—საბჭოს მოღვაწეობის კრიტიკოსები.—ოპოზიციის მავნე მიმართულება.—უმეცრება და ინტრიგანობა. **ლალისა.**	77

(ნახე მეორე გვერდი)

ეროვნული
ბიბლიოთეკ

X—უცხოელთის მიმოხილვა.—არეულობა ჩინეთში.—პეკინის აღება.—მოკავშირეთა ძნელი მდგომარეობა.—რუსეთის მთავრობის წინადადება.—რუსეთი და ევროპა შორეულს აღმოსავლეთში.—შორეული და მახლობელი აღმოსავლეთი.—გერმანიის პოლიტიკა.—ინგლის-ტრანსვაალის ომის უკანასკნელი ამბები.—**ფალფისა.** 98

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ბუნების მეფენი

(ეტიუდი)

— ჰხედავთ, გეყურებაათ?! — თამადამ კეკლუცად მორთულ ტუე და მინდორზე და ტკბილად მოჩუხჩუხე ნაკადულზედ ხელი მიიშვირა.

— როდესაც ყოველსავე ამას თვალ-ყურს ათხოვებთ, — განაგრძო თამადამ, — და როდეს არ ათხოვებ?!.. ყოველთვის. მაშინ, ვფიცავ!... მაგრამ რა დავიფიცო?!.. ჰმ!... ვფიცავ კაცობრიობას. კაცობრიობას ვფიცავ-მეთქი, რადგანაც ადამიანისთანა ამ ქვეყნად არა არის-რა. ადამიანი მეფეა ბუნებისა. მისთვის არის ყოველივე დაბადებული; ყოველივე მისთვის არსებობს. იმას ვამბობდი: როდესაც ყოველსავე ამას თვალ-ყურს ათხოვებ, ძალა-უნებურად შენ თავს, ესე იგი, ადამიანი თავის თავს მეფედ ჰგრძნობს. აბა შეხედეთ ამ მდელოს, ტუეს, როგორ თქვენს თვალს ნაზად ეტრფის, ეალერსება; ან ყური დაუგდეთ მათ ოდნავ მოძრაობის ხმას, და ან კიდევ ამ ნაკადულის ჩუხჩუხს. რომელი უმაღლესი მუსიკა დაატკბობს თქვენს სმენას, როგორც ეს?!. რომელი ხელოვნური დეკორაცია გააღიზინებს თქვენს თვალს, როგორც ეს?!. ესე: ეს ბუნებაა... — თვალი გადაავლო არე-მარეს და უეცრივ დაინახა იქავე ახლოს ვირი, რომელიც ყურებ წინ-წამობერტყილი ქანდაკებასავით უმოძრაოდ იდგა და გაშტერებული გაიცქირებოდა. ამ არსებამ მასალა მისცა კიდევ უფრო გაეფართოვებინა თავისი სიტყვა: განა მარტო უსულო ბუნება. მას ემსახურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი სულდგმულიც. ავერ, გეყურებათ ფრინველთ ჟღივილი?!.. ისინიც ადამიანს ემსახურებიან. თუ არ ემსახურებიან, შეუძლიან ადამიანს დაიმორჩილოს ყოველი სულდგმული და იმსახუროს, როგორც აგერ ის ვირი, რომელიც ფილოსოფოსი თავით ჩაფიქრებულა...

მოსადილეთ ყველამ გაიხედეს ვირისკენ და ხითხითი ასტეხა. ყველას მოეწონა თამადის ვირის დახასიათება.

ვირმა ყურები აცქვიტა, როდესაც თამადამ იგი ახსენა, და, მის ხსენებას რომ ხითხითი დაატყდა, ისევ პირვანდებულად გაშტერდა."

— მაშ, ყმაწვილებო და ქალებო,—გაგულადებულმა თამადამ ხმა-მაღლით დაიძახა:—გაუმარჯოს ადამიანს, რომელსაც ემსახურება ბუნება, და მას თან ერთად ჩვენც გაგვიმარჯოს.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს, ურაააა!—ერთ ხმად დაიძახა ყველამ და სავსე ჭიქა გამოსცალა.

ამ სადღეგრძელოს შემდეგ ქალები გასასეირებლად წამოიშალნენ. ყმაწვილები, თუმცა მათ კიდევ ბაასი და ღვინის სმა უნდოდათ, რაღას იქმდნენ. იგინიც წამოდგნენ. ერთ მათგანს მოაგონდა, რომ თამადის სადღეგრძელო არ დაულევიათ. ამით ისარგებლა, რომ ერთი ჭიქა კიდევ გამოეცალა. შეივსო ჭიქა და დაიძახა:

— ყმაწვილებო, დაიცადეთ!... ეს ჩვენი თამადის სადღეგრძელო იყოს!

— ოო, გაუმარჯოს ჩვენ თამადას! ურაააა!—დაიძახეს თითქმის ყველამ ერთად.

— ურაააა! — თავისებურად დაიყროყინა მათთან ერთად ვირმაც და ყველას ხმა დაჰფარა.

— ურაააა!—ხელმეორედ დაიძახა ერთმა მათგანმა ხარხარით.—ფილოსოფოსიც გვეთანხმება.

— ურაააა!—ყველა ხარხარით ყვიროდა ურას.

ვირსაც ყროყინი არ შეუწყვეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ცელქობენ. ხტიან, ნაზნი არსებანი ყვავილებში იფლობიან და ვინ ვის ეტრფის: ყვავილნი ქალთ თუ ქალნი ყვავილთ, ეს ძნელი გამოსაცნობია.

თითქოს თამადის აზრი მართლდებაო, ბუნება მათ სიამოვნებას და ამაყობას ხელს უწყობს. აქნობამდის მოკრიალებული ცა წაიფერფლა და მზის მწვავე სხივები გაანელა.

დასრიალობენ. დახტიან. მათმა სიცილ-კისკასმა არე მოიცა. ხან „თავ-დავლას“ თამაშობენ, ხან კიდევ „ნიშხა-ნიშხა, ვისი ქალის“ და ხან კიდევ რას არა...

თამადა თამაშობეებშიაც თამადობს. იგი მეთაურობს. თამადას არც ვირი დაავიწყდა. იგიც ჩაურია ბოლოს ფერხულში. მოახტა და გაიჯირითა. თამადას სხვებმაც მიჰბაძეს. ქალი თუ ვაჟი ერთი ერთმანეთს აღარ აცდის. ყველა ვირის ტვირთად ხდება. მხიარულობენ. ვირი წარბ-შეუხრელად ემსახურებათ. ბევრი ვაი დასტეხია თავს, და ეს წვალება მისთვის სულ უბრალოა...

მეფობს ადამიანი. ყველა მისი მორჩილია, როგორც თამადამ სთქვა, და რატომ არ უნდა იმეფოს. არე-მარე ყველა სულდგმული მას ემორჩილება, მისთვის, მის სასიამოვნოდ არის დაბადებული და სულელი იქმნება, თუ არ ისარგებლა და არ დაიმორჩილა მთელი ბუნება...

ბუნება!.. დიდებული ბუნება, მისი დიდებული კანონი ადამიანის ხელთ არის!.. „როგორც ადამიანს ჰსურს, ფიქრობს თამამადა და მასთან ერთად მისი მოძმენიც: ისე დაატრიალებს ბუნების ჩარხს: უნაყოფო ნიადაგს გაანოყიერებს და სადაც ქვისა და რიყის მეტი არა იყო-რა, იქ მშვენივრად შემკულ მცენარეულობას მოიყვანს, მოაშენებს ცხოველთ და აამოძრავებს ნაკადულს; იქ, სადაც არწივთაც უძნელდებათ მისვლა, ადამიანი გზას მიიტანს და აახმაურებს ბუნებას. სადაც სიმშვენიერეა, სადაც გული სიამით გადიშლება, იქ, ადამიანს შეუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან სიკვდილი დაჰბადოს, იგი გაანადგუროს და გააოხროს, თუ კი მისი გონება მოითხოვს. მაშ გაუმარჯოს ადამიანს— ბუნების მეფეს!..“

ისევ ის კასკისი, მხიარულება და ვირის მორჩილება...

III

არე-მარე მთლად ჩამობნელდა. ბუნებამ სული გაკმინდა. ფოთოლიც კი არ იძვრის. აღგზნებული და სიამოვნებით გატაცებული ადამიანი არე-მარის ცვლილებას ვერ ამჩნევს, რომელიც თანდათან კუმეტდება და იქუშება... ხითხით-კისკასი მათი-ღა არღვევს არე-მარის სიდუმილს... თითქოს თავიანთ საქციელით ბუნებას უმკლავდებოდნენ და მის შუბლ-შეკრულობას არად აგდებდნენ, სიცილად არ ჰყოფნიდათ, რითაც ბუნება უფრო ბრაზდებოდა და მოთმინებიდან გამოდიოდა. არა, არ სცხრება ადამიანი. კიდევ ხითხითებს, კიდევ კისკასობს და თან ვირსაცა დაარბევინებს...

„...ადამიანო, დასცხრი, დაწყნარდი!...—ყოველის მხრივ ეჩურჩულება არე-მარე: „გეყოფა სიჯიუტე. კმარა, მონახე შენი ბინა და...

„მაშ კიდევ ჰჯიუტობ?!. აჰა, ჯერ ესა სცადე!..“—უეცრივ გაირღვა ცა ცეცხლის ხაზით. დასჭყივლა ზეციდან და გრგვინვით განვლო კიდით-კიდე.

აილუფხა არე-მარე. თითქოს ცის ამ ნიშანს მოელოდაო, რომ მთლად არეულიყო და ახმაურებულიყო...

გრიგალმა მოიცვა ყოველი არსება და შეუბრალებლივ ჰშხეპავდა. მეტის მეტად შეწუხებული დიდრონი ხეები, აგერ, როგორ კვნესით და გოდებით ერთი-ერთმანეთისაკენ იხრებიან, რომ ერთმანერთთან ჩახვეულნი გაორკეცებულის ძალით დაუხვდნენ მედგარ გრიგალს, მაგრამ გრიგალი არ აცლის გადახვევნას. თითქმის ფოთლები შეახეს ერთმანერთს. ტოტების გახლართვასაც აპირობდნენ, მაგრამ ამ დროს გრიგალმა შუაში გაუელვა და ისევ-ისე კვნესა-ვაებით, წყევა-კრულვით და სასოწარკვეთილებითი გმინვით განშორდნენ ერთმანეთს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ისევ პირველ გაელვებაზე და ცის გრგვინვაზედვე ბუნების მეფენი შეჰკრთნენ. მათი უდარდელი კისკასი კივილით შეიცვალა. ერთი მშვენიერთაგანი, რომელიც ვირით მიჯირითობდა, გაელვებაზე, კივილით დედა-მიწას გაერთხო. მისი კივილი არავის გაუგონია. მხოლოდ ვირი, როდესაც ქალი ჩამოვარდა, მიტრიალდა მისკენ და მწარის ღიმილით მზერა დაუწყო...

„სადაა თქვენი მედიდურობა, ბუნების მეფენო?!... რატომ...“

გრიგალს წვიმა და ჩქარა ხშირი, საშინელი ხშირი და თანაც მსხვილი სეტყვა მოჰყვა... მაშინ ბუნების მეფეთ თაგვის სორო სამშობლოზე უძვირფასესად ულირდათ. სად წასულიყვნენ, აღარ იცოდნენ. ვინ ვის ეფარებოდა, აღარ იცოდა. ეხლა ყოველ მათგანს აზრად მხოლოდ ის-ღა ჰქონდა, რომ ერთიერთმანეთს ამოჰფარებიყვნენ და სხვისა გვერდები სეტყვისთვის მიეგებებინათ, იმის მიუხედავად, სუსტი არსებისა იქნებოდა ეს გვერდები ფარად, თუ მძლავრისა. სამარცხვინო მათი კივილი იფარებოდა არე-მარის გმინვით. ერთი ერთმანეთისა არა ეყურებოდათ-რა...

IV

დაწყნარდა ბუნება. ფოთოლიც აღარ ირხევა. მხოლოდ მოისმის ხევების ხრიალი. მთებიდან მომსკდარი ნიაღვრები ქუხილით მიექანებიან ქვევით. მოშავ-ბნელებული ცა დაიშაშრა და ნაშაშრებიდან მზემ გამოიჭვრიტინა. ამოლუფხულ ბუნების მეფეთ გული მოეცათ, ისევ დაუბრუნდათ იმედი. სასო-წარკვეთილთ, მხდალთ, მზის სხივების დანახვაზე, მედიდურობა ისევ დაუბრუნდათ...

— ახ, მიყვარს ბუნების ამგვარი ბობოქრობა!..—დაიწყო თამადამ.

— მე გულ-ხელ-დაკრეფილი ვიდექი და ცას მაღალის ხმით შევძახოდი: „ჰა, უფრო სასტიკად, უფრო სასტიკად დასჭყივლე-მეთქი...“—ამბობს მეორე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ წარმოიდგენთ,—ამბობს ქალი,—რომელიც ვირიდან გადმოვარდა:—რა მშვენიერი სურათი იყო!.. ნეტავი კიდევ დიდხანს ეგრიალა ცას, ნეტავი ჩქარა არ შეწყვეტილიყო!.. მე ჩემს დღეში არ დამავიწყდება ეს დღე. ამისთანა სიამოვნება ერთხელ არ გამომივლია...“

ერთი ერთმანეთს აღარ აცდიდნენ შთაბეჭდილების გამოთქმას. ყველა მათგანი კარგად ჰგრძნობდა, რომ სინამდვილეს არ ამბობდა. ნამდვილი შთაბეჭდილება იფარებოდა. ვერც ერთ მათგანს ვერ გამოეჩინა იმოდენა მოქალაქობრივი ძალა, რომ სინამდვილე ეთქვა, და ყველა მათგანი ცდილობდა, თავისი სიმხდალე და სილაჩრე გაექარწყლებინა...

ველარ მოითმინა ვირმა, რომელიც მოწამე იყო მათი მედიდური სიტყვებისა, სილაჩრისა და ცრუპენტელაობისა. ბრაზმორეულმა ძლიერად დაიყროყინა, რომ მათი საზიზღარი ბაქიობა შეეწყვიტა...

— ოჰ, ჩვენი ფილოსოფოსი რაღაზედაც გვიწყრება!...— უნებურად წამოიძახა ქალმა, რომელიც ვირიდან ჩამოვარდა პირველ გაელვებაზე და შუბლ-შეჭმუხვნილმა თავი ძირს დახარა...

შ. ალაგვისპირელი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერტერი

თხზულება გეტესი

(თარგმანი გერმანულიდან)

ყველაფერი, რაც კი მოიპოვებოდა, შესახებ საბრალო ვერ-ტერის ცხოვრებისა, გულმოდგინედ შევკრიბე და გიძღვნით თქვენ. ვიცი, რომ ამისათვის მადლიერი დამრჩებით, თქვენ არ მოაკლებთ თანაგრძნობას იმის გულსა და ხასიათს და მის ხვედრ-საც ცრემლით განიკითხავთ.

შენ გულკეთილო მკითხველო, თუ მისებრ გრძნობ ცხოვრების სიმძიმეს, იმის წამებულ სიცოცხლეში მოიპოვე ნუგეში და ეს წიგნაკი გაიხადე მეგობრად, თუ კი, შენი უბედობით ანუ შენივე მიზეზით, სხვა უმჯობესი მეგობარი ვერ გიპოვნია.

წიგნი პირველი

4 მაისი.

რა გახარებული ვარ, რომ წავედი! დახე, ჩემო მეგობარო, რა არი ადამიანის გული! მოგშორდი შენ, რომელიც ასე მიყვარხარ და რომელთანაც განუშორებელი ვიყავი და უნდა მიხარო დეს!? ვიცი, მომიტევებ ამას; განა ყოველი ჩემი დამოკიდებულება შერჩეული არ იყო ჩემებრი გულის დასალონებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად? საბრალო ლეონორა! მე მაინც უბრალო ვარ. რა უნდა მექნა, თუ მისს საბრალო გულში გულის-თქმა იღვიძებდა მაშინ, როცა მისი დის თავისებური მშვენიერება მე მართობდა. მაგრამ მაინც სულ უდანაშაულო კი ვარ? განა მე არ ვასაზრდოებდი მის გრძნობას? მე თვითონ არ ვიყავი გატაცებული იმისი გულუბრყვილო, წრფელი საქციელით, რომელიც ჩვენ ხშირად გვაცინებდა, თუნდა იგი სასაცილოც არ ყოფილიყოს? ხომ მე თვითონ... ოჰ, რა არის ადამიანი, რომელიც თავს უჩივის! მსურს საყვარელო მეგობარო, ამის პირობას გაძლევ, მსურს გავსწორდე და ის ერთი ბეწო სიმწარე, რომელსაც ბედი გვარგუნებს ხოლმე, არ მინდა წინანდებურად ამოვიცოხნო: მე მსურს დავტკბე აწმყოთი და წარსული კი ჩემთვის წარსულად დარჩეს. შენ მართალი ხარ, ძვირფასო მეგობარო: უფრო ცოტა ტანჯვა იქნებოდა ადამიანთა შორის, რომ ისინი—ღმერთმა უწყის რად არიან ასე შექმნილი—გულმოდგინედ არ ამუშავებდნენ თავიანთ ფანტაზიას წარსული ტანჯვის მოგონების კვლავ აღსადგენად და კმაყოფილდებოდნენ აწმყოთი.

მიყავ სიკეთე, გადაეცი დედა-ჩემს, რომ მისგან მონდობილ საქმეს ჩინებულად მოვაწყობ და მალე ყველაფერს, შევატყობინებ. მოველაპარაკე ბიოლა-ჩემს და იგი სრულებით არ აღმოჩნდა ისეთი ბორგტი არსება, როგორადაც იმას ჩვენები წარმოიდგენდნენ. ის ერთი მხიარული, ცოცხალი და მეტად გულ-კეთილი ქალია. მე განვუმარტე მას დედა ჩემის მოთხოვნილება შესახებ მაჰულის დაკავებული ნაწილისა; მან წარმოიდგინა თავისი საფუძველნი და მიზეზნი და ამიხსნა, თუ რა პირობით თანახმაა იგი დაგვიბრუნოს ყველაფერი და იმაზე მეტიც, რასაც ჩვენ ვითხოვდით. ერთი სიტყვით, ეხლა არ შემიძლია ამაზე რამე მოგწერო, უთხარი კი დედა-ჩემს, ყველაფერი კარგად მოეწყობა-თქო. ამ მცირე საქმითაც დავრწმუნდი, რომ გაუგებრობას და სიზარმაცეს მეტი არეულობა შეაქვთ ცხოვრებაში, ვიდრე ცბიერებას და ბორგტებას. ორივე ეს უკანასკნელი უფრო იშვიათი მაინც არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებრ, მე აქ ძალიან კარგადა ვგრძნობ თავს. მარტო ობა ამ სამოთხისებურ არეში ძვირფასი ბალზამია ჩემი გულისათვის და ეს გაზაფხული, დრო ბუნების ახალგაზდობისა, მითბობს სავსებით ჩემს ხშირად მთრთოლვარე გულს. ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი ყვავილების თაიგულს წარმოადგენს და ადამიანი ბუზანკალობას ნატრობს, რომ ამ სურნელების ზღვაში მიმოიფრთხიალოს და იქ მოიპოვოს ყოველი საზრდო თავისი.

თვით ქალაქი უსიამოვნოა, სამაგიეროდ მიდამოები გამოუთქმელ მშვენიერებას წარმოადგენენ. ჰგავს, ამ გარემოებამ გააშენებინა აქ მიცვალებულ მ....ს ბაღი: მთის კორდები საუცხოვო მრავალ-ფეროვნებით გადაბმულან ერთმანერთზე და მათ შუა მშვენიერი მიმზიდველი ხეობებია. ბაღი უბრალოა და შესვლისათანავე ჰგრძნობს ადამიანი, რომ ამ ბაღის გეგმა შეუდგენია არა რომელიმე მეცნიერ მებაღეს, არამედ გრძნობიერ გულს, რომელსაც თავისთვის განმარტოებულად ჰსურდა მითი სიამოვნება. მე უკვე საკმაო ცრემლი დავღვარე განსვენებულისათვის მის მინგრეულ კაბინეტში, რომელიც მისი საყვარელი ადგილი ივო და ახლა ჩემიც არის. ბაღს მალე დაეპატრონები; მებაღე ჩემი ერთგულია და არც წააგებს.

10 მაისს.

მთელი ჩემი არსება შეიპყრო რაღაც საკვირველმა მხიარულებამ, მე შემიძლია შევადარო იგი მხოლოდ იმ გაზაფხულის სანეტარო დილებს, რომლებითაც მე მთელის გულით ვსტკბები ხოლმე. მე მარტო ვარ და ვხარობ ჩემის განმარტოვებული ცხოვრებით ამ მხარეში, რომელიც სწორედ ჩემგვარი ადამიანისათვის არის შექმნილი. ისე ბედნიერი ვარ, ჩემო ძვირფასო, ისე ჩავიძირე უშფოთველ არსობის გრძნობაში, რომ ჩემის ხელოვნების საქმე ცუდად მიდის. ეხლა არ შემიძლია ხატვა; ერთი ხაზის გასმაც კი არა, მერე ასე ჩინებული მხატვარი, როგორც ამ წამში, ჩემს დღეში არა ვყოფილვარ: გულის წარმტაც ხეობას ჩემს გარშემო ნისლი ეფინება, მაღლადწამოსული მზე ჩემ სიბნელით მოცულ ტყის მწვერვალებზე ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენებს; ახლოლად ზოგი სხივი შემოიპარება ხოლმე ტევრის საიდუმლო საკურთხეველში; მე კი გარდამოჰჩქეფარე ნაკადულის ნაპირზე მაღალ ბალახში წამოწოლილი ვარ და ყოველი პაწაწინა ბალახი ჩემთვის ღირსშესანიშნავი ხდება; ჩემი გულის ახლოს ვგრძნობ მთელ პაწაწა მსოფლიოს ფუსფუსს, პაწაწა ჭიათა და მწერთა ურიცხვ მიუწვდომელ სახეებს, ვგრძნობ ყოველად ძლიერის არსებობას, რომელმაც ჩვენ მსგავსად თვისისა შეგვქმნა, ვგრძნობ ყოვლად მოყვარეს, რომელიც საუკუნო ნეტარებაში გვინახავს და გვაცოცხლებს. ჩემო მეგობარო, იმ დროს, როცა თვალთ მიბინდდება და ჩემს გარშემო ცა და ქვეყანა სატრფოს სახესავით სულ ერთიანად ჩემს გულში იხატება, მე ხშირად ნატვრით ვფიქრობ ხოლმე: ახ, ნეტავ შემეძლოს იმისი გამოთქმა, ქაღალდზე გადატანა, რაც ჩემში სცოცხლობს ასე სავსებით, ასე ტკბილად; მაშინ იგი იქნებოდა შენი სულის სარკე, ისე, როგორც შენი სული სარკეა დაუსაბამო ღვთაებისა... ჩემო მეგობარო, მე ველარ ვითმენ, ველარ ვუძლებ ამ მოვლენათა მშვენიერების ძლიერებას.

12 მაისი.

არ ვიცი, მაცდური სული დაფრინავს ამ ადგილებში, თუ ჩემს გულში არის მაცოცხლებელი ციური ფანტაზია და იგი ყველაფერს ჩემს გარშემო სამოთხეს ამსგავსებს. აქვე, ახლოს, არის ერთი წყარო, რომელზედაც მიჯაჭვული ვარ, როგორც ერთ დროს მელუზინა და მისი მოჯადოებული დები. გადაივლი თუ არა პატარა ხერს, თავს წააწყდები გამოქვაბულს; აქედან ოციოდე საფეხური ქვეითკენ რომ ჩაიარო, დაინახავ მარმარილოს კლდეს, საიდანაც ანკარა წყალი გადმოჩქეფს; პატარა კედელი, რომლითაც ზევით ის ადგილ შემოზღუდულია, მაღალი ხეები, რომელნიც ჰფარავენ მას, მისი სიგრილე,—ეს ყველაფერი რაღაც მიმზიდველს, რაღაც საოცარს შეიცავს. ისე დღე არ გავა, რომ ერთი საათი იქ არ დავჯდეს. იქ მაშინ გოგოები მოდიან ქალაქიდამ და მიაქვთ წყალი,—აი სულ მცირე და მასთან უსაჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როესი საქმე, რომელსაც ძველად მეფის ასულნიც ასრულებ-ლებდნენ.

როცა იქ ვზივარ, თვალწინ მიდგება ცოცხალი სურათი იმ პატრიარქალურის ცხოვრებისა, როცა ჩვენი წინაპარნი წყაროებზედ ეცნობოდენ თავიანთ საცოლოებს და აქვე გადასწყვეტდნენ დაქორწინების საქმეს; მათ გარშემო კი კეთილი სულნი დაფრთხიალობდნენ. ვისაც ამისი გრძნობა არ შეუძლია, იგი არ დამტკბარა წყაროს სიგრილით ზაფხულის დღეს სიარულით, დაქანცვის შემდეგ.

13 მაისი.

მეკითხები, წიგნები გამოგიგზავნო თუ არაო? ჩემო კარგო, გთხოვ ღვთის გულისათვის, თავიდან მომაშორო ისინი. მე აღარ მინდა ხელმძღვანელობა, გამხნევება და წაქეზება. ჩემი გული თავისთავადაც საკმაოდ ღელავს. მე მჭირდება ეხლა მხოლოდ ნანა და იგი სავსებით ვპოვე ჩემს ჰომეროსში. ხშირად ვაწყნარებ ხოლმე ასე ჩემს აღელვებულ სისხლს! მართლაც შენ არა გინახავს-რა ჩემი გულისთანა დაუდრეკელი და ცვალებადი. მაგრამ განა ეს შენ თვითონ არ იცი, საყვარელო, განა შენ თვითონ არ გინახავს ივი მწუხარებისაგან უკიდურეს მხიარულებაზე და ტკბილი მელანქოლიიდან დამღუპველ გულისთქმაზე გადასული? მეც ჩემს გულს ხომ ისე ვექცევი, როგორც ავადმყოფ ბავშვს. ყოველი სურვილი მისთვის ნება-დართულია. ამას სხვასთან ნუ იტყვი; არიან ისეთი პირები, რომელნიც ამას სხვანაირათ გაიგებენ და დამძრახავენ.

15 მაისი.

აქაური მდაბიო ხალხი უკვე მიცნობს და კიდეც ვუყვარვარ მას, განსაკუთრებით ბავშვებს. ერთი რამ საჭუხარო კი შევნიშნე: როცა პირველად გავერიე მათში და სხვა და-სხვა საგნების გამოკითხვა დავუწყე, იმათ ეგონათ დაგვცინისო და მკვახეთ მიპასუხებდნენ ხოლმე. ამ გარემოებას მაინც და მაინც ძალიან არ დავულონებივარ; მხოლოდ ახლა უფრო აშკარად ვიგრძენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რაც წინედაც ხშირად შემინიშნავს: მაღალ წოდების ხალხი მეტადშორს იჭერს თავს ბდაბიო ხალხისაგან, თითქო ეშინოდეს, მასთან დაახლოვებით არ დავკარგო რამეო; არიან ისეთი ბოროტი მასხარებიც, რომელნიც თითქოს იმიტომ ეშკებოდნენ დაბლა, რომ თავისი სიამაყე საწყალ ხალხს უფრო აგრძნობინონ.

კარგად ვიცი, რომ ჩვენ არ ვართ და არც შეგვიძლია ვიყოთ თანასწორნი. მაგრამ მე დამიჟინია, რომ ის ადამიანი, რომელსაც ჰგონია, ვითომ მისი მნიშვნელობის დასაცველად საჭირო იყოს ეგრედ წოდებულ ბრბოსაგან შორს ყოფნა, აგრეთვე გასაკიცხია, როგორც ის მხდალი, რომელიც დამარცხების შიშით მტერს გაურბის.

ამას წინად მივედი წყაროზე და იქ დამხვდა ერთი მოსამსახურე გოგო; მას კიბის ქვედა საფეხურზე წყლის ჭურჭელი დაედგა და იხედებოდა აქეთ-იქით, იქნება რომელიმე ამხანაგი მოვიდეს და ამაწევინოსო. მე ჩავედი ძირს და შევხედე გოგოს.

— მოგეხმარო, ქალო?—ვუთხარი მე; ის თანდათან უფრო წითლდებოდა.

— არა ბატონო!—მიპასუხა მან.

— ნუ გრცხვენია.

გოგომ გაისწორა თავზე ჭურჭლის დასადგმელი და მე ვუშველე. მან მადლობა მითხრა და ავიდა ზევით.

17 მაისი.

ბევრი ვინმე გავიცანი, საზოგადოება კი ჯერ ვერ ვიპოვნე. არ ვიცი, რა უნდა იყოს ჩემში ისე მიმზიდველი, რომ ამდენ ადამიანს ვუყვარვარ და ყოველთვის ვლონდები ხოლმე, რადგანაც ჩვენი გზები მალე შორდებიან ერთმანერთს.

თუ მკითხავ, რა ხალხია მანდაურებიო, უნდა გიპასუხო: ისეთივე, როგორც ყველგან. ადამიანთა მოდგმა ერთგვარია. უმრავლესობა მთელ დროს არსებობისათვის შრომას ანდომებს და იმ მცირე ხანსაც, რომელიც მას თავისუფალი რჩება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე უფრთხის იგი, რომ ყოველ საშუალებას ხმაროს იგი თავიდან მოიშოროს. ოჰ, ადამიანის დანიშნულებავ!

მაგრამ მაინც კარგი ხალხია! ფრიად კარგად მოქმედობს ჩემზე, როდესაც გატაცებული მათთან ერთად ვეწაფები სიხარულს, რომელიც ჯერ კიდევ გვშთენია, როცა ყველანი შემოვუსხდებით სუფრას და ვხუმრობთ გულწრფელად, როცა დროს მოვიმარჯვებთ და გავმართავთ სეირნობას, თამაშს და სხვას რასმე ამ გვარს; ოღონდ კი ამ დროს ნუ მომაგონდება, რომ ჩემში არიან კიდევ სხვა ძალები, რომელნიც უსარგებლოდ იღუპებიან, რომელნიც მე სიფრთხილით უნდა ვმალო. ოხ, ეს მიწურავს ერთიანად გულს. მაგრამ გაუგებრად დარჩენა ხომ ხვედრია ყოველი ჩვენთაგანისა.

ვაი, რომ ჩემი სიყრმის მეგობარი არა მყავს! ოჰ, რისთვის ვიცნობდი ოდესმე იმ ქალს! ხშირად ვეტყვი ხოლმე ჩემს თავს: „გიჟი ხარ! შენ ეძებ იმას, რაც ამ ქვეყნად აღარ არის“; მაგრამ მე იგი მყავდა, ვგრძნობდი მის გულს, მის მაღალ სულს, რომლის სიახლოვეს ჩემი თავიც უფრო დიდად მეჩვენებოდა, რადგან მაშინ ყველაფერი ვიყავი, რათაც ყოფნა შემეძლო. ღმერთო მაღალო! დარჩა მაშინ ჩემში რომელიმე ძალა მოუხმარებელი? განა ვერ შევსძელი მის წინ გადამეშალა მთელი ჩემი საოცარი გრძნობა, რომლის საშუალებით ჩემი გული ბუნებას შეიცავს? განა ჩვენი დამოკიდებულება არ იყო დაუსრულებელი ქსოვა უწმინდესი გრძნობისა, და უმახვილესი გონებისა, რომლის ყველა მხარეები, თვით ცელქი ირონიაც კი, ალნიშნული ივო გენიოსობის ბეჭდით? და ეხლა! ახ, ის ქალი მწუხარებაში განვლილმა წლებმა ჩემზე უმალ ჩაიყვანეს საფლავში! არაოდეს არ დავივიწყებ მას, მის მტკიცე გრძნობას, მის ღვთაებრივ მოთმინებას, არაოდეს.

რამდენისამე დღის წინად შევხვდი ერთ ახალგაზდა ვ—ს, გულ ახდილ, სისიამოვნო სახის ჭაბუკს. იგი ამას წინეთ დაბრუნდა აკადემიიდან; მაინც და მაინც სიბრძნეს არ იჩემებს, თუმცა დარწმუნებული კია, რომ სხვებზე მეტი იცის. ბეჯითიც უნდა ყოფილიყოს, როგორც ყველაფერში ვატყობ. ერთი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვით გვარიანი ცოდნა აქვს. როცა გაიგო, რომ მე ბევრს ვხატავ და ბერძნულიც ვიცი (ორი საკვირველება აქ ამ სოფელში), იგი მოვიდა ჩემთან და ბევრი ცოდნა ამოალაგა Batteux-დან დაწყებული Wood-ამდის და პილიდან ვილკელმანამდის: მარწმუნებდა ზელცერის თეორიის პირველი ნაწილი მთლად წავიკითხე და პეინენის ხელნაწერიც ანტიკის შესწავლის შესახებ ხელში მაქვსო. მე მოვუწონე.

ამას გარდა გავიცანი ერთი გულწრფელი ადამიანი, მთავრის მოურავი; ამბობენ ძალიან სასიამოვნოა მისი ნახვა თავის ცხრა ქალ-ვაჟთა შორისო. განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ იმის უფროს ქალზე. მოურავმა დამპატიჟა და ამ დღეებში ვეწვევი. ის ცხოვრობს მთავრის ერთ სანადირო სადგომში, რომელიც აქედან საათნახევრის სავალზეა. იქ გადასვლის ნებართვა მიიღო მან თავისი ცოლის გარდაცვალების შემდეგ, რადგან ამ ქალაქში ცხოვრება მეტად ეძნელებოდა.

ამას გარდა შორეულად გავიცანი რამდენიმე უსიამოვნო პირი, რომლებშიაც ყველაფერი აუტანელია და ყველაზე უფრო მათი ჩემდამი მეგობრობა.

მშვიდობით! ეს წერილი მოგეწონება, რადგან სულ ისტორიულია.

22 მაისი.

ადამიანის სიცოცხლე ბევრს სხვასაც სიზმრად ჩვენებია და მეც ეს აზრი მარად თანა მდევს. როცა ვხედავ იმ ვიწრო ზღუდეს, რომელშიაც მომწყვდეული არიან ადამიანის მომქმედნი და მკვლევარნი ძალები, როცა ვხედავ, რომ ყოველი მოქმედება მიმართულია იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ, რომელთაც სხვა მიზანი არა აქვთ-რა, გარდა ჩვენი საბრალო არსებობის განგრძობისა; როცა ვხედავ, რომ ყოველი ვითომდა გამორკვეული აზრი ზოგიერთ კითხვების შესახებ ოცნებური მორჩილებაა, რადგანაც ამითი ადამიანი მხოლოდ თავის საპყრობილის კედლებს ფერადი სხივებით და ნათელი იმედებით ამშვენებს... ეს ყველაფერი მადუმებს, ვილჰელმ. ვუბრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები ჩემს შინაგანს არსებას და იქ ვპოულობ მთელ ქვეყანას, მაგრამ აქაც ბურუსით მოცული წინად გრძნობები და გამოურკვეველი ნატვრებია და არა ცოცხალი წარმოდგენები და ცხადი ძალა. ესენი ირევიან ჩემს გონების თვალწინ, მეც მივდევ მათ ოცნებით მოლიმარი ამ წუთი-სოფელში.

მეცნიერი მასწავლებელნი და აღმზრდელნი ერთხმად მოწმობენ, რომ ბავშვმა არ იცის მიზეზი თავისი სურვილებისაო, იმას კი არავინ დაიჯერებს, რომ დიდებიც ბავშვებივით უაზროთ დაიარებიან და მათსავით არ იციან, საიდან მოდიან და საითკენ მიდიან; მათსავით ხელმძღვანელობენ შემცდარი მიზნებით, მათსავით ემორჩილებიან ბისკვიტებს, შაქრის პურებს და როზგებს. სხვებს ეს არ სჯერათ და მე კი ხელის მოსაკიდებელი ჭეშმარიტება მგონია. მე წინდაწინვე ვიცი, რასაც იტყვი შენ ამაზე და გეთანხმები, რომ უბედნიერესი ადამიანთა შორის ის არის, ვინც ბავშვსავით დღითი-დღე ცხოვრობს, ტიკინებით თავს იქცევს, ხდის და აცმევს იმათ, დიდის მოწიწებით გაუვლ-გამოუვლის იმ უჯრას, სადაც დედა შაქრის პურებს ინახავს, და როცა ბოლოს იგი მიიღებს სანატრელ საგანს, პირს გამოიტენის და იძახის: „კიდევ!“—აი, ამისთანანი არიან ბედნიერი ქმნილებანი. იმათაც არა უჭირთ-რა, რომელნიც თავიანთ უმნიშვნელო საქმეებს და თვით გულის-თქმებსაც ბრწყინვალე სახელებს უწოდებენ და კაცობრიობის საკეთილოდ და საბედნიეროდ ჩადენილ საგმირო საქმეებად აღიარებენ. ნეტავი იმათ, ვისაც ეს შეუძლიან. მაგრამ ვინც ხედავს საითაც მიილტვის ეს ყველაფერი, ხედავს, თუ როგორ ცდილობს ყოველი ბედნიერი მოქალაქე თავისი ბაღი სამოთხეს დაამსგავსოს, ან როგორის კმაყოფილებით მიიკაკვის თვით უბედურიც თვისი ტვირთით დამძიმებული და ყველანი კი როგორ ერთნაირად ცდილობენ ერთი წუთითაც არის მეტი იხილონ მზის სინათლე—დიაღ, ვინც ხედავს ამას, იგი გაჩუმებულია და თავის საკუთარ ქვეყანას ქმნის თვის გონებაში და ისიც ბედნიერია, რადგან ადამიანია. და, თუმცა ასე შეკიწროებულია იგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ატარებს ტკბილს გრძნობას თავისუფლებისას: მას შეუძლიან მიატოვოს ეს საპყრობილე, როცა კი მოისურვებს.

26 მაისი.

შენ ხომ კარგად იცი ჩემი ჩვეულება; სადაც უნდა ვიყო, უნდა გამოვძებნო საამური კუთხე, გავშალო იქ ჩემი კარავი და განმარტოვებული ვიყო. აქაც ვიპოვნე ადგილი, რომელმაც მიმიზიდა.

ერთი საათის სავალზე ქალაქიდან არის ადგილი, რომელსაც ვალჰაიმს*) ეძახიან და რომელიც ერთ სერზე მდებარეობს. როდესაც მაღლა ბილიკით სოფლისაკენ მიდის ადამიანი, თავს დაჰყურებს ძთელს ვაკეს. ერთი გულკეთილი სასტუმროს დიასახლისი ჰყიდის ღვინოს, ლუდსა და ყავას. ყველაზე უკეთესი კი ის არის, რომ იქ სდგას ორი ცაცხვის ხე; ისინი თავისი ფართედ გაშლილ ტოტებით ჩრდილავენ ეკლესიის წინ პატარა ადგილს, რომელიც გარშემოზღუდულია გლეხების სახლებით, კალოებით და ეზოებით. ასე მყუდრო, ასე საყვარელი ადგილი იშვიათად მინახავს. აქ მოვატანინებ ხოლმე სასტუმროდან მაგიდას, სკამს, აქ ვსვამ ყავას და ვკითხულობ ჩემს ჰომიროსს. პირველად, ერთს მშვენიერ ნაშუადღევს შემთხვევით მოვედი იმ ცაცხვებ-ქვეშ, ის ადგილი ცარიელი დამხვდა. ყველანი ყანაში წასულიყვნენ. მხოლოდ ერთი ბავშვი, ასე ოთხიოდე წლისა, იჯდა მიწაზე და კალთაში ჰყავდა ერთი ნახევრი წლის ბავშვი, რომელიც მას ორივე ხელებით გულზე მიეყუდებია ისე, რომ იგი პატარასათვის სავარძლის მაგიერობას სწევდა და მიუხედავად თავისი ცელქი, შავი, ცოცხალი თვალებისა, წყნარად იჯდა. ამ სანახავმა ფრიად მასიამოვნა. დავჯექი იქვე ახლო გუთანზე და ის ძმური მდგომარეობა აღტაცებით დავხატე. ამას მივუმატე აგრეთვე მახლობელი ღობე, კალო და რამდენიმე გატეხილი ურმის თვლები; ყველაფერი ეს ისე დავხატე, როგორც იყო და ერთი საათის უკან დავინახე, რომ ფრიად საინტერესო

*) სახელი გამოგონებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი დამემზადებია, თუმცა ჩემით არაფერი მიმიმატებია. ამან დამარწმუნა, რომ სჯობს მხატვრობაში ბუნებას ავჰყვე. მხოლოდ იგია განუსაზღვრელად მდიდარი, მხოლოდ იგი ჰქმნის დიდებულ ხელოვანს. მხატვრობის არსებულ წესებისა და კანონების სასარგებლოდ შეიძლება დაახლოვებით იგივე ითქვას, რაც სოციალურ და კულტურულ ჩვეულებაზე ითქმის.

ადამიანი, რომელიც ხელოვნების კანონთა მიხედვით იწვრთნება, თავის დღეში უგემურსა და ცუდს არას შეჰქმნის, როგორც არ გახდება არასოდეს აუტანელ მეზობლად, ან შესანიშნავ ბოროტ-მომქმედად ის, ვინც კანონებისა და ჩვეულების ზეგავლენის ქვეშ იზრდება. სამაგიეროდ ყოველი ხელოვნური წესი და კანონი ხელს უშლის ჭეშმარიტ შეგნებას ბუნებისას და მისს უტყუარად გამოხატვას. მეტყვი, ეს ძალიან გაზვიადებულად ნათქვამიაო; რომ კანონი მხოლოდ საზღვარს უდებს, აჭრის მეტად გრძელ ყლორტებს და სხვ.. კარგო მეგობარო, გსურს ერთი შედარება მოგიყვანო? ხელოვნების საქმე სიყვარულისას წაგავს. ვსთქვათ ვისმე ჭაბუკს უყვარს ვინმე ქალი. მთელს თავისს დროს იმასთან ატარებს, მთელს თავისს ძალასა და სიმდიდრეს ფლანგავს, რათა ყოველ წამს შეეძლოს დამტკიცება, რომ იგი მზად არის ყველაფერი შესწიროს სატრფოს. ამ დროს მოდის ერთი ვინმე ფილისტერი მოხელე და ეუბნება ჭაბუკს: ჩინებულო ყმაწვილო, სიყვარული ადამიანური გრძნობაა, მიჯნურობა ადამიანურად უნდა. გაყავით თქვენი დრო, ერთი ნაწილი გადასდევით მუშაობისათვის, მეორე კი, ე. ი. მოსვენების დრო, შესწირეთ თქვენს სატრფოს. აღრიცხეთ თქვენი ქონება და რაც გადარჩება უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, იქიდან მე არ დაგიშლით თქვენს სატრფოს საჩუქრებიც უძღვნათ, თუმცა არც ასე ხშირად, საკმარისია, დაბადებისა და სახელწოდების დღეს და სხვა. თუ კი ჭაბუკმა მიიღო ეს რჩევა, იგი საიმედო არის და თვით მე ვურჩევდი რომელსამე მთავარს მისთვის რამე ადგილი მიეცა. მისი სიყვარული კი გაჭრა და თუ იგი ხელოვანი იყო, გაჭრა მისი ხელოვნებაც. ჩემო მეგობრებო! ასე იშვიათად რათ აღმოხეთქს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლმე გენიოსობის ნაკადული, ასე იშვიათად რად გადმოჰქუხს ხოლმე მისი ზვირთები ჩვენი განსაკუთრებულ გრძნობა-გონების შესაძრწუნებლად. ძვირფასო მეგობარნო! აი იქ, ორ ნაპირზე ცხოვრობენ გონიერი ვაჟბატონები; ნაკადული წალეკავდა მათ ბაღებს, ვარდნარებს და ბოსტნებს, რომ იმათ დროითვე არ დაემზადებინათ თხრილები და საგუბრები მოსალოდნელი ზარალის ასაშორებლად.

27 მაისი.

ვხედავ, რომ ექსტაზში მოვედი და შედარებით და დეკლამაციის კილოთი ვლაპარაკობდი და ამასობაში დამავიწყდა მომეთხრო შეთვის, თუ რა დაემართათ ბოლოს ბავშვებს. გუთანზე კარგა ორი საათი ვიჯექი იმ საუცხოო გრძნობებით გატაცებული, რომელთაც ძლიერ მკრთალად დაგისურათებს გუშინდელი ჩემი წერილი. ბოლოს, საღამო ჟამს მოვიდა ერთი ახალგაზდა დედაკაცი ბავშვებთან, რომელნიც ამდენი ხანი გაუნძრევლად ისხდნენ. ხელში ეჭირა პატარა კალათა და შორიდანავე იძახოდა:

— ფილიპე, შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ!

დედა-კაცმა სალამი მომცა. მე მადლობა ვუთხარი, ავდექი, მივუახლოვდი და ვკითხე, ამ ბავშვის დედა თუ ხართ-თქო? მან დასტურით მიპასუხა. მერე უფროსს ბავშვს მისცა ნახევარი შაქრის პური, უმცროსი კი ხელში აიყვანა და დაკოცნა იგი სრულის მშობლიურის სიყვარულით.

— ფილიპეს უმცროსი ჩავაბარე,—განაგრძო დედა-კაცმა, —მე კი თვითონ უფროსი შვილითურთ ქალაქში წავედი თეთრი პურის, შაქრის და ქოთნის საყიდლად.

მე ყველა ამას კალათაში ვხედავდი, რომელსაც სახურავი გადასცლოდა.

— მე მინდა ჩემს ჰანსს (ეს იყო უმცროსი ბავშვის სახელი) საღამოსთვის ხარშო მოვუმზადო. უფროსმა ცელქმა გამიტეხა ქოთანი გუშინ, როცა იმასა და ფილიპეს ფაფასათვის ჩხუბი მოუვიდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვიკითხე უფროსი ბავშვი და დედამ მიპასუხა, რომ ის მინდორში ორიოდა ბატებს დასდევსო; ამასობაში ბავშვმა თვითონ მოირბინა და ფილიპეს თხილის სახრე მოუტანა. მე დიდხანს ვემუსაიფე იმ დედა-კაცს და შევიტყვე, რომ იგი სოფლის მასწავლებლის ქალიშვილი იყო. ქმარი მისი შვეიცარიაში წასულა თავისის ბიძა-შვილის მემკვიდრეობის ჩასაბარებლად.

— იმათ უნდოდათ ჩემი ქმრის მოტყუება.—ამბობდა დედაკაცი,—მისს წერილს უპასუხოდ სტოვებდნენ, ამიტომ ის თვითონ წავიდა. მას აქეთ იმისი აღარა ისმის-რა. ცუდი კი არა შეემთხვეს-რა და!

მე ძალიან გამიძნელდა დედა-კაცისაგან თავის დაღწევა, ბავშვებს დავურიგე თითო კრეიცერი, ერთიც თვით დედას გარდავეცი; როცა წახვიდეთ ქალაქში, უმცროსს ბავშვს შაქრის პური უყიდეთ-მეთქი და ამნაირად განვშორდით ერთმანერთს.

როცა სული ჩემი მოუსვენარია და შფოთავს, მისს დასამშვიდებლად საკმაო არის ნახვა ასეთი ქმნილებისა: იგი დამშვიდებულია და კმაყოფილი თავის არსებობის ვიწრო წრით, დღითი-დღე ცხოვრობს, ხედავს ფოთლები სცვივიან და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ზამთარი ახლოვდება.

ამ ბოლო ხანებში ხშირად ვარ აქეთ. ბავშვები სრულებით შემეჩვიენ. როცა ყავას ვსვამ, მე მათ ვაძლევ შაქარს, საღამოს ბუტერბროდზე და მაწონზედაც დამეწვევიან. კვირაობით ყოველთვის თითო კრეიცერს ღებულობენ ჩემგან. თუ ნაწირევევს მე არ მოვედი, ამ შემთხვევაში სასტუმროს დიასახლისს აქვს მინდობილი ბავშვებისათვის კრეიცერების დარიგება.

ისინი გულახდილნი არიან და ბევრს რასმე მიამბობენ; ყველაზე უფრო კი მართობენ მათი პატარა გრძნობები, ამ გრძნობათა მარტივი გამოთქმა, ცილობა და მეტოქეობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სოფლიდან ბავშები ბლომად იკრიბებიან,

ძლივს დავამშვიდე ის დედაკაცი; ამბობდა, ბავშვები შეაწუხებენ ბატონსაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 მაისი.

რასაც ამას წინედ მხატვრობის შესახებ გწერდი პოეზიაზედაც იგივე ითქმის. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ადამიანმა შეიგნოს მშვენიერება და გაბედოს მისი გამოთქმა. ეს კია რომ ამით მოკლედ ბევრია ნათქვამი. დღეს ერთი სცენა ვნახე, რომელიც საუკეთესო იდილია იქნებოდა, პირდაპირ რომ გადმოსწეროს კაცმა. მაგრამ რას მიქვია იდილია, სცენა, პოეზია! მართლაც, ნუ თუ ყოველთვის საჭიროა ხელოვნების კეთება, როცა ჩვენ ცოცხალი მონაწილეობით აღსავსე ვდგევართ ბუნების რომელიმე მოვლენის წინაშე.

თუ ამ შესავალის შემდეგ რასმე მაღალსა და დიადს მოელი, კვლავ მწარედ ცდები; ერთმა გლეხის ბიჭმა გამოიწვია ჩემში ასეთი თანაგრძნობა და სხვა არაფერი. მე ჩვეულებრივად ცუდად მოგითხრობ, შენ კი, მგონია, ჩვეულებრივად ჩემს მოთხრობას გადაჭარბებულად ჩათვლი; ეს იგივე ვალჰაიმია, მარადის ვალჰაიმი, ასეთს უცნაურობას რომ ქმნის ხოლმე.

გარეთ, ცაცხვებ ქვეშ, შეიკრიბა ერთი საზოგადოება ყავის სასმელად. რადგან იგი ჩემი შესაფერი არ იყო, ამიტომ რაღაც მოვიმიზეზე და უკან ჩამოვრჩი.

მახლობელი სახლიდან გამოვიდა ერთი გლეხის ბიჭი და დაუწყო რაღაც ჩხიკინი იმ გუთანს, რომელიც ამას წინეთ აგიწერე. რადგანაც მისი შეხედულება მომეწონა, გამოველაპარაკე, ვკითხე მისი ყოფა-ცხოვრება; ჩვენ მალე გავნაცნობდით და ჩვეულებისამებრ კიდეც დავვახლოვდით.

მან მიამბო,—ერთ ქვრივ ქალთან ემსახურობ, რომელიც ძლიერ კარგად მეპყრობაო. იმდენი ილაპარაკა იმ ქვრივზე, ისე აქებდა მას, რომ მალე შევამჩნიე,—ყმაწვილი სულითა და ხორცით მისი ბრონა იყო.—ის არც ისე ახალგაზდა არისო,—ამბობდა ბიჭი,—პირვანდელი ქმარი ცუდად ეპყრობოდა და ამიტომ ხელ-მეორედ გათხოვება აღარ სურსო. ბიჭის სიტყვებიდან აშკარად გამოსჭვერდა, თუ რა მშვენიერი, რა ტურფა იყო იგი ქვრივი მისთვის, თუ რა გულით უნდოდა, რომ იმ ქალს ის აე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩია პირველ ქმრის ნაკლთა ხსოვნის მოსასპობლად. სიტყვა-სიტყვით გამეორება დამჭირდებოდა, რომ უკეთ გამეგებინებინა შენთვის იმ ბიჭის წმინდა წადილი, სიყვარული და ერთგულება.

დიაღ, უდიდესი პოეტის ნიჭი უნდა მქონოდა, რათა შემძლებიყო ცოცხლად დამესურათებია მისი მიმოხვრის გამომეტყველება, მისი ხმის ჰარმონია და მისი თვალების იდუმალი ცეცხლი. არა, შეუძლებელია, სიტყვებით გამოითქვას ის სინაზე, რომლითაც აღსავსე იყო მთელი მისა არსება და ყოველი სიტყვა. რასაც ვიმეორებ, ეს ყველაფერი ცივია და უგულო. განსაკუთრებით გული ამიჩჩვილდა მაშინ, როცა მას შიში შევატყვე, სხვებრ არ იფიქროს და იმ ქალის ყოფა-ქცევაზე ეჭვი რამ არ აიღოსო. რა საუცხოვო რამ იყო, როცა იგი ლაპარაკობდა სატრფოს თვალ-ტანადობაზე, რომელიც მას ასე ძლიერად იზიდავდა მიუხედავად იმისა, რომ იგი მიმზიდავი საგანი მოკლებული იყო ახალგაზდურს სიტურფეს. ეს სურათი შემიძლია მხოლოდ ჩემი გულის სიღრმეში განვიმეორო. ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი წმინდა სახით აზვირთებული წადილი, მხურვალე ნატვრა. დიაღ, შემიძლიან ვთქვა, არც წარმომიდგენია და არც სიზმრად მომჩვენებია. ნუ გამკიცხავ და გეტყვი, რომ ამ უმანკოებისა და სიმართლის მოგონებაზე მთელს ჩემს შინაგან არსებას ცეცხლი ედება და ეს სურათი ერთგულებისა და ლმობიერებისა თანა მსდევს ყველგან და თითქო ამით აღგზნებული თვითონაც ვიწვი და ვილევი.

ვეცდები შემდეგში ის ქალი გავიცნო, ან და პირ-იქით ვეცდები გზა ავუარო. სჯობს მას ვხედავდე მის მოტრფიალის თვალებით. იქნება იგი არ გამოდგეს ისეთი, როგორადაც ეხლა ის თვალ-წინ მიდგას, და რისთვის გავიფუჭო მშვენიერი სურათი?

16 ივნისი.

რატომ წერილს არ იწერებიო?—როგორიღა მეცნიერი ხარ, თუ ამას მკითხავ? შენ თითონ უნდა მიმხვდარიყავი, რომ თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგათა ვგრძნობ, მიტომ რომ... ერთი სიტყვით ერთს ვისმე გავეცანი და ეს ნაცნობობა ჩემს გულს ახლოს ხვდება... მე... არ ვიცი.

მე არ ძალმიძს დალაგებით მოგიყვე, თუ როგორ გავიცანი ერთი უსაყვარლესი ქმნილება. მე კმაყოფილი ვარ და ბედნიერი, მაშასადამე ცუდი მემატიანე.

ანგელოზია! ვჰი! ამას ხომ ყველა ამბობს თავის სატრფოზე! მე კი მაინც არ შემიძლია გითხრა, რამდენად უნაკლულოა იგი და რად არის უნაკლულო; ერთი სიტყვით მან წარიტაცა მთელი ჩემი გული და გონება.

რა უბრალოა და გონიერი, რა გულკეთილი და მტკიცე ხასიათის პატრონი, სულით მშვიდი და საქმიანი!

ყველაფერი, რაც იმაზე ვსთქვი, ყბედობაა და თავის მომაბეზრებელი აბსტრაქცია, რომელსაც არ ძალუძს გამოხატოს არც ერთი მისი თვისება. ოდესმე, სხვიმის... არა სხვიმის არა, ახლა მინდა, ამ წამში მსურს გიამბო ყველაფერი. თუ ახლა არ გიამბე, ეს თავის დღეში აღარ მოხდება: ეს მიტომ, რომ,—ჩვენ შორის ითქვას—ამ წერილის დაწყებამდე სამჯერ ვიყავი მზად კალამი ხელიდან გამეგდო, ცხენი შემეკაზმინებინა და წავსულიყავი. ამ დილით კი თავს ფიცი მივეცი არ წავალ-თქო და ყოველ წამში ფანჯარასთან მიედივარ დასანახავად, თუ მზე კიდევ რამ სიმაღლეზეა...

ველარ მოვითმინე და ვავემართე მისკენ. ახლა ისევ აქა ვარ, ვილჰელმ და ბუტერბროდს გიახლები და შემდეგ შენთან წერილის წერას შევუდგები. რა ნეტარებაა, რვა საყვარელ მკვირცხლ და-ძმათა წრეში მისი ხილვა!

თუ ასე განვაგრძე, ბოლოს შენ იმდენივე გეცოდინება, რამდენიც დასაწყისში. ამიტომ ყური მიგდე, თავს ძალას დავატან და დაწვრილებით მოგიყვები ყველაფერს.

ამას წინედ გწერდი, რომ მთავრის მოურავმა, თავის უდაბნოში, ანუ უკეთ ვსთქვათ, თავის პატარა სამეფოში მიმიპატიჟა-თქო. მივივიწყე ეს და იქნება თავის დღეში არ წავსუ-

ლიყავი მასთან, რომ ერთ შემთხვევას არ აღმოეჩინა ჩემთვის, თუ რა საუნჯე იფარებოდა ამ მყუდრო ადგილას.

ჩვენმა ახალგაზდობამ გააწყო სოფელში საღამო, რომელზედაც მეც დამიყოლიეს. მე ხელი გავუწოდე ერთ ქალურ კეთილს, მშვენიერს, სხვებრ უმნიშვნელო ქალიშვილს და საქმე ისე მოეწყო, რომ მე ეტლი უნდა ამეყვანა და ჩემთან მოცეკვავე ქალითა და მისი ბიცოლათი წავსულიყავი დანიშნულ ადგილზე; გზაში შარლოტტა ს—თან უნდა გაგვევლო და თან წაგვეყვანა.

— თქვენ გაიცნობთ ერთ მშვენიერ ქალიშვილს,—მითხრა ჩემმა თანამგზავრმა, როცა მოვდიოდით სუფთად გამოკაფულ ტყეში სანადირო სადგურისაკენ.

— უფრთხილდით, არ შეგიყვარდეთ,—დაუმატა მისმა ბიცოლამ.

— როგორ?—ვკითხე მე.

— ის უკვე დანიშნულია ერთ ფრიად ჩინებულ ვაჟზე, რომელიც ახლა სხვაგან არის თავის საქმეების წეს-რიგში მოსაყვანად, რადგანაც მამის გარდაცვლის შემდეგ დიად თვალსაჩინო ქონება უნდა ჩაიბაროს. მე ყურადღებაც არ მიმიქცევია ნათქვამისათვის.

მზე კიდევ ერთი თხუთმეტი წუთის სიმაღლეზე იქნებოდა, როცა ჩვენ ჭისკარს მივადექით. ძალზე ცხელოდა და ქალები გაავდრიანებას შიშობდნენ. მართლაც გარშემო ჰორიზონტზე იკრიბებოდნენ მოთეთრო, მაგრამ მაინც ბნელი ღრუბლები. მე გავფანტე მათი შიში ვითომ და ტაროსის ცოდნით; თუმცა თვითონაც წინად ვგრძნობდი, რომ ჩვენი მხიარულება ხიფათით გათავდებოდა.

მე ეტლიდან გამოვედი; ჭიშკრიდან ჩვენთან გამოვიდა ერთი მოსამსახურე ქალი და ბოდიშის მოხდით გვთხოვა, ერთ წუთს მოითმინეთ და „მამზელ“ ლოტტა ახლავე გიახლებათო. მე გავიარე ეზო და გავემართე ლამაზად აგებულ სახლისაკენ; როცა კიბე ავიარე და კარებშიაც შევედი, თვალწინ წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდგა უმშვენიერესი სურათი, რომლის მსგავსი არა მინახავს-
რა თავის დღეში.

წინა ოთახში ერთი მშვენიერი სახის შუათანა ტანის ქალიშვილის გარშემო ირეოდა ექვსი ბავშვი, ასე თერთმეტ წლიდან მოყოლებული ორ წლამდის. ახალგაზდა ქალს ეცვა სადა თეთრი კაბა მკრთალ წითელი ბანტით გულზე და სახელოებზე. ხელში ეჭირა ერთი შავი პური და სიყვარულით უჭრიდა თვითეულს ბავშვს თავთავის ულუფას მათის წლოვანების და მადის შესაფერად. თვითოეული მათგანი გულწრფელად იძახოდა: „გმადლობ“-ო და მიიღებდა თუ არა თავის კერძს კმაყოფილი ან განზე გახტებოდა ან თავისი წყნარი ხასიათის გამო ჩუმად მოდიოდა ალაყაფის კარებისაკენ უცხოების და ეტლის სანახავად, რომელსაც მაი ლოტტა უნდა წაეყვანა.

— გთხოვთ მომიტევოთ, რომ აქამდის გაგსაჯეთ და ქალებსაც ვაცდევინებ, მითხრა ქალიშვილმა.—ტანთ-ჩაცმაში და საოჯახო საქმეებში კიდეც დამავიწყდა ბავშვებისათვის ვახშმის მიცემა; ისინი ხომ არავისაგან იკარებენ პურს, თუ არა ჩემგან.—მე რაღაც უმნიშვნელო კომპლიმენტი ვუთხარი; მთელი ჩემი სული მოთავსებული იყო იმის საზეზე, მის ხმაში, მის მიმოხვრაში; მე ვისარგებლე დროთი, როცა მან მეორე ოთახში შეირბინა ხელთათმანისა და მარაოს წამოსაღებად და გონი მოვიკრიბე. პატარეები განზე იდგნენ და შორიდან მიყურებდნენ. მე მივედი სულ უმცროსთან, რომელსაც მეტად ლამაზი სახე ჰქონდა; მან უკან დაიწია; ამ დროს ოთახში შემოიდა ლოტტა და უთხრა: ლუი, მიეც ხელი ბიძიას; ბავშვმა თამამად შეასრულა ეს. მე ველარ მოვითმინე და მიუხედავად მისი წვინტლიანი ცხვირისა გულიანად ვაკოცე.

— ბიძიას?—ვუთხარი ლოტტას და გავუწოდე ხელი? გგონიათ, რომ ღირსი ვარ თქვენი ნათესავობისა?

— ო,—მიპასუხა მან თავისუფალი ღიმილით,—ჩვენი ბიძაშვილობა რიცხვმრავალია და ძალიან ბეწყინებოდა, რომ თქვენ ყველაზე უარესი ყოფილიყავით.

ლოტტამ, თავისს მომყოლ დას, თერთმეტი წლის სოფიოს დაუბარა, ბავშვებისათვის კარგად ეგდო ყური და მამისათვის სალამი გარდაეცა, როცა ის სეირნობიდან დაბრუნდებოდა. უმცროსებს უთხრა, სოფიოს გაუგონეთ ყველაფერი ისე, როგორც ძე თითონო. ზოგიერთები შეჰპირდნენ ამის ასრულებას. მხოლოდ ერთმა თამამმა ოქრო-თმიანმა ექვსიოდე წლის გოგონამ უთხრა: ის შენ ხომ მაინც არ იქნები, ლოტტა, შენ უფრო გვიყვარხარ.—ორი უფროსი ბავშვი ეტლზე შეფორთხდა და ჩემის თხოვნით ლოტტამ მათ ნება მისცა, ტყის პირამდის ჩვენთან წამოსულიყვნენ, იმ პირობით კი, რომ ეტლს ხელს მაგრად მოჰკიდებდნენ და ერთმანერთს არ გააჯავრებდნენ. ჩვენ—ჩვენი ალაგი დავიჭირეთ ეტლში, ქალებმა ერთმანერთი მოიკითხეს, გამოსთქვეს თავ-თავიანთი აზრი კაბებზე და განსაკუთრებით ქუდებზე, და საკმაოდ აწონ-დაწონეს ის საზოგადოება, რომელიც ჩვენ მოგველოდა. ამ დროს ლოტტამ ეტლი გააჩერებინა და გადმოსხა ბავშვები, რომელთაც ერთხელ კიდევ მოსთხოვეს მას ხელი საკოცნელად. უფროსმა აკოცა დიდის სინაზით, რომელიც თხუთმეტის წლის ყმაწვილს შეეფერებოდა, მეორემ კი მეტის სიფიცხითა და განუსჯელობით. ლოტტამ ბავშვებს ჩვენთვის სალამი მოაცემინა და ჩვენ—ჩვენის გზით გავსწიეთ.

ბიცოლამ ჰკითხა ლოტტას,—მე რომ ამას წინათ წიგნი გამოგიგზავნეთ წაიკითხეთო?

— არა,—უპასუხა ლოტტამ,—მე ის არ მომწონს და შეგიძლიათ უკანვე მიიღოთ. წინანდელიც არ იყო უკეთესი.

მე გავვოცდი, როცა ლოტტამ მითხრა, რა წიგნზე იყო ლაპარაკი.*)

რამდენი ხასიათი ჩნდა ყველაფერში, რასაც კი ამბობდა! ყოველ მის სიტყვაში ვხედავდი ახალსა და ახალ სიტურფეს, მის სახის გამომეტყველებაში ახალს სხივებს გრძნობა-გონებისას,

---

*) იძულებული ვართ წერილის ეს ადგილი გამოვტოვოთ, რათა იგი ვისმე საწყენად არ დარჩეს. თუმცა საფუძვლიასად რომ განვსაჯოთ, არც ერთმა ავტორმა არ უნდა ათხოვოს ყური ერთი ქალიშვილისა და დაუდგრომელი ვაჟის კერძო მსჯელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც თითქო თან და თან მეტის კმაყოფილებით იფურჩქნებოდნენ, რადგან იგი გრძნობდა, რომ მე მესმოდა მისი ნათქვამი. —როცა უფრო ახალგაზდა ვიყავი, ისე არა მიყვარდარა, როგორც რომანები,—ამბობდა ლოტტა.—ღმერთმა იცის, რა კმაყოფილი ვიყავი ხოლმე, როცა კვირაობით ძივჯდებოდი კუთხეში და მთელი ჩემი სულით და გულით ვიღებდი მონაწილეობას ვიღაც მისს ჯენნის ბედში და უბედობაში. მართალია ამგვარი ნაწერები ახლაც მიზიდავენ რამდენიმედ, მაგრამ რადგან ახლა წიგნებს იშვიათად ვკითხულობ, ამიტომ წასაკითხავი წიგნის თვისებებიც ჩემს გემოს უნდა შეეფერებოდნენ და ის ავტორი უფრო საყვარელია ჩემთვის, რომლის თხზულებაშიაც ჩემს საკუთარ ქვეყანას ვხედავ გამოხატულს, ის ავტორი მირჩევნია, რომელიც ისე სწერს ყველაფერს, როგორც ჩემს გარეშემო ხდება: მისი მოთხრობა ისე საინტერესო არის ჩემთვის, როგორც საკუთარი ჩემი შინაური ცხოვრება, რომელიც, თუ სამოთხე არა, გამოუთქმელი ბედნიერების წყარო მაინც არის.

ვცდილობდი დამეფარა ის მღელვარება, რომელიც ჩემში ლოტტას სიტყვებმა გამოიწვიეს. მაგრამ რა თქმა უნდა, თავის შეკავება დიდი ხნით ვერ მოვახერხე. ის ისეთის სიმართლით ლაპარაკობდა ვეკფილდის მოძღვარზე და *)-ზე, რომ მოთმინება დავკარგე და ვუთხარი ყველაფერი, რაც კი ვიცოდი და მხოლოდ ცოტა ხნის უკან შევამჩნიე, რომ მას საუბარი მიემართა სხვებისაკენ, რომელნიც ამდენი ხნით თვალებ დაჭყეტილი ისხდნენ, თითქო არც კი ყოფილიყვნენ იქ. ბიცოლამ რამდენჯერმე შემომხედა დაცინვით, მაგრამ ამისთვის არა მცალოდა.

საუბარი გადავიდა ცეკვა-თამაშის სიამოვნებაზე.

---

*) აქაც გამოვუშვით ზოგიერთი თანამემამულე ავტორთა სახელი. ვინც თანაუგრძნობს ლოტტას, იგი ამ ადგილის წაკითხვაზე, ყველაფერს თავისსავე გულში იგრძნობს, ისე კი ამისი ცოდნა არავისთვის არ არის საჭირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ცეკვით გატაცებება ნაკლი არის,—სთქვა ლოტტამ,—უნდა გამოგიტყდეთ, რომ ცეკვას აბა მირჩევნია-რა. როცა რამე მაწუხებს, საკმარისია ჩემს მოშლილ ფორტეპიანოზე დავუკრა კადრილი, რომ ისევ კარგ გუნებაზე დავდგე.

როგორ ვსტკბებოდი მუსაიფის დროს მისი შავი თვალებით! როგორ იზიდავდნენ მთელს ჩემს არსებას მისი ცოცხალი ტუჩები, მისი ქორფა, მხიარული ლაწვები! მე ვინთქებოდი მისი ბაასის აზრში ისე, რომ ხშირად მისი სიტყვები არც კი მესმოდა! ამისი წარმოდგენა თვითონ შეგიძლია, რადგან კარგად მიცნობ. ერთი სიტყვით, როგორც სიზმარში მყოფი გადმოვედი ეტლიდან, როცა გასართობ შენობის წინ გავჩერდი.—მე თითქო სიზმრად მყოფი ისე დავიკარგე გარშემო ბინდში და ყურადღებასაც ძლივს ვაქცევდი მუსიკას, რომელიც მაღლა დარბაზიდან მოისმოდა.

შესავალში დაგვხვდნენ ორი ყმაწვილი—ოდრანი და ერთი ვილაც №№,—ვინ დაიხსომებს ყველას სახელებს,—რომელნიც ლოტტასი და ბიცოლას თანამოცეკვარი იყვნენ. მათ ჩაავლეს ხელი თავიანთ ქალებს, მეც გავუწოდე ხელი ჩემსას და ყველანი ავედით ზევით. გაიმართა ცეკვა. მე ზედიზეო ვიწვევდი ქალებს სათამაშოდ და სწორედ მახინჯები უფრო აჭიანურებდნენ საქმეს და აგვიანებდნენ თამაშს. ლოტტამ და მისმა კავალერმა „ანგლეზი“ დაიწყეს და რომ იცოდე, რა კარგად ვგრძნობდი თავს, როცა მას ერთი ფიგურის დაწყება ჩვენთანაც შეხვდა! უნდა ნახო ლოტტა ცეკვის დროს! ის მაშინ მთელი სულით და გულით იქ არი, მისი სხეული ჰარმონიაა, იგი ისე უზრუნველი, ისე თავისუფალია იმ დროს, თითქო ცეკვა იყოს ყველაფერი და იგი სხვას არაფერს ჰფიქრობდეს, აღარას ჰგრძნობდეს. და მე დარწმუნებული ვარ, რომ მისს თვალწინ ყველაფერი ჰქრება.

მე ვთხოვე მას, მეორე კონტრდანსი ჩემთან ეთამაშნა. ის მესამეს დამპირდა და მომხიბლველის სითამამით მითხრა, რომ გერმანულს ვალსს გულითადის სიამოვნებით ეთამაშობო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ ჩვეულებაა ო,—განაგრძო მან,—რომ ვალსის დროს ყოველი არჩეული წყვილი ერთად უნდა დარჩეს, მაგრამ რადგან ჩემი კავალერი ვალსს ცუდად თამაშობს, ის დიდად დამიმადლებს, თუ მას ამ შრომიდან განვათავისუფლებ. არც თქვენმა თანამოცეკვავე დამამ იცის და არც უნდა გერმანული ვალსის ცეკვა; თქვენ კი, როგორც შეგამჩნიეთ ანგლეზში, კარგად ტრიალობთ; თუ გსურთ გერმანულის ვალსის ჩემთან ცეკვა, წადით ჩემს კავალერთან და გამოსთხოვეთ ჩემი თავი; მე კი თქვენს დამასთან წავალ.

მე დავთანხმდი და ისე მოვაწყვე საქმე, რომ ჩვენის ცეკვის დროს, ლოტტას კავალერი ჩემს დამასთან იმუსაიფებდა.

შევუდექით ცეკვას; რამდენი სიტურფე, რამდენი სიმსუბუქე იყო მისს მოძრაობაში! როცა ვალსამდე მიდგა საქმე, მოცეკვავეთა გამოუცდელობის გამო, თამაში, ცოტა არ იყოს, აირია. ჩვენ ჭკუა ვიხმარეთ და ვაცალეთ, სანამ სხვები დაიქსაქსებოდნენ. როცა ცუდად მოთამაშეებმა ადგილი დასცალეს, ჩვენც ჩავერიეთ და მხნედ შევეჯიბრეთ უკანასკნელ წყვილს— ოდრანსა და მისს თანამოცეკვავე ქალს. თავის დღეში ასე მსუბუქად არ მისრიალებია ფეხი. მე ადამიანი აღარ ვიყავი. უმშვენიერესი ქმნილება ხელში გყავდეს და მასთან ერთად გრიგალივით მიმოქროლავდე ისე. რომ გარშემო ველარას ხედავდე და... ვილჰელმ, ფიცი დავსდევი, რომ ის ქალი, რომელიც მეყვარება და რომელზედაც რაიმე უფლება მექნება, ვალსს თავის დღეში ვერავისთან ითამაშებს, თუ არა ჩემთან, თუნდა ჯანდაბასაც წავიდე. ხომ გესმის?

ჩვენ რამდენჯერმე შემოვიარეთ დარბაზი, სულის ამოსათქმელად. როცა ლოტტა დაჯდა, მე მივართვი ფორთოხლები, რამაც იგი ძლიერ ასიამოვნა. მხოლოდ ყოველი პატარა ნაჭერი, რომელსაც ლოტტა თავის მოურიდებელ მეზობელ ქალს პატივის ნიშნად უკითხავდა, მე მახვილივით გულში მივლიდა.

მესამე ანგლეზის დროს ჩვენ ვიყაეით მეორე წყვილი. ცეკვის დროს ლოტტას ხელ-ჩაკიდებული გამოუთქმელის ნეტარებით ვუყურებდი მას თვალებში, რომელნიც სავსე იყვნენ უწრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელესი, უწმინდესი სიამოვნებით, და ამნაირად მივუახლოვდით ერთ მანდილოსანს, რომელიც არც ისე ახალგაზდა სახის სასიამოვნო გამომეტყველებამ ჩემი ყურადღება მიიქცია. ძან ღიმილით შეხედა ლოტტას, თითით დაემუქრა და ორჯერ დიდმნიშვნელოვანად ახსენა სახელი „ალბერტ“.

— ვინ არის ალბერტი,—ვკითხე ლოტტას,—თუ მეტ კადნიერებათ არ ჩათვლით ამ კითხვას.

ის მზად იყო მოეცა პასუხი, მაგრამ იმ წამში განვშორდით ერთმანერთს მერვე ფიგურის შესასრულებლად. მისს შუბლზე თითქო რაღაც დაფიქრება შევამჩნიე, როცა ერთმანერთს გვერდი ჩავუარეთ.

— რად უნდა დაგიმალოთ,—მითხრა მან, როცა ხელი მომცა პრომენადისათვის.—ალბერტი ერთი ყოჩაღი კაცია, რომელზედაც დანიშნული ვარ.

ეს ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო, რადგანაც გზაში ქალებისაგან უკვე გაგონილი მქონდა. მე კი მაინც სულ ახალ ამბავად მეჩვენა, რადგან პირველად რომ მითხრეს დანიშნული არისო, მე ამ ადამიანზე კი არ მიფიქრია, რომელიც ამ რამდენისამე წამში ასე ძვირფასი შეიქმნა ჩემთვის. მე ავირიე, თავი დამავიწყდა და გავიარე სულ სხვა წყვილთა შუა, ასე რომ ყველაფერი აირ-დაირია და ლოტტას იქ ყოფნა, მიწევ-მოწევა და სწორება იყო საჭირო ყველაფრის ისევ წეს-რიგში მოსაყვანად.

ცეკვა ჯერ არ გათავებულიყო, როცა ელვა, რომელიც ჰორიზონტზე ადრევე დავინახეთ და რომელსაც კარგი დარის მომასწავებელად ვთვლიდი, უფრო და უფრო გაძლიერდა, ქუხილმა დაჰფარა მუსიკის ხმა. სამი ქალი გაიქცა მოცეკვართა რაზმიდან; მათ გაჰყენენ მათი კავალრები; არეულობა საერთო შეიქმნა და მუსიკაც შეწყდა: ბუნების კანონია, რომ თუ რამ უბედურება ან შიში სასიამოვნო წამში მოგვასწრებს, ის მაშინ ჩვენზე უფრო ძლიერ ზედ-მოქმედებას იჩენს, ვიდრე სხვა დროს, ჯერ იმ კონტრასტით, რომელსაც ასე ცოცხლად გვაგრძნობინებს, უფრო კი იმიტომ, რომ ჩვენი გრძნობიერება ამ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ძლიერია და მაშასადამე, ყოველ შთაბეჭდილებას უფრო ჩქარა და ძლიერად ღებულობს. ამ მიზეზებს უნდა მივაწერო ის საკვირველი სახის გამომეტყველება, რომელიც ზოგიერთ ქალებს ჰქონდათ. ერთი, უფრო გონიერი მიმჯდარიყო კუთხეში, ფანჯრისათვის ზურგი შეექცია და თითებით ყურები დაეცო, მეორე მის წინ დაჩოქილიყო და მის კალთაში თავი ჩაემალა. მესამე შემძვრალიყო მათ შუა და ცრემლის ღვრით ეხვეოდა თავის დებს. ზოგს შინ დაბრუნება უნდოდა; სხვებმა სულ აღარ იცოდნენ რას შვრებოდნენ და იმდენი მოსაზრებაც აღარ ჰქონდათ, რომ საზღვარი დაედვათ ჩვენი ახალგაზდა ცელქების გამბედაობისათვის: ესენი მხოლოდ ამას ზრუნავდნენ, რომ მშვენიერ გაჭირვებულთა ტუჩებიდან მოეტაცნათ ყველა ზეცისადმი მიმართული ლოცვები. ზოგიერთი მამაკაცი ძირს ჩავიდა თამბაქოს მოსაწევად. დანარჩენმა საზოგადოებამ ისარგებლა დიასახლისის ბედნიერი აზრით, ფარდებიანსა და დარაბებიან ოთახს მოგცემთო. როგორც კი შევედით იმ ოთახში, ლოტტამ მაშინათვე ირგვლივ სკამები შემოამწკრივა; როდესაც მისი თხოვნისამებრ ყველანი დავსხედით, მან მოგვცა წინადადება ერთი თამაში გავმართოთო.

ვხედავდი, ზოგიერთებს გემრიელი ფანტის იმედი ჰქონდათ და სიამოვნებით ტუჩებს აცმაცუნებდნენ.

— ვითამაშოთ „თვლა“—სთქვა ლოტტამ.—ყური მიგდეთ, მე ჩამოვუვლი წრეს მარჯვნიდან მარცხნით და ამ დროს თქვენ თვალეთ მოყოლებით ერთიდან ათასამდინ. თითოეულმა თქვენგანმა ის რიცხვი უნდა თქვას, რომელიც მას მოუწევს რიგითა და ყველაფერი ეს ცეცხლივით ჩქარა უნდა მოხდეს. ვინც შეჩერდება, ან ვისაც შეეშლება, ის მიიღებს სილას.

საუცხოვო სანახავი იყო ლოტტა, როცა ის ხელგაშვერილი წრეს უვლიდა.—„ერთი“,—დაიწყო პირველმა,—„ორი,“—სთქვა მისმა მეზობელმა,—„სამი“,—სთქვა შემდეგმა და ასე სხვებმაც. მერე ლოტტამ უფრო ჩქარა სიარული დაიწყო. ერთს შეეშალა: „ტკაც“!—გაისმა სილა და ხარხარს მოჰყვა, კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე „ტკაც“! ლოტტა უფრო და უფრო ჩქარობდა. ორი სილა მეც მივიღე და დაფარული სიამოვნებით შევნიშნე, რომ ისინი თითქო უფრო ლონივრები იყვნენ, ვიდრე სხვებისთვის დანიშნულნი. საერთო ხარხარით დაბოლოვდა თამაში, ვიდრე ათასამდის ავიდოდით. წრე დაიშალა, ელვა-ჭექა დამცხრალიყო და მე ლოტტას გავყევი დარბაზში. გზაში მითხრა, სილამ ავდარიც დაავიწყა მათ და ყველაფერიცაო. მე ვერაფერი ვერ ვუპასუხე.

— ყველაზე უფრო მშიშარა ვარ, მაგრამ როცა სხვების გასამხნევებლად გულადობას ვიჩენდი, მე თვითონ გავმხნევდიო.—დაათავა მან.

ფანჯარასთან მივედით. შორიდან ქუხილი მოისმოდა, ჟუჟუნა წვიმას შხაპუნი გაჰქონდა და გრილი სურნელოვანი ჰაერი ჩვენამდინ ამოდიოდა.—ლოტტა ფანჯარაზე იყო დაყრდნობილი და მიდამოს გადასცქეროდა. მან ცისაკენ აიხედა, მერე მე შემომხედა და დავინახე, რომ მისი თვალები ცრემლებით სავსენი იყვენ, მან თავისი ხელი ჩემსას დაადო და თქვა: „კლოპშტოკ!“ მე მაშინვე მოვაგონდა საუცხოვო ოდა, რომელსაც ლოტტა გულისხმობდა; მე ჩავიძირე გრძნობათა ტალღებში, რომელნიც მან ამ ერთი სიტყვით ჩემზე გადმოაფრქვია. მე ეს ველარ ავიტანე, დავსწვდი მის ხელს, ვაკოცე სანეტარო ცრემლებით და ისევ თვალებში შევხედე. დიდებულო! ნეტავ დაგენახოს რა გალმერთება შენი იხატებოდა ამ თვალებში და კვლავ აღარ გამეგონოს უღირსთა მიერ წარმოთქმული შენი სახელი!

19 ივნისი.

სად შევწყვიტე ჩემი მოთხრობა, აღარ მახსოვს. ის ვიცი, რომ ღამის ორ საათზე დავწევი და რომ წერის მაგივრად პირდაპირ მელაპარაკნა შენთან, დილამდინაც გაგაჩერებდი.

რაც გზაში ბალიდან დაბრუნების უკან მოხდა, ეს მაშინ არ მომიწერია, და არც დღეს მცალიან ამისათვის. სახლში მზის ამოსვლისას დავბრუნდით. რა საუცხოვო დილა იყო. გარეშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო ნამიანი ტყე და გამოცოცხლებული მინდორი!... ქალები დაიღალნენ და თვლემდნენ. ლოტტამ მკითხა; თქვენც ხომ არ გინდათ მიბაძოთ ამათ მაგალითს? ჩემთვის ნუ შეწუხდებით.

— სანამ ეგ თვალები ფხიზლობენ, მანამდინ არც მე მეშინიან ძილის,—ვუთხარი მე და მტკიცედ შევხედე თვალებში. ასე მივედით ორივე მისი სახლის ალაყაფის კარებამდე, რომელიც ჩუმად გაუღო მოსამსახურე გიგომ. ლოტტამ მამა და ბავშვები მოიკითხა. გიგომ მიუგო, მამაცა და ბავშვებიც კარგად არიანო და ჯერ ყველას სძინავთო.

გამოთხოვებისას ვთხოვე ლოტტას ნება მოეცა ჩემთვის იმავე დღეს მის სანახავად მოვსულიყავ. მან ნება დამრთო. მე, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ ვისარგებლე ნება-რთვით და მას აქეთ მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, შეუძლიანთ წაიყვანონ თავიანთი საქმეები, როგორც მათ სურთ, მე კი ველარ ვარჩევ, ვერც დღეს ვერც ღამეს და მთელი ქვეყანა თვალთაგან მიმეფარა.

21 ივნისი.

ვატარებ ისეთ ბედნიერ დღეებს, რომელთა მზგავს ღმერთი მხოლოდ რჩეულებს, წმინდანებს უმზადებს, და, რაც უნდა დამემართოს, მაინც აღარ შემეძლება ვთქვა—სიხარულით, უწმინდესი სიხარულით არ დავმტკბარვარ-თქო. შენ ხომ იცი ჩემი ვალჰაიმი; მე იქ სრულებით დავბინავდი; იქედან ლოტტას სახლამდინ მხოლოდ ნახევარი საათის მანძილია; იქ მე ჩემს თავს ვეკუთვნი და ვგრძნობ მთელ ბედნიერებას, რომელიც ადამიანს წილად რგებია.

როცა ვალჰაიმი სასეირნო ალაგად ავირჩიე, რა ვიცოდი მაშინ თუ იგი ცასთან ასე ახლო იყო. რამდენჯერ დამინახავს ხანგრძლივ ხეტიალის დროს ხან სერიდან, ხან მდინარის იქეთა ვაკიდან, ის სანადირო სადგომი, რომელშიაც ახლა მოთავსებული არიან ყველა ჩემი ნატვრები!

საყვარელო ვილჰელმ! მე ხშირად ჩავუფიქრებივარ ადამიანის ბუნების ერთ ხასიათს: ადამიანს სურს მეტ სივრცეს გაეცნოს, განვითარდეს, ახალი რამეები აღმოაჩინოს, იხეტიალოს;

ამასთანავე მას აქვს შინაგანი მიდრეკილება, შეიზღუდოს თავისი თავი და სურვილები, გაკვალულ გზაზე იაროს და თავი არაფრით შეიწუხოს.

საკვირველია: როცა აქ მოვედი და სერიდან ველს გადავხედე, ისეთი ძალით მიმიზიდა არე-მარემ! აი, აქ პატარა ტყე! ახ, ნეტავ შემეძლოს მის ჩრდილს შევუერთდე!.. აი იქ მთის მწვერვალი! ახ, ნეტავ შემეძლოს იქედან ვრცელი მიდამოსათვის თვალის გადავლება! ერთი-ერთმანეთზე გადაბმული სერები და მათ შორის საყვარილი ველები! ნეტავ შემეძლოს მათში დაკარგვა!.. მე მივეშურებოდი იქეთკენ და უკანვე ვბრუნდებოდი: ვერა ვპოვე, რასაც ვეძებდი. ოო, სიშორე და მომავალი ერთმანერთს ჰგვანან! ჩვენი სულის წინ დგას ერთი რამ დიადი და ბინდოვანი, გამოურკვეველი; ჩვენი გრძნობები მაში იფანტებიან, როგორც თვალთახედვა სივრცეში; გვწადია იქეთ გადავფრინდეთ, რათა აღვივსოთ ერთად-ერთ, დიად საუცხოო გრძნობით!.. და როცა მივაღწევთ სანატრელ წერტილს, როცა „იქ“ „აქ“-ად ხდება, მაშინ ყველაფერი კვლავ ჩვეულებრივად გვეჩვენება, ვრჩებით ისევ ღატაკი, შეზღუდული და სული ჩვენი კვლავ ნატრობს მიუღწეველ ნეტარებას.

ასე მოენატრება ხოლმე მოხეტიალე ადამიანს თავისი სამშობლო; იგი ჰპოულობს თავის ქოხში მეუღლის მკერდზე, შვილების წრეში და მათზე ზრუნვაში იმ ნეტარებას, რომელსაც ამაოდ ეძებდა ვრცელ ქვეყანაზე.

ვანთიადისას მივდივარ ხოლმე ჩემს ვალჰაიმში და იქ დიასახლისის ბოსტანში ცერცვს თვითონა ვკრეფ; ჩამოვჯდები ხოლმე იქავე ცერცვის სარჩევად და იმავე დროს ვკითხულობ ჩემს ჰომიროსს; მერე პატარა სამზარეულოში ქოთანს ვირჩევ, ერბოს მოვნახავ, ცერცვს ცეცხლზე დავდგამ, თავსა ვხურავ და მეც იქავე მივჯდები მის მოსარევად. ამ დროს ცოცხლად წარმოიდგება ხოლმე სურათი, თუ როგორ ჰკლავდნენ ხარებსა და ღორებს, ჰქნიდნენ და სწვავდნენ მათ პენელოპეს თავ-გასულნი მოტრფიალენი. სხვა ისე არა მავსებს-რა ჭეშმარიტ, მშვიდ გრძნობით, როგორც თვისებები პატრიარქალურ ცხოვრებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მადლობა ღმერთს, შემიძლია გულ-წრფელად და თავისუფლად განვახორციელო ჩემს ცხოვრებაში.

რა ბედნიერი ვარ, რომ ჩემს გულს შეუძლია იგრძნოს უბრალო უმანკო ნეტარება იმ ადამიანისა, რომელსაც თავისს სუფრაზე მისგანვე მოყვანილი წვანილი უწყვია და ერთბაშად ტკბება არა მარტო წვანილით, არამედ ყველა იმ კარგი დღეებით და დილებით, როცა მას რგავდა, იმ მშვენიერი საღამოებით, როცა მას რწყავდა და ყველა იმ სიხარულით, რომელიც მას უნახავს თავისი ნაღვაწის თანდათანი ზრდის დროს.

29 ივნისი.

გუშინწინ მოვიდა მოურავთან ქალაქიდან ექიმი და დამინახა ლოტტას ბავშვებს შუა ძირს იატაკზე. ზოგი მათკანი გარს დამტრიალებდა, ზოგი მაჯაკრებდა, მეც ვუღიტინებდი მათ და მათთან ერთად ერთ უშველებელ ამბავს ვაღწევდი. ექიმი ერთი მეტად დოლმატიური მავთულებიანი ტიკინია. მან ჩემი საქციელი გონიერ ადამიანის უღირსად დაინახა; ეს ცხვირზე ეტყობოდა. მე მაინც ჩემი არ დავიშალე და სანამ ის მეტად გონიერ რამეებს ამბობდა, მე ბავშვებს ვუშენებდი ბანქოს სახლებს, რომელნიც მათ წელან დაანგრიეს. ის ვაჟბატონი ქალაქშიაც კი ყველას შესჩივოდა: მოურავის ბავშვები ისეც განებივრებულნი არიანო და ვერტერი მათ კიდევ უფრო აფუჭებსო.

დიალ, ჩემო ვილჰელმ, ბავშვებისთანა ძვირფასი არა არისრა ქვეყანაზე ჩემი გულისათვის. როცა მათ თვალს ვადევნებ და ვხედავ მათში ნერგს ყოველის სიკეთისა და ძალისას, რომელიც შემდეგში მათთვის ასე საჭირო იქნება, როცა ვხედავ მათს თვითნებობაში მომავალ სიმტკიცეს და ხასიათის ძალას, მათს ცელქობაში კეთილ გულსა და სიმართლეს, რომელიც მათ წუთი-სოფლის ხიფათს ააცდენს, როცა ყველაფერს ამას საღსა და გაუფუჭებელს ვხედავ... სულ ყოველთვის, ყოველთვის ვიმეორებ დიდის მოძღვრის ოქროს სიტყვებს: **თუ არა იქნებით მსგავსნი ამათნი!** ჩვენ კი ჩემო კეთილო, ვეპყრობით მათ,

როგორც ქვეშევრდომებს, მათ, რომელნიც ჩვენი სწორნი არიან და ჩვენ მიერ მაგალითად ჩასათვლელნი. მეუბნებიან, მათ არ უნდა ჰქონდეთ ნებისყოფაო! განა ჩვენ არა გვაქვს იგი? და ვინ მოგვცა მერე ეს უპირატესობა? მან რომ ჩვენ უფრო ხნიერნი და გონიერნი ვართ! კეთილო ღმერთო ზეციერო! შენ აქ ხედავ მხოლოდ დიდსა და პატარა ბავშვებს და ამ ორში რომელი უფრო გახარებს, ეს უკვე დიდი-ხანია აღიარა ძემან შენმან. ხნიერთ სწამთ იგი, არ უსმენენ კი—ესეც ხომ ძველი ამბავია—და თავისს შვილებს ზრდიან თავის მსგავსად და... მშვიდობით, ვილჰელმ! აღარა მსურს ამაზე მეტი ყბედობა.

ი—ნ

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ასული ისრაელისა

ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია*)

მოქმედება მეორე

სცენა წარმოადგენს იერუსალიმს. ტაძარი სოლომონისა ალაგ-ალაგ დანგრეულია, ალაგ-ალაგ შეკეთებული ახლად. ტაძართან არის მრავალი ხალხი შეყრილი. სხვათა შორის აქ არიან მღვდელ-მთავარი ელიაკიმ (იგივე იოაკიმ), ლევიტნი, მხედართ-მთავარნი, ქალწულნი სიონისანი. ხალხი და თვით ტაძარი არიან ძაძით მოსილნი. მრავალგან ანთია საღმრთო საკმეველი. ხალხს გაუხდია სამოსელი თვისი და უფენია წინაშენ ტაძრისა, თვითონ ზედა სდგანან დაჩოქვილნი. ისმის ხმა საკრავთა და ღაღადისი. სიონის ქალწულნი და ლევიტნი ჰგალობენ. ხალხი თან მისძახის და თან იყრის თავზე ნაცარს.

ბაბილონისა წყლისა კიდეთა
ვისხედით, ვღვრიდით სისხლის ცრემლებსა
და გიგონებდით, ჰოი სიონო
უცხო ქვეყანას დატყვევებულნი.
საგალობელნი შენნი დავკიდეთ
გაუქმებულნი ხისა შტოებზე.
შემმუსვრელი და მტყვევნელი შენი
ჩვენ გვიბრძანებდა მრისხანე სიტყვით,
რომე ფსალმუნით და გალობითა,
რომლით გამკობდით შენა, სიონო,

*) იხ. „მოამბე“ 1900 წ., № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ სასმენელი დაგვეტკბო ჩვენა,
და მოგველხინა მათ ზავი გული.
ვით ვიგალობოთ უცხო ქვეყანას
საგალობელი შენი, უფალო!...
თუ დაგივიწყო იერუსალიმ,
დაე წამერთვას ჩემი მარჯვენა.
დადუმდი, ენავ, მიეკარ სასას,
თუ სიონს გარე აღმოსთქვა ქება!
გაქვავდი, გულო, თუ რომ გარეშე
იერუსალიმის მიეცე ლხენას!
ედომის ძეთა შენ მოაგონე,
ჰოი უფალო, სიტყვანი მათნი,
რომელს შესძახდნენ იერუსალიმს:
„მოსთხარეთ! დასწვით! აქციეთ ფერფლად“!
ბილწო ასულო ბაბილონისა,
ქვეყნის წარმტყვევნო და შემმუსრველო!
ნეტარი არის, ვინც შენ მოგიწყავს
ასწილ მას, რაცა შენ ჩვენ მოგვაგე!“

(თავდება ღაღადისი. ხალხი წამოიშლება).

ულაკამ. აქ იყვნენ სამარიტელთა, კანიისა, ვეტერონისა, ბელმენისა, იურიქონისა, ხობისა, ესარისა და სხვათა ჩვენთა მეზობელთა და ნათესავთა ერთა მოციქულნი, რომელნიცა მე დავიბარე, რომ მოგვშველებოდნენ ამ საშინელსა განსაცდელსა ჟამსა, რომელიც ხელ-ახლა მოგვდგომია ბაბილოვნელთა და ასურთაგან... იხსნან ჩვენთან ერთად თავიანთიცა და ჩვენი თავიცა მუსრვისა, ტყვევნისა და ბილწვისაგან. (მოციქულნი შემოვლენ).

ერთი მოციქულთაგანი. ჩვენ ყოველივე ჩვენი მხედრობით მზადა ვართ ჩვენი მტრის საბრძოლველად. რადგან პირველი გზა ჩვენი ქვეყნებისაკენ არის ურიასტანი, უნდა ყოველი ჩვენი ძალით დავუხვდეთ მტერს იუდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვრებზე. გვიბრძანე, უდიდესო მღვდელო ებრაელთა, და წავალთ მტრის საბრძოლველად იქ, სადაც შენ დაინახავ ამას საჭიროდ.

ელიაკიმ. უნდა დაიჭიროთ ადგილნი მთის ხეობებსა და მწვეერვალებზე ეზდრილონისა და დოთაიმის პირდაპირ, საიდანაც არის შემოსავალი გზა ხეობებით იუდიანთა ქვეყანაში, და სადაც დღესა სდგას ძლევა-მოსილი მხედრობა ოლომფრე ძლიერისა, ნაბუქადონოსორ მეფის უპირველესი მხედართმთავრისა. წადით და შეუერთდით მუნ მხედრობათა ჩვენთა. იყვეს ლოცვა და კურთხევა წმინდისა სიონისა და მეუფისა ჩვენისა ეგოვასი თქვენსა და თქვენს მხედრობასა ზედა.

ერთი მოციქულთაგანი. ილოცეთ ჩვენთვის, დაგვვედრეთ ღმერთთა თქვენთა, რათა დაეხმარნენ ეგენიცა ღმერთთა ჩვენთა, და ღმერთნი ჩვენნი აღგვითქვამენ ჩვენ ძლევასა. წინასწარმეტყველნი, მეეტლენი, მემისნენი და მესიზმრენი ჩვენნი გვიქადიან ძლევას და შემუსრვას ჩვენი საერთო მტერისას.

(ყველა მოციქულნი გადიან).

ელიაკიმ. ვაი ჩვენდა, რომ ცოდვათა ჩვენთაგან ჩვენს ქვეყანაში შესწყდნენ წინასწარმეტყველნიცა, და ჩვენი ერი წინასწარმეტყველობს მხოლოდ ბაბილონსა თავის საშინელს ტყვეობაში.

(ამ დროს შემოვა სცენაზე ორი მოციქული ბეთილიდან).

1-	ი მოციქული. (მისცემს ელიაკიმს წიგნს). ეს გახლავთ წიგნი ბეთილიდან მხედართმთავრის ოზიისა. ბეთილი განსაცდელშია. კალიათა უმრავლესი მხედრობა სდგას ეზდრილონს და ემუქრის ბეთილს. მარტო მეფენი და მთავარნი უცხო ტომთა ოლომფრეს მხედრობაში შეარღგენენ იმდენს, რაოდენსაც შეადგენს მთელი მხედრობა იუდიანთა ბეთილის სიმაგრეში. შემუსრეს და გაასწორეს მიწასთან ყოველნი ჩვენნი მეზობელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ერნი რომელნიც არ გადუდგნენ თავის სალოცავს და არ აღიარეს ნაბუქადონოსორ და ხატი მისი ღმერთად. არ არის დანდობა არცა დიდისა, არცა მცირისა, არცა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა... მათგან მოდებული ცეცხლის ალები ეტანებიან თვით ცასაც კი, თითქო უნდა თვით ამ ქვეყნების ცაც კი შთანთქას თავისი ღმერთებით თავის აღელვებულს ტალღებშიაო.

2-რე მოციქული. ხალხს გული უტყდება. შიშის ზარმა მოიცა მთელი ქვეყნები. მრავალნი დადიან და დაჰქადაგებენ იერემიის წინასწარმეტყველებას: რომ საბაოთ ღმერთის ბრძანებაა დავემორჩილნეთ ნაბუქადონოსორს... მხედრობა ელის ახალს და ძლიერს მეფესაო, ჯარს თავის მისაშველებლად. ერს გაამხნევებს მხოლოდ შენი ბრძანება, შენი ლოცვა-კურთხევა... ახალი წინასწარმეტყველება, ახალნი სასწაულნი.

ელიაკიმ. (კითხულობს ოზიოს წიგნს და როცა გაათავებს) დიაღ, ბეთილი არის განსაცდელში. ერო მხოლოოდისა ღმერთისა, მღვთისა ისრაილისა, იუდიანნო! ბეთილზედ არის ახლა დამოკიდებული: მოისპოს თუ დარჩეს ერი ღვთისა! შესწყდეს თუ არა საუკუნოდ დიდება ღვთისა აბრაამისა, ისააკისა იაკობისა.

ხალხიდან ხმები. რა ვქნათ, გაიწირა კვალად იუდა, გაიწირა კვალად ისრაელი. შეუწყალებელი ქალდუ და ასური მოგვდგომია კვალად რისხვითა... ჩვენთვის აღარც მეფე, აღარც წინასწარმეტყველნი! სად არის, ვინ არის ჩვენი მხსნელი, ჩვენი პატრონი?!

ელიაკიმ. უსჯულოებამან ჩვენმან გვიხწია ჩვენ. წარიტყვევნა იუდა, დაემხო სახლი ღვთისა, შეიგინა ჭურჭელი წმინდა, და, როდესაც დღეს კვალად დაბრუნდა ერი ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან, სადაც იმალავდნენ თავებს ასურთა და ქალდეველთა დევნისაგან, დაბრუნდა მრავალი თვით ბაბილონიდან; როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალად აღენთო საღმრთო ლამპარი, განახლდა მსახურება მღვთისა, იწყო განახლება სიონმა, განაახლდა იერუსალიმი, აღეგნენ უბანნი და სახლნი დაბათა და ქალაქთა იუდისასა, კვალად ძალითა თვისითა შეკრბა იუდა სადიდებელად ღვთისა ისრაილისა, ოჰ, სიონო! კვალად განრისხდა ღმერთი უსჯულოებისა ჩვენისათვის და გვემუქრის აღგვას პირისაგან ქვეყნისა... შეინანეთ შეცოდებანი თქვენნი!.. უსჯულოებისა და ურწმუნოებისა თქვენისათვის მრისხანებს ეგოვა, ღმერთი ძალთა, საბაოთ ღმერთი ისრაელისა.

ხმა ხალხიდან. გვიბრძანე, მღვდელ-მთავარო, გამგეო სულისა და ხორცისა ჩვენისა, კაცო ღვთისა, მბრძანებელო ერისა, საღმრთო სჯულისა ხელთა მჭირაო: რა არის ცოდვა ერისა ჩვენისა? რა უნდა ვქნათ, რომ იყვეს საამურ ღვთისა ჩვენისა, რომ შევასრულოთ იგი, შევინანოთ ცოდვანი ჩვენნი, რათა მით ავარიდოთ ცოლთა და შვილთა ჩვენთა რისხვა ღვთისა და არ მივეცეთ ჩვენ ყველანი კვალად მუსრვასა, ტყვევნასა და ბილწვასა უსჯულოთაგან.

ერთი ლევიტთაგანი. ოჰ, თქვენ სჯულისაგან გადამდგარნო! ბრძანებს უფალი ღმერთი ჩვენი მოსეს მეორე სჯულთა წიგნში: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე შენ ეგვიპტით და გიხსენ მონებისაგან, და არა იყვეს შენდა ღმერთი ჩემსა გარე“ და თქვენ? თქვენ ემოყვრებით იმ ერთ, რომელთა ღმერთნი არიან მოსისხარ და მებრძოლ ღმერთისა ჩვენისა ეგოვასი; გისხედან კერპნი მათნი სახლთა თქვენთა და ალოცებთ მაიზედან სახლობათა თქვენთა, რომელნიც, წინააღმდეგ მოსეს სჯულისა, მოგიყვანიათ უცხოტომთაგან და ხშირად თვით თქვენ ლოცულობთ და აღიარებთ ბაალსა და ასტარტას და სხვა მრავალთა ღმერთთა ეგვიპტელთა და ბაბილონელთა! და ბრძანა უფალმან საბაოთ ღმერთმან პირითა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესითა: „უკეთუ თქვენ გადამიდგეთ მე, აღვმართავ მრისხანებასა ჩემსა თქვენზედ, და შეგმუსრავთ ყოვლითა ძალითა ჩემითა ცოდვათა თქვენთათვის და მოვიტან თქვენზე მახვილსა ზღვისა ჩემისასა აღთქმისა ჩემისა დარღვევისათვის!.. და დაგსჯით თქვენ შვიდ წილ შეცოდებათა თქვენთათვის, და სჭამდეთ თქვენ ხორცთა ძეთა და ასულთა თქვენთა! გავსწმენდავ თესლისა თქვენისაგან ქვეყანასა თქვენსა, რომ ჰკვიროდნენ მტერნი თქვენნი, დასახლებულნი ალაგსა თქვენსა და თქვენ განგაბნევთ პირსა ყოველისა ქვეყნისა... შთოვმილთა თქვენთაგანს შთაუთესლებ გულსა მათსა მშიშროებასა ისეთსა, რომ თვით უბრალო ფურცლის შრიალიცა აფრთხობდეთ მათ და გარბოდნენ მისგან, ვითარცა შემართული მახვილისაგან... რამეთუ უფალი ღმერთი თქვენი არის ცეცხლი, ღმერთი შურის-გებისა! ცოდვანი თქვენნი ჰლაღადებენ ცად მიმართ და ღმერთმაც მოგივლინათ მსაჯულად თავი ყოველთა უსჯულოთა, ნაბუქადონოსორ...

ხმა ერიდან. როდესაც ჩვენ, შეშინებულნი ნაბუქადონოსორ მეფისაგან, გავრბოდით ეგვიპტეს, დიდი წინასწარმეტყველი ჩვენი იერემია გვიქადაგებდა ჩვენ ერთგულებასა ღვთისა საბაოთ ღმერთისასა, თუ არა გვიქადიდა, რომ ღმერთი იგი მოგივლენთ სენს, მახვილსა და ცეცხლსა მტრისასა, მოსპობს თესლსა თქვენსა პირისაგან ქვეყნისასაო. გავედით ეგვიპტეს. გაჩნდა სიყმილი. არ იყო არსად საშველი, ვიდრემ არ მივეცით შესაწირავი ღმერთთა ეგვიპტურთა, ვიდრემ არ ემსახურეთ ღვთაებასა მათსა დედოფალსა ცისასა. მხოლოდ მაშინ გვევლინა ჩვენ შვება: მოვიპოვეთ საზრდოცა და მოსვენებაცა... გავიდა ხანი. მოვიდა ნაბუქადონოსორ უძლეველი ეგვიპტეს, შემუსრა ეგვიპტე. ჩვენ კი დავრჩით უვნებელ და დავბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდით ქვეყანასა ჩვენსა. მოვედით აქ და ახლა ვმსახურებთ ღმერთსა ამა ქვეყნისასა, ღმერთსა ისრაილისასა, ელოვას. იქ გვიჩინეს ძალა და სასწაული იქაურთა ღმერთთა და ვმსახურებდით მათ. აქ ვმსახურებთ აქაურსა ღმერთსა. ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი ღმერთი და ყველა ღმერთს აქვს ძალა მხოლოდ თავისს ქვეყანაში.

(შემოვარდება ახალი მოამბე ბეთილიდან).

მოამბე. (გულის ქაქანით). უსჯულო მთავარმან ნაბუქადონოსორისამ, ოლოფერნემ შეუკრა წყალი ბეთილს და დარჩა ერი უწყლოდ. მხედართმთავართა ოზიამ, ხობრიმ და ხამრიმ გამომგზავნეს საჩქაროდ, რომ დროით მოაშველოთ მხედრობა. უწყლობამ იქამდის გაუჭირა ერს, რომ თხოულობს დამორჩილდნენ ბაბილოვნელთა. ოლოფერეს აქვს ბრძანება ნაბუქადონოსორ მძლავრისა, რათა საუკუნოდ მოსპოს თესლი ისრაილისა, აღმოჰფხვრას კაცთა ნათესავთა ხსოვნაში სახელი ელოვასი, საბაოთ ღმერთისა. და თუ აიღეს ბეთილი, ვაი ქვეყანასა ისრაილისასა, ვაი ერსა უფლისა ჩვენისასა!... ეხლავ! ეხლავ, თორემ არ არის ხსნა, ერი ჰღელავს... შეიძლება თვით ისრაილმა შეახოს ხელი ღმერთსა ისრაილისასა...

ერთი მხედართმთავართაგანი. მიეხედოთ! ვიხსნათ ბეთილი, ვიხსნათ მთელი ისრაილი!.. ლევიტნო! ლოცვა და კურთხევა თქვენი!... ელიაკიმ, მოციქულო და ნაცვალო ღვთისაო, წარუგზავნე ბეთილს ლოცვა და კურთხევა შენი... წარჰგზავნე მუნ კარავი ჭურჭლისა ღვთისა. წარუძღვინე მას ლევიტნი... იხსენით იუდა, იხსენით მთელი ისრაილი, იხსენით სახლი ღვთისა.

ერთი ერთაგანი. თქვენ, მღვდელმთავარო და ლევიტნო! რათ არის ესე მრისხანება საბაოთ ღმერთისა ჩვენზე? ჩვენ, თუ ერთი და ორი შევცოდეთ მას, მაინც ისევ ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა ვართ მსახურნი მისნი, ვვესავთ და ვაღიარებთ მას; სხვანი სრულიად უარს ჰყოფენ და სდევნიან მას შესაძულრად. რატომ ჩვენ გვივლენს მრისხანებასა თვისსა და აძლევს ძლევასა ჩვენზე ერს, რომელიც არის ჩვენიცა და მისიცა მოსისხლე მტერი?! ჩვენზე მრისხანებს?! ჩვენ ვიყავით შემცოდე?! — რად მისცა ნება ასურსა და ქალდუს, ბაალ კერპისა მთაყვანებლებს და შეამუსვრინა სახლი თვისი?!..

მეორე ხმა ერიდან. ქვეყანამ აღიარა ნაბუქადონოსორ მეფე ღმერთად... მან შემუსრნა ღმერთნი ყოველთა ერთა, ჩვენ გვიქადაგებდა ჩვენი დიდებული წინასწარმეტყველი იერემია, დავმონებოდით ნაბუქადონოსორს: ამასა ბრძანებს ღმერთი ისრაილისა იეგოვაო. თქვენ, ლევიტნო და მხედართმთავარნო, არ უსმინეთ იერემიას, და შეიმუსრა იუდა, შეიმუსრა სახლი ღვთისა, შეიმუსრა სიონი... ახლა ბრძანებთ, ასურ და ქალდუ მოგვდგომია კარს მიტომ, რომ ღმერთი მრისხანებს ჩვენზე შეცოდებათა ჩვენთვისო... უკეთუ დავნებდით ჩვენით, როგორცა ბრძანა იერემიამ და ღვთის ბრძანებაც ასეთი ყოფილა, მაშინ ცხადია, ღმერთი აღარ მიუშვებს მტერს, რომ მივეცეთ სასჯელს და მოგვეტევება შეცოდებანი ჩვენნი: ქალაქნი ქალაქად, დაბანი — დაბებად, იუდა — იუდად, ქვეყანა — ქვეყნებად დარჩებიან... გვეყო ამდენი ტყვევნა, მუსრვა, ოხრება ეგოვასათვის... ვაღიაროთ ნაბუქადონოსორ ღმერთად, ვცეთ თაყვანი ხატსა მისსა, რადგან უძლიერესს ყოველთა ღმერთთა იგინი აღმოჩნდნენ და მათგან იძლივნენ ყოველნი ღმერთნი... ჩვენ გვინდა ღმერთი ხილული, და არა უხილავი, ღმერთი, რომელიც ყოველსა პირისპირ ესაუბრება, პირისპირ უსმენს და აძლევს სამართალსა...

მრავალი ხმა ერიდან. გვეყო, გვეყო ამდენი წამება და სატანჯველი. ნაბუქადონოსორ არის ნამდვილი ღმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი, უძლიერეს ყოველთა ღმერთთა... ბაალ და ასტარტა არიან ღმერთნი მომშენებელნი ქვეყნისა, მომცემნი სიტკბოთა და ნეტარებათა.

შესაძე ხმა ერიდან. მრავალთა იუდიანთა აღიარეს ბამილონს ღმერთნი ბაბილონისანი და მრავლობენ ბედნიერს ცხოვრებაში,—მათ უჭირავთ უპირველესი სიმდიდრე ბაბილონისა: მედინაობა, მეფსალმუნობა, მემუსიკობა, ვენახნი და სახნავნი, სასახლენი და ტაძარნი... რატომ ჩვენ, მცირე შეცოდებისათვის უნდა დავისაჯნეთ, მოისპოს თესლიცა ჩვენი საბაოთ ღმერთისაგან, ჩვენ, რომელთაც ვმსახურეთ მას, აღვაგეთ და განვაახლეთ ტაძარი და სახლი ღვთისა, და არა ისინი, ვინც გასცა ღმერთი თვისი უხილავი, ღმერთი ეგოვა, ჰგმო იგი საუკუნოთ, შეუდგა სხვა ღმერთთა მსახურებასა, და პირიქით, ეძლევათ მათ ყოველი ბედნიერება?!..

ელიაკიმ. და აღსრულდეს უსჯულოებისა და ურწმუნოებისა თქვენისთვის სიტყვანი უდიდესის წინასწარმეტყველისა იერემიასი, რომელთაც იტყოდა იგი, როდესაც თქვენ გარბოდით ეგვიპტეს და ანებებდით სახლსა უფლისასა თავს. „არა დასცხერით თქვენ, არცა შეიშინეთ, არცა ემორჩილენით სჯულთა ჩემთა, არცა მიჰყევით მცნებათა და დარდგინებათა ჩემთა... ამისათვის, ბრძანებს უფალი ძალთა, ღმერთი ისრაილისა: აჰა, მე შევაქცევ პირსა ჩემსა მრისხანედ იუდასა, რათა იგი აღვგავო პირისაგან ქვეყნისა უსჯულოებისა მისისათვის! და შესრულდეს წინასწარმეტყველება მიქაი მოსანელისა, რომელი ეტყოდა მთელსა ერსა იუდისასა: „ისე ბრძანებს უფალი ძალთა: „სიონი იქმნეს გადახნულ, ვითარცა მიწა საყანე, და იქცეს იერუსალიმ ნატამალ ნანგრევთა თვისთა, და მთა იგი სიონისა იყვეს, ვითარცა ტყე მაღნარისა!“ ისრაილ! ვინ გიხსნა შენ ეგვიპტელთა ტყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობისაგან?! ისრაილ! ვინ გააპო ზღვა მეწამული, გამოგიყვანა ქვეყანასა ალთქმისასა და შთანთქა ღურღუმსა ზღვისასა უმრავლესნი მხედრობანი ფარაონისანი, მდევნელნი შენნი?!.. ისრაილ! ვინ მოგცა შენ სჯულის წიგნი მთასა მაღალსა სინასასა, დაგაყენა თავსა ყოვლისა ქვეყნისა და აღგირჩია ერად თვისად?! ისრაილ! ისრაილ!... მრავალ წილ გასწავათ საბაოთ ღმერთმა სასწაულითა დიდითა უსჯულოებანი თქვენნი და არა ისმინეთ თქვენ!.. კვალად გადასდგომიხართ ღმერთსა ისრაილისასა და გინდათ აღიაროთ ღმერთად კაცი, ხორც-მოსილი, კერპი, უბრალო შეჭედილი, კაცთა ხელითა შექმნილი და გადასდგომიხართ ღმერთსა ხელთ-უქმნელსა, ღმერთსა უხილავსა, ღმერთსა, რომელმაც შვიდს დღეს შეჰქმნა მთელი ცა და ქვეყანა და მისცა სჯული ისრაილსა!..

მრავალი ხმა ერიდან. სასწაული, სასწაული!.. გვიჩვენეთ სასწაული: მხოლოდ სასწაულს შეუძლიან აღდგენა სარწმუნოებისა, განწირვა თავისა ეროვასათვის... ხატი ბაბილოვნისა ესაუბრება პირის-პირ მთელს ერსა, აძლევს წყალობას, უჩვენებს სასწაულს... ჩვენც გვინდა გვესაუბროს პირისპირ ღმერთი ჩვენი, ღმერთი ისრაილისა, გვიჩვენოს სასწაული. (ხალხში მატულობს ხმაურობა და ყრიამული) სასწაული, სასწაული! გვიჩვენეთ ნიშნები ზეციდან... გვიხსენით სასწაულითა!

ელიაკიმ (მრისხანედ). სასწაული არ არის ბრმათათვის; სასწაული არ არის ურწმუნოთათვის!.. იმათთვის არის სასწაული მხოლოდ სახითა სასჯელისათა... ცოდვათა და უსჯულოებათა თქვენისათვის ყოველ დღე ჰხედავთ სასწაულს ამგვარსა, და დღეს მოგელისთ სასწაული ისეთი, რომლისა მსგავსიც ჯერ არ განუცდია იუდას, სასწაული... დიდით პატარამდე, დედა-კაცით მამა-კაცამდე და ყოველისა თესლისა ისრაილისასა აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვა უკუნისამდე პირისაგან ქვეყნისა: ოლოომფრეს მახვილი შემართულია თავსა მთელის ისრაილისასა.

ხმები ხალხიდან. თქვენმა მუქარამ, თქვენმა ქადაგებამ, თქვენმა ნიადაგ ჩვენის ერისა შიშში ჩაგდებამ მოუღო ბოლო იუდასა... ჩვენა გვრწამს ნაბუქადონოსორ და ვალიარებთ მას ღმერთად... ჩვენ ის დაგვიფარავს ყოველი განსაცდელისაგან.

ერთი მხედართმთავართაგანი. თქვენზე არც მუქარა, არც ტკბილი სიტყვა არა სჭრის. თქვენზე სჭრის ძალა და მახვილი... თქვენი უსჯულოებისათვის ღმერთი აყენებს სასჯელს მართალთაც.

მრავალი ხმა ერიდან. ჩვენა გვწამს ნაბუქადონოსორ და ვემორჩილებით ასურს... ვემორჩილებით ძალას... თქვენ არა გაქვთ ძალა. ნაბუქადონოსორ არის უძლეველი.

ხალხი. (მღელვარებს და ჰყვირის.) ვემორჩილებით ასურს, ვემორჩილებით ოლოომფრეს, ვემორჩილებით ქალდეველთ... არ გვინდა ბრძოლა... გვეყო ამდენი მუსრვა, ამდენი ტყვევნა, ამდენი ბილწვა, ამდენი ტანჯვა!.. მოვიდეს ქალდუ, მოვიდეს ნაბუქოდონოსორ!.. (ამ დროს გამოჩნდება ივდით. ის არის მიფარებული სოლოომონის ტაძრის ცალს მხარეზე).

ივდით. (კარგა ხანს სდგას დაფიქრებული.) ერს გასტეხია გული, უარს არის დაიცვას თავი... მარტო ბეთილს არ შეუძლიან გაუმაგრდეს ოლოომფრეს... დაეცა იუდა, მოისპო თესლი ისრაილისა, წასწყდა სჯული მოსესი, სჯული, რომლისაგანაც უნდა განახლდეს ყოველი სჯული, უნდა დადგეს ყოველი სჯულის თავს, კაცთა ზნეობას უნდა მიეცეს ნამდვილი ღვთიური სახე და მადლი... არა! ეს შეუძლებელია! არა სჩანს ნიშნები ჩვენი წახდენისა... უნდა წარწყმდეს მტერი ისრაილისა... ყოველი დიდი უბედურების წინ, თითქო ჰგრძნობდეს გული ერისა თვის მომავალს, სჩნდებიან წინასწარმეტყველნი ისრაილს და უწინას-

ეროვნული ბიბლიოთეკ

წარებენ მას მომავალს უბედურებას... დღეს არ არის წინასწარწმეტყველი ისრაელს... დღეს წინასწარმეტ-ყველნი მათნი მრავლობენ ბაბილონს... და ვაი ქვეყანასა მას!.. უნდა მხოლოდ გაულვიძოს ჩვენს ერს გული შეშინებული, აღუძრას სისხლი მათი, გამშრალი მრავლისა უბედურებისა და წამებისაგან... (მიდის ხალხისაკენ).

(ივდით გამოჩნდება შორიდან, ხალხი მიაპყრობს იქით თვალს).

ხმები ხალხიდან. ივდით! ივდით! მოდის ივდით! მოდის დედაკაცი მართალი, მართალი მანასეს ქვრივი... აქ მოსულა სალოცავად და გაავსო წყალობით გაჭირვებულნი: სნეულთა მოუტანა კურნება, დავრდომილთა სიხარული, გლახათა საზრდო, სახლსა უფლის ასა შესაწირავი მრავალი... სადაც მიდის, მიაქვს თან სიხარული და ნეტარება. ვნახოთ რა ნუგეში მოაქვს ჩვენთვის ამ ჩვენს საშინელს განსაცდელში.

ივდითი. (შემოდის ძაძამოსილი, სადათ ჩაცმული.).

ხალხი. მოციქულსა ღვთისასა, სისპეეტაკესა ისრაილისასა, მანასეს, ქვრივს ივდითს გაუმარჯოს!

ივდითი. რჩეულსა ერსა საბაოთ ღმერთისას, მიანიჭოს ძალთა ღმერთმან წყალობა და ნუგეში თვისი! ერო ღმრთისა ისრაილისა! ბეთილი, რომლისაცა ასული და მხევალი ვარ მე, გიწვევთ საბრძოლველად შემმუსრველისა ჩვენისა შუამდინარის ერთაზედა, რომელნი მოსდგომიან ისრაილს, რათა მოსპონ იგი და აღგავონ სახსენებელი მისი პირისაგან ქვეყნისა... ვითა სალი კლდე, ერი ბეთილისა დასდგომია გზაში ნაბუქადონოსორის მხედრობათა და მკერდითა თვისითა იცავს იუდას, მთელსა ერსა ისრაილისასა. ნუ თუ ერი იერუსალიმისა, რომელიც ყოველ დღე ჰხედავს და მსახურებს სახლსა ღმრთისა ჩვენისასა, ერი, რომელსა უჭირავს უკეთესი ქალაქი და სიმდიდრე ისრაილისა, აბარია სახლი უფლისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯულის კიდობანი, რომელი მოგვეცა ჩვენა ძალთა ღმერთისაგან, უნდა მონიშნე მტერივით იდგეს გულ-ხელ-დაკრებილი და შესცქეროდეს, როგორა სწყდება ერთი მუჭა ერი ბეთილისა მთელი იუდასი, მთელი ისრაილის დასაცავად!! იერუსალიმ! რამ დასთრგუნა, რამ დასცა გული და ძლიერება მკლავისა შენისა?! რათ არ მიჰხედავ შენთვის და შენი ღვთაებისათვის მებრძოლს ბეთილს?! რად არ იხსნი თავს მუსრვისა, ბილწვისა და ტყვევნისაგან??

ხმა ერიდან. პირველმა ჩვენმა წინასწარმეტყველმა იერემიამ გადმოგვცა ბრძანება საბაოთ ღმერთისა, რომ დავემორჩილნეთ ნაბუქადონოსორს. ის არისო რჩეული ღვთისა, იმას მისცაო ღმერთმა უფლება ყოველთა ერთა და ნათესავთა ზედანო. ჩვენ არ ვუსმინეთ წმიდასა ღმერთთან მოსაუბრესა, ვებრძოლეთ ნაბუქადონოსორს: გვიწყინა ეს ღმერთმა და შეჰმუსრა იუდა ბაბილოვნელთა ხელითა. მაშინ შევცოდეთ ღმერთს და ახლა გადადგომა ღვთის ბრძანებისა დაგვმართებს უარესს... ჩვენ ვემორჩილებით ნაბუქადონოსორს, რომელმანც ნამდვილ ღმერთად უჩინა თავი ქვეყანას. ვემსახურებით ბაალს, მოლოხს, ასტარტას, რადგან ისინი აძლევენ ჩვენთა მტერთა იმოდენა ძალას, რომ იგინი ნიადაგ გვძლევენ ჩვენ და ჰმუსრავენ ჩვენს ქვეყანას. ბაალ და ასტარტა არიან ღმერთნი ამებისა და სიტკბოებისა... ვიყვნეთ ცოცხალნი, ნუ მოვისპობით ჩვენი ცოლშვილით, და სულ ერთი არ არის, ვისაც უნდა ვმსახურებდეთ: ნაბუქადონოსორს, თუ იექონიას? ოლოფერნეს, თუ ელიაკიმს? თუ შეგიძლიანთ, გვიხსენით სასწაულით... ჩვენ არ შეგვიძლიან გაძღოლა ქვეშათა უმრავლესის ოლოფერნეს მხედრობისა... მოვიდეს ასურ და ვემსახუროთ მას.

ბაგდათ. ო! ისრაილ! ისრაილ! ო! ძენო იერუსალიმისანო! დაგვიწყებიათ, რა არის მონობა! რა არის სხვის თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და ხელთ შეცქერა, სხვის კარეთად ყოფნა, სხვის ბრძანებით ცხოვრება!.. იგი არ არის ერი, არ არის კაცი, რომელიც წაჰხრის ქედს სხვის მონობისა და ტყვეობის ულელ ქვეშ.., ის არის პირუტყვი, რადგან არა ჰგრძნობს დამცრობას, არ აქვს გრძნობა იცნოს თავის გაუპატიურება. დაგავიწყდათ დღენი ტყვეობისა თქვენისა და უცხო კარეთად ყოფნა??. რა არის ბაბილონი?!—ქალაქი, რომლისა მსგავსი არ აგებულა ჯერ კაცთა ხელითა, რაცა დაარსებულა ცა და ქვეყანა. ვისი ხელით, ვისი ზურგით, ვისი ქონებით აშენდნენ ზღუდენი, გოდოლნი და სამცვიფრო შენობანი ბაბილონისა, რომელთაც ცათამდის აღუმართნიათ თავნი და დაუჭერიათ ადგილნი ორთა უპირველესთა მდინარეთა კიდემდის?!. როგორ და ვისით აღეგნენ წალკოტნი, მტილნი და ვენახი განგებ გაკეთებულს მთებსა და სერობებზედ ნაბუქადონოსორ მეფის ცოლის, მიდთა მეფის ასულის შესაქცევრად?! ვისი ზურგით, ვისი ხელით, ვისი ქონებით აღეგნენ სასახლენი მეფისანი, გაჭიმულნი რამდენსამე ფერსანგზე, სამცვიფრებანი სოფლისანი?! ვისით აღეგნენ და გაკეთდნენ დაბანი და ქალაქნი, ზღვათა შესადარებელნი ტბანი, ნავთა სავალი რუვები, რუვი გარმაიკა, რომელი ათასს ფერსანგზე აერთებს ტიღრსა და ევფრატს, უდიდებულესთა მდინარეთა?! გასწორდნენ მთანი, სადაც არ იყო საჭიროება, აეგნენ სადაც თხოულობდა საჭიროება?! ვისით აღეგნენ ტაძარნი საოცრებანი ბაალ-მოლოხისა, რომელთა მსგავსთა ველარ შეჰქნის ხელი და გონება კაცისა?!.. და სხვა-და-სხვა-და-სხვა?!... ესე ყოველი შეუდარებელი დიდება, რომელსაც ეხწია ქვეყანა ქალდეველთა, აშენდა ზურგითა, ხელითა, ქონებითა ჩვენითა და ჩვენთა გვართა ტყვევნილთა ერთა და ქვეყანათა სახრის ქვეშ, ბორკილებში, ულელქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშიერი კუჭით, შიშველი ტანით, დახეთქილი და
დასერილი ფეხებით ჩვენ?!.. (ივდით შესდგება და შუბლ
ქვეშ გასცქერის ერს).

ერი. ბრძანე! ბრძანე! ახალო დეკორავ!.. შენი პირით ღმერთი
გვესაუბრება ჩვენ!..

ივდით. ვისა ჰკლავენ სამსხვერპლოზე ბაალ-მოლოხის კარს შესა-
წირავად? ჩვენთა ყრმათა და ჩვილთა, ჩვენთა ასულ-
თა. ვინ გაჰხადეს საჭურისებად თვისთა ცოლთა და
ხარჭათა მცავად და მზვერავად?! ჩვენი ძმანი, ჩვენი
შვილნი, ჩვენი ერი. ვინ არიან ხარჭანი, ძალათ მე-
ძავობაში ჩაყრილნი, ბაბილონის მეძავი ხალხის
ხელთ?!. ჩვენი დანი, ჩვენი ასულნი, ქალწულნი
სიონისანი!.. მიდით ასტარასი და ბაალის კართა
და ჰნახეთ, ის აყიდვინებენ ნამუსსა თვისსა შესა-
ბილწთ ამ ღვთაებათა?! ვინ არიან ქედომიშნი და
ქედოშომნი? ამა ტაძრისანი?! ასულნი და ძე-
ნი ისრაილისანი, მშვენება და სიქადული ჩვენი
ერისა!.. მიდით და ჰნახეთ, ვინ არიან მშვენიერი ტა-
ნისა და სახის ქალნი და ყრმანი, რომელნიცა დაჰ-
ყავთ ქუჩა-ქუჩა დედისშობილანი, ამღერებენ და აცეკ-
ვებენ სასტვენელსა და სამვიკებზე, გაართობენ და
შეაქცევენ გაყრყვნილებასა ბაბილონის ერისასა?—
არიან ასულნი, დანი, ძენი და ძმანი ჩვენი ერისა,
მშვენება, სიცხოველე ისრაილისა. ჰნახეთ სამეძავო
სახლნი, ოქროთი და სარკეებით გებულნი, ჰნახეთ
გასართობი შესაქცევარი სამყოფნი: ვისი ასულნი და
ძენი ასობით და ათასობით, მთლად ტიტველნი და
მოკალულნი ათასი ფერადებით, იქმანენ შუშპარსა სა-
მარცხვინოსა მოუძლურებულთა და უდროვოდ ცუნდ-
რუკთა ჩაძქრალი სისხლის ასაღელვებლად, გაყრყვ-
ნილი ბაბილონის ერის დასატკბობელად?—ასულ-
ნი და ძენი, მშვენება და მარილი ჩვენი ქვეყნისა!..
გადით და ჰნახეთ სავაჭრო ადგილნი ბაბილონისა და

ეროვნული ბიბლიოთეკ

მეზობელთა ქვეყნების ქალაქთა: ვისი ასულნი და ძენი გამოუყვანიათ გაძრცვილი ტანით პირუტყვთა-ებრ გასასყიდავად, მოშორებულნი მშობელთა, შვილთა, ქმართა, ცოლთა, ნათესავთა, მეზობელთა, ნაცნობთა, და ჰგზავნიან სამარცხვინო ტყვეობაში უცხოს, უცნობს ქვეყანაში, სადაც ამბითაც კი აღარავისაგან გაიგონებენ თვისთა მახლობელთა გულის სატრფოთა ამბავთა და ხდებიან უნებურნი მონანი უცხო თესლთა გაყრვნილებისა, ანგარებისა, შეუბრალებლობისა... რამდენი ჩვენი ძე და ასული სწყევლის თავის გაჩენის დღეს და შეჰნატრის სიკვდილს, შეჰნატრის მკვდართ, რამდენი აძლევს თავს მდინარეთა, ულებს თავის სიცოცხლეს ბოლოს, რომ მორჩეს ტანჯვას, ნამუსის წამებას, უდიერობას, მტარვალობას, წამებით სიცოცხლეს!?. განა შინ თავის ქვეყანაში, თავის ერში, თავის ნათესავში ელის რომელსამე ერს და მეტადრე ისრაილს ამგვარი სირცხვილი, ამგვარი დამცირება, ამგვარი უსამართლობა?!.

ერა. (სმენად გადაქცეული) ბრძანე! ბრძანე! ღვთის პირით მოუბარო... ბრძანე, ჩვენო გულთა მხილავო!... წინასწარმეტყველთა უმაღლესო!...

იუდით (უფრო ძალა მიცემული) არა სატანჯველი, არა ნაკლებულება, არა სიმშილი არცა თვით სიკვდილი,— არა! ესენი აწუხებენ კაცს, მაგრამ არ ამცირებენ ღირსებასა მისსა, არ ამძიმებენ სინიდისსა კაცისასა. მაგრამ, როდესაც შენ პირუტყვთა უფრო უკადრისად გეპყრობიან და არა გხადიან კაცად, სახედ ღვთისად, როდესაც შენთა თვალთა წინ აუპატიურებენ და ჰბილწავენ შენს ცოლს, შენს შვილს, შენს დედას, უმანკოთა ქალწულთა და ყრმათა შენი ერისას, ჰბღალიან მას, რაიც შეარდგენს სიწმინდესა სულისა და სინიდისას,—აი რა არის საზარელ და მოუნელებელ კაცისათვის და რა მოაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვეობას, სხვის ბატონობას, სხვის ხელთა შთავარდნას... ისრაილ! გინდა მიეცით ნებითა თავი თქვენი მტერსა თქვენსა,—ნუ თუ აგცდებათ ესე ყოველი?! რად უნდათ შენი დაპყრობა, შენი ბატონობა, თუ არ თავისი წყურვილისა და სურვილის მოსაკლავად, შენი მიწა-წყლის დასაპატრონებლად, შენი ჯანისა და გონის დასამონებლად, თუ არ შენს გასაუპატიურებლად, შენი მოუძლურებით თავისა თვისისა გასაძლიერებლად?!. ო! იერუსალიმ! ო! სიონო! ქვეყანა გაოცებით უცქერის ერსა თქვენსა და ველარ უცვნია იგი! მას დავიწყებია ყოველი განსაცდელი სხვის ბატონობისა და გაუწირავს თავი თვისი, თავისი ცოლი, უმანკო შვილნი კრავად შესაწირავად, შესაბილწავად, შესარცხვენად, შესაგინებლად, გასარყვნელად, რომ ამითი დაიცას უძლური და სამარცხვინო სიცოცხლე თავისი!.. სიცოცხლე!.. სიცოცხლე!.. სიცოცხლე ნამუს ახდილი! სიცოცხლე შებილწული! სიცოცხლე პირუტყვთა უმდარესი!!. წადით! წადით! შესწირეთ თავი თქვენი ბაალს და ასტარტას, გარყვნილებათა ღმერთთ, შესწირეთ შვილნი თქვენნი დასაკლავად, შესწირეთ თავი თქვენი და დასატკბობად სოდომ-გომორის ცოდვით და ნუ დაინდობთ თვით ანგელოსთა ცისათა სიბილწისა თქვენისათვის!! წადით და შთანთქით გარყვნილების მორევში თქვენი თავი, თქვენი ცოლი, თქვენი შვილი, ვიდრემ ბაბილონი არ შთაინთქმის სოდომ-გომორივით ცეცხლის ალში და ჩაგიტანთ თქვენ თქვენი სამარცხვინო სიცოცხლით თან!!. წადით! წადით! არა ყოფილხართ ღირსნი კაცურის ცხოვრებისა, ღვთის საზიერებისა!.. წადით მონად, ტყვედ, უყურეთ თქვენი თვალით ბილწვასა თქვენთა ქალწულთა და ყრმათა, წაწყმედასა შვილთა და მშობელთა თქვენთა!! ბეთილ მოკვდება გმირულად მტერთან ბრძოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არ გასცვლის პატიოსნურს სიკვდილს სამარცხვინო სიცოცხლეში!!.

ერი. (უცებ დაიგრიალებს) ივდითს გაუმარჯოს!.. ივდითს, დიდებასა ისრაილისასა!!...

ივდით. გაუმარჯოს ერსა ათი მცნების მიმღებსა, ერსა მოსეს წმინდა სჯულისას!.. ისრაილნო! მოსულა აღსასრული ბაბილონისა... ხელითა თქვენითა შეიმუსრება დღეს უძლიერესი მხედარი და მხედრობა ნაბუქადონოსორისა!!. ისმინეთ ახალი წინასწარმეტყველება ახალი ესაიასი, რომელი სცხოვრობს ბაბილონს ტყვეობაში. აი რას უქადის ამ წინასწარმეტყველის პირით საბაოთ ღმერთი ბაბილონს. (გამოიღებს ქლამიდოს ქვეშიდან თხელს თიხის ფილაქანს და ჰკითხულობს) „აღმართეთ დროშანი ღია მთათა ზედა, აღამაღლეთ ხმანი!.. მივეც ბრძანება რჩეულთა ჩემთა და მოვიხმე გმირნი აღმასრულებლად რისხვისა ჩემისა... და ბაბილონი, მშვენება სამეფოთა, სიქადული ქალდეველთა დაემხობა ხელითა უფლისათა, ვითარცა სოდომი და გომორი, და აღარ გაშენდება იგი არასოდეს და არ შევიდეს მუნ მცხოვრებნი უკუნითი უკუნისამდე... მხოლოდ დაემკვიდრებიან მუნ მხეცნი და გაივსებიან კაცთა სადგურნი ბუკიოტებით, დაისადგურებენ მუნ სირნი და იწყობენ როკვასა ეშმაკეულნი. ახლო არს ჟამი აღსასრულისა მისისა, რამეთუ შეიწყალებს უფალი იაკობსა და კვალად შეიყვარებს ისრაელსა და დაამკვიდრებს მას კვალად სამკვიდრებელსა თვისსა და დააბრუნებს მას ქვეყანასა თვისსა... და ღაღად ჰყოფ ძლევისა საგალობელსა ბაბილონისა მეფესა ზედა და იტყვი: აღიფხვრა მწამებელი ჩვენი, მოისპო ძარცვა ქვეყნისა... და განიხარებენ კიპაროსნი და ნაძვნი ლიბანისანი, და იტყვიან: რაცა განისვენე შენ, აღარ მოდის მკაფელი და ამჩეხელი შენი. შთავარდა დიდება შენი უფრსკულსა ჯოჯოხეთისასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრიანცელითა დიდითა, საგებად გეფინება მატლი და მატლივე გახდება სახურავი შენი... აღესდგები მაზე, ბრძანებს საბაოთ ღმერთი, და მოვსპობ სახელსა ბაბილონისასა, ყოველსა მცხოვრებსა მისსა, შვილსა და შვილის შვილსა მისსა. და გავხდი მას ჭაობად, სადგურად ძღარბთა და ექიდნალთა და აღვგვი მას საგველითა შესამუსრავითა. და ჰფიცავს უფალი ღმერთი: რაცა ვბრძანე, აღსრულდება იგი, რამეთუ შეიმუსრება ასური ქვეყანასა ჩემსა და განადგურდება იგი მთათა ზედა ჩემთა, და მოეხსნება ქვეყანასა ჩემსა უღელი მისი, და აეხდება ზურგთაგან ტვირთი მისი!" აი ბრძანება უფლისა ჩვენისა! იგი გვიბრძანებს შემუსრვასა ბაბილონისასა, იგი აღგვითქვამს ძლევას ნაბუქადონოსორზე, იგი თვით მიგვიძღვის წინ, იგი გვეფიცება ხელითა ჩვენითა მოსპოლვას მტყვევნელისა და შემმუსრველისა ჩვენისას... იუდიანნო! ბეთილს! ბეთილს! გიწვევთ მე ბრძანებითა ღვთისათა!.. ბეთილს! იქ უნდა შეიმუსროს მტერი, იქ უნდა იხსნას ქვეყანა ბაბილოვნელთა უღლისაგან, აღსრულდეს წინასწარმეტყველება იგი და ბრძანება უფლისა ჩვენისა!!.

ერი. (ერთხმივ) ივდითს გაუმარჯოს!.. სიცოცხლე ანუ სახელოვანი სიკვდილი!.. დიდო მღვდელო, ელიაკიმ, უბრძანე დაჰკრან დაფდაფსა და საყვირსა!.. ბეთილს! ბეთილს! ვისაც კი ერჯის მკლავი და შერჩენია გულში პატიები ცოცხალი ადამიანისა...

ელიაკიმ. დაჰკარით სამხედრო და სამლოთო დაფდაფსა და საყვირსა, დაუკარით ბობღანნი, სასტვინალნი და სამვიკნი, შესძახეთ იერუსალიმს... გამოასვენეთ სჯულის კარავი: დავძრათ იგი უძრავი, რათა ვიხსნათ იგიცა და ერიცა მისა... დღესვე, დღესვე ბეთილს! იქ არის კარი იერუსალიმისა... იერუსალიმს, ერსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმრთისასა, მცველსა სჯულის კიდობნისასა, აღმგებელსა სიონისასა გაუმარჯოს!..

ერი. ივდითს გაუმარჯოს!.. ბეთილს გაუმარჯოს!.. ოზიას, ხაბრის და ხამრის, ბეთილის გმირთა დამცველთა გაუმარჯოს!!. დღესვე, დღესვე ბეთილს!.. მეშურდულენო, მეისრენო, მახვილოსანნო! აღმართეთ ყოველნი სამხედრო საჭურველნი თქვენნი... დღესვე ბეთილს! ბეთილს!!.

(ლევიტელთ გამოაქვთ სჯულის კარავი).

ელიაკიმ. მოსაკრავენო! დაუკარით სამღრთო შესამკობელი ხმანი... ქალწულნო სიონისანო, მეფსალმუნენო და ლევიტნო, იწყეთ საგალობელნი დავითისა.

ივდით. (დაავლებს დროშას ხელს) მუსრი ასურს! მუსრი ბაბილონს!.. მე აღგითქვამთ ძლევას... გაუმარჯოს ისრაილს!! (მიუძღვის ერს წინ).

იწყობა მუსიკათა ხმა და გალობა: „განმარინე მე უფალო მესისხარნი ჩემნი, რამეთუ იგინი ეძიებენ სულსა ჩემსა. აშლილან ძლიერნი იგინი ჩემზედა არა ცოდვათა და დანაშაულთა ჩემთათვის, არამედ სიმართლისა ჩემისათვის... ნუ შეიწყალებ ნუცა ერთსა წინააღმდეგსა და მდევნელსა ჩემსა... ხოლო ძალა ჩემი ხარ შენ, უფალო ღმერთო ჩემო... დაეცრისხვა შენი მათ, შერისხე იგინი, რათა აღარ იყვნენ, და აცნობე მათ, რომ უფალი უფლობს იაკობსა ზედა კიდითი კიდემდის!“

(ხალხი ჰგალობს ლევიტთა და მგალობლებთან ერთად, ისვრის მაღლა ქუდებს და გააქვს ყიჟინი: მუსრი ასურს!.. გაუმარჯოს ივდითს!.. გაუმარჯოს ბეთილს!..

ივდით. გაუმარჯოს ისრაელს!.. (გააქვს ფრიალით დროშა და ერი გასდევს თან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მესამე

(ციხე ბეთილისა, შემართული კლდის ბორცვზე. ციხის გალავანსა და კოშკებზე სდგას ქალაქის შუა ფართო მოედანი. მოედანი სავსეა ერით. დედაკაცი, მამაკაცი, ერი და მღვდელი, ყრმა და მოხუცი არიან ერთმანერთში არეულნი. ისმის საშინელი ჟრიამული. ბავშვები სტირიან, განწირულებით თხოულობენ წყალსა და საჭმელს):

რამდენიმე ერადან. (რეკამენ ციხის კარს) გამოდით, ოზიავ, ხაბრი და ხარმი! გამოდით, გვიპატრონეთ, წყდება უწყლობით ქვეყანა! უსუსურთა ბავშვთა ამოსდით ტანჯვითა და წამებითა სული უწყლობისა, სიმშილისაგან.

სხვა ხმები. გამოვწოვეთ ყოველი სისხლი ძროხათა და ფურთა ჩვენთა, ცხენთა და კარაულთა ჩვენთა და თვით ფრინველთა შინაურთა. მივიდა იქამდის საქმე, რომ ვიწყებთ კაცის სისხლის წოვნასა, რათა მოვიკლათ წყურვილი, გავისველოთ გამშრალი და ამომხმარი ყელი, ვგმობთ ღმერთსა, რომელმან აღგვიკრძალა სისხლის ხმარება. (გამოდის ოზია).

ოზია. ო, გმირო ერო ბეთილისა! საფარო და საჭურველო ისრაილისა! ნუ თუ დაგვიწყებიათ, რომ იბრძვით ეგოვასათვის, საბაოთ ღმერთისათვის, სჯულის კიდობნისათვის, სიონისათვის?! ნუ თუ შეჰპარვია თქვენს გულს იჭვი, რომ ბაალ და მოლოხ სძლევენ ღმერთსა ისრაილისასა, ძალათა ღმერთს?!. მოთმინება, მოთმინება მცირეცა და აგერ მოსულან ელიაკიმ მღვდელმთავარი, უფალი იუდასი და მასთან ერთად მხედრობანი სამარიტელთა და სხვა მეზობელთა ნათესავთა ჩვენთა ერთა, მოსდგომიან ასურს და ჩვენთან ერთად ებრძვიან მას... ცოტაცა და აგერ იძლევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლოომფრე, და წყალიცა და საცხოვარიცა, იფლქლიცა და ყოველი საზრდოცა დაგვრჩებიან ჩვენ; მთაცა და ბარიცა, ვენახნიცა და სახნავიცა გაიწმინდებიან მტერთაგან და უფალი ღმერთი ისრაილისა მოჰხედავს და უპატრონებს ერსა თვისსა... აგერ გაჰხედეთ ციხის კედლებიდან, რა გმირულად იბრძვის ჩვენი მხედრობა ზედ წყლის პირას, რომ გამოჰგლიჯოს იგი ხელიდან ოლოომფრეს მხედრობას და მოაშველოს ბეთილს... (რამდენიმე ერისაგანნი ადიან ციხეზე და გასცქერიან).

ამათში რამდენიმე ხმა. ო! ბრძოლა! სისხლის ღვრა!.. ისარნი ღრუბელივით ჰფარავენ მზესა. შურდულის ქვა ირევა ჰაერში შემოსეული კალიასავით... ათს... ოცს... ორმოცს ადგილას მოსდგომიან ერთმანერთს იმათი და ჩვენი მხედრობანი და ალარ ირჩევა, ვინ არის ჩვენი და ვინ არის იმათი... აგერ ალაგ-ალაგ ალარა სჩანს-რა ათასთა და ათი ათასთა მებრძოლში გარდა შემართული მახვილისა, რომელთაც გააქვთ მზეზე თვალის მომჭრელი პრიალი.

სხვა ხმები. აგერ, აგერ ელიაკიმ დიდი მღვდელი, გმირნი ხაბრი და ხამრი! აგერ მთავარი სამარიტელთა! თვით გაუძღვნენ მხედრობათა, აგერ მიატეხეს აბჯარი, ცხენი და რახტი მტერთა... აგერ შეიძრა ქალდუ, დაიძრა ასურ!.. აგერ მირეკეს ზედ წყალზე!.. აგერ! აგერ გამარჯვება რჩება ისრაილს!..

(ციხის მეორე მხარეს შეიქნება მხედრობის ყრიამული, ქუდებისა და საჭურველთა ქნევა, შეიქნება ყიჟინა: იძლია ასურ!! გაუმარჯოს ისრაელს!.. დიდება ჩვენს ეგოვას!!.)

ლევიტნი. (შესძახიან) ოსანა მაღალთა შინა! ღმერთი უფალი გამოგვიჩნდა ჩვენ!.. იძლია ბაალ, ღმერთი ქალდელთა, ღმერთი ასურთა, ღმერთი შუამდინარის ერთა!..

(ხალხში შეიქნება სიხარულის ყრიამული და ყვირილი: ისრაილ! ისრაილ!.. საბაოთ ღმერთო გაიღვიძე! მოჰხედე ერსა შენსა, მოჰხედე იუდას, მოჰხედე ისრაილს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ხარ ღმერთი ყოველთა ღმერთთა და არა არს ღმერთი მძლეველი შენი...

(უცებ ციხეზე მდგომი ხალხისა და ჯარების ხელიდან დაეშვებიან შემართულნი ქუდნი და საჭურველნი. ყველა გაჩუმდება. ჩამოვარდება მდუმარება. გასცქერიან ერთს მხარეს გაშტერებითა და უცებ ერთბაშად ყველას აღმოხდებათ გულიდან კვნესის მსგავსი ამოძახილი):

ვაჰი!!. ვაჰი!!. ვაჰ! ვაჰ!.. ვაი!.. ვაი-ვაი!.. ვააიიი!!. ოლოომფრე!!. ახალი მხედრობა!.. სპილოები!!. უთვალავი სამხედრო ეტლები... უთვალავი ცხენოსნები!..

(მოედნის ხალხში ჩამოვარდება შემკრთალი სიჩუმე და გასცქერიან დაცეცებულნი "შეშინებული სახით ციხეზე მდგომთ. ისმის ხმები): ამბავი?!. ამბავი?!. (ციხეზე მატულობს ჟრიამული. ისმის განწირულების ხმები:) დაინოქა იუდა! წაწყდა ისრაილი!..

ხამრი. (ამოვარდება გარედან ციხეზე). ყველანი! ყველანი ციხის მცავნი წამოდით მტერზე საბრძოლველად!.. შეუკარით ციხის გზანი... მალე! ნუ გეშინიანთ!.. უფალი, საბაოთ ღმერთი არ მისცემს თავის ერს ბილწსა ბაალსა და ბოროტსა ნაბუქადონოსორ შესამუსრავად... ჩვენ გვიძღვის სჯულის კიდობანი, გვიძღვის ელიაკიმ მღვდელმთავარი!.. გაუმარჯოს ისრაილს!.. დიდება უძლეველსა ეგოვას!!. (გადადის ციხიდან).

მეციხოვნენი. მუსრი ასურს! მუსრი ქალდაველთა!!. (მეტი წილი მეციხოვნეთა გასდევენ ხაბრის თანა).

ოზია. (ავარდები ციხეზე და გასცქერის მებრძოლთ). მარცხნივ! მარცხნივ დაეცით ოლოომფრეს!.. იქით არა აქვთ სიმაგრე მტერთა: მათ არ იფარავს არც ხევი, არც ბორცვი, არც ღადო... იქ მცირეა მათი მხედრობა... იქიდან გატეხეთ სიმტკიცე მათი... მანდეთ! მანდეთ, ახიორ, მეფეო მოავიტელთა, მმოსავო ღმრთისა იუდასი... შეჰკარით ვიწროები!.. ჩასდექით სალს კლდეებში!.. (დანაშთენს ციხის მცველებს) მომყეთ! მომყეთ აქეთ!!. გავსწყდეთ და გავსწიროთ თავები ჩვენი დიდებული ეგოვასათვის. (დაეშვება ციხიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშთენი მეციხოვნენი. მუსრი ასურს!.. მუსრი ოლოომფრეს მხედრობას!.. (გადაჰყვებიან ესენიც ოზიას).

ახიოზ. (შემოვარდება დაჭრილი რამდენგანმე ისრითა და შურდულის ქვით) წარხდა ყოველი!.. გაცრუვდა ჩემი სიტყვანი!.. ღმერთმან გასწირა იუდა... მრისხანებს მათდა ცოდვათათვის... ძლევა რჩება ოლოომფრეს. წაწყდა ისრაილი! წაწყდა ჩემი თავი! წაწყდა სამეფო ჩემი მოავიტი!.. ოჰ, ნაბუქადონოსორ! აღამაღლე თავი შენი ცათამდის, აღიარებ თავსა შენსა ღმერთად, დაბრმალხარ დიდებისაგან და დაგვიწყებია სწავება წარსულისა... მატყუარათა და პირში მაქებართა უსმენ შენ, მაშია უძლურებაცა შენი და დამხობა შენიცა და ქვეყნის ცოდვაზე აგებულის შენი სამთავროისაცა!..

(ციხეზე მდგომი ხალხი გადმოცვივა ძირს. ციხეზე გადმოდის ისარი და შურდულის ქვა. მეციხოვნენი ამოცვივიან ციხეზე, ისვრიან შურდულთა და ისართა; ისმის გარედან ციხის ძირას ბრძოლის ყიჟინა, ჟრიამული, ლახტებისა, ფარებისა, მახვილებისა და აბჯართა გრგვინვის მსგავსი ჩახა-ჩუხი. მოედანზე ერში ისმის ზარისა და ელდის ჟრიამული).

ხმები ერიდან. მიეცით ციხის გასაღები... შემოუშვით ასურ!.. ჩვენ მეტი არ შეგვიძლიან!...

სხვა ხმები. დავიყაროთ თავზე ნაცარი და მტვერი, შევიბათ ყელებზე წნელი, დაეხიოთ სამოსელი ჩვენი, დავლეწოთ აბჯარნი და საჭურველ ნი ჩვენნი და ისრე მივეგებნეთ უძლეველსა ოლოომფრეს, რათა შეიწყალოს თაეიცა და ცოლი და შვილიცა ჩვენი. ნაბუქადონოსორ არის ღმერთი უძლეველი, ნამდვილი ღმერთი, და ხატი მისი არის ღვთაება სასწაულიანი...

მრავალი ხმა. გაუმარჯოს ოლოომფრეს!!... მოვიდეს ოლოომ ფრე!..

ახიოზ. იუდავ! ისრაილ! მხოლოდ თქვენი ღმერთია ღმერთი ნამდვილი და გარდა მისა არ არის სხვა ღმერთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრაილია ერი ღვთისა მხოლოდისა... სახელი იუდასი განთქმულია კიდითი კიდემდეს თვისი გმირობით, ნამდვილი ღმერთისა მსახურებით... მხოლოდ თქვენ და მხოლოდ თქვენ მოგცათ სჯული და სჯულის კიდობანი... და რა მესმის ეს, სტუმარსა თქვენსა?.. უნდა გასცეთ კიდობანი სჯულისა! უნდა გასცეთ ღმერთი და სალოცავნი თქვენნი! აღიაროთ ღმერთად კაცი! აღიაროთ ღმერთად ოქროს ჭედილი, უსჯულოთა ხელთაგან შექმნილი ხატი, ლითონის უბრალო ჭედილი!!.. უნდა ცოცხალთა იხილოთ შებილწვა წმიდისა კარავისა... შეგინება საბაოთ ღმერთისა!...

ხმა ერიდან. ღმერთი ნაბუქადონოსორია, ყოველი ღმერთი იძლია მისგან. მას დაემორჩა ყოველი ერი: მიდი, სპარსი, ეგვიპტე, ტირი, სიდონი; იძლია იუდა, მთელი ისრაილი, იძლია მთელი ცის ქვეშეთი.

მეორე ხმა. თვით უფალმან საბაოთ ღმერთმან გვიბრძანა დიდის წინასწარმეტყველის იერემიას პირით, თუ არ დაემორჩებით ნაბუქადანოსორს, მთლად შეგმუსრავთო. ვის დაუჯეროთ: შენა თუ ღმერთსა?! ელიაკიმს თუ იერემიას?!

ერი. გაუმარჯოს მეფესა შუამდინარისასა!! მეფესა ასურთა, ქალდეველთა და ყოველი ცის ქვეშეთის მფლობელსა, ნაბუქადონოსორს!!. გაუმარჯოს ოლოფერეს!!..

(ციხეზე ამოცვივიან ოზია, ხაბრი, ხამრი და მათ მოჰყვება დიდი მღვდელი ელიაკიმიც. მათ თანდათან მოსდევს ჯარიც ბრძოლითა).

ელიაკიმ. ღშველეთ სჯულის კიდობანს! გაასწარით კარავი სალმრთო და დაჰმალეთ სამალავთა მიუგნებელთა... (ლევიტთა ამოაქვთ ციხის გარედან ციხეზე სჯულის კარავი და კიდობანი, ჩამოაქვთ საჩქაროთ ძირსა. ჰგალობენ: **ოსანა მაღალთა შინა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!!** (გადიან საჩქაროდ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ციხის კარიდან შემოცვივა დაჭრილი და მოღლილი მხედრობა. მეტი წილი სისხლშია მოსვრილი. ზოგს ლახვარი აქვს ჩარჭობილი ტანის სხვა-და-სხვა ალაგას, ზოგს ისარი, ზოგს თავი აქვს შურდულის ქვით გატეხილი. ზოგი გარბის, ზოგი იქვე იქცევა).

ასმის მხედართა შორის განწირულების ხმები: გაიმუსრა ისრაილ!..

სხვა ხმები. გასწყდნენ იერუსალიმის მხედართ-მთავარნი!

მესამე ხმები. გასწყდნენ მხედრობა და მთავარნი სამარიისა, კანიისა, ვეტერონისა, ბელმანისა, ხობისა..

მეოთხე ხმები. მოდის შეუწყვეტლივ კალიათა უმრავლესი მხედრობა ოლოომფრესი. საცაა უწყებენ ციხეს ნგრევას... მოაქვთ ციხის სანგრევნი მანქანანი.

მეხუთე ხმები. მხოლოდ ფრიალოსა და ვიწროებში იმაგრებენ ჩვენი მხედრობანი მათ და არ უშვებენ ციხეზე...

კიდევ ხმები. ციხეში გვიპირებენ ამოწვას...

(შემოცვივა ახალი მხედრობა). დაჰკეტეთ ციხის კარები!.. მოგვდევენ ფეხდაფეხ!.. ვაი ჩვენდა, თუ შემოგვასწრეს!..

(შემოდის კიდევ მხედრობა ბრძოლითა და იკეტება ციხის კარი. ციხიდან მეისრენი, მეშურდულენი და ქვათა მესროლნი ესვრიან ზემოდან ქვასა, შურდულსა და ისართა. ძირიდან სხვა მხედრობა უზიდავს ისართა და ქვათა და აწოდებენ ციხეს მდგომთ მხედრობათა).

ოზია, ხაბრი და ხამრი კვალად გადაცვივიან ციხიდან. (მხედრობას). მოგვყევით აქ! ვერ მოვა იმათი დიდი მხედრობა: დიდს მხედრობას არა აქვს გზა... დავიცვათ ციხე... მხედრობა გადასდევს. მუსრი ასურს!!. მუსრი ოლოომფრეს!...

ელიაკიმ. (ციხიდან). ერნო საბაოთ ღმერთისანო! დაემხეთ პირქვე და ეცით თაყვანი საბაოთ ღმერთს. გმირთა ოზიამ, ხაბრიმ, ხარმიმ უკუაქციეს ციხის ძირიდან მხედრობა ოლოომფრესი.

(ოზია, ხაბრი და ხამრი ისევ ამოცვივიან ციხეზე).

ოზია. მიეშველენით ვიწროებსა და ფრიალოებზე მდგომთ იუდიანთა და სამარიტელთა... გაბრუნდა მხედრობა ოლოომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრესი..ჩვენმა გმირმა მხედრობამ არ მოუშვა ციხეზე მეტი წილი ოლოომფრეს მხედრობისა... ჩადგა გმირულად ფრიალოსა და ვიწროებში და ჰმუსრვიდა უწყალოთ ჩვენთა მოსისხლეთა.

ერი. წყალი? წყალი ვის უჭირავს?

ხმები ციხეზე მდგომთ მხედრობიდან. უჭირავთ ქალდეველთ. იქ ისინი ასზომ მეტნი არიან.

ელიაკიმ. ილოცეთ ღმერთი ჩვენი ეგოვა, ღმერთი, შემომქმედი ქვეყნისა, და წყალიც ჩვენ მოგვეცემა, ან მოგვივლენს წვიმას. (ჰგალობს ფსალმუნსა. მასთან ჰგალობენ ლევიტნი, მხედართმთავარნი და შიგა და შიგ მხედრობაცა). „რათ უარგვყავ უფალო სამუდამოთ? რათ მოიღე რისხვა შენი კრავთა ზედან საცხოვრისა შენისა? მძვინვარებენ მოძულენი შენნი შესაკრებელსა შენსა... მისცეს ცეცხლთა სიწმინდენი შენნი; შეჰბილწეს სიბილწითა თვისითა კარავი აღთქმისა შენისა. არღა გვევლინა ჩვენ სასწაული შენი, არცა წინასწარმეტყველი, და არა გვყავს მასწავლებელი... აღდეგი უფალო, დაიცე საქმენი შენნი, გაიხსენე მუდმივი შეურაცხებანი შენნი. ნუ დაივიწყებ ძახილსა მოძულეთა შენთა. განძლიერდა მედიდურობა მდევნელთა სახელისა შენისა!“

ელიაკიმ. (ერს მრისხანედ) შეასხით ქება და აღუვლინეთ მეუფესა თქვენსა დიდება.

ხმა ერიდან. ჩვენ გაგვწირა ჩვენმა ღმერთმა... გასწირა ჩვენი ცოლი და შვილი... წყალი ისევ მტრის ხელთ არის....

მეორე ხმა ერიდან. ჩვენ გვერჩივნა, რომ დავრჩენოდით ასურს ან გაგვმუსრავდნენ, ან დაგვატყვევებდნენ, და მოგვარჩენდნენ ამ საშინელს წამებას... ლამის ჩვენსავე სისხლს დაუწყოთ წოვნა...

კიდევ ხმები ერიდან. (აღშფოთებით) შორს ჩვენგან ეგოვა!! შორს დიდი მღვდელი იმისი!! შორს ლევიტნი! შორს სჯულის კიდობანი!!. გაუმარჯოს ოლოომფრეს! გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯოს უძლეველსა ღმერთსა ნაბუქადონოსორს... მიგვეცით ბაბილონელთ, მიგვეცით ოლომფრეს!!.

მრავალი ხმა. ეხლავ! ეხლავ!.. გაუღეთ კარი ბაბილონის მეფეს!.. მოვიდეს მხედრობა ოლომფრე უძლეველისა!!.

ხმა ერიდან. თქვენა! თქვენა ხართ ჩვენი მტრები... თქვენი გულისათვის იმუსრება ამოდენა ერი, იმუსრება მთელი ისრაელი... ჯერ იყო და იმოდენა მარხვითა და ლოცვით დაგვასუსტეთ, როცა წყალიცა გვქონდა და პურიცა, და ახლა მტერს ჩაუგდეთ ხელთ ჩვენი წყალიცა და საზრდოცა... რაღა ღონით უნდა შევიმაგროთ თავი, ურიცხვი და მაძღარი ოლომფრეს მხედრობის წინაშენ?!..

ოზია. ერო ბითულისა! ვინ მოგცათ ეგოდენ კადნიერება, რომ მეუფესა მთელი იუდისასა, სჯულის კიდობნის მცავთა, და მათთან თქვენთა მხედართმთავართა უბედავთ მაგგვარსა ქადილსა და შეურაცხებასა?! იცით თუ არა, რომ ჩვენ გვაქვს ღვთისა ისრაელისაგან მონიჭებული ძალა, ჩვენს ხელთ არის მთელი მხედრობა და ჩვენსავე ხელთ არის სიკვდილიცა და სიცოცხლეცა თქვენი?!.

მრავალი ხმა ერიდან. არ გვინდა ოზია! არ გვინდა სჯულის კიდობანი!... სიკვდილი ოზიას!.. სიკვდილი მხედართმთავარს!.. სიკვდილი ცრუ-მოძღვარს ელიაკიმს! სიკვდილი ლევიტთა! გაუმარჯოს ოლომფრეს!

საბრა. ერო უფლისა ისრაელისა! ცუდი განგიზრახავთ თქვენი თავისთვის! თუ არ დასწყნარდებით და არ დაემორჩილებით ჩვენს ბრძანებას, ეხლავე დაგატყვევებთ ყველას და მოთავეებს დავაჭრევინებთ თავებს და გადმოვაკიდვინებთ ციხეზედ, რომ ნახოს ყველამ, რაც მოელის ყველა წინააღმდეგს.

თითო-ოროლა ხმა. არ გვეშინიან თქვენი მუქარისა... დაგვხოცეთ! სიკვდილი გვიჯობს ამ სიცოცხლესა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტი ხმა. დაგვხოცეთ, დაგვხოცეთ! და არც ჩვენა ვართ უსაჭურველონი!

მრავალი ხმა ერიდან. ერო, შემართეთ საჭურველნი თქვენნი! აღმართეთ მახვილნი თქვენი! ან გავულოთ კარი ასურს, ან შევიმუსრნეთ ჩვენისავე მხედრობისაგან...

ერი დაიგრიალებს. საჭურველნი! მახვილნი! (მრავალნი იძრობენ მახვილთა და სხვა საჭურველთა და წამოდგებიან წინ).

საბრი. მხედრობანო! მახვილნი თქვენნი! ჩამოდით ციხით და შეიპყარით მეამბოხენი! შეჰმუსრნეთ იგინი, რომ ამითი ვიხსნათ იერუსალიმი, ვიხსნათ სჯულის კიდობანი, ვიხსნათ სახლი უფლისა! (მხედრობა სდგას უძრავად).

ელიაკიმ. (მრისხანედ) გიბრძანებთ მოსეს სჯულითა და ბრძანებითა საბაოთ ღმერთისათა, შეიპყრათ მეამბოხენი.

ერთი მხედართაგანი. ერი სდგას საბაოთ ღმერთის ბრძანებაზე. ის გვიბრძანებს იერემია წინასწარმეტყველის პირით, უნდა დაემონოთ ნაბუქადონოსორს: ის არის ჩემი რჩეულიო. რად სტანჯავთ ერს?! რად მიდიხართ ჩვენისავე ღვთის ბრძანების წინააღმდეგ!

ოზია (მრისხანედ). შეიპყართ ეგ ურჩი, წინააღმდეგი ღვთისა და მოჰკვეთეთ ეხლავე თავი! (მხედრები, რომელთაც უბრძანებს ოზია, არ იძვრიან).

რამდენიმე ხმა მხედრობიდან. მართალს ამბობს ეგა. არ არის ქვეყანაზე მძლეველი ნაბუქადონოსორისა არც კაცი და არც ღმერთი. ელოვა გადაგვიდგა ჩვენ და მიუძღვის მას... ასრე ბრძანებენ ჩვენი წინასწარმეტყველები. რად გვტანჯავთ ან ჩვენ ან ერს?! რადა ჰლვრით მართალთა სისხლს?!.

ერი დაიგრიალებს. ჩვენს მხედრობას, ჩვენთა ძმათა და შვილთა, ჩვენს სისხლსა და ხორცს გაუმარჯოს!! მუსრი ჩვენთა და ღვთის წინააღმდეგთა!!. ოლომფრეს მხედრობას გაუმარჯოს!!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი მხედართაგანი. ბეთილის ერს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ბრძანებასა ღვთისასა!.. გაუმარჯოს ნაბუქადონოსორს, რჩეულსა ღმერთისა ისრაელისასა!!.

ერი. გაულეთ ციხე!.. მოიხმეთ მხედრობა ოლოფერნესი... მივცეთ თავნი ჩვენნი და დავვედრნენ სულნი ჩვენნი... ჩვენი ცოლი, ჩვენი შვილი!.. ეხლავ!.. დაგვხოცა სიმშილმა, ამოგვხუთა სული წყურვილმა...

მხედრობა. ეხლავ! ეხლავ!.. სამი დღეა ჩვენს პირში წყალი არ ჩასულა.. აღარც ბრძოლა, აღარც გაძლება დღეის იქით აღარ შეგვიძლიან...

ერი. წავიდეთ დავანტვრიოთ ციხის კარები... ჩვენ შემოუშვათ ბაბილოვნელნი!.. (მიდიან ციხის კარისაკენ).

ახიორ. დადექით! მომისმინეთ ერთი სიტყვა თქვენს სტუმარს, თქვენი ღმერთისა მაღიარებელს...

ერი (შედგება). ბრძანე! ბრძანე! წყლისა, წყლისა ბრძანე რამე... გაქვს ბრძანება უფლისა, გაქვს სასწაული, რომ გამოგვიჩინო და მოგვიელინო საითმე წყალი?..

ახიორ. ერო ნამდვილო ღმერთისა! ერო გონებითა და არა ხელითა შექმნილის ღმერთისა! დასცხერით მცირე ხანს: არ წაიხდინოთ თქვენი აჩქარებით უფრო უარესად თქვენი საქმე, თქვენი საბოლოვო. ვინ იცის, რას იზავს განრისხებული ოლოფერნე, ეხლავე რომ გაულოთ კარი და შემოუშვათ იმ ცხარე ბრძოლის შემდგომ, როდესაც ამოდენა სისხლი დაჭღვარა ისრაელმა მისი მხედრობისა!.. მიანდეთ თქვენთა მხედართმთავართა მოლაპარაკება, ჩააბარონ ციხე იმ პირობით, რომ თქვენცა და მთელს იუდასაც მიეცეს რამ შვება, არ მოგექცნენ უდიერად, შეუწყალებლად. (მიუბრუნდება ელიაკიმს, ოზიას, ხაბრის და ხარმის). დიდებულნო, სახელოვანნო მეუფენო და მხედართმთავარნო! თქვენ გმირულად და გონივრულად იცავდით სახლსა და სჯულსა მეუფისა თქვენისასა. თვით უძლიერეს არტაფაქსს არ გაუწევია ბაბილოვნელთა

ეროვნული ბიბლიოთეკ

მხედრობათათვის ისრეთი გმირული პირისპირობა, როგორც თქვენ თქვენი მცირე მხედრობითა... თქვენ შეასრულეთ გმირულად ყოველი თქვენი მოვალეობა წინაშე ღვთისა და წინაშე მისგან რჩეულის ერისა... ახლა ერი და მხედრობა აღარა ჰნდომობს მტერთან ბრძოლას: მას დაუკარგავს სასოება. სადაც აღარ არის სასოება, იქ აღარ არის ძალა... დასთმეთ გმირული თავის განწირვა თქვენი და იმდენს სამსახურთან, გაუწიეთ ერთი სამსახურიცა თქვენს ერს ამ საშინელს განჩინების დღეს. თქვენ უნდა ეხლავე პირობა დაუდოთ ერსა და მხედრობას, რომ მისცემთ ციხესა ოლოომფრეს. მაგრამ უნდა იმ პირობით მისცეთ, რომ დასდოს მგმობარე ფიცით აღიქმა წინაშენ ქალდეველთა და ასურთა ცამეტთა ძველთა ღმერთთა და ორთა ახალთა ღმერთთა—ნაბუქადონოსორ და ხატისა მისისა,—როცა შემოვა ციხეში არა ავნოსრა ერს, არც სიკვდილით, არც ტყვევნით, არც ბილწვით ყრმათა, ქალწულთა, დედაკაცთა და მამაკაცთა და არცა სალოცავთა... მხოლოდ მიიღოს გადასახადი იუდასაგან, რასაცა შეიჯერიებდეს გული მისი.

ოზია. (დაიკრებს გულხელს) ერო ბეთილისა! ნუ თუ მართლა გადასწყვიტე გასცე ისრაელი, გასცე ტაძარი ღმრთისა, გასცე სჯულის კიდობანი?!.

ხმები ერიდან. არ არის სასწაული, არ არიან წინასწარმეტყველნი! არ იჩენს უფალი ღმერთი ჩვენი სარჩლსა ჩვენსა... ნაბუქადონოსორ არის რჩეული მისი... ჩვენ უნდა დავემორჩილნეთ მას.

ელიაკიმ. ოზიავ! ხაბრი! ხამრი! აღსრულდეს ნება უფლისა, გაჰგზავნეთ კაცნი ოლოომფრესთან, რომ ბეთილი დამორჩილდება, თუ შვებით მოექცევიან ბეთილის ერს და მთელს ისრაელს.

ერი. ფიცი! ფიცი, რომ არ გვატყუებთ და მართლა ჰგზავნით კაცთ მოსალაპარაკებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედრობა. აღთქმა! ფიცი! აღარ შეგვიძლიან ბრძოლა... ჩვენ თვითონვე აღვეგებით ჩვენსავე მახვილზე... მკლავი აღარ გვიჭრის, სისხლი შრება ძარღვებში, გულგვამში ცეცხლი გვენთება უწყლობით...

ელიაკიმ, ოზია, ხაბრა და ხამრი. ვფიცავთ ღმერთსა აბრაამისა, ისააკისა და იაკობისას, საბაოთ უძლეველსა ღმერთსა, რომელი მჯდომარეს მთასა მაღალსა სინასა, რომ შეეასრულებთ ბეთილის ერის სურვილს და ვეცდებით არ წახდეს ბეთილი, არ წახდეს იუდა, არ შეიმუსროს სახლი უფლისა ჩვენისა, ჭურჭელი სამლრთო სჯულისა ჩვენისა.

ოზია. ახლა წადით შინ და დამშვიდდით. ჩვენ წავალთ და მოვილაპარაკებთ, როგორ დავაწყოთ საქმე.

(მხედრობა და ერი იშლება და მიდიან. გადიან სხვანიც ყველანი. გამოდის ივდით მძიმე ძაძებში, ანთებული სახით, ხელში მახვილით. იცქირება აქეთ-იქით, თითქო ეძებს ვისმეო).

ივდით. ო! იერემიავ! იერემიავ! შენ გახდი მიზეზი იუდას დაცემისა. შენ გააღმერთე მხეცთ-უმხეცესი ნაბუქადონოსორ... შენ გაუტეხე გული ერსა და მხედრობასა ჩვენსა, როდესაც ეს ღვთის გარეგანი მეფე მოსდგომოდა იუდას შესამუსრავად. გატაცებულის სახით, ანთებულს თვალებით, გაწეწილი თმებით, მრისხანე განწირული ხმით შესძახოდი ერსა და მხედრობასა საბაოთ ღმერთის მაგივრად: „აწ ვაძლევ მე ყოველთა ქვეყანასა ხელთა ნაბუქადონოსორისათა... ვაძლევ თვით მხეცთა ველისათა, რათა მსახურებდნენ მას... და, თუ რომელი არა ემონოს მას და არა გაჰყოს ქედი თვისი უღელსა ქვეშე ამა მეფისა, ესაჯო იგი მახვილითა, სენითა, სიყმილითა, ვიდრემ არა აღმოიხოცონ სრულიად ხელითა მისითა... ნუ უსმენთ ნუცა წინასწარმეტყველთა, ნუცა მემისნეთა, ნუცა მეძილისმინეთა, ნუცა მეწამლეთა თქვენთა, რომელნი იტყვიან, ნუ ჰმონებთ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუქადონოსორსაო...“ აღარცა გმირთა მხედართ-
მთავართა, არცა თავ-განწირულთა ერის ერთგულთა
აღარ გასდიოდათ არაფერი... გატყდა გული მხედრო-
ბისა, შთაითესლა შიში გულსა ერისასა... აღარ ინ-
დომეს ბრძოლა, და შეიმუსრა იერუსალიმ; დაინგრა
სიონი, გასწყდა და დატყვევდა იუდა... და როდესაც
შეიმუსრა ყოველი და გახდა უდაბურ, მაშინ მორთე
მწარე ღაღადი და გლოვა ნატამალთა ზედა, მაშინ
უწყე შეჩვენება ბაბილოვანსა და გაიძახოდი იმავე ის-
რაელთა ღმერთის მაგივრად: „ვაი შენდა ცათამდის
აღმართულო ღა ამაღლებულო ბაბილონო! აჰა მთაო
გახრწნილო და გამხრწნელო ქვეყნისაო! გადმოინგ-
რე შენ კლდეთაგან სიმაღლეთა შენთა და იყო ვი-
თარცა მთა დამწვარი და ჩაფერფლილი! და არ აიღონ
ქვანი შენნი საძირკვლად შენობათა, რათა არა იქ-
ცეს ქვა იგი თესლად გახრწნილებისა ყოველთა ერ-
თა, და იქნებ ოხერ და უდაბურ, სადგურ მხეცთა
და საეალალო!...“ მაგრამ გვიან-ღა იყო. სიცილით
წამხდარს საქმეს ტირილი ვეღარ გამოაბრუნებს... და
აგერ, დღესაც უღწია შენმა საშინელმა ქადაგებამ
ისრაელსა: ერი და მხედრობა გაიძახის კვალად შენს
სიტყვებს, რომელთაც იტყოდი ისრაელთა ღმერთის
მაგივრად, თხოულობს ბაბილოვნელთა დამონებას, ნა-
ბუქადონოსორის გალმერთებას... და მოელის ერსა
ღვთისა რჩეულსა მუსრი, მუსრი, რომლის მსგავსიც
აქამდის არ მოვლენიათ ებრაელთ... და უნდა შეი-
მუსროს სჯული, რომელმაც აღიარა კაცი სახედ და
ნაწილად ღვთისად, მონება ღვთის წინააღმდეგ საქ-
მედ, მოვახშეობა საქმედ შესარცხვენად, ურთი-ერთ-
თა, სიყვარული ვითარცა თავისა თვისისა, სალმრთო
მოვალეობად, უცხოთა შეყვარება სალმრთო კანონად,
თანასწორობა დედა-კაცთა და მამა-კაცთა შორის
ღვთის ბრძანებად და საქმედ, სილარიბე ვისიმე ერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობისა და ერის შესარცხვენად, შეძენა მრავალის საცხოვრებელისა—ღვთის წინააღმდეგად, ძლეულთა მებრძოლთა შეწყნარება, ტყვე დედა-კაცთა პატივი და ხელ-შეუხებლობა, შეწყნარება და განკითხვა თვით ველურთა მხეცთა ღვთის კანონად!... (დაფიქრდება) რად არის, რომ მთელი ქვეყანა მოსდგომია ებრაელთ შესამუსრავად, და მოსპობის მაგიერ მრავლობს და ვერა მტარვალობას, ვერა რისხვას ვერ მოუღია მისთვის ბოლო?!—არის მოსეს დიდებული სჯულისაგან, რომელიც სიმართლ სიტყვით გვიკრძალავს მავნებელ საქმლის ხმარებას, გვიბრძანებს იმ წესით ცხოვრებას, რომელიც ინახავს სიმრთელესა კაცისასა... მიზეზი არის დიდებული გონება მოსესი, რომელმაც ამ დიდებული სჯულის შესანახად გვამხილა ღმერთი არა ხელითა შექმნილი, არამედ საგონებელი, რომელსაც ველარ მოშლიან, როგორადაც უძლური გონებისთვის მიუწდომელს, როგორც შლიან ნაჭედთა და ხორც-მოსილთა ღმერთთა, რომლისაც ცნობა და ხელ-შეხება შეუძლიანთ ყველას; გვამხილა ღმერთი, რომლის მიწდომასაც შეალევენ მრავალთა საუკუნეთა განმავლობაში უძლიერესი გონების კაცნი თავისი გონების ძალას და ვერა სცნობენ მას, ვიდრემდის თვით კაცი გონებითა თვისითა არ გახდება ღვთაება, უფალი და მბრძანებელი სოფლისა... და სჯული ისე, იერემიავ, უნდა შეიმუსროს შენი შემაზრზენარი ქადაგებით!.. (შემოდის ახიორ.)

ახიორ. ივდით! დედა-კაცო ღვთისა, ახალო დევორავ! მადლი უფლისა ისრაილისა იყვეს შენდამი... რაღასაც მრისხანებს სახე შენი, რაღაცა უცნაურნი ცეცხლნი სცვივიან თვალთა შენთაგან... რაღაცა საშინელებას წარმოიტყოდნენ ბაგენი შენნი... ცხადია, შენგვარ წმინდა გვამიდან მმეტყველებს თვით ეგოვა, ღმერთი იაკობისა... უეჭველია, წინასწარმეტყველებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუდით. ო, დიდებულო მთავარო ამინის ძეთა, კაცო გონებისა, გონებითი ღმერთის მაღიარებელო!.. არა, მე არ ვწინასწარმეტყველებდი... დღეს მთელს ისრაელში არ არის წინასწარმეტყველი... ამიტომ არ მეშინის ისრაელის წახდენისა... მე მოველ აქ მახვილით ხელში, რათა გამემხნევებინა ერი, გამეღვიძებინა მის გულში საღმრთო ვალი ქვეყნის დაცვისა... მინდოდა მეჩვენებინა, რომ დედაკაცნიც მზადა ვართ მივეგებნეთ მტერს მახვილით ხელში და გავწიროთ თავნი ისრაელის ხსნისათვის.

ახიორ. მეც არა ვხედავდი ისრაელის წაწყმედის ნიშნებს და ამიტომ ვუთხარ ისრე გაბედვით ოლოომფრეს, რომ ვერა სძლევ მეთქი იუდას, თუ არ არიან განწირულნი თავისი უხილავი ღმერთისაგან.. მაგრამ ყოველი ჩემი იმედი გაცრუვდა, ვითარცა ზმანება გონსუსტი კაცისა. უკვე გადასწყდა საუკუნოდ ბედი ისრაელისა. ერმა, მხედრობამ, მხეთართ-მთავართა და დიდმა მღვდელმა ელიაკიმ, ეს-ეს არის ეხლა, სწორედ ამ ადგილას, სადაც შენა სდგეხარ, გადასწყვიტეს მიეცეს ბეთილი ოლოომფრეს.

იუდით. როგორ! ეს გარდასწყვიტეს მხედართ-მთავართაც?! ეს გარდასწყვიტეს გმირთა: ოზიამ, ხაბრიმ, ხამრიმ და დიდმა მღვდელმა ელიაკიმ?! ნუთუ დაავიწყდათ, რომ ასურ მომდგარა შეჰმუსროს სამუდამოდ თესლი და თვით სახსენებელიცა ისრაელისა?!. ახიორ! არ არის სარწმუნო სიტყვანი შენნი. ოზია, ხაბრი და ხამრი, გმირნი და სალოცავნი მთელის იუდასი, დაადგნენ მაგ სამარცხვინო და ღვთის გარეგანს განაჩენს?!.

ახიორ. დიალ, ცით მოვლენილო ივდით! ყოველივე ჩემი ნათქვამი ისრეთივე მართალია, როგორც ისა, რომ შენს გვარსა ასულსა არღა ჰშობავს ისრაელი. ერმა და მხედრობამ მახვილით ხელში და შფოთით აიძულეს ისინი, რომ გაუღონ ციხის კარი ოლოომფრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუდით. (დაეყრდნობა მახვილს. დაფიქრდება. სახე თანდათან ენთება. კარგა ხნის ფიქრის უკან). ახიორ! არ წაწყდება იუდა!.. არ წაწყდება ისრაელი!.. მაჩვენე ოზია, ხაბრი, ხამრი და ელიაკიმ... ველი აქ, ამ ადგილას, სადაც დაურდგენიათ მაგათ ეგ საშინელი განჩინება. გელით აქ თქვენ ხუთსავე და სხვა არა ძე კაცისა არ უნდა დაესწროს აქ.

ახიორ. (თავისთვის) რაღაცა ღვთის ძალა, ღვთის ბრძანება ისახება ამ უცნაური დედაკაცის ყოველს სიტყვასა, ყოველს კილოსა, ყოველს სახის მოძრაობაში!.. რა ჰსურს? ნეტა თუ რას იზრახავს დედაკაცი უძლური, დედაკაცი ნორჩი, დედაკაცი გამოუცდელი, როდესაც უძლიერესთა მეფეთა და მთავართა ცის ქვეშეთ მყოფთ ვერა გაუწყვიათ-რა წინაშენ ბაბილონის მხედრობისა? წინაშენ უძლეველის ოლოფერნესი!.. ყველა, ყველა წამხდარა, ყველა წაგებულია!.. თვით ეგოვასაც აღარა აქვს ძალა იხსნას ისრაელი! (მიდის) წაწყდა ისრაელი საუკუნოდ. (გადის).

იუდით. (მარტო ფიქრის უკან) გადაწყვეტილია!.. უნდა წაწყდეს ოლოფერნე!.. უნდა წაწყდეს ქალდუ... წაწყდეს ასური!.. (გადისვრის მახვილს) იქით მახვილო!.. შენ ველარ გაალვიძებ ისრაილის ჩამქრალს სისხლში ძალას!.. ამ, ამ უძლურმა მაჯამ, ამ უძლურმა გულმა, ამ უძლურმა დედაკაცმა უნდა იხსნან ისრაელი!.. (დაფიქრდება) უნდა მე, უძლური ასული ევასი გავუდგე გზასა საშინელსა... გზასა განსაცდელიანს... გზასა, სადა შეიძლება შეიმწიკვლოს უბიწოება ჩემი! (ჩაფიქრდება) მართლა!.. რომ წაწყდეს სიწმიდე, დიდება ჩემი ცხოვრებისა, სისპეტაკე სახელისა ჩემისა?!. (დაფიქრდება) ქვრივი მანასესი, რომელიც მთელს იუდას, მთელს ისრაელს ჰყვანდათ საქებურად და სადიდებლად თვისი უბიწოებით, სიწმინდით თავის დაკვისათვის, — გახდეს მსხვერპლი კერპთა მსახურთა არაწმინდებისა?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ამის მეტი არა იხსნის-რა ისრაელს, ისრაელს, რომელმანც მომცა მე სიცოცხლე და, მაშასადამე, რომელსაც ეკუთვნის ჩემი სიცოცხლე?! თუ ამის მეტი არა იხსნის-რა იმ ერს, რომელმანც შეჰქმნა სჯული მოსესი, ღმერთი გონებრივი?! (დაფიქრდება). არა, არა! არ შეიძლება უწმინდურებით წმინდა საქმის მოგება (დაფიქრდება). ოლიმფრე!!. აგერ თვალწინ მიდგია ოქროს კარავი მისი!.. აგერ ტყვენი მოსთქვამენ მწარედ თავის გაჩენის დღეს! მხედრობანი მისნი, მახვილ შემართულნი ჰმუსრიან მათ და მათს ცოლ-შვილს იმათსავე თვალის წინ!.. გამარჯვებული და გამხეცებული ქალდუ და ასურ, როგორც დამშეული ვეშაპი თავის მსხვერპლს, შესცქერიან ბეთილს, მთელს ისრაელს შთასანთქავად!.. (დაფიქრდება). ისრაილ!.. ახალი ტყვეობა!.. ახალი მუსრი!.. ახალი ბილწვა ტაძართა და ქალწულთა შენთა!.. გოდება, გოდება თავისსავე სისხლში მცურავი ერისა, ჟრიამული, კვნესა და დედებისაგან გაშვერილი ხელები კალოზე ნალეწთა ჩვილთა ყრმათა! შეძახილი შებილწულთა ქალწულთა და შემართულნი მათზე სისხლში ამოვლებულნი მკლავნი და მახვილნი!!... (დაფიქრდება). აგერ, ყველანი მე მიცქერიან, მე შემძახიან: „ქვრივო წმინდა კაცისა მანასესი, ივდით! შენშია ჩვენი ხსნა!.. გვიხსენი ჩვენ... იხსენ იუდა... იხსენ მთელი ისრაელი!.. (დაფიქრდება). „აგერ ტაძარნი, რომელთა წერაქვებით და მანქანებით მისდგომიან სანგრევლად კერპთა მთაყვანებელნი, ბაალის მახსარებელნი!.. აგერ მოხუცნი, განართხელნი ცხენთა და ეტლთა ქვეშე მოსეს წმინდა სჯულისთვის, მიყურებენ და შემძახიან: „ივდით! ივდით! გვიხსენ დანგრევისაგან, გვიხსენ წამებისაგან! იხსენ მოსეს წმინდა სჯული კაცთა გაღმერთებისათვის შექმნილი!..“ დიაღ! აგერ ცხადლივ, ცხადლივ

ეროვნული ბიბლიოთეკ

მესმის ყოველ მხრივ შველის ძახილი... ცხადლივ ვხედავ წამებასა... ნგრევასა!.. ცეცხლსა!.. საშინელსა ჟრიამულსა!.. (დაფიქრდება). ან უნდა ვიხსნა ისინი, ან უნდა მოკვდეს ივდითი... ან უნდა სიკვდილამდის და თვით სიკვდილის უკანაც გვდევნიდეს ეს საშინელი შეძახილი, ეს საშინელი სანახაობა და მაწამებდეს სინიდისის მხილება, რომელიც ყოველს წამებაზე უარესია, რომ შემეძლო შველა და არ ვინებე!... (დაფიქრდება). დიაღ! ეს არ არის პირველი! ეს მესმის ძილში თუ ცხადლივ მას აქეთ, რაც ოლოფერნეს მოადგა ბეთილს, რაც ნაბუქადონოსორ ემუქრის ისრაილს საუკუნოდ შემუსრვას... მესმის ეს ხმა, ვხედავ ამ სანახავთა და არ მაძლევენ მოსვენებას... სტანჯავენ ჩემს სინიდისს... ჰქენჯნიან ჩემს გულს, ჩემს ტვინს... (დაფიქრდება და თან და თან აენთება სახე). გათავებულია!.. წაწყდა ოლოფერნე! წაწყდა ასური!.. უნდა იცოცხლო ისრაელ მოძღვრად ქვეყნისა, რათა ასწავო მას, რომ კაცია ნაწილი ღმრთაებისა, ღმრთაება სოფლისა, რომ ყველა კაცია შექმნილი სახედ ღმრთისად და არა არს გარჩევა კაცთა შორის არცა დიდია, არცა მცირეთა, არცა დედაკაცთა, არცა მამაკაცთა, არც უცხოთა, არცა მახლობელთა, რომ ყველანი ერთგვარ ვართ ნაწილი ღმრთაებისა, ერთ სულ და ერთ ხორც, სწორად მოვლენილნი უფლად ყოვლისა ქმნილებისა... რომ ასწავო, შესწყდეს ბრძოლა ტ სისხლის ღვრა კაცთა შორის, გადიქნას მახვილი სახნისად და ლახვარი მანგლად, როგორც ბრძანებს ამას უფალი დიდი წინასწარმეტყველი ესაიას პირით! ო, ისრაელ! შენ უნდა იცოცხლო, რათა ასწავო კაცთა კაცისა ღვთის სახედ შექმნა, ღვთის ძალისა შეძენა. უნდა დაუბრუნო კაცთა დაკარგული სამოთხე! მოეც ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხისა ცნობადისა დი უნდა მოსცე ხეცა უკვდავებისა!...
(შემოდიან: ელიაკიმ, ოზია, ხაბრი, ხამრი და ახიორ).

იუდით. (გადაჰკრავს ძაძას ხელს, გაჰხევს, გადიძრობს და გადისვრის, გადიყრის თავზე ფერფლს) **რა მესმის ეს, თქვენ ისრაელის ერის დიდებულნო უფალნო და წინამძღვარნო?! გაგიწირავთ იუდა, გაგწირავთ ისრაელი, გაგიწირავთ სჯული მოსესი!! მაშ რად იკისრეთ გაძღოლა და წინამძღრობა ერისა, პატრონობა ღვთის სახლისა, მოსეს სჯულისა, რად აშალეთ ერი, რად მიანდეთ საქვეყნო საქმენი, თუ ვერც კი გაუძღვებოდით ამ საქმეთა?! თქვენ, რომელნიც დღემდისინ გმირულად უძღვებოდით ერს, ახლა ამ საშინელს განჩინების დღეს, როდესაც გადაწყვეტილია მოელოს საუკუნოდ ბოლო ისრაელსა და გასწყდეს სახსენებელიც კი მოსეს დიდებული სჯულისა, თქვენ თქვენივე ხელით აძლევთ მტერს შესაჭმელად ერს, რომელმანც მოგანიჭათ უმაღლესი დიდება, ჩაგაბარათ თავი თვისი და თვისნი სალოცავნი საპატრონოდ...**

ელიაკიმ. **ასულო ისრაელისა, სახელო და დიდებავ ებრაელთა! მიგვეც, მიგვეც შეჩვენებას! დაგვასმინე მეუფესა ჩვენსა, საბაოთ უძლეველსა ღმერთსა ამ საშინელი განჩინებისათვის! დეე მოგვივლინოს მან მეხი და უარესი რისხვა თვისი. ჩვენ უნდა ჩვენისავე ხელით ჩავაბაროთ იაკობისა ღმერთისა მოსისხაროთ ისრაელი, წმინდა სალოცავნი ჩვენნი, სადგურნი ღვთისა ჩვენისა შესამუსრავად, საუკუნოდ ბოლოს მოსაღებად... ვლოცულობთ და აღარ გვისმინა ღაღადისი, ვმარხულობთ და არა მოჰხედა სინანულსა ჩვენსა, ვსტირით და განარიდა თვალნი თვისნი მაღალთა შინა მჯდომმან მეუფემან ჩვენმან შეცოდებათა ჩვენთათვის. გასწირა სამუდამოდ, ბოლოს მოსაღებად ისრაელი ურჩებისა მისისათვის.**

ოზია. გასკდი დედამიწავ და ჩაგვიტანე თან ამ საშინელი დღისათვის, ამ უმაგალითო განაჩენისათვის!! რატომ, ეგოვავ, ღმერთო ებრაელთა, ცისა და ქვეყნის დამამყარებელო, არ გაგვაწყალე დედიჩვენის მუცელში და შეგვასწარ ამ საშინელსა დღეს, რათ მოგვეცი ხვედრად მტარვალობა ერისა ჩვენისა, წმიდისა სჯულისა შენისა, რად აქციე ხელი ჩვენი მმუსრველად, შემაგინებლად ერისა, რომელმანც ძუძუთი თვისითა გაგვზარდა ჩვენ, სჯულისა, რომლისაც დიდება და სიწმინდე გვასწავა ჩვენ?!!

ხაბრა. ღმერთმან მოგვაყენა უარესი სასჯელი თვისი,—ალბად საშინელთა შეცოდებათა ჩვენთათვის, რომ სწორედ ჩვენ გაგვხადა ჩვენსავე ერზე თავისი რისხვის აღმასრულებლად. ან გვსჯის იგი ჩვენთა მამათა საშინელთა ცოდვათვის.

ხაბრა. ვეცადნეთ ერთიც კიდევ შევასმინოთ მხედრობათა ჩვენთა, რომ ერთიც ვებრძოლნეთ ოლომფრეს, და ამ ბრძოლაში გავსწიროთ თავნი ჩვენნი, რომ არ შევესწრეთ ჩვენი თვალისწინ მუსრსა ჩვენი ერისას და შეგინებას ჩვენი ღმერთისას.

ოზია. ამავოა ყოველივე. ერმა და მხედრობამ დაჰკარგა საოება. იერემიას სიტყვები ყველას აკერია პირზე. თავის უსასოვობა მიაჩნიათ ღმრთის ბრძანებად. სადაც არ არის სასოება, იქ არ არის ბოლო კეთილი. მათ არჩიეს სიკვდილი ამგვარი წამებით სიცოცხლეს.

ივდით. მაშ, მხედარნო, მოძღვარო და უფალო ყოვლისა ისრაილისა, უსმინეთ უმრწემესა ასულსა ისრაილისას, უძლურსა ივდითს... მე ვიხსნი ისრაელს! უნდა წაწყდეს ასური!!.

ეგელანი. (გაოცებით) ვინ?! შენ?!

ხაბრა. ივდით, შენ, რომელსაც არ შეგეძლო ყურება სისხლისა, რომელიც სდიოდათ მხლებელთა შენთა გაჭრილი თითიდან?! შენ იხსნა იუდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოზია. შენ, რომელმანც არა იცოდი-რა გარდა ლოცვებისა, ფსალმუნთა, საგალობლებისა, სამღრთო წიგნებისა, სამღრთო სჯულისა და სხვათა წიგნთა კითხვისა, რომელნიც მოგვითხრობენ სხვა-და-სხვა ერთა ცხოვრებასა და საქმეთა, არა იცოდი-რა გარდა სახლოსნობისა, შენ იხსნა იუდა?! იხსნა ისრაელი?! იხსნა სახლი და სჯული უფლისა ჩვენისა?!

ოვდით. ჰოი, ისმინეთ ისრაელისა უძლიერესნო გმირნო და პატრონნო! ისმინეთ და ნუ გიკვირთ ძალა მისი, რაიცა გვეჩვენება ჩვენ მცირედათ. რა არის ნაბერწკალი? და ნაბერწკალისაგან იწვიან მთელი დაბანი და ქალაქნი, მთელი ტყენი და მდელონი, მთელი სამეფონი და სამთავრონი. რა არის წვეთი სამსალისა? და წვეთი ესე უღებს ბოლოს უძლიერესთა მეუფეთა და დიდებულთა, უძლიერესთა მკლავთა და ძალათა. მაშ ნუ გიკვირთ, რომ უძლური დედაკაცის ხელითაც გაკეთდეს საქმე ძლიერი. შეაჩერეთ კიდევ რამდენსამე დღეს გადაწყვეტილება თქვენი და იმ დღეს, რომელსაც მე ხვალ დაგინიშნავთ რიჟრაჟისას, ყველანი: მოძღვარნი და წინამძღვარნი, მღვდელნი და ერნი, მხედრობანი და მხედართმთავარნი გამოდით ციხის გარეთ და მელოდეთ მდინარისა წყლისა პირიდან მომავალს ასურთა ბანაკიდან. იქიდან იხილავთ თქვენ ისრაელის ერის ხსნას და დაცვას ჩვენი წმინდა სჯულისას. მშვიდობით! ხვალ დილით რიჟრაჟისას მელოდეთ ციხის კარებთან. მშვიდობით!... ცხონდეს ისრაელ და სჯული მოსესი უკუნისამდე!.. (გავარდება აღტაცებული სახით. ყველანი რჩებიან გაოცებულნი).

ელიაკიმ. ოზია?!,,.

ოზია. საბრი?!

ხაბრა. სარმი?!

ხარმა. ახოორ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგელანი. რა გვესმის ესა?!

ელიაკიმ. თვით ღმერთი ეგოვა ხომ არ ჩასვენებულა მაგის გულსა?!

ახიეზრ. რალაც საშინელს, ჯერედ უქნელს საქმეს უნდა ვეღოდეთ მაგ უცნაური დედაკაცისაგან...

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოზია. შენ, რომელმანც არა იცოდი-რა გარდა ლოცვებისა, ფსალმუნთა, საგალობლებისა, სამღრთო წიგნებისა, სამღრთო სჯულისა და სხვათა წიგნთა კითხვისა, რომელნიც მოგვითხრობენ სხვა-და-სხვა ერთა ცხოვრებასა და საქმეთა, არა იცოდი-რა გარდა სახლოსნობისა, შენ იხსნა იუდა?! იხსნა ისრაელი?! იხსნა სახლი და სჯული უფლისა ჩვენისა?!

ოვდათ. ჰოი, ისმინეთ ისრაელისა უძლიერესნო გმირნო და პატრონნო! ისმინეთ და ნუ გიკვირთ ძალა მისი, რაიცა გვეჩვენება ჩვენ მცირედათ. რა არის ნაბერწკალი? და ნაბერწკალისაგან იწვიან მთელი დაბანი და ქალაქნი, მთელი ტყენი და მდელონი, მთელი სამეფონი და სამთავრონი. რა არის წვეთი სამსალისა? და წვეთი ესე ულებს ბოლოს უძლიერესთა მეუფეთა და დიდებულთა, უძლიერესთა მკლავთა და ძალათა. მაშ ნუ გიკვირთ, რომ უძლური დედაკაცის ხელითაც გაკეთდეს საქმე ძლიერი. შეაჩერეთ კიდევ რამდენსამე დღეს გადაწყვეტილება თქვენი და იმ დღეს, რომელსაც მე ხვალ დაგინიშნავთ რიჟრაჟისას, ყველანი: მოძღვარნი და წინამძღვარნი, მღვდელნი და ერნი, მხედრობანი და მხედართმთავარნი გამოდით ციხის გარეთ და მელოდეთ მდინარისა წყლისა პირიდან მომავალს ასურთა ბანაკიდან. იქიდან იხილავთ თქვენ ისრაელის ერის ხსნას და დაცვას ჩვენი წმინდა სჯულისას. მშვიდობით! ხვალ დილით რიჟრაჟისას მელოდეთ ციხის კარებთან. მშვიდობით!... ცხონდეს ისრაელ და სჯული მოსესი უკუნისამდე!.. (გავარდება აღტაცებული სახით. ყველანი რჩებიან გაოცებულნი).

ელიაკიმ. ოზია?!,,.

ოზია. საბრი?!

ხაბრი. სარმი?!

ხარმი. ახოორ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზეკანი. რა გვესმის ესა?!

ელიაკიმ. თვით ღმერთი ეგოვა ხომ არ ჩასვენებულა მაგის გულსა?!

ახიმარ. რალაც საშინელს, ჯერედ უქნელს საქმეს უნდა ვეღოდეთ მაგ უცნაური დედაკაცისაგან...

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკ

***

(ჰეინედან)

I

მომაყრდნე დოეა, ჩამეკარ ტკბილად,
მო შევურიოთ ცრემლი ცრემლშია;
გულს დამაწაფე მხურვალე გული,
ორივ დაიწვას ტრფობის ცეცხლშია.

რომ ტრფობის ალში ორივეს ცრემლი
დვარად იქცევა, წავა ჩქეფითა,
ჩაგიხვევ მკერდში მაშინ დამტკბარი,
მოვკვდები ტანჯვით-ნეტარებითა.

II

კმარა კვნესა და ტირილი!
რად ვიშფოთებ ტანჯულ გულსა!
ზამთრისაგან დასუსხული
ველი ტურფა გაზაფხულსა.

ნუ თუ ეველგან დალატია?!.
დიდი არის დვთის სამყარო!
ვინ დამიშლის, რომ ამ ქვეყნად,
რაც კარგია, შევიყვარო!

ს.ს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბატონყმობა სამეგრელოში

კ. ბარამზდინისა

IV *)

სამამულო იურისდიკცია.—გლეხების პატრონობა გაჭირვების ჟამს.— მებატონეთა მამულის განუყოფელობა.—ვისა რჩება ამოწყვეტილ გლეხთა ქონება?—დასახლებულ მამულის გადასვლა მემკვიდრეებზე.—ერთ მებატონისაგან მეორე მებატონესთან გადასვლა გლეხებისა.—სასოფლო საზოგადოება.—წესი გლეხის დამყარებისა მამულზე.—გაყოფა კომლთა.—საკუთრება გლეხისა.—გლეხის გადასახლება ერთ მამულიდან მეორე მამულზე.—საზოგადო დახასიათება მებატონისა და გლეხთა დამოკიდებულებისა.—მნიშვნელობა მომავალის რეფორმისა.—საჭიროება სასწავლებლების გახსნისა.—დასკვნა.

წინა წერილიდან დავანახვეთ მკითხველს, თუ რა და რა ნაწილიდან არის შემდგარი სამეგრელოს საზოგადოება. აქედან შეგვიძლია ის დავასკვნათ, რომ გლეხები ორ კატეგორიად განიყოფებიან, სახელდობ: **მონებად**, რომელთაც მოჯალაბენი ეკუთვნიან, და **მეკომურებად**, რომელთა დამოკიდებულება იმით გამოიხატება, რომ ზოგიერთი, ჩვეულების მიერ დაკანონებული, მოვალეობა და გადასახადი აწევსთ კისერზე. აბ შევსცდებით, თუ ამათ **ბატონ-ყმურად ვალდებულნი მეკომურნი** ეუწოდეთ სახელად.

მოჯალაბეთა შესახებ უკვე საკმაოდ ვილაპარაკეთ; მაგრამ **მებეგრენი** და **აფხაზნი** უფრო ვრცლად უნდა გავაცნოთ მკი-

*) იხ. „მოამბე“ № III, 1900 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხველს, რომ უმეტესად მკაფიოდ გამოვარკვიოთ მათი პირადი და სამიწაწყლო დამოკიდებულება.

ჩვენ არა ვკისრულობთ შეავადგინოთ სრული დებულება და ამ დებულებაში სავსებით აღვნუსხოთ უფლებანი და მოვალეობანი როგორც მებატონეთა, აგრეთვე ამ ჯურის გლეხთა. ჩვენ მხოლოდ ვეცდებით აღვნიშნოთ ერთად რამდენიმე მთავარი ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ამ უფლება-მოვალეობას.

—

1. სამამულო იურისდიკციას მებატონეთა და გლეხებს შორის სამეგრელოში ჩვენ ვერა ვპოვებთ. ეს ფაქტი მეტად შესანიშნავია, ამიტომ რომ ბატონ-ყმობა აქ უმაღლეს განვითარებამდე არის მისული და, მაშასადამე, უამიურისდიკციოდ არ უნდა ეარსებნა ამ მხარეში; მაგრამ ამის მიზეზი სხვა-და-სხვა გარემოება გახდა, და ჩვენც საჭიროდა ვსთვლით თითოეული მათგანი განვმარტოთ.

1811 დი 1812 წლებში დიდი გასაჭირი და უბედურება ეწვია მთელს აღმოსავლეთ ნაწილს შავის-ზღვის პირისას და მასთან ერთად სამეგრელოსაც; ეს უბედურება ხალხს დღესაც ახსოვს; ამ წლებში შიმშილობამა და ჟამმა მუსრი გაავლო აქაურობას. სოფლელნი, ჟამისაგან თავზარდაცემულნი და შიმშილისაგან დატანჯულნი, თავიანთს სახლკარს თავს ანებებდნენ და თავის საშველად გარბოდნენ. ბევრი გადაიხვეწა მაშინ კავკასიის სხვა-და-სხვა მხარეს, და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. მებატონენი არამც თუ არ იჭერდნენ გლეხებს, პირიქით თვითონ აქეზებდნენ გადასახლებულიყვნენ, რადგან არა ებადათ-რა მათთვის ეჭმიათ. ამგვარად დაიწყო პირველად მეგრელ გლეხების გადასახლება ქართლ-კახეთში, რამაც დაამყარა დღესაც არსებული ფიზიოლოგიური კავშირი საქართველოს ამ ორ ნაწილის გლეხთა შორის. როცა ჟამიც მოისპო და შიმშილობაცა, უკან ძალიან ცოტანი დაბრუნდნენ; უმეტესობა ახალ მამულებზე დარჩა, განსაკუთრებით კახეთში, სადაც ბუნებაც სამეგრელოს ბუნებასა ჰგავდა, თავისუფალი მიწა-წყალიც ბლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

�ად იყო და გლეხის შრომაც კარგად ჯილდოვდებოდა. ქართლ-კახეთის მებატონეებმა ახალმოსული გლეხები უმეტესად ხაზ-ნებად მიიღეს, და, მოკლე ხანში, გადმოსახლებულმა გლეხებმა სახლკარი გაიჩინეს. ბევრი მათგანი სახაზინო და საეკკლესიო გლეხთა საზოგადოებას მიეწერა და სხვებთან ერთად იმათაც დაიწყეს სახელმწიფო და საერობო გადასახადის ხდა. ერთის სიტყვით, სამეგრელოს გლეხებმა, ჟამსა და შიმშილობას რომ გამოექცნენ, ქართლ-კახეთში ფეხი მოიკიდეს და უკან დაბრუ-ნებას სულ აღარ ჰფიქრობდნენ. მაგრამ სამეგრელოს მებატო-ნეებს რაკი გლეხები შემოაკლდათ, მათმა შემოსავალმაც იკ-ლო, ამიტომ ძალით დაუწყეს თავისს გლეხებს დაბრუნება და დახმარებისათვის მთავრობას მიმართეს. მეგრელები რუსების შე-მოსვლამდე რომ გადასახლებულიყვნენ ქართლ-კახეთში, იქაურს მეფეს, რაკი ერთხელ შემოუშვებდა, ნება ექმნებოდა თავისს ქვეშევრდომებად ჩაეთვალა და სამეგრელოს მთავრისათვის არ დაებრუნებინა; მაგრამ ეს ამბავი რუსის მმართველობის დროს მოხდა, როცა ყველა ეს პროვინციები ერთის კანონის მფარ-ველობის ქვეშ იყო, როცლის ძალით ბატონს ნება ჰქონდა, თავისი ყმა თუნდ ზღვის ფსკერშიაც ეძებნა, და წამოეყვანა; ამიტომ მთავრობა ენერგიულად უნდა დახმარებოდა ამ გლე-ხების დაბრუნების საქმეში. მართალია, ადმინისტრაციამ, გან-საკუთრებით ბარონ როზენის დროს, დიდად გამოიდვა თავი და ქომაგობა გაუწია ბატონებს, ბატონებიც ცდილობდნენ ძალა-თი დაებრუნებინათ თავისი ყმები, მაგრამ მაინც ვერას გახდ-ნენ. ბატონები იძულებულნი გახდნენ თავიანთს ყმებს სხვა-და-სხვა შეღავათს დაჰპირებოდნენ,—ოღონდ კი დაბრუნდითო, სხვა-და-სხვა საშუალებით იტყუებდნენ სამეგრელოში.

ჩვენის აზრით, ამ ხანებში განვითარდა სავსებით სამეგრ-ელოში **დებულება**, ე. ი. მკაფიოდ განისაზღვრა გლეხთა მოვა-ლეობანი. გაჭირვებამ მებატონენი იძულებულ ჰყო ახალის პირობებით შეჰკვროდნენ თავიანთს გლეხებს და თან-და-თან აელაგმათ თავისი თვით-ნებობა და დესპოტიზმი. ამავე დროს, როგორც დროული კაცები ამბობენ, აზნაურობამ ცოტ-ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად ხელი აიღო ფეხ-მოუკიდებელ ცხოვრებაზე; თავიანთს მამულებზე დაემყარნენ და ქოხების მაგივრად სახლები წამოსდგეს.

—

აი, ასეთს გარემოებაში მოუსწრო თავისს ქვეყანას სამეგრელოს მთავარმა დავითმა, რომელმაც ჯერ ისევ მამის სიცოცხლეში, 1839 წელს, დაიწყო მართვა ამ ქვეყნისა. დავითი პირველი მთავარი იყო სამეგრელოსი, რომ ევროპიული განათლება მიიღო. თავისი ყრმობა მაშინდელ დროის მოწინავე რუსებში გაატარა ამ მთავარმა. ჯერ ბარონ როზენის სახლში ალიზარდა. ბარონ როზენი რამდენსამე წელიწადს იყო აქაური მმართველი და ყველანი დიდის პატივისცემით იგონებენ. დავითი მეტად მტკიცე ხასიათისა და ნათელ გონების კაცი იყო, თავისს მოქმედებას კაცთ-მოყვარული და განათლებული კვალი დაამჩნია. ყველგან და ყველაფერში მძლეველად და გამარჯვებულად რჩებოდა. ამ შემთხვევაში დიდად ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ განსაკუთრებულის, ავტონომიურის ხასიათის უფლებით იყო მოსილი. ქვეყნის შინაურად მართვა-გამგეობის საქმეში სრული ბატონი იყო, მისს გონიერს რეფორმებს და ხალხისთვის საწალმართოდ ზრუნვას ხელს არაფერი უშლიდა, და ამ სახეირო გარემოებით კიდეც ისარგებლა. პირველად იმან შემოიღო წერილობითი წარმოება საქმეთა, და მის შემდეგ დარჩენილი საბუთები მოწამეა მისთა კეთილ განზრახვათა.

სამეგრელოში დავითი როდი უყვარდათ. მის სიცოცხლის ბოლო ჟამს ვერცხლ-მოყვარეობის გავრცელებას იმასვე აბრალებდნენ; მაგრამ დრტვინვა თუ გაისმოდა, ისევ მაღალ წოდების მხრივ. ხოლო ამ დრტვინვის მიზეზი ის იყო, რომ დავითი მედგრად ჰლაგმავდა მათს თვითნებობას. და, კაცმა სიმართლე უნდა სთქვას, დავითს ბევრი კარგი უქნია და ბევრი ღირსება ჰქონდა. მამა მისი, ლევანი, სიცოცხლეში ძალიან უყვარდათ ; სიმღერებში ახლაც იხსენიებენ მისს სახელს; მაგრამ ლევანი მთავარი კი არა, მოქეიფე კაცი იყო, მონადირე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არშიყი, თავის დღენი იქით-აქეთ დადიოდა და საქმეს გაურ-ბოდა.

პირველი და უძირითადესი მთავრული მოქმედება დავითისა იყო დაწესება: 1) უმაღლესის მართვა-გამგეობისა, რომელსაც ეკითხებოდა უმაღლესი ადმინისტრატიული გაწესრიგება ქვეყნისა და უმაღლესივე სამოქალაქო სამართალი, და 2) ადგილობრივ მდივანბეგთა, რომელთაც დაევალათ სასოფლო პოლიციის მოხელეობა და სამოსამართლო-პოლიციური გარჩევა და გადაწყვეტა იმ დავათა, რომელნიც 150 მანეთს არ აღემატებოდნენ.

მდივანბეგის ინსტრუქციებმა 1840 წელს დაიწყო მოქმედება. თავი-და-თავი მოვალეობა მდივანბეგთა იყო: 1) დაცვა-ფარვა ყველას საკუთრებისა და ალაგმვა მეტად გაკადნიერებულ თვითნებათა, რათა ყველა ქვეშევრდომი მთავრისა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ თავის საკუთრების მოხმარება თავისუფლად შეეძლო და მისის ნაშრომის ნაყოფს არავინ წაართმევდა—ძალათი; 2) მორიგება მოდავეთა საქმის დაწყებამდის; 3) შეეტყოთ, მცხოვრებთ ვის რა უჭირდა, და წარმოედგინათ თავიანთი აზრი მათის მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ; 4) მიეღოთ, როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი საჩივარი მცხოვრებთაგან, განურჩევლად ყველასაგან, და სამართალი დაედგინათ სამეგრელოში არსებულის კანონის, ან ძველი ჩვეულების თანახმად; 5) სამართალი, სისწრაფით დაედგინათ და ყველა მომჩივანთათვის სათანადო პასუხი მიეცათ და ისე დაეყენებინათ საქმე, რომ მომჩივანნი საქმეს არ მომცდარიყვნენ.

ამ საზოგადო წესების მფარველობის ქვეშ იყო ყველა წოდება. გლეხს შეეძლო თავის მებატონესათვის ეჩივლა და მდივან-ბეგი უეჭველად უნდა გარეულიყო ყველა საქმეში, რომელიც კი მებატონესა და მისს ხელ ქვეითთა შორის ასტყდებოდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ბრძანება მთავრის დავითისა, 1843 წელს გამოცემული, რომელშიაც ნათქვამია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გავიგე, რომ ზოგიერთნი თანამდებობის პირნი და მებატონენი მომჩივანთ ჩემთან მოსვლის ნებას არ აძლევენ. მე თვითონ ჩემის თვალით დავინახე სარკმლიდან, რომ მებატონემ მომჩივანი, თავისი გლეხი, ჩემთან არ მოუშვა და გარედ გააგდო. ამიტომ, მდივანბეგებს ვუბრძანებ, გამოუცხადონ მებატონეთა— ასე კვლავ არა ჰქნან, ხოლო მდივანბეგებმა მომჩივანთაგანს არავის დაუშალოს ჩემთან მოსვლა“.

მაშინდელ უმაღლესს მმართველობის არხივიდან სჩანს, რომ გლეხების საჩივრების გარჩევა და სამართლის გარდაწყვეტა მიენდობოდათ ხოლმე, როგორც პირველხარისხოვან, ისე მეორეხარისხოვან მდივანბეგებს.

აქ ამოვწერთ რამდენსამე ბრძანებას უმაღლესს მმართველობის ჟურნალებიდან.

„24 მაისს 1849 წ. № 2295. გლეხმა ახალკოჩი შელიამ თავის ბატონს თავადს გიორგი ა***-ს უჩივლა—მიწა და საქონელი წამართვაო. ამიტომ, სოფ. ჯვარის მდივანბეგს ებრძანება, გაარჩიოს ეს საჩივარი და, თუ გლეხი მართალია, წანართმევი დაუბრუნდეს და შემდეგშიაც დაფარულ იქმნას შევიწროებისაგან“.

იმავე წლის 16 აპრილს, მარტვილის მდივანბეგს ებრძანა გარჩევა გლეხის ივანე ცხაკაიას საჩივრისა და კანონიერ განკარგულების მოხდენა. ეს გლეხი თავის მებატონეებს თავადთ ჩიქოვანთ უჩივოდა, მიწა წამართვესო.

27 მაისს მდივანბეგს თავადს როსტომ ჩიქოვანს ებრძანა გლეხების არჯევანი და ჯარა ჟორდანიების საჩივრის გარჩევა და დაკმაყოფილება, თუ მათი საჩივარი საფუძვლიანი აღმოჩნდებოდა. ეს გლეხები თავის მებატონეს თავადს დადიანს უჩივოდნენ—უკანონოდ თავის ქალს მზითევში გაგვატანაო.

30 აპრილს 1850 წ. № 964-ით სოფ. ხუჯუნის მდივანბეგს შემდეგი მიწერილობა გაეგზავნა: მებატონეს თავადს დადიანს თავისი გლეხი ხახულია ხორშია აუყრია და გაბუნიასათვის მიუცია. მებატონეს უფლება არა აქვს გლეხი სხვაგან გადაასახლოს, შეუძლიან მხოლოდ სხვას მისცეს იმ პირობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ წინანდელ მიწაზე დასტოვოს და მიწაც არ წაართვას, ამიტომ, აღეკრძალოს თავადს დადიანს აყრა ზემოდ დასახელებულის გლეხისა.

მახარიკა ფაჩულია მებატონეს შალამბერიას უჩივოდა— უმამულოდ სხვას მიჰყიდა ჩემი თავიო. ამის გამო 30 იანვარს 1850 წელს № 289 სუჯუნის მდივანბეგს ებრძანა: „თუ მთხოვნელი მოჯალაბე არ არის, მებატონე ვერსად გადაასახლებსო; შეუძლიან გაჰყიდოს, მაგრამ სადაცა სახლობს, იქიდან ვერ აჰყრისო“.

ამ ზემორე თქმულისა და რამდენისამე, სახელდახელოდ დასახელებულის, მაგალითის შემდეგ აშკარაა, რომ მებატონეთა იურისდიკცია კიდეც რომ ყოფილიყო, უნდა გამქრალიყო დავითის მთავრობის დროს. ხოლო თვით ხალხიც, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდა, თუ მემამულე თავადს ან აზნაურს შეეძლებოდათ თვისთა ქვეშევრდომთა მოსამართლედ ან საპოლიციო ორგანოდ ყოფილიყვნენ თავიანთის მამულების საზღვრებში. მთავარმა დავითმა იმდენად შეამსუბუქა ბატონ-ყმობის სიმწვავე, რომ რუსეთის იმ დროის საერთო კანონმდებლობასაც გაუსწრო წინ.

აი, მთავარი მიზეზი იმისა, თუ რისთვის ემდუროდა მალალი წოდება დავითს. როგორ არ დაემდურებოდნენ, როცა ნებას არ აძლევდა ამ წოდებას ხალხი ხელში ჩაეგდო, და თვითონ ერეოდა მათს საქმეში! რა თქმა უნდა, დავითს დიდი ბრძოლა სჭირდებოდა მამა-პაპათაგან შესისხლხორცებულ ჩვეულებასთან, ძლიერთა ფეოდალურ სისასტიკესთან თვის ურჩ თავადიშვილების თავგასულობასთან! მაშინაც კი ბევრი უსამართლობა ხდებოდა, ძალ-მომრეობა იმის დროსაც სტანჯავდა საწყალს ხალხს.

—

დავითის სიკვდილის შემდეგ ოთხმა წელმა გაიარა, ისე 1857 წელს გლეხები მებატონეებს აუჯანყდნენ. ამის მიზეზით, სანამ მემკვიდრე ნიკოლოზი სრული წლოვანი ვახდებოდა, სამეგრელოში რუსის მმართველობა იქმნა შემოღებული, ეს აჯან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყება ხალხისა ღირსია აღწერისა. უძალმომრეობოდ ხალხმა მხოლოდ უკმაყოფილება განაცხადა და, რადგანაც ჩვეულების თანახმად არ გვექცევიან მებატონენი, სამართალს ვითხოვთო. გლეხები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და ფიცსა სდებდნენ, —მებატონეებს იმაზე მეტს ნუ მივსცემთ, რასაც ჩვენნი მამა-პაპანი აძლევდნენო; ძალ-მომრეობა არავისთან უხმარნიათ, მხოლოდ ზოგიერთ მებატონეებს მოახლენი წაართვეს და გაათხოვეს, წაართვეს აგრეთვე ხაჯალურები და რკინის ჯაჭვები, რომლითაც ზოგიერთს მებატონეს თავიანთი ურჩი გლეხები ჰყავდათ დაჭერილი. სამეგრელოში ამ დროს ერთის კერძო კაცის ძაფის სახვევ ქარხანაში ერთი ფრანგი-მჭედელი მუშაობდა, რომელიც მოწამე იყო პარიზის ბარიკადებისა, ან, შეიძლება, შიგაც ერია; რომ უთხრეს, სამეგრელოში ხალხმა რევოლუცია მოახდინაო, ყურები სცქვიტა და მზად იყო მარსელიეზაც კი შემოეძახნა, მაგრამ მალე გაუცუდდა იმედი: დაინახა, რომ რუსის მოხელემ გლეხები დააშოშმანა და ისინიც თავთავიანთს სახლებში წავიდნენ და მუშაობას მიჰყვეს ხელი; ფრანგმა ვერ მოითმინა და წამოიძახა: Fichtre! ces gredins-là ne sovent pas même faire une rèvolution! (ფუი! ამ გლახებმა ისიც კი არ იციან, როგორ უნდა რევოლუცია!).

თვითონ ამ საქმის ვითარებამ დააყენა რუსის ადმინისტრაცია სათანადო გზაზე. ვერც ისა ჰქნა, რომ გლეხი ბატონის სრულ თვით-ნებობისათვის დაემორჩილებინა, ამიტომ რომ ესეთი საქციელი მეტის-მეტი უსამართლობა იქმნებოდა; ვერც ის მოახერხა, რომ გლეხი სრულიად დამოუკიდებელი გაეხადნა, ამიტომ, რომ მაშინ იტყოდნენ, თვითონ ადმინისტრაცია თანაუგრძნობს და აქეზებს აჯანყებულთაო; ადმინისტრაციას ერთად-ერთი, საჩოთირო და ძნელი საშუალება დარჩა: ორს, ერთმანერთს ჩამოცლილ, წოდებას ახალი პირობები დაუდო, ე. ი. გლეხებს უთხრა, რასაც ადრე იხდიდით და რაც ჩვეულებისაგან დაკანონებულია, ახლაც აძლიეთ მებატონეთაო. გარდა ამისა ადმინისტრაციამ იკისრა, როცა კი საჭირო იქმნებოდა, მებატონეთა და გლეხთა შორის ატეხილი უთანხმოება გაერჩია და

ორივე მხარე მოერიგებინა. ამ წუთიდან ხასიათი ერთისა და მეორისაც, ე. ი. ბატონისა და ყმისა შესამჩნევად გამოიცვალა. გლეხს ბატონთან, რაც ემართა, თავის დროზე მიჰქონდა, მხოლოდ რაც ჩვეულებისაგან იყო დაკანონებული, იმას ერთ ბეწოს არც მოუმატებდა და აღარც დაუკლებდა, და, თუ ვინიცობაა, ბატონი ზედ-მეტს მოსთხოვდა რასმე, გლეხი მაშინათვე რუსის ადმინისტრაციას მიჰმართავდა ცვა-ფარვისათვის. მებატონემაც, თავის მხრივ, ზედმეტის თხოვნას თავი ანება და მხოლოდ იმასა ცდილობს, გლეხთან უსიამოვნება რამე არ შემხვდესო. ბანძასა და ნახუნუში თავადმა ფალავებმა, ადგილობრივის ადმინისტრაციის ჩაგონებით, შეადგინეს სია, თუ რა და რა ემართათ მათს გლეხებს, ამას ხელი მოაწერეს თვითონ გლეხებმა, და ამის შემდეგ სრული მშვიდობა დამყარდა ბატონთა და გლეხთა შორის. საცა ამგვარი დამოკიდებულება არის, იქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც კი მეტია მებატონეთა სამამულო იურისდიკციის არსებობის შესახებ.

—

2. მებატონენი თავიანთს თავს მოვალედ სრულებით არა სთვლიან შიმშილობისა ან სხვა უბედურობის დროს გლეხებს მიხედონ და დაეხმარნენ, ხოლო რაკი სამამულო იურისდიკცია არ არსებობს, პასუხსაც არ აგებენ თავიანთის ქვეშევრდომების ზნეობის და ყოფა-ქცევის შესახებ.

—

3. ერთის გვარის მებატონეთ და ნათესავებს ხშირად აქვთ ხოლმე მამული გაყოფილი; უმეტეს ნაწილად, საერთოდ განუყოფელადა ჰფლობენ მიწა-წყალს. ყმები ბატონებს შუა არის ხოლმე დანაწილებული, ხოლო მიწას და ტყეს ერთად სარგებლობენ. ამ ჩვეულებას ხშირად ასეთი ამბავი მოჰყვება ხოლმე შედეგად: ბატონები მრავლდებიან და მათი და მათის ყმების რიცხვი ერთმანეთს დაჰშორდება ხოლმე. მოხდება ხოლმე, რომ მებატონე ათი კომლია, ხოლო ყმა—ხუთი: ყოველი კომლი ყმა ვალდებულია ორს კომლს მებატონეს ემსახუროს ხოლმე და სხ.-და სხ. ისაც მოხდება, რომ ერთი კომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ყმა შვიდს ბატონს ემსახურება. მთავარმა დავით დადიანმა დააწესა, ასეთს შემთხვევაში ერთმა მებატონემ სხვა მონაწილე მებატონეთაგან შეისყიდო საზიარო გლეხი და ამ ნაირად გლეხი ერთსა და იმავე დროს შვიდის ბატონის მსახურებისაგან განთავისუფლებულ იქმნესო.

—

4. მებატონეს უფლება აქვს დაეპატრონოს მამულს იმ გლეხისას, რომელიც უძეოდ ამოსწყდება, ან და ქალი დარჩება. უკანასკნელ შემთხვევაში ბატონს შეუძლიან ამოწყვეტილ გლეხის ერთ-ერთი ქალი თავის სახლში წამოიყვანს გასაზრდელად, მაგრამ ნათესავების თანხმობაც უნდა ჰქონდეს უეჭველად, და, ქალი სრული წლოვანი რომ გახდება, ბატონს არ შეუძლიან გათხოვება აღუკრძალოს. სხვა ქალები და ქვრივი ამოწყვეტილის გლეხის მიწაზე სცხოვრობენ, სანამ არ გათხოვდებიან.

—

5. დასახლებული მამული და უმამულო ყმები მემკვიდრეობით გადადის ბატონებზე, მხოლოდ მემკვიდრედ მამრობითის სქესის და ისიც პირდაპირის შტოის შვილნი არიან. ქალებს არა რჩებათ მემკვიდრეობა, მაგრამ დედ-მამის სიცოცხლეში თუ გათხოვდებიან, მშობლები მზითევში ატანენ ყმებს. ხოლო თუ მებატონეს სიკვდილის შემდეგ არ დარჩა არც ძე და არც შვილის-შვილი, მისი ქონება მეორე შტოის მემკვიდრეებზე გადადის, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავრის ნებართვაა საჭირო, რადგან უძეოდ ამოწყვეტილ ოჯახის მამულს შეუძლიან მთავარი დაეპატრონოს. ვალისათვის მამულს სამუდამოდ ვერავინ ჩამოართმევს, გაყიდვაც იშვიათად მოხდება ხოლმე, ამ შემთხვევას ხალხი ცუდის თვალით უყურებს და სძრახავს; დროებით ჩამორთმევა მამულისა, დაგირავება ხშირად არის ხოლმე და ჩვეულებისგანაც ნება-დართულია. მამულის ერთი კაცის ხელიდან მეორის ხელში გადასვლას ძალა მაშინ-ღა ექმნება, როცა ამის შესახებ მთავარი სიმტკიცის ქაღალდს შეადგენს; ამის წესი მთავარმა დავით დადიანმა 1840 წელში შემოიღო.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აქ არსებულის სტუმართ-მოყვარეობის ჩვეულების თანახმად მებატონე სულ მუდამ მზად არის ხოლმე სახლში შემოუშვას ყველა, ვისაც კი ბინა და მისი მფარველობა სჭირია. დიდ სირცხვილად ითვლება სტუმრის მიუღებლობა. ამ ჩვეულების ძალით გლეხს შეუძლია თავის ბატონის უდიერობას თავი დააღწიოს და მეორე, უფრო შეძლებულ, მებატონესთან გადავიდეს. თუ ახალი ბატონი ძლიერი მფარველი შეექმნა, გლეხი თავისს ძველს ადგილს აღარც კი უბრუნდება, რადგან წინანდელს ბატონს გაუჭირდება ძალით დაბრუნება მისი. უფრო სუსტნი მებატონენი ძლიერებს ურიგდებიან და, რაკი გლეხის სასყიდელს მიიღებენ, ამას სჯერდებიან და გაქცეულ გლეხების დაბრუნებას არ გამოეკიდებიან ხოლმე. ამნაირივე ჩვეულება აქვთ მეზობელ მხარეებში — სამურზაყანოსა და აფხაზეთში, ამიტომ ამ მხარეებში ხშირად მირბიან ხოლმე სამეგრელოს გლეხები. განაწყინებული მეგრელი გლეხი იქეთკენ კიდევ იმიტომ მირბის ისეთის სიადვილით, რომ იქაური მიწა ორჯერ მეტად ნაყოფიერია სამეგრელოსაზე და არც ბატონ-ყმობაა. ბატონ-ყმობის მაგივრად თავისუფალი, პირობებზე დაფუძნებული, დამოკიდებულებაა მიწის პატრონისა და იჯარადარ-გლეხის შორის. გლეხს, როცა უნდა, მაშინ შეუძლია ერთს მებატონეს თავი დაანებოს და სხვასთან გადავიდეს. ამ ჯურის გლეხებს სამურზაყანო-აფხაზეთში ფიოშა ჰქვიან. საზოგადოდ, მეგრელ გლეხის შესახებ ის ითქმის, რომ გადასვლა-გადმოსვლა მეტად ეადვილება. ამ გლეხს ერთი ფიცრული სახლი, ან მოწნული ფაცხა უდგას და ორი-სამი მოწნულივე სასიმინდე; ეზოს, საღაც ესენი დგანან, შემოვლებული აქვს ნარ-ეკალა, რომელიც იმ ზომამდე გაიზრდება ხოლმე, რომ ვერც კაცი გაატანს და ველარც მხეცი. სახლში მხოლოდ კარები და ჩარჩოებია წაბლის სქელ ფიცრებისა, თორემ სხვა მასალა, რაც მოხვდებათ, იმ ხისაა, ხოლო თვითონ სახლს ან ისლით ხურავენ, ან-და მუხის ყავრით. ამ მასალის შოვნა ყველგან შეიძლება, ამიტომ გლეხი წაბლის ფიცრებს, სახლის თავი-და-თავ მასალას, ურემზე დასდებს და მთელის ოჯახითა და საქონლით სამურზაყანოში ან

ეროვნული ბიბლიოთეკ

აფხაზეთში მიდის. მთელი მოსახლობა მისი ურემზე ეტევა და სანამ ასე ეადვილება მისი გადატანა, ერთ ადგილს იმ ზომამდე არ აფასებს და აღარ სცდილობს იმაზე ფეხის მოკიდებას და ბინადრობს.

—

7. სასოფლო საზოგადოებას სამეგრელოში ვერ იპოვით; ესეთი საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელიცაა იქ, სადაც არ არის მამულის საერთო მფლობელობა, ერთგვარობა სოფლის მცხოვრებთა და მათის ინტერესების ერთიანობა. ყოველი გლეხი თავისთვის, განცალკევებულადა სცხოვრობს, თავის მიწას ხნავს და სთესავს და მისსა და მეზობელს შუა ისეთი ღობეა გაკეთებული, თითქო ერთმანეთის მტრები იყვნენო. მცხოვრებთა საზოგადოებრივი უფლებანი ერთი-მეორეს არა ჰგვანან და მათს შორის გაურღვეველი კედელია აღმართული,— რა უნდა ჰქონდეს საერთო აზატსა და მსახურს, ხოლო უკანასკნელსა და გლეხს—ერთმანეთთან; მოჯალაბეთა შესახებ, თუ გნებავთ, ნურას ვიტყვით: ერთი თითქმის თავისუფლადა სცხოვრობს, მდიდრულად, მეორეს კი—კისერზე ათასი გადასახადი აწევს მებატონისა, კვნესის და გაჩენის დღეს იწყევლის. მსახურისა და აზატის შეურაცხყოფისა და სისხლისათვის ადათისა და ვახტანგ მეფის კანონის ძალით დამნაშავეს 24 თუმანი უნდა გადახდეს, გლეხისათვის კი—ამის ნახევარი; ამიტომ გლეხი მსახურის ნახევარი კაცია. ასეთს, ერთმანეთთან, განცალკევებულ მკვიდრთა შორის საერთო პასუხის გება და თავდებობა განა შეიძლება? ეს უერთიანობა სოფლის მცხოვრებთა და განცალკევება მოსახლეობისა დიდს გასაჭირში აგდებს ხოლმე სოფლის პოლიციას. სამეგრელო დაუსრულებელი ლაბირინთოა ტყეებისა და ბაღებისა, „სადაც ხშირად ადგილობრივს მკვიდრსაც კი გაუჭირდება შეუმცდარად გზის ჩვენება. და საცა გზის ნახვა სჭირს, იქ, რა გასაკვირველია, ქურდობა ისეთის სიადვილითა ხდებოდეს!

—

8. გლეხი მებატონის მიწაზე მიკრულია, ეს მიწა მისი საკუთრებაა და იურიდიულად ამ მიწას მაშინ შორდება, როცა სრულებით თავისუფლდება და თავს იხსნის. მაგრამ ფაქტიურად რომ პატრონია მიწისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იურიდიულადაც ამავე გლეხს ეკუთვნოდეს მიწა. ამ გარემოების მიზეზი ორი წესია: წესი გლეხის-მიერ მიწაზე დამყარებისა და წესი—ღალისა და ბეგრის გადახდევინებისა. მაგალითით დავასურათოთ ჩვენი ნათქვამი. ვთქვათ, მებატონემ თავის გლეხს თორმეტი ქცევა მიწა მიუზომა, ზედ დაამყარა და ყოველ წლიურად ხარკი დაადო, რომელიც, ფულად რომ ვაქციოთ, ვთქვათ, ხუთ მანეთს უდრის. რამდენიმე წლის უკან გლეხის ოჯახმა იმრავლა და ერთ სახლში ვერ მოთავსდა, მაშინ ერთი კომლი ორ, სამ კომლად გაიყო და კომლად გაყოფასთან ერთად მიწაც გაიყვეს. ახლა ყოველ კომლს ოთხ-ოთხი ქცევა ერგო და სამივე კომლი გაყოფის შემდეგ პირველს ორ წელიწადს, რომელიც საშელავათო წლებად ითვლება, მებატონეს იმავე ხუთს მანეთს აძლევს, რასაც თავდაპირველად ერთი, გაუყოფელი კომლი იხდიდა; მესამე წელიწადზე ყოველი ახალი კომლი ხუთ-ხუთ მანეთს იხდის, ასე რომ მებატონეს იმავე თორმეტ ქცევიდან ახლა 15 მანეთი შემოუდის. ვენახზე კი ამ წესით არ ახდევინებენ ხარკს,—ღვინის გადასახადი იმნაირადვე ნაწილდება, როგორადაც ოჯახი კომლებად იყოფა, და სხვა გადასახადებსავით არა მრავლდება. მიწა გლეხის მემკვიდრეებსა რჩება და მემკვიდრეების გაყოფასთანერთად ისიც იყოფა. ხარკი კი ისევ ისა რჩება რაც უნდა ცოტა მიწა ერგოს თითო კომლს. ამასთან განსაზღვრული არ არის, თუ რის ნაკლები არ უნდა ჰქონდეს გლეხს მიწა და თუ აკლია მიწა გლეხს, მებატონე მოვალეა თუ არა, დადებული რიცხვი ქცევა, მისცეს განაყარს კომლს, ან და რაკი მიწა მცირედი ექმნება, გარდასახადიც შეუმციროს თუ არა? ადათისა და ჩვეულების ძალით მებატონე თავისს თავს მოვალედ არა სთვლის—გლეხებს, რაც ერთხელ მისცა, იმაზე მეტი მიუზომოს მიწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წესწყობილების მიზეზით გლეხებს ხშირად არა ჰყოფნით ხოლმე მიწა; არ შეუძლიანთ არამც თუ გადასახადი აძლიონ მებატონეს, არამედ ოჯახი არჩინონ. ამიტომ, იძულებულნი არიან დიდმამულიან მებატონეთ მიჰმართონ ხოლმე, მიწა გამოართონ სახნავ-სათესად და მოსავლის (მოდი) მეათედი აძლიონ. გლეხი, თავის ბატონის ნება-რთვით, დაქირავებულ მიწაზე გადადის და იურიდიულად პირველ ბატონის კუთვნილებად რჩება, ხოლო ფაქტიურად—უვადო მოიჯარადრედ ხდება მეორე ბატონისა. ამ შემთხვევაში გლეხი ორ ბატონზეა დამოკიდებული და ხშირად მოხდება ხოლმე, რომ იჯარა, ნაქირავებ მიწისთვის რომ იხდის, ნაკლებია იმ გადასახადზე, რომელსაც ძირეულ მებატონეს აძლევს. ისიც მოხდება ხოლმე, რომ გლეხი ქირავობის მაგივრად მთლად ყიდულობს მიწას, მაშინ თვითონ მესაკუთრედ იქცევა, მაგრამ მოვალე-გლეხად მაინცა რჩება.

ზემონათქვამიდან შემდეგი დავასკვნათ: **გარდასახადი სამეგრელოს გლეხებისა ადათითა და ჩვეულებით არის დაწესებული და განსაზღვრული, გარნა ამ გარდასახადის რაოდენობა დამოკიდებული არ არის სიმტკიცე-სიბეგრეზე იმ მამულებისა, რომელსაც მებატონე თავისს გლეხს აძლევს სამუშაოდ, ამიტომ ამ გადასახადს ბირადის შეხედულებით შემოღებულის ხასიათი აქვს.**

რა თქმა უნდა, ამნაირი ამბავი არ არის იქ, სადაც მებატონეს მიწა-წყალი ბევრი აქვს. დიდ-მამულიან მებატონის მიწაზე დამყარებულ გლეხის გადასახადი არამც თუ შეუფერებელია სამუშაოდ მიცემულ მამულის რაოდენობასთან, პირიქით გლეხს იმდენი მიწა აქვს, რომ ერთს კი არა, რამდენ'სამე კომლს ჰყოფნის და თითქმის მდიდრულადაც კი აცხოვრებს. სოფ. კოტიანეთში 6 კომლ გლეხს, გვარად გოგიებს, 3,000 ქცევაზედ მეტი აქვთ. ერთი მესამედი ამ მიწისა ტყით არის დაფარული, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი სახნავ-სათესად არის სახმარი. მაგრამ ასეთი დიდმამულიანი მებატონენი ბევრნი არ არიან. საკმარისია აღვნიშნოთ ვრცელი და ნაყოფიერი მიწები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადთ დადიანთა სოფ. ნოქალაქევსა, აბედათსა და ჯოლევში, რომლებსაც სხვა-და-სხვა სოფლების მებატონეთა გლეხები სამუშაოდ იღებენ და პატრონებს მოდს (მოსავლის მეათედს) აძლევენ.

—

9. მთავარმა დავით დადიანმა 1840 წელს აკრძალა გლეხთა ოჯახების დანაწილება, როცა ესენი ერთიდან მეორე ბატონის ხელში გადადიოდნენ; აკრძალა აგრეთვე უმამულოდ გაყიდვა გლეხებისა. ეს კანონი მოჯალაბეთ არ შეეხებოდა.

—

10. გლეხს უფლება აქვს თავისს სახელობაზე მიწა იყიდოს და ისარგებლოს როგორც თავისი საკუთრება. ხშირად თვითონ მემამულე, გლეხის მებატონე, მიჰყიდის ხოლმე ამ გლეხს მამულს და ნასყიდობის ქაღალდს აძლევს. ამით მებატონე აღიარებს, რომ გლეხს უძრავის ქონების შეძენისა და პატრონობის ნება აქვს. გლეხის უძრავს ქონებას მაშინდელი სამართალი იფარავდა,—ამის დასამტკიცებელი საბუთები ბევრია დაცული წინანდელ საქმეებში. დასასრულ, ყველაზე უკეთესად დასამტკიცებელ საბუთად იმისა, რომ მთავარმა დავით დადიანმა აღიარა ყმების უფლება მამულის შეძენისა, ის გარემოებაც არის, რომ როცა მღვდლები ბატონ-ყმურ მდგომარეობიდან გაანთავისუფლეს, მათ მიერ კეთილად შეძენილი მამული მათვე შეანარჩუნა მთავარმა.

—

11. მებატონეს შეუძლია თავისი ყმა აჰყაროს ერთი ადგილიდან და მეორე ადგილზე დაასახლოს, მხოლოდ საჭიროა ორისავ მხარის ნება-ყოფლობა და თანხმობა. ამ შემთხვევაში პირველ ორ წელიწადს გლეხს ის შეღავათი ეძლევა, რომ გარდასახადისაგან თავისუფალია, მერე კი იმავე გარდასახადს იხდის, რასაც წინანდელ მამულზე ყოფნის დროს იხდიდა. ეს წესი ისეთის ზედ-მიწევნით არის დაცული, რომ ორს ერთმანეთზე დაშორებულ სოფლებში ორი ერთი-მოგვარე მეკომური გლეხი რომ ესახლოს, გარდასახადი ერთსაც ის ექმნება, რაც მეორესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს. თუ მებატონემ მეტი მოსთხოვა, ყმა ეტყვის—ჩემი მოგვარე მავანს სოფელში ამდენსვე იხდისო და მე მეტი რისთვის გადავიხადოვო? ასე რომ გლეხი არ ივიწყებს—სად დაიბადა და საიდან გადმოესახლა.

—

აჰა, ის ფორმები, რა ფორმებშიაც გამოიხატა ბატონ-ყმობა სამეგრელოში; ეს ფორმები საზოგადო ცხოვრებისა დაწერილი არ იყო, კანონად არა ქცეულა, სული ედგა და არსებობდა მხოლოდ ადათისა და ჩვეულების ძალით.

ბატონთა და ყმათა შორის დამოკიდებულება განსაზღვრულია. ბატონი მთელი თვისი დღენი სხვისის ნაოფლარითა და ნაწვავ-ნადაგითა სცხოვრობს, თვითონ აღარ მუშაობს და გონივრული საოჯახო მუშაობა შეუძლებლადაც მიაჩნია. მისთა ქვეშევრდომთა-ყმათა ხელნი ერთის რომელისამე საქმის გაკეთებას არიან მიჩვეულნი და შეუძლებელია სხვა რამე გააკეთონ თვინიერ იმ საქმისა, რაც ერთხელვე უკეთებიათ. ერთხელ შემთხვევა მოგვეცა დაგვენახა, როგორ მოჰქონდა სამზარეულოდან სადილი სხვა-და-სხვა ქოთნებით 13 კაცს, ძონძებში გახვეულებს! ძალა-უნებურად გავიკვირვე,—ორის კაცის მოსარევ საქმეს ცამეტი კაცი რატომ აკეთებს-მეთქი? ამაზე მებატონემ აღმოოხვრით მიპასუხა, რომ ჩემი **სამზარეულოა**, ესე იგი მზარეულებია, ცამეტმა კაცმა მოიყარა თავი და საჭმლის კეთების მეტი არაფერი უნდათო; მათი რჩენა თვეში ხუთ თუმანზე ნაკლები არ მიჯდება; თუ სახლიდან დავითხოვე, ამის შემდეგ სულ არაფერს გამიკეთებენ, ამიტომ, იძულებული ვარ ძალა-უნებურად შევინახოვო. გლეხი მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც იმისი მამა-პაპა შვრებოდა, ესე იგი სთესავს სიმინდს, პურს, ღომს, მაგრამ არაფრის გულისათვის არ მოჰკიდებს ხელს სხვა სამუშაოს, ამიტომ, რომ ეს სხვა სამუშაო ახალ ბეგრად დაედება. რა თქმა უნდა, შეიძლება, მებატონემ უტყე მოჯალაბეს რასაც ეტყვის, ყველაფერი გააკეთებინოს, მაგრამ ასეთ ყმათა რიცხვი მცირედია: მაღალ წოდებას მოუწევს 639 კომლი მოჯალაბე, დანარჩენი 351 კომლი გლეხებს

ეკუთვნის; ამიტომ, კიდეც რომ მოინდომოს მებატონემ მოჯალაბეთა შემწეობით თავის ყოფა-ცხოვრების გამოცვლა საუკეთესოდ, მაინც ვერას გახდება. ერთმა თავადმა მოინდომა ბრინჯი მოეყვანა, მაგრამ ყმები პირდაპირ უარზე დადგნენ, ამ მცენარეს არ მოვუვლითო, ასე რომ მებატონე იძულებული შეიქმნა მუშები ექირავებინა. მაგრამ მუშების ქირავობა ყველას არ შეუძლიან, რადგან აქაურს მებატონეებს ფული სულ ცოტა აქვთ, გარდასახადს გლეხები ბუნებრივის ნაწარმოებით იხდიან და ასე რაც შემოუვათ, თვითონვე ხარჯავენ მებატონენი, და გასავალიც არა აქვთ.

მეორე მხრით, გლეხი თითქო დამონავებული არ არის და თითქო სულ მუდამ იმასა სცდილობს,—ბატონსა და იმას შუა განსაზღვრული დამოკიდებულება იყოსო, მაგრამ თავის დღეში არ შეუძლია უკეთეს დღეში იქმნეს, ერთავად დაავიდარაბაშია თავისს ბატონთან. დღეს, ვთქვათ, კარგად არის ბატონთან, თანხმობითა სცხოვრობენ და ერთმანერთს ეხმარებიან, მაგრამ, ხვალ ერთ-ბაშად ხუშტური მოუვლის ბატონს, მოინდომებს გლეხის გაკრეჭას, tailler d'en haut et d'en bas, როგორც ფრანგების სუზერენები ამბობდნენ ხოლმე, და მყისვე, დაუფიქრებლად, შეუდგება გულის ნადების ასრულებას. ვინ იცის რამდენი საშუალება არა აქვს მოგონებული გლეხის გასაფცქვნელად; ამ შემთხვევაში ბატონი არც თუ მკაცრად და უკმეხად იქცევა, არა, პირიქით ალერსითა და ფერებით გადის ფონს: მოვა გლეხთან და იმის სახლში ერთ კვირამდე იცხოვრებს, ან, ეტყვის, ჯარიმა გახდებაო, და საქონელს წაართმევს, ან კიდევ, ვითომ უცაბედად მომივიდაო და მიწას ჩამოუჭრის და გლეხის მეზობელს მიჰყიდის და მრავ. სხვ.; ათას ამ გვარ შარს მოსდებს. გლეხი ერთავად შიშშია და ამიტომ, სიამოვნებით ანებებს თავს თავის სამშობლოს და სამუშაოდ კახეთში მიდის. იქ შრომის სასყიდელს უკლებლივ შოულობს, შეუძლიან ფული მოაგროვოს და ბატონისაგან თავი დაიხსნას სამუდამოდ.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭვი არ არის, რომ 8 ნოემბერი 1864 წლისა*) ახალის ხანის დღეა კავკასიის იმ ნაწილისათვის, სადაც იმ დღემდე ბატონ-ყმობა არსებობდა; იგივე მნიშვნელობა აქვს იმ დღეს იმ კუთხეებისათვისაც, სადაც ეს რეფორმა უეჭველად უნდა მომხდარიყო. ამათს რიცხვში იყო სამეგრელოცა. ათის, თხუთმეტის წლის შემდეგ კაცი ველარც კი იცნობს სამეგრელოს,— ისე გადასხვაფერდება მისი შინაური ცხოვრება. ახალს სამიწაწყლო პირობებს, ახალს წესებს წოდებათა ურთიერთ-შორის დამოკიდებულებისას, ახალს სასოფლო სასამართლოების წესწყობილებას—ყველა ამ უმთავრესს საფუძველს საგლეხო რეფორმისას ის მოჰყვება, რომ თავს წამოჰყოფს ახალი, ხელუხლებელი ძალ-ღონე ქვეყნისა და სწორ ეკონომიურ განვითარების გზას დაადგება. რა თქმა უნდა, მაღალი წოდება დროებით შეწუხდება, მსხვერპლის შეწირვა მოუხდება, მაგრამ, ჩვენის აზრით, შესწუხდება მხოლოდ უმცირესობა შეძლებულ მემამულეთა, რომელთა ცხოვრება, მსგავსად რუსეთის მებატონეთა ცხოვრებისა, ძირითადად გამოიცვლება ყოველ-მხრივ. ამათ ხელი უნდა აიღონ იმ ცხოვრებაზე, როგორითაც მანამდე ცხოვრობდნენ, მსგავსად მამა-პაპათა, მუქთა-ხორებით გარშემოხვეულნი, და ეს, რა თქმა უნდა, გაუჭირდებათ.—„თუ ყმები არ მეყოლება,—ჰგოდებს სამეგრელოს შეძლებული მემამულე,—სულ დავიღუპები: არც ხვნა შემიძლია, არც ხის ჭრა, აღარც საჭმლის კეთება,—რა მეშველება?.“ რა თქმა უნდა, მისი გოდება ცოტათი გაზვიადებულია, იმდენად საშიშო არ იქმნება მისი მდგომარეობა, რომ ვერ შეეთვისოს, მაგრამ რაკი მუშაობას შეუჩვევარია და მომზადებული არ არის მომავალ ცხოვრებისთვის, მწარე დღე ბევრი დაადგება; მაგრამ, ვიმეორებთ, შესწუხდებიან მხოლოდ უმცირესობა მცონარა-მდიდრებისა, ხოლო უმრავლესობა მებატონეთა კი, აზნაურები, რომელნიც ისე განებივრებულნი არ არიან, ძალიან ადვილად აიღებს ხელს მუქ-

*) ამ დღეს გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება ყმების განთავისუფლების შესახებ ტფილისის გუბერნიაში.

თა-ხორულ ჩვეულებაზე და შეუდგებიან მრეწველობას და მოსაგებ საქმის კეთებას, სადაც კაცს თავის ღონისა და გამჭრიახობის იმედი-ღა უნდა ჰქონდეს. სამწუხაროდ, ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ-ჯერობით სამეგრელოში სასწავლებლები ძალიან ცოტაა. მხოლოდ მარტვილშია ერთი სასულიერო სასწავლებელი, სადაც სწავლა-განათლებას ღებულობენ მომავალნი სულიერნი მამანი სამეგრელოსი. ამ სასწავლებელში მეტად მწირს და რუსულის ენის ნახევრად საეკკლესიო ცოდნას ღებულობენ თავად-აზნაურთა შვილები. ამას უნდა მივუმატოთ სამხედრო სკოლა, ახლახან ზუგდიდში გახსნილი, რომელიც სამეგრელოს უნივერსიტეტად ძიაჩნიათ. სწავლის სურვილი კი დიდი აქვთ აქაურებს, ისე დიდი, რომ სოფლებში აქა-იქ თავისთავად გაიხსნა სკოლები, სადაც მასწავლებლებლად თითქმის უვიცნი არიან. ერთ ამგვარ სკოლათაგანში ჩვენ ერთად-ერთი წიგნი შეგვხვდა რუსული,—„სამხედრო დებულება“, და ამ წიგნის შემწეობით ბავშვების ხროვა რუსულს კითხვასა სწავლობდნენ. მთავრობა, რა თქმა უნდა, ეცდება, რამდენადაც კი შეიძლება, გაამრავლოს რიცხვი სკოლათა, რომლებიც ასე საჭიროა სწავლას მოწყურებულ ხალხისათვის ამ საზოგადო რეფორმის დროს! სასურველია აგრეთვე, რომ თუ სამეგრელოს თავადაზნაურობამ გლეხების განთავისუფლებისათვის ფული მიიღო, ერთი ნაწილი ამ ფულისა, აღმოსავლეთ საქართველოის თავადაზნაურობისავით, სკოლების გასახსნელად გადასდოს; სასურველია, არ დაივიწყონ ის გარემოება, რომ ამ დაწესებულებათა გახსნა-შენახვა მარტო მთავრობას არ უნდა აწვეს კისერზე, არამედ საზოგადოებამ თვით უნდი ითავოს და გაუძღვეს ასეთ საქმეს.

მაგრამ ასე იქმნება, თუ ისე, ოცი, ოცდა ათის წლის უკან ეს მხარე, ახლა რომ ტყითა და ხშირი გვიმრით არის დაფარული, ეს მხარე, ზღვის პირებზე ერთიანს, გაუვალს საფლობებს რომ წარმოადგენს, ეს მხარე, რომელიც ჰიპპოკრატის დროიდან ციებ-ცხელების ბუდედ ითვლებოდა,—სრულიად გამოიცვლება, გადასხვაფერდება. უცხოელები გარედან დიდძალ ფულს შემო-

იტანენ და მისის ძალუმის ნიადაგის შესამუშავებლად დახარჯავენ; ეს ფული მხოლოდ იმას ელოდება, რომ კავკასია დამორჩილებულ იქმნას და ადგილობრივი მკვიდრი ფეოდალურ წეს-წყობილების უღლიდან განთავისუფლდეს. და მაშინ, ყოველი განათლებული მეგრელი, თვისის ქვეყნის წარსულ ცხოვრებას რომ მოიგონებს, უნებურად გაითვალისწინებს ჩვენს თანამედროვე ეპოქას და გულ-წრფელად ლოცვა-კურთხევას გაუგზავნის მეფეგანმათავისუფლებელის წმიდა სახელს.

თ. ს—კია

ტფილისი
21 მაისს, 1865 წ.

(დასასრული)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები

LXXX*)

როდესაც ავთანდილმა თავისი გულ-შემოყრილი მეგობარი მოსულიერა (გვ. 302—303):

1343 ტარიელ ჰნახა ნაწერი კვლავცა მკვლელისა მისისა,
იკითხავს, თუცა აშეთებს კითხვა წიგნისა მისისა;
დაუყვის ცრემლმან სინათლე, ბნელად ჩანს შუქი დღისისა;
ავთანდილ ადგა, დაუწყო თხრობა სიტყვისა მქისისა.

1344. იტყვის თუ: „ნაქმრად არ ვარგა კაცისა გასწავლულისა,
აწ რადღა გვმართებს ტირილი, ჰხამს, დავსხდეთ ქმნად ღიმილისა;
ადეგ, წავიდთ საძებრად მის მზისა წახდომილისა,
ადრე მიგიყვან, მიყვანა არს შენგან მონდომილისა.

1345. ვითა გვმართებს გახარება, პირველ აგრე გავიხარნეთ,
მერმე შევსხდეთ, გავემართნეთ, ქაჯეთისკენ თავნი ვარნეთ,
ხმალნი ჩვენნი ვიწინამძღვრნეთ, მათნი ზურგნი დავიყარნეთ,
უპირველად შემოვიქცეთ, იგი მძორთ» დავაგვანეთ.“

1346. მერმე ტარიელ ამბავსა ჰკითხავს, აღარა ბნდებოდა,
შეჰხედნის, თვალნი ამართნის, შავ-თეთრი ელვა ჰკრთებოდა.
მართ ვითა ლალსა, მზისაგან მას ფერი ეზარდებოდა,
ვინ ღირსა, თუცა წყალობით ცა მიწყივ მობრუნდებოდა.

დიდის მწუხარებისა ან სიხარულისაგან კაცი თუმცა სწრაფად დაბნდება, ეგრეკვე ერთბაშად გონს ვერ მოვა. მოსულიერებული დიაღ ლაპარაკობს და მოქმედობს, მაგრამ სრული ცნობა ჯერ არ უძს, რეტიანსავით არის და მხოლოდ თანდათან ფხიზლდება. ტა-

*) იხ. „მოამბე“ № VII, 1900 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიელიც ტოტ-ტოტად მოდის გონს და ასეთი მისი ყოფა რუსთაველმა ნათლად გამოსახა მე-1340, 1343 და 1346 ხანებში. რასაკვირველია, რეტიანის კაცის გამოსაფხიზლებლად ისეთი ლონე ადარ არის საჭირო, როგორიც გულ-შემოყრილის მოსაბრუნებლად; ამ შემთხვევაში სიტყვაც კმარა, მაგრამ სიტყვა ძლიერი, საგრძნობელი, დახშულის გონების გამამდვიძებელი.—სწორედ ასეთს «მქისს სიტყვას» ეუბნება ტარიელს მისი მეგობარი: შენი საქციელი გასწავლულს კაცს არ შეეფერებაო,—ტირილი კი არა, სიხარული გმართებს. ადეგ, შენის სატრფოს დასახსნელად წავიდეთ, მალეც მიგიყვან, საითაც შენიგე გული მიგიწევსო!

ავთანდილისაგან თქმულის ჩაგონების გაგრძელება ვიდაც უალბის მქნელმა მოინდომა და ტექსტს მე-1345 ხანა ჩაუმატა. ეს ხანა ავთანდილის ნათქვამს არსებითად არას შესძენს, მხოლოდ ნათქვამის გამეორებაა, მაგრამ ამ გარემოებაში გმირის სიტყვა ისე გადასხვაფერდა, ისეთი კილო და მნიშვნელობა მიეცა, რომ უწინდელის «სიმქისისა» ადარა შერჩა-რა. ყვედრებისა და დარიგების წილ ავთანდილ ინდოთ მეფეს თითქო ანუგეშებს და ამხიარულებსო: აბა ტყუილად რად იწუხებ თავსა, სატირელი რა გაქვსო? ჯერ როგორც გვმართებს, ისე გავისარეთ: მერე შევსხდეთ და ქაჯეთისაკენ გავწიოთ; ქაჯებს თავს დავესხათ და მუსრი გავავლოთ: მათი მძოვრი იქ დავყარეთ, ჩვენ კი წამოვიდეთ და ქორწილი გავაბზიოთო... ჭირი იქ დავაგდე და ლხინი აქ მოვიტანეო!

საუცხოო და დალაგებული ბრეგრამაა, მაგრამ, საუბედურად, არც ავთანდილის «მქისს» სიტყვას ეთანხმება და არც მისს განზრახვას.

ნესტან-დარეჯანის დახსნას ავთანდილი ისე ეშურება, რომ მისს საყვარელს არც ტირილს აცლის, არც გახარებას, რადგან მოქმედების დრო მოვიდა და ახლა ტირილიცა და გახარებაც მოცდომაა. ბირველ ვითა მართებთ კი არ უნდა გაიხარონ და მერე კი არ უნდა შესხდნენ და გაემართნენ,—ეხლავე უნდა ადგნენ და სატრფოს დასახსნელად წავიდნენ, და მალეც უნდა მივიდნენ, რომ არ დამარცხდნენ. იმავე დღეს, სამზადისს რომ მორჩებიან, ავთანდილ ეტყვის თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისს მეგობარს: «ამას იქით დავამაგრო ხმალთა ნები, ამას ლამე არსად წავალ, რა გათენდეს, არ დავდგებიო» (ხ. 1367, გვ. 307). რაში ჭვავს ეს სიფიცხე იმ დინჯობას: ჯერ გავიხარეთ და მერე გავემართოთო? იქნება ავთანდილ თავისს მეგობარს, მტირე ურმასავით ატუუებდეს! იქნება ტარიელს წასვლა ეზარება ან ომისა ეშინიან და ავთანდილ გულს უკეთებდეს: ფიქრი ნუ გაქვს, არხეინად წავალთ და ადვილადაც გავიმარჯვებთო?!

არც ყალბის-მქნელის მიხმახული ბაქიობა ჩაითვლება ავთანდილის ნათქვამად. არაბეთის სპასპეტი ისეთი ფუქსავატი და ქარაფშუტა როდია, რომ ქაჯეთს ჯერ არც კი მისულიყვეს და ესლავე დაეტრაბახოს: «მათნი ზურგნი დავიყარნეთ და იგი მძორთა დავაგვანეთო!» მართალია, ავთანდილს ქაჯეთს «მისვლა უჩანს თამაშად, თუმცა გზა საომარია» (ხ. 1314, გვ. 295), მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ნესტან-დარეჯანის მტვერნი—«სპა უამარია» (ხ. 1314), «სხვათა მებრძოლთა წესისა» არ არიან და «მათთა შემბელთ დაჭხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან» (ხ. 1294, გვ. 291). იცის, რომ «ქაჯთა მეფე არ მოსულა, არცა მოვლენ ქაჯნი (ქაჯნი-გრძნეულნი) ჯერე» (ხ. 1281 გვ. 287), და კარგად ახსოვს ფატმანის გაფრთხილება, რომ «თუ ქაჯნი მოესწრებიან, მუნ მისვლა გაუძნელდებისა» (ხ. 1307, გვ. 293), და ამიტომაც ეშურება ქაჯეთს ადრე მივიდეს. გამარჯვება აქ სიფრთხილესა და ხერხზე ჭკიდია, და არა თავადებულსა და თვალ-ახვეულს მამატობაზე, და სატა სიფრთხილე და ხერხია, იქ ბაქიობას ადგილი არა აქვს. ადრითგან გაფრთხილებული ავთანდილ არც ქაჯეთს მისული თავხედობს, და თავისს მეგობრებს ბირდაბირ მისვლის წილ, ტიხეში მუხთლად შეპარვას უჩჩევს (ხ.ხ. 1391—1395, გვ. 314—315).

ყალბის-მქნელის დასახული ავთანდილ კი შინ მკვესარა და ომში ფრთხილი გამოდის. მართალა-და, ესლა რომ ტრაბახობს, როდესაც ქაჯეთის ციხესთან მიკლენ და შეპარვას ითათბირებს, ტარიელმა რომ უთხრას: მაშინ რომ იქადოდი, «მათნი ზურგნი დავიყარნეთ და მძორთა დავაგვანეთო», ეხა ახლა მიბრძანდიო!—ხომ ბირი დაუფო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

LXXXI

ტარიელ რომ სრულიად გონს მოვიდა, ავთანდილს თავის სატრფოს ამბავი გამოჰკითხა, მერე «ძალი უბრძანა» და გმირნი (გვ. 303—304).

1348. ...შესხდეს და შინა წავიდეს, მათ ლხინი ჰქონდა ძლიერი;
აწ გავეაძლო სოფელმან ასმათ, ადრიდგან მშიერი.

1349. ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის არ ბარგოსანი,:
შეჰხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჰარმაგოსანი,
ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი;
მაშინვე იცნა, ავარდა შიშველი, პერანგოსანი.

1350. აქამდის მიწყივ ენახა ქვაბს მისვლა მოტირალისა,
აწ გაუკვირდა დანახვა სიცილით მომღერალისა,
ზარ-აღებული ავარდა, ცნობა უძს, ვითა მთვრალისა,
არ იცის სმენა ამბისა, ჯერ მისგან სასურვალისა.

მე-1349 ხანა ისე მხეცურად არის ჩამატებული ამ ეპიზოდში, რომ ძნელია მკითხველმა წაკითხვისთანავე მისს სიყალბეზე მაშინვე აზრი არ აიღოს. პირველ, მისი უადგილობა ეჩრება კაცს თვალში. რუსთაველის ლექსის შემდეგ—«აწ გავეაძლო სოფელმან ასმათ, ადრიდგან მშიერი»—მკითხველი, რასაკვირველია, მოელის იმის თხრობას, თუ რა იყო მიზეზი ქალის კმაყოფილებისა, და ამის ნაცვლად რაღაებსაც გვიამბობენ, თუ ვით იჯდა ასმათ, ვით ნახა და იცნა, გმირნი მეგობარნი და ვით «ავარდა შიშველი, პერანგოსანიო»; და როდესაც ამ ტუეილს ლაღლაღს მოვისმენთ და მე-1350 ხანას მივაღწევთ, მაშინღა ვცნობთ ასმათის სიხარულის მომასწავებელს ნიშნებს და პირველს მისს შთაბეჭდილებას. ცხადია, რომ მე-1349 ხანა სწუვეტს რუსთაველის აზრს, რომელიც იწყება მე-1348 ხანის უკანასკნელს ლექსში და გაგრძელდება მე-1350 ხანაში.

უადგილობის გარდა, შინაგანი სიცარიელე და სტილის უგვანობაც გვიმხელს მე-1349 ხანის სიყალბეს.

ყალბის-მქნელის ნათქვამში ერთს სიტუვასაც ვერ ვპოვებთ, რომელიც ასმათის სულის მდგომარეობას შეესაბამდეს, მისთა გრძნობათა

6/109

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებას გვიხატავდეს, და ამის ნაცვლად მოგვითხრობს წვრილმანსა და უმნიშვნელო ფაქტებს ასმათის ჯდომისა, გმირების მოსვლისა და ასმათის წამოდგომისა; ის კი ვერ დაუნახავს მელექსეს, რომ ეგ გარეგანი გარემოება, რამდენადაც საჭირო იყო ამბის წარმოსადგენად, თვით პოეტმა მოიხსენია მოთხრობაში. მე-1348 და 1350 ხანებში ცხადად სჩანს, რომ გმირნი-მეგობარნი შინ მოდიოდნენ და ასმათმაც დაინახა მათი მოსვლა.

რაც უნდა მეტი იყოს ამ უმნიშვნელო ფაქტების ჩამოთვლა, შეიძლება, ყალბის-მქნელს მკითხველი გაებრიყვებინა, ვითამც რუსთაველის ნათქვამი იყო, რიგიანად რომ ეთქვა,—თვარა ვით მიგაწერთ რუსთაველს ასეთი რიშვა:

«ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არ ბარგოსანია».—ასმათ რომ, გმირების მოახლოვების დროს, ქვაბის კარს იჯდა,—დასაჯერებელია, თუმცა აქ შესანიშნავი არა არის რა. შესაძლებელია, ქვაბი ისე ყოფილიყო გამოკეთებული, რომ შიგნიდანაც დაენახა ასმათს მომავალნი. ასმათის მარტობა, რა თქმა უნდა, უეჭველია, რადგან ტარიელ, მინდორს გაჭრილი, და ავთანდილ, ნესტან-დარეჯანის საძებრად წასული, ჯერ არ დაბრუნებულან, და მაგათ მეტი ასმათის ნაცნობი იმ უდაბნოში სხვა სულიერი არავინ გეგეგულება. ეს ხომ ასეა, მაგრამ ეს «არ ბარგოსანი» რადა უბედურებაა? რომელი ბარგი უნდა ჭქონოდა თანა თავის სასლის კართან მჯდომს ქალსა, ან რისთვის უნდა ჭქონოდა, რომ ბარგის უქონლობა სახსნებელი ყოფილიყო? რას გვანიშნებს მაგის თქმით მელექსე? ვითომც და ასმათ ისე არხეინად იყო, რომ თვიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ხვალ წასასვლელი იყო და თავისი ბარგი უნდა ჩაელაგებინა?!... რომელი გონიერი ყოფნის საბაბი მოგუგონოთ ამ სულელურს «არ ბარგოსნობას?»

«არ ბარგოსანმა» ასმათმა, ყალბის-მქნელის თქმით, «შეხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჯარმაგოსანი, ორნიკე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანია».—ტარიელ და ავთანდილ, ბულბულსავით ტურფად მომღერალნი, მოდიოდნენ, ქალმა დაინახა და იცნაო. მერე რაო, ვითომც ამით გამოისახვის ან ქალის, ან გმირების სულის ვითარება? შეადარეთ ამ უაზრო ჭიკჭიკს რუსთაველის ლექსი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

«აქამდის მიწყივ ენახა ქვაბს მისული მოტირალისა, აწ გაუკვირდა დანახვა სიტილითი მომღერალისა». საქმეც ის არის, რომ ტარიელის მუდმივი ტირილი სიტილად შეიცვალა და ამის ხსენება იყო საჭირო, რომ ასმათის გაშტერების მიზეზი გაგვეგო: ყალბის-მქნელის ნათქვამში კი არც ეს ცვლილება გამოიხატვის და არც მისი შთაბეჭდილება ასმათის გულზე. ვერც იმას ძიმხვდარა მელექსე, რომ ტარიელის მღერა იმით კი არ იყო ასმათისათვის გასაკვირალი, რომ იადონსავით «ტურფად» მღერდა, არამედ მისი «სიტილითი» მღერა.

«არ ბარგოსანის» ტოლი ეპიტეტი მეორე ლექსშია—«ჭარმაგოსანი», რომელსაც კომენტატორებმა საინტერესო განმარტება დაურთეს. დ. ჩუბინაშვილის თქმით, ჭარმაგოსანი ჭალარაა, თმები თეთრ-ნარევი. რა თქმა უნდა, რომ «ჭალარა ყმა» ავთანდილს ვერას გზით ვერ დაერქმის. მართალია, ავთანდილს თავის მეგობრის გულისათვის ბევრი ჯავრი გამოუვლია, მაგრამ არც არა ისეთი საშინელება თავს გარდასვლია, რომ უდროოდ თმებში თეთრი შემოერიოს.

თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ «ჭარმაგი აბლაყი არის ანუ ჭრელი, თეთრზე შავად დაწინწკლული ცხენი». ასე რომ «ჭარმაგოსანი ყმა» ჭალარას ყმას კი არა, აბლაყს ცხენზე მჯდომს ყმასა ნიშნავს. რასაკვირველია, ასეთი ახსნა უფრო სამართლიანია, მაგრამ, საუბედუროდ, არც ამ მნიშვნელობით მიეთვისება ავთანდილს «ჭარმაგოსნობა», რადგან არაბეთის სპასპეტი ცნობილია ვით «თეთრტაიჭოსანი» (ხ. 72, გვ. 16) და არა «ჭარმაგოსანი». საგონებელია, კომენტატორსაც ეს გარემება ეხსომებოდა და ამიტომ თავისს განმარტებას დასძენს: «მაგრამ ცხენი მხნეთ რომ იყოს, კარგათ,—იმასაც ნიშნავს, რადგანაც მასვე ერთისა ცხენით ეგოდენი გზა ეკლო, ამისთვის ჭარმაგადვე იყო ცხენი მისი, ესე იგი მხნედ, რომელ დადგობა (დაღალულობა?) არ ეტყობოდა. ჭარმაგი კარგს მოსიარულეს ცხენსაცა ჭქვიან, თოხარიკს რომ უწოდენ». დაგეთანხმოთ ბატონიშვილს, ვითომც «ჭარმაგი» ცხენი აბლაყსაც ნიშნავს, მხნესაც და თოხარიკსაც. მერე, რა განსაკუთრებული ნიშანია ავთანდილისა ბედაურზე ჯდომა, რომ ასმათმა მაგით იცნას? თუ საქმე ცხენის სიკეთეზე მიდგა, ზოგმაში ტარიელის შავი ცხენია ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მრავალჯერ ნაჭები, და არა ავთანდილისა, ასე რომ «ჭარმაგოსნობა»,—როგორც კომენტატორს ესმის,—უფრო ტარიელის შესაფერი ეპიტეტია, ვინემც მის მეგობრისა.

მგონია, ამაოა ბატონიშვილის ამდენი წვალება და ხერხი. ყალბის-მქნელმა სთქვა «ჭარმაგოსანი» იმიტომ კი არა, რომ მაგ სიტყვას შემთხვევის რაიმე შესაფერი მნიშვნელობა ჰქონდეს, არამედ იმიტომ, რომ რითმამ საქმე გაუჭირა.

ამ გაჭირებამ ეარესი სისულელე ათქმევინა უხეირო მელექსეს ხანის უკანასკნელს ლექსში: «ძაშინვე იცნა, ავარდა შიშველი, ჴერანგოსანია». ერთხელ ხომ გვითხრა ყალბის-მქნელმა, მეორე ლექსში, ასმათმა იცნა ტარიელ და ავთანდილო; ახლა, რომ კარგად დავიხსომოთ მეორედ გვაუწყებს «ძაშინვე იცნაო». დასტურ, საკვირველია ასმათის თვალის გამჭრიახობა, მაგრამ უფრო საქებელი იქნებოდა, ქალი «შიშველი ჴერანგოსანი» რომ არ ავარდნილიყო!.. რუსთაველი გვიამბობს, რომ ტარიელის მხიარულების დანახვამ ისე გააკვირვა ასმათ, რომ «ზარ-ადებული ავარდა, ცნობა უძს ვითა მთვრალისაო», და ამით გვაცნობა ქალის სულის ვითარება; მისი სიშიშვლე და «ჴერანგოსნობა» ნეტა რალას გვამცნევს? თუ არ ლექსის კიდურისათვის, რისთვის არის ასმათ «ჴერანგოსანი»?

თავი მიეცით თქვენს ფანტაზიას და წარმოიდგინეთ საუცხოვო სურათი მე-1349 ხანაში გამოხატული: ასმათ ქვაბში მარტოობით მოწყენილი და სიცხით შეწუხებული, ტანთ გაიხადა... მარტო არ იყო, ვისი შერცხვებოდა?... შიშველი და ჴერანგის ამარა გავიდა, ქვაბის კართან დაჯდა და გულს იგრილებდა. ამ დროს, ვნახოთ, ტარიელ და ავთანდილ კი არ მოდიან და ბულბულსავით კი არ მოიმღერიან!—უი ქა, ჩვენი უმაწვილები მოდიანო და ავარდა.... მაგრამ, მგონია, ავარდა კი არა, უნდა შეკარდნილიყო ქვაბში, რომ ფეხთა და ტანთ ჩაცვა რამე და ინდოთ მეფესა და არაბეთის სპასპეტს ჴერანგის-ამარა არ მიჰგებებოდა. საკვირველია, რომ შემდეგს მოთხრობიდანაც არა სჩანს, რომ ასმათს ტანთ ჩაცვას.—ისე დარჩა შიშველ-ტიტველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

LXXXII

ავთანდილმა ასმათსაც უამბო ნესტან-დარეჯანის ბოვნა, კვლავ გაიხარეს და ღმერთსა მადლი მიაცეს; შერე «ქვაბს შევიდეს მხიარულნი, ასმათ რასმე მასპინძლობდა». ტარიელს მოაგონდა და თავისს შეგობარს უამბო, რომ მას აქეთ, რაც ეს ქვაბი დეკებს წავართვი, აქა ძვეს უთვალავი საჯურჭლე, რომელიც აქამდის არც კი მინახავსო, «ბოდი და გავხსნათ, შეეიგნეთ საჯურჭლე თუ რაზომია». ადგნენ გმირნი მეგობარნი, ორმოცი კარი დალეწეს და «ჭეშეეს საჯურჭლე უსახო, კვლავ უნახავი თვალისა» (გვ. 306).

1361. იგი სახლი ორმოციეე შიგან იყო გატეხილი;
ჰპოვეს ერთი ზარდახანა, აბჯარისთვის ახლად ქმნილი;
მუნ აბჯარი ყოვლიფერი ასრე იდვა, ვითა მწნილი,
შიგან ერთი კიდობანი დაბეჭდილი, არ გახსნილი.

1362. ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ-მუზარადი, აბჯარი, ხმალი, ბასრისა მჭრელიო;
თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო,
უმის-ყამისოდ ვინც გაჰხსნის, არის მეფეთა მკვლელიო.“

1363. კიდობანი გაჰხსნეს, ჰპოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი.
რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი:
ჯაჭვნი, ხმალი, მუზარადი, საბარკული მათი მგვანი,
ზურმუხტისა ბუდებითა იყვნეს, ვითა ლუსკუმანი.

ერთსულ, როდესაც ავთანდილ ტარიელს სიტყვის გაუტანლობას აუკედრიდა, ასმათმა შეაგონა არაბეთის სპასპეტსა, ვითომც «ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედან სწერია: ვინ მოუკვრესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიაო“ (ხ. 848 გვ. 198), მაგრამ ამ სენტენციის გარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ „ესე არაკი მართალი“ ყალბის-მქნელის მოჯორებული იყო (ნახე ამ წერილების მე-XLII თავი, „მოამბე“ №-X 1897 წ.). ვნახოთ ესლა კიდობანის წარწერა რას გვამცნევს:

«აქა ძეს აბჯარი საკვირველიო»,—გვაუწყებს წარწერა, მაგრამ იმას კი არ გვიხსნის, თუ რით არის საკვირველი იგი აბჯარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა «საკვირველი» ისეთი ეპიტეტია, რომელსაც, თუ ზედგე გაინმარტება არ დაერთვის, თვით თავისით არავფერი თვისი არა აქვს, რადგან საგნის თვისებას არ საზღვრავს. ასეთი მოუფიქრებელი წერა რუსთველისეულს რადი ჰგავს და ამის საბუთს იქვე ეპიზოდში ვპოვებთ. როდესაც რუსთაველი ჩამოსთვლის, რა და რა ბჟარი ნახეს კიდობანში გმირებმა, დასძენს: «ზურმუხტისა ბუდებითა იყვნეს, ვითა ლუსკუმანი», და ამ ლექსით იზიდავს მკითხველის ყურადღებას: ალბათ უბრალო რამ ბჟარი არა ყოფილა, თუ ასეთის სიფთხილით შეუნახავთო. ბოეტმა რომ მკითხველის გულისყური ასე მოიგო, მაშინ-და განაგრძობს (გვ. 307):

1364. თვითომან თვითო ჩაიცვეს, თავის თავს გამოსცდიდიან,
ჯაჭვს-მუზარადსა, აბჯარსა მართ ვერა ვერ მოჰკიდიან;
ხმალი რკინასა მოჰკრიან, ვით ბამბის მკედსა სჭრიდიან,
მართ ულირს ყოვლად ქვეყანად, შევატყევ, არ გაჰყიდიან.

რუსთაველს ერთხელაც არ უთქვამს «საკვირველიო», მაგრამ მის ადწერიდან ცხადად სჩანს, თუ რა საუცხოო იყო ბჟარი და რამდენად მოეწონა გმირებს. ყალბის-მქნელი კი წინასწარ იძახის «საკვირველიო»,—ჩვენცა ვკითხულობთ წარწერას თავით ბოლომდის და მაინც ვერ შეგვიგნია იმ ბჟარის საკვირველება.

ბოეტმა დაასახელა კიდობანში ჩაწყობილი ბჟარი: «ჯაჭვნი, ხმალი, მუზარადი, საბარკული მათი მგვანი». ყალბის-მქნელიც, ცარიელ ქვეკრესავით ამოსძახებს: «ჯაჭვ-მუზარადი, ბჟარი, ხმალი, ბასრისა მჭრელიო». მართალია, წარწერას «საბარკული» დაავიწყდა, მაგრამ ეს დანაკლისი «ბჟარით» არის შევსებული, რომელიც ბირველს ლექსში იყო მოხსენებული და ახლა—მეორეშიაც.

წარწერამ გვაცნობა რაც იდვა კიდობანში, ახლა ჭლამის აგვიხსნას, თუ რა შემთხვევისათვის იყო შენახული ის «ბჟარი საკვირველი», და აქედან იწყება საკვირველება... წარწერისა: «თუ ქაჯნი დეკთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო, უმის-ყამისოდ ვინც გაჭსნას, არის შეფეთა მკვლელიო». რომელი კაცის გონება მიხვდება ამ ბდა-უბდა-გადასკუბდას? დიდ, «თუ ქაჯნი დეკთა შეებნენ»,—მაშინ რა? ვსთქვათ, «იყოსცა დღე იგი ძნელიო»,—მაში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაც და მაინც რა? გაიხსნას კიდობანი, თუ არ გაიხსნას? სად არის ბერიოდის მეორე ნახევარი, სად აკლია აზრს დასასრული? თრაზა რომ უგუნური არ გამოვიდეს, ჩვენს გონებაში უსათუოდ უნდა დავუმატოთ: მაშინ კიდობანი უნდა გაიხსნას, დეკებმა აბჯარი უნდა ამოიღონ და ჩაიცვანონ. ამაზედაც ვერ შეკამჩერებთ ჩვენს საგონებელს და კვლავ ასე უნდა ვიფიქროთ, რომ დეკნი იმ აბჯარით ალბად იმისთვის უნდა აღჭურვილიყვნენ, რომ ქაჯების გრძნობისაგან თავიანთი თავი დაეცვათ.—აი, აბჯარის საკვირველება თურმე სად ყოფილა!

საუცხოოა, მაგრამ კიდობანში ხომ სამის აბჯარის მეტი არ იდო. კარგია, თუ დეკიც სამი იყო,—თითოს თითო აბჯარი შესვდებოდა,—ოთხი, ან მეტი რომ ყოფილიყო, მაშინ როგორღა უნდა მოქცეულიყვნენ? ვთქვათ, გაკვრდა ხმა: არ იქა, ქაჯები მოდიანო! მისცვივდნენ დეკნი კიდობანს, გახსნეს და ყველა თავისკენ იწევს იმ სამს აბჯარსა, ყველას თავისი თავი უყვარს და თავისი შველა უნდა. ასტუდა საშინელი ხხუბი და, სანამ ქაჯნი მოვლენ, ეს დეკები ერთმანეთს ამოუღეტენ. ან იქნება დეკნი ისე გაწრთვნილნი არიან და დისციპლინა იმდენად შემოღებული აქვთ, რომ იმ სამს აბჯარს სამს უკეთესს დეკს დაუთმობენ, დანარჩენნი კი თავიანთ თავს ქაჯებს შეაკლავენ ისე, ტუვილა-უბრალოდ? ან კიდევ, სამი დეკი იმ «საკვირველის აბჯარით» აღჭურვილი ქაჯების საომრად გავა, დანარჩენნი კი ქვაბში მიიმალებიან და ჩაიკეტებიან, ვიდრე ბრძოლა გათავდებოდეს. მართალია, წარწერა მაგეებს რადი გვეუბნება, მაგრამ თუ არ ესე, მიბძანეთ, სხვაფრივ როგორ უნდა მომხდარიყო საქმე, რადესაც წარწერის წინასწარ-მეტყველებით ქაჯნი დეკთა შეებმოდნენ?

მრავალ სხვა საკითხის ბასუხსაც ვერ ვპოვებთ კიდობანის წარწერაში, თუმცა საკითხი აუცილებელია. წარწერა არ გვეუბნება შეჭბმიან რადისმე ქაჯებს დეკნი და გამოადგათ რადისმე ის სამი აბჯარი? ვაი, თუ არ შებმულან, და აბჯარი სელუსლებელი და კიდობანში დაბეჭდილი ტარიელს შერჩა?—მაშინ ხომ არც წარწერის წინასწარმეტყველება გამართლებულა! ტარიელს და ავთანდილს, რომელნიც თუმცა ქაჯებს უნდა ეომონ, მაგრამ თვით დეკნი კი არ არიან, აქვთ სიმართლე კიდობანი გახსნან? ან, თუ გახსნეს, გამოადგებათ დეკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჯარი? როგორა გგონიათ «ვეფხის ტყაოსნის» სამნი გმირნი და დევნი ერთის ტანისა და აგებულებისა არიან?

ამ საკითხების პასუხს კიდობნის წარწერა თუმცა პირდაპირ არ გვაძლევს, ხოლო ხანის უკანასკნელ ლექსიდან შეიძლება ზოგი რამ გამოირკვიოს ბჯარის თვისების შესახებ. «უმის-ყამისად ვინც გაგ§ხსნის (კიდობანს), არის მეფეთა მკვლელია», დასძენს წარწერა, ე. ი. თუ არ ქაჯების ომისთვის, სხვა დროს იმ კიდობანის გახსნა სასტიკად აღკრძალულია, და ამ მტნების დარღვევა ისეთივე დიდი ცოდვაა, როგორც მეფის მკვლელობა. რა მიზეზია ბჯარის ასეთის განსაკუთრებულის დანიშნულობისა? უეჭველია, ის სამი ბჯარი კიდობანში შეუნახავს დევებისათვის და ზედ მტნება დაუწერია კისმე დევების კეთილის მოსურნეს, ამიტომ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ, რომ იგი «ბჯარი საკვირველი» მხოლოდ ქაჯების საბრძოლველად არის «დიდი მარგი» დევებისათვის, სხვა ომში კი არ გამოდგება და, — ვინ იცის? — იქნება მაგნებალიც იყოს, თვარა რად აუკრძალავდა წარწერა კიდობანის გახსნასა და მაშასადამე ბჯარის ხმარებასაც? მაგრამ აქ კვლავ წარმოგიდგება უწინდელი საკითხი: ტარიელსა და ავთანდილს, რომელნიც დევნი არ არიან, აქვთ სიმართლე კიდობანი გახსნან? კაი თუ ავნოს დევის ბჯარმა! კაი თუ კიდობანის გახსნა მხოლოდ დევებს §მართებს. გმირნი კი მეფის მკვლელობის ცოდვას ტყუილად თავს იღებენ?!

სჩანს, დევნი უფრო ფოხიერნი იყვნენ, ვინემც ტარიელ და მისი მეგობარი, და კიდობანის მტნება გულში მტკიცედ §ქონდათ ჩასახული: ტარიელ რომ შეება ქვაბის წასართმევად და «იყო დღე იგი ძნელი», რადგან დევების აღსასრულის დღე იყო, დევებმა მაინც არ გახსნეს კიდობანი და არ ჩაიცვეს იგი «ბჯარი საკვირველი», დიაღამც იმიტომ, რომ ტარიელ ქაჯი არ იყო. ისე სულერთიანად ამოწყდნენ და დაიხოცნენ საცოდავნი, მაგრამ პატიოსანნი დევნი, კიდობანის მტნებას კი მაინც არ გადავიდნენ! თუ არ ამ მიზეზით, რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მას სამი ბჯარი, კიდობანში ჩალაგებული და დაბეჭდილი, ტარიელსა და ავთანდილს ხელ-უხლებელი დახვდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეი რამდენი სისულელე მოსდევს ყალბის-მქნელის მოუფიქრებელს წარწერას.

თუ მე-1362 სანის სიყალბის გამხილება ადვილია, არც მის ავტორის ვინაობის გამოცნობაა ძნელი. თუ ძველი ხელ-ნაწერი წიგნები წაგიკითხავთ, უეჭველია შეხვდებოდით ზოგიერთ წიგნის ბოლოს მინაწერს, რომელშიაც გულ-უბრუკილო გადმომწერი მკითხველს შეცდომისათვის შენდობასა სთხოვს, წიგნის დამცველს მრავალს ლოცვა-კურთხვას უძღვნისს, ხოლო მის წამხდენელს კრულვასა და ღვთის რისხვას უქადის. იმავე აზრისა და თითქმის იმავე სტილისაა კიდობანის წარწერა, სადაც უკანასკნელი ლექსი საშინელს ცოდვად მიაჩნევს, ვინც კიდობანს უღრობად გახსნის. მიუმხვდარ მწიგნობარს ჴგონია, ვითომც მეფის მკვლელობის ცოდვის ჩადენა შეაშინებს დეკებს, იმ უსჯულო და უღვთო მხეცებს, რომელთაც არც მეფის შიში აქვთ, არც ღვთისა.

ამიტომაც უეჭველია, რომ ასეთი ბავშური მუქარა რუსთაველის მოგონილი არ იქმნება, არამედ ვისიმე მწიგნობარისა, რომელსაც წესიერი წერაც არა სცოდნია. სჩანს, უნდოდა კი იმ კიდობანის წარწერით აბჯარის რაღაც დაფარული და ზესთა-ბუნებითი თვისება გამოესატა და გულ-უბრუკილო მკითხველი გაეკვირვებინა, მაგრამ მისი უძღური ფანტაზია შორს ვერ წავიდა...

LXXXIII

ტარიელ და ავთანდილმა, სჯურჭლე რომ დაათვალიერეს, ს�ი აბჯარი წამოიღეს (გვ. 307).

1365. ...თვითო მათ, ერთი ფრიდონის საძღნობლად შეჰკრეს ღვე-
|დითა.

1366. ოქროც რამე წაიტანეს, მარგალიტი ღარიბები,
გამოვიდეს, გამობეჭდეს ორმოცივე საჭურჭლები;
ავთანდილ სთქვა: „ამას იქით დავამაგრო ხმალთა ნები,
ამას ღამე არსად წავალ, რა გათენდეს, არ დავდგები.“

1367. აქა, მხატვარო, დახატე ძმად უმტკიცესი ძმობილნი,
იგი მიჯნურნი მნათობთა, სხვისა ვერვისგან სწრობილნი,

ორნივე გმირნი მოყმენი, მამაცობისა ცნობილნი,
რა ქაჯეთს მივლენ, გასინჯოთ ომი ლახვართა სობილნი.

ასე თავდება პოემის თავი «წასვლა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეურა», რომელსაც მოსდევს შემდეგი თავი: «ტარიელისა და ავთანდილის წასვლა თრიდონისასა» (გვ. 308).

1368. რა გათენდა, გაემართნეს, წაიტანეს ასმათ თანა,—და სხვ.

მარტო მე-1366 და მე-1368 ხანების შეფარდებით სჩანს, რომ აქ გაბმულია გაუწყვეტელი მოთხრობა, ხოლო მე-1367 ხანა მათ შორის უადგილოდ არის ჩართული. რისთვისღა შესწყდა მოთხრობის მსვლელობა, რა კავშირი აქვს მასთან მე-1367 ხანას და რას გვაუწყებს იგი?

ვითომც, სანამ ტარიელისა და ავთანდილის წასვლის ამბავს შეუდგებოდეს, რუსთაველი ვიღაც მხატვარს იხმობს და შეუკვეთებს: «აქა დახატე ძმად უმტკიცესნი ძმობილნიო», ესე იგი ტარიელ და ავთანდილ. ბრძანება, პირველი შეხედვით, თითქო ცხადი და მარტივია, მაგრამ რაც უფრო დაათვალიერებით, მით უფრო გაუგებარი ხდება. ვინ არის ის მხატვარი, ვისაც პოეტი შეუკვეთს გმირების სურათის დახატვას?—სახელდობრ ჭეკანდა ვინმე სახეში, თუ ეველა მხატვარს, ვინც «ვეფხის-ტყაოსანს» კითხულობდა და ამ ეპიზოდამდის მივიდოდა, უნდა ველო კალამი და პოეტის ბძანება ესრულებინა? «აქა დახატეო» —რაღაა? სად «აქა»: პოეტისაგან დაწერილს დედანში, თუ ეველა გადაწერილს წიგნში? მერე რაგორ მოხდა: პოეტმა თეთრად გადაწერილს ტექსტში დასტოვა ცარიელი ადგილი სურათის დასახატავად, თუ ცალკე დაახატვინა და წიგნში ჩაურთო?

საკვირველია, რომ ამ შესანიშნაკის ფაქტისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ ჩვენის პოეტის ფანტასტიურ ბიოგრაფიების შემთხზველთ. ტოდო კია, ღვთის წინაშე, ასეთის მასალის უგულგებელ-ყოფა, რადგან, თუ მასალა შემუშავებულ იქმნა, შეიძლება ბევრი რამ საინტერესო ისტორიული ფაქტი გამოიკვლიოს. მოგეხსენებათ, რუსთაველმა თავისი თხზულება თამარ მეფეს მიართვა... ეს ხომ უეჭველი ისტორიული ფაქტია, ზიჩის სურათით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებული!. მაგრამ აქამდის არა ვინ იცის, სურათებიანი იყო, თუ უსურათო ნაძღვნები ბოემა. ახლა მე-1367 ხანა უცილობლად გვიმტკიცებს, რომ რუსთაველმა თამარ მეფეს მისართმევად სურათებით შეამკო თავისი «ვეფხის-ტყაოსანი». ამას გარდა, სჩანს თვით ბოეტი დიდის გულს მოდგინებით ზრუნავდა ამ საქმისათვის, რადგან ტექსტშივე დაუნიშნავს სურათის ადგილი, რომ მხატვარი არ შემცდარიყო... საუცხოვო აზრია, თუ თქვენც მოგეწონათ, მხოლოდ ერთი ნაკლი კი აქვს: ისა, რომ ამ შემთხვევის გარდა რუსთაველს არსად უბძანებია არც ერთი მხატვრისათვის, აქ ესა და ეს დასატეო. ასე რომ, თამარ მეფისათვის ნაძღვნების ბოემის ეგზემპლიარში ერთის სურათის მეტი არ უნდა ყოფილიყო, და ერთი სურათი, თითქო ტოტა და დასასტად არც კი ღირდა... ეს მცირე ზადი რომ არ ჭქონდეს, ჩემს იდეას დიდი გასაკვლი ექნებოდა. მაგრამ ნურც წარვიგვეთით წინასწარ იმედსა: ეეჭვეული ა ალმოჩნოება როდისმე სრული ეგზემპლიარი «ვეფხის-ტყაოსნისა», რომელშიაც დანიშნული იქნება რუსთველისაგან სურათების ადგილი: აქა, მხატვარო, დასტე ვით ოქროებენ გმირნიო, აქა—ვით მადიან, აქა—ვით ნადირობენ, აქა—ვით სმენ და სჭამენ, აქა—ვით იცინიან, და სგვ. და სხვ.... საუცხოვო რამ კი უნდა იყოს ესრედ დაწერილი ბოემა!

ხანამ ასეთი სანატრელი «ვეფხის-ტყაოსანი» გამოჩნდებოდეს, დავუბრუნდეთ ისევ მე-1367 ხანის გარჩევას. ეს ხომ ვიცით, რომ მხატვარმა ტარიელ და ავთანდილ უნდა დასტოს; ახლა მელექსე იმასაც უბრძანებს, თუ ვით უნდა გამოსახოს გმირნი,—და ნაძღვილი საძნელე შეგვეთალის ასრულებისა აქედან იწყება. სურათებიანის «ვეფხის-ტყაოსნის» სარედაქციო კომისიამ ბოემის დასურათება მხატვარს ზიჩის რომ შეუგვეთა, ჯერ აცნობა ბოემის შინაარსი და ის ეპიზოდები, რომელიც მხატვარს უნდა დასურათებინა, გადაუთარგმნა; მერე თითონ ზიჩიმ გამოასასხვა ეპიზოდები ცოცხალ სურათებად რამდენჯერმე სცენაზედ წარმოადგინა; ფოტოგრაფია აღებინა; მრავალი ტანისამოსი, ავეჯეულობა და იარაღი შეიძინა, და უკვლა ეს მასალა რომ ხელთა ჭქონდა, მაშინღა შეუდგა სურათების ხატვას. ამდენი სწავლა და შრომა ზიჩის იმიტომ დასჭირდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ჩვენი ენა და ცხოვრება იცოდა და არც «ვეფხის-ტყაოსანი» ჰქონდა წაკითხული.

თუ მე-1367 ხანის დამწერის მიწვეული მხატვარი ზიჩისაგით უცხო კაცი არ იყო, რასაკვირველია, თითონაც წაიკითხავდა «ვეფხის-ტყაოსანს» და მის გმირთა ზნე-ხასიათს თითონვე შეიტყობდა, მაშ არც საჭირო იყო მისთვის სწავლება ტარიელისა და ავთანდილის თვისებისა. ცხადია, თუ მელექსემ გმირების მტკიცე ძმობა, უებრო მიჯნურობა და მამაცობის ცოდნა ჩამოთვალა, იმისთვის კი არა, რომ მხატვარს უქონა მათი ქველობა, არამედ იმ განზრახვით, რომ მხატვარს ხსენებული გმირთა თვისებანი თავისს ნახატში გამოესახა. მაშასადამე, მე-1367 ხანის ბძანებით, მხატვარმა ისე უნდა დახატოს ტარიელ და ავთანდილ, რომ მათს სურათს ზედვე ეტყობოდეს, რომ ეს «ძმად უმტკიცესნი ძმობილნი» არიან და არა ჩვეულებრივნი ძმობილნი; რომ მიჯნურნი არიან «მნათობთა» და არა სხვათა, და ამასთანავე უბრალო მიჯნური კი არა, არამედ «სხვისა ვერ ვისგან სწორობილნი»; ამას გარდა ორთავე მოუმეთა სურათს უნდა აჩნდეს,—რომ «მამაცობისა ცნობილნი» არიან... ნეტა, ვინ იქნება ის გენიოსი მხატვარი, რომ მაგისი გამოხატვა ერთს სურათში შეეძლოს?!

ასეთის სურათის შეგვეთა უტუარი საბუთია, რომ მე-1367 ხანის დამწერს არავითარი ცნობა ჰქონია მხატვრობისა, ფანტაზია და გემოვნება სრულიად აკლდა. რაღა ბოეტი, რაღა რუსთაველი უოფილა, ვისაც უველა ეგ არა სჭირს? რუსთაველისეული სტილი მხატვრობითი და ბლასტიკური იმიტომაც არის, რომ ბოეტს მხატვრის თვალი და ფანტაზია აქვს. ბოეტის აზრი ხატია, რომელიც მკითხველის გონების თვალს ცხოველად და ნათლად წარმოუდგება და მხატვარს შეუძლიან სურათად გამოსახოს. როგორ-და დავიჯეროთ, რომ ასეთის ფანტაზიით ნიჭებული რუსთაველი ვერ მიმხვდარიყო, რომ მე-1367 ხანაში ჩამოთვლილნი გმირთა თვისებანი სურათით ვერ გამოისახვიან, სამხატვრო სუეტი არ არის?

უველა საქმეს გონიერი მიზანი უნდა ჰქონდეს. თუ მართლა რუსთაველმა შეუგვეთა ვიღაც მხატვარს ტარიელისა და ავთანდი-

ლის სურათი, საკითხავია—რისთვის შეუკვეთა? პოემაში მრავალი ეპიზოდია, რომელიც საუცხოოდ გამოდგება სურათის სიუჟეტად,—და ეტყობა ეს ლირსება პოემისა ჩვენს წინაპრებსაც კარგად ესმოდათ, რადგან ბევრი ძველი ხელ-ნაწერი «ვეფხის-ტყაოსნისა» აჭრელებელია სურათებით,—ამიტომაც, საგონებელია, არც რუსთაველს გაუჭირდებოდა სუჟეტის ამორჩევა, თუ მართლა სწადდა თავის თხზულების დასურათება. *) ხოლო თუ პოეტს დასახატავად თავისს თხზულებაში ერთად-ერთის ეპიზოდის მეტი არ აურჩევია, უეჭველია, ეს ეპიზოდი პოემის უალრესის და გამოსახვნის მოვლენის გამომხატველი უნდა ყოფილიყო და ამასთანავე ტურფა და სამხატვრო სუჟეტი. მოიხსენიეთ აწინდელის ეპიზოდის შინაარსი: ავთანდილმა გადასწყვიტა, ამ ღამეს აქ დავრჩები, ხვალ დილას კი თრიდონისას წავიდეთო. ტარიელ სტოვებს უდაბნოსა, უკაცურს ცხოვრებას; გათავდა მისი სასოწარკვეთილება, ხელობა და უმოქმედობა; ამას იქით გმირი ადამიანთ ცხოვრებაში ჩაერევა, დაიწყებს კვლავ მამაცობას და მიაღწევს თავისს გულის წადილს, უალრესს ბედნიერებას. რა თქმა უნდა, შესანიშნავი ფსიხოლოგიური მომენტია, წინა ღამეა ეტლის ცვლილებისა, მაგრამ რაც უნდა გაამზვიადოთ ეპიზოდის ფსიხოლოგიური მნიშვნელობა, ეპიზოდს პლასტიკური მხარე, სამხატვრო სუჟეტი მაინც არა აქვს. სასაუბროდ და საბრძნობავად საუცხოო საგანია, დასახატავი კი აქ მხოლოდ ის არის, თუ ვით აღაგებს ასმათ საგზაოდ თავისს ბარგს.

მე-1367 ხანის დამწერსაც სწადდა აეხსნა მიზეზი მისგან შეკვეთილის სურათის დახატვისა. მხატვარმა უნდა დახატოს გმირნი იმისათვის, რომ «რა საქაჯეთს მივლენ, გასინჯოთ ომი ლახვართა სობილნი». მკლეკსემ შეიგნო აწინდელის დღის მნიშვნელობა გმირთათვის; ხედავს, რომ მათ წინ უძსთ დიდი საქმე, რომელმაც უნ-

---

*) შესანიშნავია, რომ სურათებიანის „ვეფხის-ტყაოსნის“ სარედაქციო კომისიამ, რომელიც ისეთის გულსმოდგინებით არჩევდა სურათების სიუჟეტებს, არ დაახატვინა ზიჩის „ძმად უმტკიცესი ძმობილნი“ და სხვ. რაღა,—მე-1367 ხანა რუსთაველის ნაბრძანებად არ მიიჩნია, თუ დასახატავი ვერა ნახა-რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადასწყვიტოს მათი ბედი; გმირნი «საქაჯეთს მიეკლენ» საომრად და ნესტან-დარეჯანის დასახსნელად და ხვალ გამოჩნდება მათი ძმობა, მიჯნურობა, სიყმე და მამაცობის ტოდნა; ეს ომი იქმნება მათის ქველობის გამომცდელი და ეს ომი დააგვირგვინებს უველას მათს სულის სწრაფვასა.

ეტყობა, ამგვარი რამ აზრი უტრიალებდა თავში ბინდ-ბუნდად მე-1367 ხანის დამწერს, მაგრამ,—დახე მისს ენა-ჩლუნგობას!—იმის მეტი ვერა მოახერხა-რა, რომ: «რა ქაჯეთს მიეკლენ, გასინჯოთ ომი ლახვართა სობილნიო!»... უშნო ფრაზა, უშნოდ მიბმული. მთელი ხანა მელექსე მხატვარს არიგებდა ტარიელ და ავთანდილ ასეთი და ასეთი დახატეო, ბოლოს კი მოულოდნელად მკითხველს მიუბრუნდება და ეუბნება, მეგობარ-გმირებს იმისთვის ვახატვინებო, რომ მათი ომი გასინჯოთო. სად არის აქ ლოგიკური და გონიერი მსჯელობა? თუ განგებ რაიმე გონიერი აზრი არ მოუგონე, ფრაზა თავით თვისით სულელურია და წინა ლექსებს ლოგიკურად არ ერთვის.

უთავბოლო მსჯელობის გარდა მე-1367 ხანაში ისეთი შეცდომა არის, რომელიც რუსთაველს არას დროს არ მოუვიდოდა, ხანა რომ ნამდვილ მისი დაწერილი ყოფილიყო. თუ მელექსეს გმირების სურათის დახატვა მართლა იმისთვის უნდა, რომ მკითხველმა გასინჯოს მათი ომი, შეუძლებელია ამ შემთხვევაში ფრიდონის დაკიწყება; მელექსე კი მხოლოდ ტარიელის და ავთანდილის დახატვას უბძანებს მხატვარს.

მულოაზანზარის მეფეს ქაჯეთის ომში დიდი წილი ჰქონდა: ის იყო ტარიელისა და ავთანდილის ყოლიაზი, ქაჯეთის ციხის ვითარება ამან იცოდა, სამასი მხედარი მეშველად ამანვე წაასხა, მულოაზანზარით გმირნი ფრიდონის გემით წავიდნენ, და ბოლოს ბძოლაში ფრიდონმა ავთანდილის სწორი მამაცობა გამოიჩინა,—ერთის სიტყვით, ფრიდონმა ისეთი შველა აღმოუჩინა ტარიელსა და ავთანდილს, რომ უმისოდ გმირნი ვერც კი დაიწყებდნენ ლაშქრობას. თვით გმირებსაც ასე ესმოდათ თავიანთი მდგომარეობა, რადგან სანამ საომრად წავიდოდნენ, პირველ ფრიდონს მიჰმართეს და დახმარება სთხოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, თუ მე-1367 ხანის დამწერის თქმით, ქაჯეთის ომის გასაშინჯავად მკითხველს თვალწინ უნდა ჰქონდეს გმირების სურათი, განა დიდი უსამართლობა არ არის, ამ სურათიდან თრიდონის სახე გამოირიცხოს? დასაჯერებელია განა ასეთი გულ-მაგიწყობა რუსთაველისაგან, რომელიც ვრცლად და დაწვრილებით გვიამბობს თრიდონის მონაწილეობას ქაჯეთის ომში, იქვე, მე-1367 ხანის შემდეგ?

ალ. ს—შვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ჩინელები სახლში*)

ყველას გაგონილი ექნება, რა დიდ მნიშვნელობას აძლევენ ჩინელები თავიანთ ცხოვრებაში ძველადგანვე დაწესებულ გარეგან ფორმებს ზრდილობიანობისას; ყველა ჩვენგანის გონებაში სიტყვა **ჩინელი** გამოიწვევს ხოლმე საანდაზო „ჩინურ ცერემონიებს". ეს ფორმები იმდენად რთული არის, რომ ჩინელს არც კი ესმის ეხლა მათი შინაარსი. გაზრდილი ჩინელი ყველაზე მაღლა აყენებს ეტიკეტის (გარეგანი ზრდილობიანობის) სასტიკ შესრულებას. თუ იგი მაღალ ან საშუალო წრეს ეკუთვნის, იგი თავის დღეში ფეხით არ ივლის—ან ცხენზე უნდა შეჯდეს ან ტრახტრევანით უნდა იაროს. ზრდილობის არსებული წესი თხოულობს, რომ, როცა ორი ამგვარად მოგზაური ჩინელი ერთმანერთს შეხვდება, ისინი ჩამოხტნენ ცხენიდან ან ტრახტრევანიდან და მიღებულ სალამის მიცემის შემდეგ, ერთმანერთს თხოვნა დაუწყონ, არა შენ შებრძანდი ცხენზე ან ტრახტრევანში და არა შენო, თუმცა ორივემ კარგად იცის, რომ ის უნდა შებრძანდეს პირველად, ვინც ასაკით მეტია ან სოციალურ მდგომარეობით უფრო მაღლა სდგას. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ჩინელი ჩვეულებრივ თვალს არიდებს ნაცნობს ქუჩაზე, თუ იგი ევროპიელი არ არის; ევროპიელს კი სიამოვნებით მიესალმება, რადგანაც ამისთვის საკმარისია მხოლოდ თავის დაკვრა.

---

*) Les Chinois chez eux, E. Bard, В. И. Л.-ში მოყვანილ ადგილებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკ

ამ გვარიცე თავის მომაბეზრებელი და უაზრო წესი უნდა შეასრულონ ჩინელებმა, როცა რამდენიმე მათგანი შედიან სადმე ან სხდებიან სუფრაზე. აქ დაიწყება კამათი, პირველად ვინ უნდა შევიდეს—ყველა ცდილობს სხვა გაუშვას წინ, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში უზრდელს დაუძახებენ. ევროპიელს ჩინელი ხელს ართმევს, ადგილობრივი წესი კი თხოულობს, რომ დაიჭირონ ცხვირწინ მუშტები და ეგრე დაუკრან ერთმანერთს თავი.

არსებული ეტიკეტი დიდხანს უშლიდა ხელს ჩინურ მთავრობასა და უცხოელებს შორის შესაფერ დამოკიდებულების დაარსებას. კანტონის მმართველი რამდენისამე წლის განმავლობაში არ იღებდა უცხოელ კონსულებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თანახმა არ იყვნენ შესულიყვნენ მათთან პატარა კარებით; უმთავრესი კარებით კი, ეტიკეტის მიხედვით, მმართველი იღებდა თავისს ტოლებს ან უფრო მაღალ ხარისხის პირებს. კონსულები ხარისხით მმართველზე დაბლა იდგნენ, მაგრამ ისინი დაამცირებდნენ თავიანთ მთავრობებს, რომ პატარა კარებით მისულიყვნენ მასთან. რამდენიმე წელიწადი გაგრძელდა კამათი ამ კითხვის შესახებ, სანამ ბოლოს მმართველი იძულებული არ შეიქმნა დაეთმო უცხოელებისათვის.

კიდევ უფრო ძნელი იყო, ჩინეთის იმპერატორთან აუდიენციის წესის მოწყობა; ეს კითხვა მხოლოდ 1873-ში გადაწყდა ხანგრძლივი მოლაპარაკებისა და თათბირის შემდეგ. ჩინელები თანახმა იყვნენ წარედგინათ ელჩები იმპერატორისათვის, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მათ შეესრულებინათ „კოტო“, რომლის არ შესრულება ჩინეთის სამეფო გვარის წარმომადგენელთაც არ შეუძლიათ: ვინც იმპერატორის წინაშე წარსდგება, სამჯერ უნდა მოიყაროს მუხლი და თვითეული მუხლის მოყრაზე სამჯერ უნდა შეეხოს შუბლით იატაკს. ელჩები, რასაკვირველია, არ გახდნენ ამ წესის შესრულების თანახმა; ისინი ეუბნებოდნენ ჩინელებს, რომ მათი ხელმწიფეები ჩინეთის იმპერატორის თანასწორნი არიან და თუ თავიანთ ხელმწიფეებთან არ ასრულებენ ამ წესს, არც ჩინეთში შეუძლიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეასრულონ იგი. ჩინელებმა მხოლოდ მაშინ დაუთმეს ელჩებს, როცა ესენი დაემუქრნენ მათ, რომ შესწყვეტენ ყოველივე კავშირს ჩინეთის მთავრობასთან და მოუცდიან მათ-მათი მთავრობის ინსტრუქციას. გადასწყვიტეს „კოტას“ მაგიერ ელჩებს სამჯერ თავი დაეკრათ იმპერატორისათვის ესტრადის წინ, რომელზედაც იმპერატორის ტახტი სდგას. მხოლოდ 1898-ში პირველად საფრანგეთის ელჩი პიშონი ავიდა ესტრადაზე და მიმართა პირდაპირ იმპერატორს; მის მაგალითს მიბაძა პრინცმა ჰაინრიხ პრუსსიელმა.

მუხლის მოყრას ჩინელები მეტად დიდ მნიშვნელობას აწერენ; მისგან არ არის განთავისუფლებული თვით იმპერატორიც, როცა იგი ქვრივ დედოფალთან მიდის ან ესწრება სადილს, დედოფლის პატივსაცემლად გაკეთებულს.

დიდი მოლაპარაკება და კამათი გამოიწვია აგრეთვე ელჩების ფორმისთვის აუცილებელმა „შპაგამ“; ევროპიელები იძულებულნი შეიქნენ უარი ეთქვათ იმპერატორთან ყოფნის დროს პენსნეზე და სათვალეებზე, ასე რომ ის ელჩი, რომელსაც სიბეცე სჭირს, იძულებულია რომელიმე თავის ამხანაგს მიმართოს სასახლის ოთახებში სიარულის დროს. რამდენად აფასებს და მაღლა აყენებს ჩინელი ზრდილობიანობის გარეგან ფორმას, სჩანს შემდეგ მაგალითიდან. ერთი ამერიკელი მოვიდა მანდარინთან რაღაც საქმისათვის. მანდარინმა უაღრესის ზრდილობით მიიღო იგი და, ჩინურ ჩვეულების მიხედვით, მაშინვე ჩაის მოტანა ბრძანა. მოსამსახურემ მოიტანა ფინჯანი, მანდარინმა გამოართვა იგი მას, მიიდო შუბლზე და დიდის ცერემონიით გადასცა სტუმარს. ამის შემდეგ მანდარინი დაჯდა და მასაც მიართვეს ჩაი. ამერიკელს სწყურებოდა, აიღო თავის ფინჯანი და ერთბაშად დალია. მანდარინმა მაშინვე გამოცვალა თავის ქცევა; ერთბაშად გაუზრდელდა, არაფრის გაგონება არ მოისურვა და თითქის გამოაგდო სახლიდან გაოცებული საბრალო ამერიკელი. ჩინეთის ჩვეულებების მიხედვით, ამერიკელმა მეტად დიდი უზრდელობა ჩაიდინა: იგი ფეხზე უნდა ამდგარიყო და ისე გამოერთმია მანდარინისათვის ფინჯანი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიჰკარებოდა მას, სანამ მასპინძელი არ მოსვამდა თავის ფინჯანიდან; ჩაის გათავების შემდეგ სტუმარი, ეტიკეტით უნდა წასულიყო. რომ სტუმარი მასპინძლის სწორი ან მაზე მაღალი ხარისხის ყოფილიყო, მას შეეძლო თუნდ ოცდა ათი ფინჯანის დალევა და ეს მას უზრდელობად არ ჩამოერთმეოდა. საკვირველი არ არის, რომ მანდარინმა, რომელსაც მანამდე არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია უცხოელებთან, ვერ აიტანა ამგვარი უზრდელობა და ამერიკელი სახლიდან გააგდო.

ის ზიზღი, რომელსაც ჩინელი გრძნობს უცხოელისადმი, გამოწვეულია უფრო იმ გარემოებით, რომ უცხოელები სრულებით არ ცდილობენ გაიცნონ და შეასრულონ ადგილობრივ ეტიკეტის წესები.

ამ წესებს ჩინელი სწავლობს დიდის გულმოდგინებით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თითქმის ყველა მამრობითი სქესის ბავშვები სკოლებში დადიან, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა აზრის უნდა იყოს ჩინელი უცხოელებზე, რომელნიც იმდენად ცუდად აღზრდილნი არიან, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცის ჩინური ზრდილობის სულ უბრალო წესებიც კი.

ევროპიელს, რასაკვირველია, სასაცილოდ მიაჩნია, მაგალითად, შემდეგი ჩვეულებრივი დიალოგი ორის ჩინელისა (რა წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს, სულ ერთია), რომელნიც ერთმანერთს შეხვდნენ:

— თქვენი ძვირფასი სახელი?

— თქვენი უმცროსი ძმის უმნიშვნელო სახელი ვანგია.

— რამდენად ხანგრძლივია მიმდინარეობა თქვენი სახელოვანის ცხოვრებისა?

— ძალიან მოკლე. სულ შესაბრალისი სამოცდა ათი წელი.

— სად არის თქვენი მშვენიერი სასახლე?

— სორო, სადაც მე თავს ვიფარავ, არის იქ.

— რამდენი ძვირფასი შვილის პატრონი ხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ მყავს ხუთი სრულებით სულელი გოჭი". და ასე ამგვარად.

თუ ჩინელმა ოდესმე თავის ცოლზე დაიწყო ლაპარაკი (ამას მხოლოდ მაშინ ჩადის იგი, როცა ეს აუცილებელია), იგი ზიზღით სავსე სიტყვებს ხმარობს. ჭადრაკის თამაშის დროს, ფიგურას ვერ გადადგამ ისე, რომ არ თქვა: „ვდგამ ჩემ არარაო პაიკს აქა და აქ", ამაზე მოწინააღმდეგე: „მეც მიმყავს ჩემი უმნიშვნელო პაიკი ამა და ამ ადგილას". „ვემუქრები თქვენ პატივსაცემ პაიკს ჩემ ყოველ ზიზღის ღირს მხედრით" და სხვა.

თუ ქალს თხოულობს ვინმე, ქალის მამა, თუ კეთილ-აღზრდილი ჩინელია, დაახლოვებით ამგვარ პასუხს იძლევა: „არ-ჩევანი, რომლითაც თქვენ ისურვეთ პატივისცემა ჩემი ქალისა, რომელიც თქვენ თქვენი შვილის ცოლად დანიშნეთ, მოწმობს, რომ თქვენ, რომ არ ღირს, ისე აფასებთ ჩემ ღარიბს და სიცივით შეწუხებულს ოჯახს. ჩემი ქალი გაუზრდელი და სულელია და მე არ მქონდა ნიჭი კარგად გამეზარდა იგი, მაგრამ მე ვამაყობ მით, რომ შემიძლია შევასრულო თქვენი ბრძანება".

ჩინელს რომ სახელი დაუძახოთ, დიდ უზრდელობად ჩამოგართმევენ. ეს შეუძლია მხოლოდ უფრო დიდ ხარისხოვნებს; ჩინელი ძმასაც გაუჯავრდება, თუ იგი მას სახელს დაუძახებს. მან უნდა მიჰმართოს ასე: „პატივცემულო უფროსო ძმაო" ან „პატივცემულო ახალგაზდა ძმაო". ჩინურის არ მცოდნე უცხოელებს ხშირად ესმით ამგვარი დაძახება, საკუთარი სახელი ჰგონიათ იგი და თავიანთ მსახურებს „პატივცემულ უფროს ძმას" ეძახიან, რაც, რასაკვირველია, ჩინელებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით. საზოგადოდ, ჩინურ ზრდილობის ძირითადი წესი არის ისე მოიქცე, ვითომ შენი პიროვნება ყურადღების ღირსიც კი არ იყოს. ერთმა ევროპიელმა გაიგო, რომ მის ნაცნობ ჩინელს შვილი მძიმე ავადმყოფი ჰყავს, და თანაგრძნობით ჰკითხა მისი ამბავი; ჩინელმა ღიმილით მისცა პასუხი, რომ მისი შვილი უთუოდ მოკვდებაო. ევროპიელი აღშფოთდა მამის ასეთის გულქვაობით და ეს ამბავი გადასცა ერთ ნაცნობს, რომელიც ჩი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთსა და ჩინურ ჩვეულებებს კარგად იცნობდა. ნაცნობმა აუხსნა აღშფოთებულ ევროპიელს, რომ ჩინელის მხრივ გულქვაობა და ცინისმი როდი ყოფილა, არამედ ჩინურ ზრდილობის შესრულება.

— მერწმუნეთ, რომ თქვენი ჩინელი ღრმად მწუხარეა შვილის ავადმყოფობით, მაგრამ, მისის აზრით, მას უფლება არ აქვს, თქვენ, უცხო კაცი შეგაწუხოთ და მიაქციოს თქვენი ყურადღება ისეთ უმნიშვნელო რამეს, როგორც მისი მწუხარეგაა. ზრდილობის იმავე წესების მიხედვით, თქვენ უნდა გენუგეშებინათ იგი, მიუხედავად მის გარეგან ღიმილისა.

ჩინურ ზრდილობის კანონები თხოულობენ აგრეთვე უსიამოვნო სიმართლე ან უარი პირდაპირ არ იყოს თქმული. პირდაპირი უარის თქმა, მიღებული ევროპიელებ შორის, ჩინეთში დიდ უზრდელობად ითვლება. ჩინელი მსახური, რომელიც ჯამაგირით ან რითიმე კმაყოფილი არ არის და მიდის, თავის დღეში არ იტყვის ნამდვილ მიზეზს წასვლისას; იგი ან თავისიანების ავადმყოფობას მოიმიზეზებს ან იტყვის, რომ თვითონ არის ავად და არ შეუძლიან მეტი სამსამსახური. თუ ჩინელი ფულს ან რამეს სხვას გესესხებათ, შეგიძლიანთ უარი უთხრათ მხოლოდ საკუთარის ვითომდა სილატაკის ჩვენებით, თან დიდი მწუხარება უნდა გამოუცხადოთ, რომ არ შეგიძლია სამსახური გაუწიათ ისეთ მშვენიერ და ყოველ ღირსებით აღსავსე ადამიანს, როგორც მსესხებელი არის. ამ გვარ უარს ჩინელი საწყენად არ მიიღებს, თუნდ დარწმუნებულიც იყოს, რომ ეგრე მოლაპარაკეს შეეძლო დაეკმაყოფილებინა მისი თხოვნა. რაც შეეხება პირად შეურაცხყოფას, ჩინელი მას შედარებით გულ-გრილად იტანს, მაგრამ თუ შეეხეთ მის წინაპრებს, ან ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით თუ ეს საჯაროდ მოხდა, იგი არ მოგეშვებათ, სანამ დაკმაყოფილებას არ მიიღებს. დაკმაყოფილება კი ფულით როდი იციან: თუ შეურაცხმყოფელი აიძულეს და შეურაცხყოფილის კარები შეაღებინეს, უკანასკნელის სახელი აღდგენილია საზოგადოების თვალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჩინურ ზრდილობის წესები საზოგადოდ ჩინელის არა-გულწრფელობის და ვაქნილობის გამოხატულობაა. ოთხის წლის გამოცდილებამ დამარწმუნაო,—ამბობს წერილის ავტორი,—რომ ორპირობა, გაქნილობა და ჩარჩობა ჩინეთის ყველა წრეების თვისებებიაო. თუ კი პირადი სარგებლობა მოითხოვს, ჩინელი მზად არის ფარ-ჰყოს თვით უცხადესი ფაქტიც. თუ გზაზე მანძილის ნიშნებია და, მაგალითად, 40 ვერსი გაიარეთ, დაბრუნებისას მეეტლე დაგიწყებსთ რწმუნებას რომ გავლილია არა 40, არამედ 60, ან 80 ვერსიო. ვაჭარს ორგვარი სასწორი აქვს: ერთი ყიდვისათვის, მეორე—გაყიდვისათვის. მყიდველი დიდ-ხანს ვაჭრობს, სანამ ერთი გირვანქის, თუნდა ჩაის, ფასში მოურიგდებოდეს. ბოლოს მორიგდნენ კიდეც, მაგრამ უცბად ვაჭარი აცხადებს, რომ გირვანქაში იგი 12 უნცის ითვლის (ჩვეულებრივი ჩინური გირვანქა 16 უნცია), მყიდველმა ისევ უნდა დაიწყოს ვაჭრობა. სიგრძისა და სივრცის საზომებიც ეგრევე ხშირად იცვლებიან იმის მიხედვით ჩინელი ყიდულობს თუ ჰყიდის. გარდა ამისა ჩინეთის სხვა-და-სხვა ადგილას საზომის სიდიდეც სხვა-და-სხვაა. საზოგადოდ ჩინეთში ერთიანს საზოგადოდ მიღებულს ვერაფერს შეხვდებით. ხალხის აღწერაც ესეთივეა; ჩინეთში არავინ, თვით მთავრობამაც კი არ იცის ხალხის ნამდვილი რაოდენობა. ესეც კია, რომ ჩინელი ფისკალურ მოსაზრებათა გამო ოჯახის წევრების ნამდვილ რიცხვს იშვიათად უჩვენებს. როცა ჩინელი ვისმე პირობით ეკვრება, იგი ყოველ ღონისძიებას ხმაროობს, რათა პირობაში ისეთი რამ გამოურკვეველი მუხლი მოხვდეს, რომ მან საჭიროების დროს თავის დაძვრენა შეიძლოს. როგორც სავაჭრო, ისე დიპლომატიურ მოლაპარაკების დროს მეტად ძნელია შეთანხმების პირობის მუხლების ცხადად და გარკვევით გამოთქმა; ჩინელი ცდილობს ეს სიცხადე და გარკვეულობა არ იყოს ხელ-შეკრულობაში. ამიტომაც დიპლომატიურ მოლაპარაკებას ჩინეთში კამათის ხასიათი აქვს, რომლის დროს ორივე მხარე სცდილობს ერთმანეთის მოტყუილებას. ჩინეთ-იაპონიის ომის გათავების შემდეგ, იმპერატორმა გაგზავ-

ნა იაპონიაში განსაკუთრებული ელჩები და გაატანა იაპონიის იმპერატორთან წერილი, რომელშიაც მაღალ ფარდების სიტყვებით გამოთქმული იყო დიდი მწუხარება მათ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების გამო. ელჩებს კი საჭირო მინდობილობა არ ჰქონდათ და მათგან ხელ-მოწერილი პირობას, რა-საკვირველი, იურიდიული ძალა არ ექმნებოდა. იაპონელები კარგად იცნობდნენ აღმოსავლეთს და ელჩები უკანვე გამოაბრუნეს. მხოლოდ ამის შემდეგ გაგზავნეს ლიხუნგ ჩანგი, რომელსაც საჭირო მინდობილობა ჰქონდა. კერძო საქმეებშიაც ეგრე იქცევიან ჩინელები. როგორც კი ჩინელსა და ევროპიელს შორის საქმის გამო რამე უთანხმოება ჩამოვარდება, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი მოციქულს გამოუგზავნის ევროპიელს—მას უნდა საქმე გააჭიანუროს და თავიდან აიშოროს პირადი მოლაპარაკება, რომელიც მას აიძულებს საკამათო საქმე ერთბაშად და ცხადად გაათავოს. ჩინელს მეტად უყვარს ტყუილი და მოტყუილება. ამერიკის საელჩოს მდივანს უნდა მიეღო ერთი მანდარინისაგან რამდენიმე ასი უნცი ვერცხლი. მანდარინმა გამოუგზავნა დაბეჭდილ ქისებში ფული და თან ოფიციალური ქაღალდიც მოაყოლა, რომ თვითეულ ქისაში 50—50 უნცი ვერცხლიაო. ამერიკელი კარგად იცნობდა ჩინელ მოხელეებს და სანამ მიიღებდა ფულებს, ქისები აწონა და აღმოჩნდა, რომ 50-ის მაგიერ 47-ი უნცი იყო ყველაში, ამასთან ვერცხლიც არ იყო კარგი. მდივანმა უკანვე გააბრუნა ფული და თან მისწერა მანდარინს, რომ თუ ერთ საათის განმავლობაში მას არ მოუვა საჭირო წონის კარგი ვერცხლი, იგი შეთანხმებას დარღვეულად ჩასთვლის და ყველაფერს პეკინში მიიწერება. მანდარინმა მაშინვე გამოუგზავნა ვერცხლი როგორიც და რამდენიც საჭირო იყო და ამერიკელი მიიპატიჟა ამავე დღეს სადილად. როცა იგი სტუმარს შეხვდა, გულიანად გაიცინა და უთხრა: „მე მინდოდა შემომეტყუილებინა თქვენთვის ცუდი ვერცხლი, რადგანაც იმედი მქონდა, რომ თქვენ, როგორც უცხოელი, ვერ მიხვდებოდით ამას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თქვენ ჩემზე ნაკლებ არ გცოდნიათ

ეგეები". შემდეგ იგი თავისუფლად მოუყვა ამერიკელს, თუ როგორ დაამზადა ორ გვარი ვერცხლი; თუ ტყუილი არ გაუვიდოდა, იგი წინდაწინვე მზად იყო კარგი ვეცხლი გაეგზავნა. ტყუილი სამარცხვინო საქმედ არ ითვლება ჩინეთში; მართალია, მათი რელიგიური წიგნები ჭეშმარიტების სიყვარულს ქადაგებენ, მაგრამ ჩინელი მოტყუილებას ცოდვად არ სთვლის, იგი—ხერხიანობის და გამოცდილების დამამტკიცებელია. ჩინელი რომ ტყუილში დაიჭირო და უთხრა, რომ ის სტყუის, ამას შეურაცხყოფად არ მიიღებს, იგი გაიცინებს და გეტყვის, რომ შენ მასზედ უფრო მოხერხებული ხარ. ანგარიშში მოტყუილება, „ჩამორჩენა" ჩინელის შეხედულებით პატიოსნებას არ ართმევს კაცს. ჩინელი მსახური ამ მხრივ ნამდვილი ხელოვანია, მას ვერ შეედრება ვერც ერთი ევროპიელი მსახური: სავაჭროს ნაკლები მოტანა, დანარჩენი ფულის გადამალვა და ამგვარები კანონიერია ჩინელისათვის. ამ ფლიდობას და ტყუილს იმდენად ღრმად აქვს გადგმული ფესვები ჩინელის ბუნებაში, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის შეუძლებელია.

ჩინელის საზოგადოებრივ აღზრდის მეორე დიდი ნაკლია ის, რომ მან არ იცის დროს ფასი. მაგალითად, ჩინელმა დაგინიშნათ დრო საქმეზე მოსალაპარაკებლად: შეუძლებელია, რომ იგი დანიშნულს ვადაზედ მოვიდეს; უთუოდ უნდა დაიგვიანოს საათი, ორი საათი, ხანდახან მთელი დღეც და ბოდიშსაც არ მოიხდის ამისათვის, რადგანაც ეს მას ცუდ რამედ არ მიაჩნია. მუშაობის დროს იგი სრულებით არ ცდილობს მიჰმართოს ისეთ საშუალებას, რომელიც შეუმოკლებს მას მუშაობის ხანგრძლივობას. მას თავში არ მოუვა აზრი ისარგებლოს ტაჭკით საშენ მასალის ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე გადასატანად; იგი რჩებს აუჩქარებლივ ზიდოს თითო აგური და მოანდომოს დიდი დრო. ამიტომაც, როცა ჩინეთში რომელიმე დიდი შენობა კეთდება, თავ-მოყრილია აუარებელი მუშები, რომელნიც უთავ-ბოლოდ მიდი-მოდიან. სახლშიაც ეგრე მუშაობს ჩინელი; დაიწყებს მუშაობას, როცა მოუნდება, შესწყვეტს, როცა უნდა და ხშირად ღამე მუშაობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც მთელი დღე ეძინა ან მასლაათობდა, რაც ჩინელს მეტად უყვარს. კვირის დასვენება, რომელიც ჰყოფს დროს კვირეებად (აქედან შორს არ არის საათებად დაყოფაც) ჩინელმა არ იცის; იგი ისვენებს ერთბაშად, წელიწადში ერთხელ, სახელდობრ ახალწელიწადს; ამიტომ დრო ჩინელის წარმოდგენით უსაზღვროა. ამ გვარ წარმოდგენას ხელს უწყობს სკოლაში არსებული წესიც. ბავშვები მიდიან სკოლაში განთიადისას და ბრუნდებიან სახლში ღამით; ეს დრო განაწილებული როდია სხვა-და-სხვა მეცადინეობისათვის და დასვენებისათვის. ბავშვები სხედან კლასში და მთელი დრო ზეპირობენ გაკვეთილს. როცა ბავშვს ჰგონია, რომ მან გაკვეთილი იცის, გადასცემს წიგნს მასწავლებელს, შეაქცევს მას ზურგს და დაიწყებს გაზეპირებულის თქმას. მასწავლებელი არც კითხვას იძლევა, არცა-რას ხსნის, რადგანაც ჩინური სწავლება ტექსტის გაზეპირებაა და სხვა არაფერი. მართალს ამბობენ ჩინელებზე, რომ მხოლოდ ამისთანა ხალხს, რომელიც დროს არ აფასებს, შეეძლო ისეთის ანბანის გამოგონება, რომლის კარგად შეთვისებისათვის საჭიროა ადამიანის მთელი სიცოცხლე; მხოლოდ მოხუც ჩინელს შეუძლია რიგიანად იცოდეს ჩინური წერა-კითხვა.

ჩინური სადილი და მასლაათი გაუთავებელია. როცა ჩინელი გეწვევათ, არ იტყვის თუ რისთვის მოვიდა, ჯერ იგი ჩამოაგდებს ლაპარაკს სულ გარეშე საგნებზე, რამდენიმე ფინჯან ჩაის მიირთმევს, რამდენიმე ჩიბუხს მოსწევს და მხოლოდ წასვლის წინ იტყვის სხვათა შორის, თუ რა საქმისათვის მოსულა. სხვა ნაირად რომ მოქცეულიყო, იგი დაარღვევდა ყველა ჩინურ წესებსა და ჩვეულებებს. სათეატრო წარმოდგენები ჩინეთში მთელი დღეები გრძელდება. თეატრში ჩინელი სჭამს, სვამს, ჩიბუხს ეწევა და მასლაათობს. წვრილმან გასართობსაც მეტად ბევრ დროს ანდომებს იგი: მისი ჩიბუხი ისე პატარაა, რომ ყოველ მოწევის შემდეგ ხელ-ახლავ უნდა აივსოს თამბაქოთი და ხელ-ახლავ ცეცხლი უნდა მოეკიდოს. ჩინური დღე იყოფა სამ ნაწილად: დილა, საღამო და ღამე; ჩინელს ხანდა-

ხან საათიც აქვს, მაგრამ მას იგი ატარებს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ხმაურობა მოსწონს; საათის მომართვა მას თითქმის ყოველთვის ავიწყდება და აქამდის ვერ გაუგია, რისთვის წყრება ევროპიელი, როცა რამდენიმე წუთს დაჰკარგავს.

ჩინელი მეტად ჭუჭყიანი და ბინძურია. მისი ცხოვრების სანიტარული პირობები წარმოუდგენელია ევროპიელისათვის. ჩინეთის ქალაქები კედლებით არის შემოზღუდული და მცხოვრებლები, რომელთა რიცხვი თანდათან მრავლდება, სქლად შეჯგუფული ცხოვრობენ. მცხოვრებთა სისქის გამო ქუჩები იმდენად ვიწრონი არიან, რომ ორ კაცს გავლა გაუჭირდება. ყველა ქალაქში არის რამდენიმე მოკირწყლული ქუჩა; შუა ქუჩაში გადის პატარა თხრილი სიბინძურეთა სადენად; დანარჩენი ქუჩები მოუკირწყლავია და რაღაც საშინელებას წარმოადგენენ, რადგანაც ყოველ გვარ სიბინძურეს იქვე ჰყრიან. ზოგიერთ ქალაქებში, მაგ., ნანგპოში ჩამწკრივებულია ქუჩებზე გამვლელთათვის ფეხის ადგილები საჭიროების დროს, ვითომდა სხვების თვალთაგან მისაფარავად; ნამდვილად კი იქ შესულ კაცს ყველა ჰხედავს და ისეთი მყრალი სუნია ქუჩებზე, რომ ადამიანს სული ეხუთება. თუ რად შეიძლება გახდეს უპატრონო ქალაქი, ამის მაგალითს წარმოადგენს პეკინი წვიმის დროს. პეკინი ვრცელ გეგმაზე არის აშენებული; მისი განიერი ქუჩები, მაღალი კედლები და ტაძრები გაზნექილი სახურავებით, უთუოდ, ჰქმნიდნენ პეკინს ერთ უმშვენიერესს სატახტო ქალაქად ქვეყანაზე. ეხლა კი ძველ მოკირწყლულ ქუჩებზე ქვა გაჰქრა, ეტლები და ურმები ტალახში იფლობიან, ასე რომ თამამად შეიძლება ითქვას პეკინის ქუჩები მიმოსვლის ხელის შემშლელები არიან. ჩინეთის ყველა ქალაქებში, რაც სახლში სიბინძურე და ნაგავია, პირდაპირ ქუჩაზე ჰყრიან. სახლის პატრონი მის წინ მდებარე ქუჩის ნაწილს თავის საკუთრებად სთვლის და ისე იქცევა, როგორც თავის საკუთარ მიწაზე. მინდვრებში გზები მეტად ვიწროა და, რადგანაც ახლო მდებარე ყანის პატრონი გზას თავის საკუთრებად სთვლის, ყოველ გამვლელს ფასს ახდევინებს. გზაზე თუ პატარა ორმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩნდა, მის ამოესებას როდი ჰფიქრობენ; პირიქით, ჩინელი ამოიღებს იქედან კარგ მიწას თავის ყანისათვის, ასე რომ პატარა ორმო მალე იქცევა უშველებელ ორმოდ, რომელიც წვიმის დროს გაუვალი ტბა ხდება.

ქალაქების განათება მეტად ცუდია. პეკინის განათებაზე შემდეგს ამბავს მოგვითხრობენ: სატახტო ქალაქის განათებისათვის გადადებულია ყოველ წლივ 80,000 ტაელი; ამ ფულიდან მოხელე, რომელსაც ეს საქმე აბარია, თავისთვის იტოვებს ნახევარს; მეორე ნახევარს იგი აძლევს თავის თანაშემწეებს ქალაქის განათების მოსაწყობად; თანაშემწეები იტოვებენ მიღებულის ნახევარს და დანარჩენს გადასცემენ თავიანთ თანაშემწეებს და ბოლოს რჩება სულ ცოტა ფული, რომელსაც მუშას აძლევენ ზეთის საყიდლად. მუშა ყიდულობს ზეთს, ასხამს თიხის ჯამში და „ფარანი“ მზად არის, მაგრამ ამ დროს გამოიელის გლახა და ზეთს სვამს. ეს არის პეკინის განათება.

რადგანაც ჩინელებს მეტად ცოტა საქონელი ჰყავთ, ისინი დიდის სიფრთხილით უყრიან თავს და ინახავენ თავიანთ პატივს, რომელიც მათ მიაქვთ ყანებზე დაუხურავ ეედრებით, რის გამოც საშინელი მყრალი სუნი ვრცელდება მთელს არემარეზე. გზებზე, ყანების ახლო, ჩამწკრივებულია ფეხის ადგილები, მგზავრთა საჭიროებისათვის; პატრონი, რასაკვირველია, მგზავრებზე როდი ჰფიქრობდა, როცა ფეხის ადგილებს აკეთებდა, მას აინტერესებს საყანეების გასუქება. ჩინეთის სასტუმროში არ არის ის ჭურჭელი, ურომლისოდაც ევროპიელს საწოლი ოთახი ვერ წარმოუდგენია; მის მაგიერობას ოთახის კუთხეები ასრულებენ. სასტუმროების ეზოები ამყროლებელი კლოაკებია, სადაც განუწყვეტელი ხმაურობაა ადამიანებისა და ცხოველების. ჩინელმა არ იცის, რა არის კომფორტი. მისი სახლი ყოველთვის ნოტიო და ცივია, ფანჯრებში მინის მაგიერ ქაღალდია გაკეთებული. ერთმა მანდარინმა, რომელიც ამერიკაში იყო გაგზავნილი რაღაც მინდობილობით, გამოტეხით სთქვა, რომ ამერიკაში სატუსაღოები ბევრად უფრო კარგად არას მოწყობილი, ვიდრე ჩემი სახლიო.

ზაფხულში ჩინელი სიცხით იხჩვება, რადგანაც მის სახლში ვენტილიაციას ადგილი არ აქვს, ზამთარში ცივა, რადგან მის სახლს ბუხარი არა აქვს; სძინავს პირდაპირ ფიცარზე, თავქვეშაც ხშირად ხის მორი უდევს. ქალები ბალიშის მაგიერ რაღაც განსაკუთრებულ მუთაქას ხმარობენ, რადგანაც დავარცხნილ და გაკეთებულ თმას უფრთხილდებიან. გარდა ამისა სოფლის სახლი სავსეა პარაზიტებით, რაც საკვირველი არ არის თუ ჩინელის უსუფთაობას ვიქონიებთ სახეში.

ქალების მდგომარეობა ჩინეთში სახარბიელოზე ძალიან შორს არის. მათ ათხოვებენ ისე, რომ არც კი იციან ვის მიჰყვებიან. დაქორწინება ხდება დედ მამის თანხმობით. გათხოვების შემდეგ ქალი ხდება დედამთილის სრული მონა, თუ რა შეხედულობის არის ჩინელი ქალზე, სჩანს იმ გარემოებიდან, რომ ცოლის ან ქალის ამბავის კითხვა უდიდეს უზრდელობად ითვლება. ჩინელი თავის ღირსების დამცირებად სთვლის ცოლთან ან ქალთან ერთად წავიდეს სადმე. თუ იგი მდიდარია მგზავრობის დროს ცალკე ეტლში ზის, ქალები მეორე ეტლში, თუ ქუჩაზე შეხვდა თავის ცოლშვილს, არასოდეს არ გაივლის მათთან ერთად. კანონი და ჩვეულება ნებას აძლევს ჩინელს იყოლიოს იმდენი ცოლი, რამდენიც შეუძლია, მაგრამ ნამდვილ, ოფიციალურ ცოლად ითვლება პირველი; სხვა ცოლების შვილებიც ამ პირველს ეკუთვნიან კანონით. ჩინელი ქალი, როგორც ქალი ყოველ უფლებას მოკლებულია, მაგრამ როგორც დედა, იგი შვილების სრული ბატონია, თუნდ ეს შვილები დაცოლშვილიანებულნიც იყვნენ.

მამა-კაცს შეუძლიან რამდენჯერმე შეირთოს ცოლი, ქვრივი დედა-კაცი კი მეორედ თუ გათხოვდა, დიდ დანაშაულობად ეთვლება ეს და არავითარ პატივს არა სცემენ მას. თუ დაქვრივებული თავს იკლავს ქმრის საფლავზე, მას დიდის პატივისცემით იხსენიებენ. ოჯახში მძიმე მდგომარეობის გამო, ჩინელ ქალს მეტად თავ-დაჭერილად უჭირავს თავი არა თუ უცხოებთან, არამედ თავის საკუთარ შვილებთანაც კი: იშვიათი მოვლენაა, რომ დედამ შვილს მიუალერსოს, აკოცოს. ჩინელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალები მუდამ ეჩხუბებიან ერთმანერთს და ილანძღებიან. დაბალ-წოდების ქალს, როგორც ყველგან, აქაც მძიმე შრომა აწევს კისერზე; მდიდარ ოჯახებში კი ქალი სრულებით უქმად ატარებს დროს. უბრალო ხელსაქმესაც კი არ მოჰკიდებს ხელს. რომ თვალსაჩინო გახადონ თავიანთი სიმდიდრე და მაღალ-წოდების ჩამომავლობა, ჩინელი ქალი იზრდის ისეთ გრძელ ფრჩხილებს, რომ იძულებულნი არიან განსაკუთრებული ვერცხლის, ან ოქროს ბუდეები გაუკეთონ მათ. რადგანაც წერა-კითხვა არ იციან და წიგნების კითხვით თავს ვერ შეიქცევენ, ეს არისტოკრატი ქალები მთელ დღეს ტუალეტს ანდომებენ, სახეებს იღებავენ, სტუმრად მიდიან, ან სტუმრებს იღებენ.

ჩინელი ძალიან ადრე ირთავს ცოლს. ყოველი დედ-მამა მონდომებულია, რაც შეიძლება მალე შერთოს ცოლი თავის შვილს, რათა თვითვე მოესწრონ შვილიშვილებსა და გვარის მემკვიდრეთ, რომელთაც შეეძლებათ პატივისცემა და მოხსენება მიცვალებულ წინაპართა. წინაპრების მოხსენება და მათის სახელის პატივისცემა დიდ და წმინდა საქმედ ითვლება ჩინეთში და ამიტომ რაც უფრო მეტ მემკვიდრეს დასტოვებს ჩინელი, მით უკეთესი პატივი მოელის მას გარდაცვალების შემდეგ. ხოლო ის გარემოება, რომ ჩინელები მეტად ახალგაზდანი ირთავენ ცოლებს, მიზეზია ჩინელების გამრავლებისა. თითოეულს ოჯახში 15-მდე ბავშვს შეხვდებით; ზოგს იმდენი შვილი დაეხვევა, რომ მათი რჩენა აღარ შეუძლიან, რაც უნდა დიდი შრომა გასწიოს. აქედან წარმოსდგება ძალიან გახშირებული ჩვეულება ჩინელებისა—შვილად აყვანა ბავშვებისა. თუმცა ბევრი იბადება ჩინეთის ოჯახში, მაგრამ მათგან ბევრიც კვდება. საკვირველია, რომ ჩინელები, რომელნიც დიდის მოკრძალებით სცემენ თაყვანს გარდაცვალებულ წინაპართ, სრულიად არაფრად აგდებენ ბავშვის სიკვდილს; ხშირად არც მარხავენ მათ, როგორც რიგია, და გადააგდებენ სადმე მინდორში, სადაც უმანკო ბავშვის გვამს შესჭამენ ღორები, ეს ერთადერთი სანიტარები ჩინეთში. ისეც ხდება ხანდისხან, რომ ჩინელი არც უცდის, როდის მოკვდება ბავშვი; თუ შეატყო, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფი ბავშვი ვერ გამობრუნდება, მაშინვე მიაქვს მინდორში და აგდებს იქ ან და მიუგდებს რომელსამე მეზობელს ეზოში.

გარდაცვალებულ მშობლების მოხსენება და დიდება შეუძლიან მხოლოდ მამაკაცს; დედაკაცს კი ამის უფლება არა აქვს. ჯერ კიდევ სიცოცხლეში, თუ უნდა შვილს დედმამის სიამოვნება, უნდა აჩუქოს მათ მშვენიერი კუბო. ამგვარ უცნაურ საჩუქარს მშობლები დიდის მადლობით იღებენ შვილებისაგან და საუკეთესო ადგილზე სდგამენ მას სახლში. ადვილად წარმოსადგენია, როგორ ელდასავით ეცემა გულში ევროპიელ დედმამას ამგვარი საჩუქარი რომ მიიღოს შვილისაგან, ჩინეთში კი ეს საუკეთესო პატივისცემა დედმამისა!.. ჩინელს მეტად უყვარს ის ადგილი, სადაც დაიბადა და ამიტომ ყოველი მათგანი მოწადინებულია უთუოდ იქ დაიმარხოს, სადაც დაბადებულა და გაზრდილა. ყოველს სოფლელს თავის მამულშივე აქვს არჩეული სასაფლავო, სადაც იმარხება მთელი გვარი. ქალაქებშიაც ყველას აქვს თავ-თავისი სასაფლავო და მხოლოდ ღარიბ-ღატაკებს მარხვენ საზოგადო სასაფლავოზე.

შვილები ვალდებულნი არიან იგმლოვიარონ დედმამის სიკვდილი სამი წელიწადი, მაგრამ ბოლოს დროს ეს ჩვეულება ჩინეთში მოისპო და ახლა მხოლოდ ერთ წელიწადს გრძელდება გლოვა. შეძლებული ჩინელი ამ დროს განმავლობაში სრულიად არ მუშაობს და არ საქმობს; მოხელეები დროებით სამსახურიდანაც გამოდიან. დამარხვაზე ჩინელი მეტად დიდ ფულს ხარჯავს; ასე რომ ხშირად შვილმა, მშობლების ღირსეულად დასაფლავებისათვის, მთელი საცხოვრებელი უნდა გაჰყიდოს.

რადგანაც ჩინელების სასაფლაოები მრავლად არიან გაფანტულნი მინდვრებში, ამიტომ პირველად ევროპიელებს ეშინოდათ რკინის გზის ლიანდაგის გაყვანა სასაფლაოების ახლო, მაგრამ შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ეს შიში უსაფუძვლო იყო: ჩინელები სიამოვნებით დასთანხმდნენ და ჯილდოს მიღების შემდეგ გადაიტანეს თავიანთი წინაპრების კუბოები იმ ადგილებიდან, სადაც რკინის გზას უნდა გაეარნა. საზოგადოდ, ევროპიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების გავლენის წყალობით ჩინეთში ბევრი ჩვეულება და ცრუ-მორწმუნეობა ჰქრება ამ ბოლოს დროს და ქრისტიანობაც თან და თან ვრცელდება.

ჩინეთში ამ ჟამად სამი სარწმუნოება ჰსუფევს, გარდა ქრისტეს სჯულისა, რომლის მიმდევართა რიცხვი ჯერ, რასაკვირველია, ძრიელ ცოტაა. ეს სამი სარწმუნოება არის: კონფუცის სჯული, ტაოიზმი და ბუდიზმი, რომელნიც ჩინელთა სიტყვით, შეადგენენ ბოლოს და ბოლოს ერთ სარწმუნოებას. და მართლაც, ბევრგან, ჩინეთში. საყდრებში სამივე სახეს ვხედავთ: კონფუციისა, ბუდდასი და ლაო-ტსესი (ტაოიზმის დამაარსებლის). კონფუცის მოძღვრება, უნდა მართალი ითქვას, სარწმუნოება როდი არის; ის უფრო ზნეობის კანონების კრებულია, სადაც აქა-იქ არის ნაჩვენები ორიოდე სარწმუნოებრივი წესი. კონფუცი მაინცა და მაინც დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა სარწმუნოებას, ის უფრო საყურადღებოდ სთვლიდა კანონებს, რომლით უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში, სახელმწიფოსა და მშობლების სამსახურში. დაიბადა კონფუცი 551 წელს, ხოლო გარდაიცვალა 479 წელს ქრისტეს დაბადების წინ; პირველი ტაძარი კი მის სახელობაზე დაარსებულ იქმნა მხოლოდ 1-ლ წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ. ამ ჟამად კონფუცის თაყვანსა სცემენ მრავალ ათას ტაძრებში. კონფუცის სარწმუნოება აღწერილია ცხრა წიგნში, რომლებშიაც ქებაშესხმულია სათნოება და კარგი თვისებანი ადამიანისა, ხოლო დათრგუნვილია ბოროტება. ადამიანის კარგ თვისებად კონფუცი სთვლის: მშობლების პატივისცემას, მორჩილებას, სიმდიდრისადმი ზიზღს, სამართლიანობას, მოთმინებას, შრომის მოყვარეობასა და ცოდნის შეძენის სურვილს.

ლაო-ტსემ ბევრი ცრუმორწმუნეობა შესძინა ჩინელთ. მისი მოძღვრების ხასიათი სრულიად არ წააგავდა კონფუცის მოძღვრების ხასიათს. მაშინ როდესაც პირველის მოძღვრება რეალური იყო და შეიცავდა ზნეობრივ ცხოვრების კანონებს, ლაო-ტსეს მოძღვრება სპირიტუალიზმით იყო აღსავსე და თხო-

ეროვნული ბიბლიოთეკ

ულობდა ადამიანისაგან ასკეტურს ცხოვრებას. კონფუცის დალაო-ტსეს, როგორც გადმოცემა ამბობს, ხშირად ჰქონიათ ერთმანეთში საუბარი და კამათი სარწმუნოებრივ საკითხავების შესახებ, მაგრამ ერთმანეთის რწმენა და აზრი ვერ შეუცვლიათ: ხოლო ბუდიზმი ჩინეთში, როგორც ფიქრობენ, შესულა პირველ წლებში ქრისტეს დაბადების შემდეგ და მალე გავრცელებულა.

ბონზებს (მღვდლებს) ბუდდისა და ლაო-ტსეს სარწმუნოებათა ჰნიშნავს თეით ბოგდიხანი. ისინი უმეცარნი არიან და ამასთანავე გაიძვერებიც და საშინლად ჰყვლეფავენ ხალხს. ბონზებმა ზეპირად უნდა იცოდნენ ლოცვები, რომელნიც სანსკრიტულ ენაზე არიან დაწერილნი; ხოლო, რადგანაც არც ბონზებმა, არც ხალხმა არ იციან სანსკრიტული ენა, ამის გამო ლოცვების აზრი ყველასათვის გაუგებარია. ძველ დროში ჩინეთში გავრცელებული იყო ჩვეულება „ცოცხალ ბუდდის“ თაყვანისცემისა. აირჩევდნენ წმიდა ცხოვრების და კეთილ ადამიანს, აღიარებდნენ, რომ მასში ბუდდა განხორციელებულიაო და სცემდნენ თაყვანს, როგორც ღმერთს. ეხლა ეს ჩვეულება გადავარდა. ჩინეთის იმპერიის ჩრდილოეთ პროვინციებში—ტიბეტში და მონგოლიაში—ჰსუფევს განსაკუთრებულის გვარის ბუდდიზმი, რომელსაც ლამაიზმს ეძახიან. ბუდდიზმი ტიბეტში გაჩნდა მეშვიდე საუკუნეში; მისი მქადაგებელი იყო ვინმე გამპო, ჩამოსული ინდოეთიდან. შემდეგში ბუდდას სარწმუნოების მღვდლების ყოფა ქცევა იმდენად უზნეო შეიქმნა, რომ ხალხს გული აუვარდა სარწმუნოებაზე. მაშინ (მე-15 საუკუნეში) გაჩნდა მქადაგებელი, რომელმაც რეფორმა შეიტანა სარწმუნოებაში. ხალხმა აღიარა იგი ბუდდას განხორციელებად და უკვდავად. იგი მხოლოდ სხეულს იცვლის: როდესაც დაბერდება მისი სული ან მის შვილებში, ან მოწაფეებში გადადის. ხალხი უწოდებს სახელად დალაი-ლამა და პანშენ-ლამა. ერთმა დალაი-ლამამ დააარსა სასულიერო წარჩინებულთა კასტა, რომელთაც „ცოცხალ ბუდდებს“ ეძახიან. ამ ჟამად „ცოცხალ ბუდდათა“ რიცხვი 160-მდე ადის, რომელნიც განაგებენ ტიბეთს ჩინელ მოხელეთა ზედამხედველობით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუდდასა და ლაო-ტსეს გარდა ჩინელები თაყვანსა სცემენ აგრეთვე ცასა და დედამიწას, როგორც ღვთაებათ. თითქმის ყოველ ჩინელს აქვს სახლში პატარა საკურთხეველი, სადაც ის ლოცულობს ბუდდას, ლაო-ტსეს, ცისა და დედამიწის გამოხატულებათა წინაშე. საკურთხეველის წინ სდგას მაგიდა, რომელზედაც სხვა და სხვა საჭმელია მიცვალებულ წინაპართათვის. ჩინელს სწამს, რომ მიცვალებულის წინაპარის სული მუდამ მის სახლში ტრიალებს და ლოცვითა და სასმელ-საჭმლის თავაზით სურს მოიგოს მისი გული, რადგანაც მიცვალებულის გაჯავრება ცუდ რასმეს შეამთხვევს მას... თუმცა ჩინეთში ტაძრები ძალიან ბევრია, მაგრამ საზოგადო წირვა-ლოცვა ჩვეულებად არა აქვთ. ყოველი ჩინელი განმარტოებით ლოცულობს ან ტაძარში, ან უფრო ხშირად, თავისსავე სახლში, შინაურ საკურთხეველის წინაშე. ტაძარში მუდამ არის ბონზა. შევა შიგ თუ არა ჩინელი, ბონზა მაშინვე ჰკითხულობს ლოცვას; შემდეგ აძლევს შემოსულს რამდენიმე ღერ სანთელს: მლოცველი იჩოქებს და მეტანიას შვრება, ამავე დროს ბონზა გონგს დაუშენს ჯოხს, რათა ხმაურობით ღმერთების ყურადღება მიაქციოს მლოცველს. თუ უნდა, ბონზა კიდევაც უკითხავს ჩინელს, ხოლო რადგანაც ბედისა და მომავალის გაგების მსურველი ბევრია ჩინელთა შორის, ამიტომ ბონზა ხშირად ასრულებს მკითხავ-მარჩიელის როლს. ყველა ამაებისათვის ბონზა, რასაკვირველია, უხვ ჯილდოს იღებს.

საზოგადოდ ჩინელი ძალიან ცრუმორწმუნეა. თვით მანდარინები და უმაღლესი მოხელენი, რომელნიც განათლებულებად ითვლებიან, საშინელი ცრუმორწმუნენი არიან. ზოგი ცრუმორწმუნება მეტად მავნებელია ქვეყნის განვითარებისათვის. მაგალითად ყველა ჩინელებს სწამთ „ქარისა და წყლის“ „სულის“ (ფენგ-შუი) არსებობა, რომელსაც დიდი მორიდება უნდა, თორემ უბედურებას შეამთხვევს კაცს; თენგ-შუი სცხოვრობს მთებში, უმთავრესად სადაც მადნებია და ამიტომ ჩინელები არ ამუშავებენ მადნებს; გარდა ამისა ფენგ-შუის არ უყვარს მაღალი სახლები და კოშკები და ამის გამო ჩინეთის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელენი არ აძლევენ ევროპიელთ მაღალ სამრეკლოების და სახლების აშენების ნებას. რამდენიმე წლის წინად ფუ-ჩეუს მმართველმა არაფრის გულისთვის არ მისცა ნება ინგლისელთ აეშენებინათ დიდი შენობა ერთ გორაკზე. საქმე იმპერატორამდისაც კი მივიდა. მმართველს დაეკითხნენ და მან შემდეგი პასუხი მისწერა: ხსენებულ გორაკის ქვეშ დიდ გველეშაპის (драконъ) კლანჭებიაო და შენობა შეაწუხებსო... ამგვარი ცრუმორწმუნეობა ჩინელისა ამტკიცებს, რამდენად უვიცია იგი და რა ნაკლების ფასისაა ის „განათლება“, რომლითაც კვეხულობს ჩინელი. უვიცი მარტო უბრალო ხალხი და შორეული მოხელენი კი არ არიან, არამედ თვით პეკინის მთავრობა და მეცნიერნიც. მაგალითად, მზის დაბნელების მიზეზად ისინი სთვლიან გველეშაპს, რომელსაც სურს მზის ჩაყლაპვა. ამის დასამტკიცებლად მოგვყავს შემდეგი ბრძანება ბოგდიხანისა, 1879 წლის 3 ენკენისთვეს გამოქვეყნებული პეკინის ოფიციალურ გაზეთში: „ასტრონომიულმა კანტორამ შეგვატყობინა ჩვენ,—სწერს იმპერატორი,—რომ ჩვენის მეფობის მე-24 წლის 1-ლ დღეს მოხდება მზის დაბნელება. ამ ამბავმა შიშის ზარი დაგვცა ჩვენ და ვცდილობთ აღმოვაჩინოთ ჩვენში ის ცოდვები, რომელთა მიზეზით გაჯავრებულა ჩვენზე ცა. ვუბრძანებთ ყველას—ნუ მოგვილოცავენ ახალწელიწადს და ნუ გაიმართება ამ დღეს ჩვეულებრივი ნადიმი; სასახლის ყველა წევრთა და მოხელეთ ვუბრძანებთ—ჩაიცვან ამ დღეს ღარიბულად და უბრალოდ და შეგროვდნენ სასახლეში საერთო ლოცვის მოსასმენად და ცის შესავედრებლად“... იმავე წლის ნოემბერში გამოცხადებული იყო ბოგდიხანის ბრძანება—გაგზავნილ იქმნას „დიდ ვეშაპისთვის“ ტიბეტის სანთლებიო, რათა მან მოსპოს წყლობა და წარღვნაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა

(თარგმანი იტალიურით)

VI *)

მეგრელების სახლები

ხუროთ-მოძღვარი სახლის აგების დროს უნდა ეცადოს, რომ მისგან აშენებული სახლი იყოს დასატევი, მტკიცე და ლამაზი. სახლი რომ კარგად დასატევი იყოს, საჭიროა ჰქონდეს რამდენიმე ოთახი, რაც შეიძლება დიდი და რიცხვით მეტი; გარდა ამისა ოთახები უნდა ისე იყოს მოწყობილი, რომ ერთ ოთახში მოთავსებული ადამიანი სხვა ოთახებში მყოფს არ აწუხებდეს. სიმტკიცისათვის სახლი ისე მაგრად უნდა იყოს აშენებული და ისეთის კარგის ქვისაგან, რომ მიწის ძვრამ და ქარიშხალმა მას ვერა ავნოს-რა. სიმშვენიერისათვის კარგი ხუროთ-მოძღვარი სახლს გაუკეთებს ხოლმე ქანდაკებას, ორნამენტებს, კარნიზებს, კოლონებს, აივანს და სხვა-და-სხვა მხატვრობას. ყოველი გონიერი ხუროთ-მოძღვარი ცდილობს, რომ ჩამოთვლილი სამი პირობა დაცული იყოს ყოველი სახლის აშენების დროს.

ხოლო მეგრელები ჩვენის ხუროთმოძღვრების კანონებს სრულიად არ მისდევენ და მათი სახლები არც დასატევია, არც მაგარი და არც მშვენიერი. პირველად ყოვლისა მეგრელის

*) იხ. „მოამბე“ № V, 1900 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში კაცი ვერ მოთავსდება კარგად, რადგან სახლი წარმოადგენს მხოლოდ ერთს ოთახს, სადაც ბატონებიც, მოსამსახურეებიც, კაცებიც და ქალებიც ერთად შემწყვდეულან. ამ ოთახის შუაგულში ზამთრობით მუდამ ცეცხლია გაჩაღებული და ლაპარაკის და ერთმანერთში ბაასის გამო ისეთი ხმაურობაა, რომ შეუძლებელია კაცმა აქ მოისვენოს; რომელიმე წევრი ოჯახისა დაღლილობისაგან ძალა-გამოლეული თუ ერთ-ერთ კუთხეში მიიკუნჩხვის და იქ მიიძინებს, თორემ სხვა ღონე არ აქვს მოისვენოს. რაც შეეხება სახლების სიმაგრეს, ამის თაობაზე საკმაოა ვთქვათ, რომ სახლები სულ ხისგან შენდება და ისლით ჰხურავენ. აქ არავინ არ არის დარწმუნებული, რომ მისი სახლი საღამომდე მთელი იქმნება, რადგან ქარი რომ ამოვარდება, გადააგლეჯს ისლს და სახლი დარჩება უსახურავოდ, ან და რაიმე შემთხვევით ცეცხლი წაეკიდება და სახლი ერთიანად გადაიწვის. სიმშვენიერეს ხომ სრულიად მოკლებულია მათი სახლები, რადგან ფანჯრების უქონლობით სინათლე შედის მხოლოდ კარის შემწეობით და რადგან კარი პატარაა, სინათლეც სულ ცოტა შედის სახლში. არამცთუ არავითარი მხატვრობა არა აქვს სახლს, არამედ გამუდმებული კვამლის გამო ისე გატრუცული და გაშავებულია სახლი, რომ იფიქრებთ ბუხარში ვარო და არა პატიოსან სადგომში. ხოლო რამდენად მოკლებულნი არიან მეგრელები ხელოვნებას სახლების აშენებაში, იმდენად ბუნებას უხვად დაუბერტყია სამეგრელოსათვის თავისი კალთა და მიუცია მოხერხებული და მშვენიერი მდებარეობა. სამეგრელო მდიდარია ამწვანებულის გორაკებით, ვრცელის ველებით, კეკლუცის ჭალაკებით, მდინარეებით, ღელეებით და წყაროებით, რომელიც ყოველის მხრით ჩამოუდის. ვფიქრობ, რომ ამ ბუნების სიმშვენიერეა მიზეზი, რომ მეგრელები არ ცდილობენ მაგარი და მშვენიერი სახლები ააგონ, რადგან ჰსურთ დროს შესაფერად სხვა-და-სხვა ადგილას გადავიდნენ და ყოველგან შესაფერის სიამოვნებით დასტკბნენ. კარგად და მდიდრულად აშენებული სახლი ხომ ერთს ადგილას იჭერს კაცს. მეგრელები, რათა ყოველივე ადგილის სია-

ეროვნული ბიბლიოთეკ

მოვნება იგემონ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან. ამიტომაც ადვილად და მცირე ხარჯით იშენებენ ნაირ-ნაირ სახლებს, ცალკ-ცალკე, სოფლად, ვისაც სად ურჩევნია; არა აქვთ მათ არც ქალაქი და არც დაბა, რომ შეჯგუფულად სცხოვრობდნენ. ზოგი იშენებს სახლს გორაზე, ზოგი ვაკეზე, ზოგი პატარა ტყეში და ზოგიც წყლის პირად. ვინც კი უფრო შეძლებულია, ყოველგან თითო სახლი აქვს, რათა დროს შესაფერად შეეძლოს ხან ერთ ადგილზე და ხან მეორეზე იცხოვროს. ზამთარში თავს იფარებს ტყეში, სადაც შეშას ბლომად შოულობს და ცეცხლს განუწყვეტლად ანთებს სახლში; თან ხშირი ხეები ქარისაგან იფარავს და თან გარეული ღორისა და ირმის სიმრავლისა გამო ნადირობასაც მუდამ შეექცევა. აქ გადმოჰყავთ თავიანთი წვრილ-ფეხი და მსხვილ-ფეხი საქონელი, რომელიც აქ სიცივისაგან თავს იფარავს და მშვენიერ საბალახოსაც ჰპოულობს.

ზაფხულობით კი მეგრელები მიდიან სადგომად გორა ადგილებზე, სადაც მრავალ-ნაირი ხილია და მახლობლად ანკარა წყაროები ჩამოჩუხჩუხებენ; მერე რამდენი საჩრდილობელი ხეებია იქ, რომელთა ქვეშაც შეუძლიანთ განცხრომას მიეცნენ და დასტკბნენ გრილის ნიავით. გაზაფხულსაცა და შემოდგომასაც შესაფერ ადგილებს არჩევენ. მხოლოდ ზღვის პირას არა აქვთ სახლები როგორც ცუდის ჰაერის მიზეზით, ისე მეზობელ ბარბაროსების თავს-დაცემის შიშით.

მთავარს ორმოც და ათზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე. იგი აგებულია საუცხოვო ქვისაგან და შესანიშნავია როგორც სიდიდე-სივრცით, ისე ფანჯრების, აივნების და სპარსულის მხატვრობის სიმშვენიერებით. შემდეგ მთავრისა ყველა დიდებულთ მეტ-ნაკლებ რამდენიმე სასახლე აქვს და ერთიდან მეორეში გადადიან, როგორც ზემოდ ვთქვით.

აღვწეროთ ეხლა მეგრელების კარ-მიდამო. აღვნიშნოთ ჯერ, რომ ყოველ მეგრელს ისე დიდი ეზო აქვს, რომ უფრო მინდორს წარმოადგენს. ეზოში იზრდება მხოლოდ კარგი ბა-

ლახი და ბალახ-ბულახს ვერ ნახავთ. ყოველ მოსახლეს თავი მოსწონს ეზოს სიწმინდით. ეზოს არტყია გარშემო თხრილი და ღობე. ყოველი მოსახლე სცდილობს, რომ, რაც შეიძლება, მშვენიერი ღობე გააკეთოს. ამ ღობეს წარმოადგენს მიწაში დასობილი ერთმანერთზე წკნელით მიკრული მაგარი სარები. შესავალთან სდგამენ დიდს ალაყაფის კარებს, რომელიც გამაგრებულია კოჭებით და დიდის ხეებით; ზედ გამოქანდაკებულია სხვა-და-სხვა სახე პირუტყვებისა ან სხვის რისამე. თუმცა ყოყოველივე ეს ტლანქად არის გაკეთებული, მაგრამ რაღაც სოფლურ სილამაზეს მაინც აძლევს ნაწარმოებს.

საჩრდილობლად რგავენ ეზოში სხვა-და-სხვა ხეს, უფრო ხშირად კი რცხილას (Carpeno). *) ეს ხე ისე უშველებელი იზრდება კოლხიდაში, რომ ყველა სხვა ხეს აჭარბებს სიმაღლით და თვით ბუნებამაც ისეთი მშვენიერი სახე მისცა, რომ, ცხადია, ხელოვნებას არ შეუძლია რაიმე დასძინოს თავის მხრით: ძირს რაც ტოტები აქვს, ფრიად გაშლილია ირგვლივ და მერე ნელ-ნელა, რაც ზემოდ მიდის, უფრო ვიწროვდება და ბოლოს წვერში სულ გაწვრილდება და მთლად დაემსგავსება ფიჭვის (Pigna) ნაყოფს. ასეთს ხეებს სხვა-და-სხვა რიგად რგავენ: ზოგიერთებს სიგრძეზე მწკრივად გააყოლებენ, რათა დღის განმაელობაში კაცს შეეძლოს, როცა მოისურვებს, ჩრდილს ქვეშ გაისეირნოს; ზოგიერთებს კი ირგვლივ, წრესავით რგავენ, რათა მრავალს კაცს ერთად შეეძლოს ჩრდილს ქვეშ მოთავსდეს და პური სჭამოს ან მოისვენოს, თუ მოისურვებს. აი, ამ ხეების ჩრდილის წყალობით მეგრელები მთელს ზაფხულს გაურბიან აკვამლებულ სახლს და მუდამდღე, თუ სახლში ჯდომას წვიმა არ აიძულებს, დროს გარედ ატარებენ და დაღამებამდინ სულ ეზოში არიან: დასეირნობენ, საქმეებს არიგებენ, სჭამენ და სძინავთ კიდეც.

---

*) Carpeno ნიშნავს რცხილას, თუმცა დასავლეთ საქართველოში ეზოში რცხილას არ რგავენ და არც აღწერილობით ჰგავს ავტორისაგან დასახელებული ხე რცხილას. მთარგმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოღობილ ეზოში სახლს და სხვა-და-სხვა საჭირო შენობებს ირგვლივ სდგამენ ისეთ მანძილზე ერთმანეთზე, რომ, ვინიცობაა, ერთს რომელსამე შენობას ცეცხლი გაუჩნდეს, დანარჩენები არ გადიწვას.

ალაყაფის კარებში რომ შეხვალთ, პირველად წარმოგიდგებათ ყველაზე უფრო დიდი შენობა, რომელსაც მეგრულად ოხორო (Ochórs) ჰქვიან და რომელიც სტუმრების მისაღებად არის დანიშნული. როგორც კი შინაურები შენიშნავენ, რომ ვინმე უცხო შემოვიდაო ეზოში, მაშინვე მიეგებებიან და შეიყვანებენ ოხოროში, სადაც სტუმარი, თუ ზამთარია, ცოტაოდნად ცეცხლს მოითბობს, მოისვენებს და მერე სახლის პატრონთან მიიყვანებენ. ოხოროში ზამთრობით პურსა სჭამენ და ერთ კუთხეში სახლის პატრონის საუკეთესო ცხენი აბია, რათა ხელად ჰყავდეს, თუ უეცრად დასჭირდა.

ოხოროს იქით სხვა შენობები დგას: ერთ სახლში ცხოვრობენ და იძინებენ. ეს სახლი, როგორც ნათქვამია ზემოდ, ერთის ოთახისაგან შესდგება და ცალკ-ცალკე განყოფილება მას არა აქვს. მეორე შენობა მარანია, მესამე ტანისამოსის შესანახი შენობაა და მეოთხე სურსათის საწყობი. ტანისამოსის შესანახი შენობა უფრო მაგრად აშენებულია, მაღალია და წარმოადგენს ხის კოშკს. ასე მაღალს აშენებენ ამ შენობას იმისათვის, რომ ტანისამოსი დაიფარონ სინოტიესა და ქურდებისაგან. სადგომ სახლში კი ნოტიო არის და ქურდებიც ადვილად შედიან და შინაურების ძილში ადვილად იპარვენ, რაც მოხვდებათ ხელში, რადგან სახლი უფუნდამენტოდ ზედ მიწაზე დგას და ქურდს ადვილად შეუძლიან მიწა გამოსთხაროს და ქვეიდან შევიდეს სახლში.

თავადებს კი ეზოს შუაგულ ადგილზე უდგიათ პატარა ეკკლესია, რათა სოფლის ეკკლესიის სიშორის გამო, დღესასწაულებსა და მარხვაში არ დარჩნენ ყირვა-ლოცვას მოკლებულნი. მეგრელები სწორედ ბედნიერები არიან, რომ სოფლად ასე ერთმანერთზე მოშორებით დგანან და მათი სახლები ისე შეxგუფულნი არ არიან, როგორც ქალაქებში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბებშია. ბედნიერნი არიან იმით, რომ სრულიად თავისუფლად გრძნობენ თავს. ქალაქის მცხოვრებმა კი ისე უნდა ჩაიცვას, როგორც სხვები იცვამენ, თუნდაც შეძლება არ შესწვდეს და ის უნდა სჭამოს, და იმ დროს, რასაც და როდესაც სხვები სჭამენ, თუნდაც ხასიათსაც და გემოს ეს არ შეეფერებოდეს. მეგრელები კი სოფელში თავისუფლად ცხოვრობენ: იცვამენ, როგორც უნდათ; სჭამენ, რაც უნდათ; ცხენზე ჯდებიან და სანადიროდ მიდიან, როდესაც ქეიფი მოუვათ, და მოისვენებენ, როცა კი მოესურვებათ.

VII

ტანისამოსი.

რაკი მოსახლობა ავწერეთ, ეხლა საჭიროა გამოვხატოთ, თუ როგორ იცვამენ მეგრელები. დაბალი ხალხის შესახებ არც კი ითქმის, რომ მას ტანს აცვიაო, რადგან მისი სიღარიბე იქამდია მიღწეული, რომ სამოსელი ძლივს ნახევარ ტანს უფარავს. მართლაც კაცების ტანისამოსს შეადგენს რაღაც შალის ნაგლეჯი, რომელიც ძლივს მუხლამდინ უწვდება, და სულ უბრალო თოკი სარტყლად აქვთ. სხვას არა ზრუნავენ: არც პერანგის, არც შარვალის, არც წინდების და ფეხსაცმელის დარდი არა აქვთ. იმისთანებიც არიან, რომ ამ შალის ნაგლეჯსაც ვერ შოულობენ და სოფლად სულ შიშვლები დადიან. რადგან ოდიშის სინოტიე არ ჰრგებს ცხერის გამრავლებას და ცხვარი ძვირია, მეგრელებსაც უძნელდებათ მცირეოდენი ტანისამოსის შეძენაც, რომ შიშველი ტანი დაიფარონ. ამიტომაც, ოსმალელთა გემები როცა კი მოადგებიან სამეგრელოს ნაპირებს (ისინი მოდიან ყოველ წელს), მეგრელები დაინძრევიან ხოლმე თავიანთი სახლებიდან და მოაწყდებიან ამ გემებს შალის საყიდლად; მაგრამ, რადგან ფული არა აქვთ, გამოიტანებენ კანაფს, თაფლს, ცვილს, ქსელს, ან სელის თესლს და ამაებს უცვლიან ოსმალებს შალზე. თოკი სარტყლად აქვთ მარტო ღარიბებს

ეროვნული ბიბლიოთეკ

კი არა, შეძლებულებსაც. ყოველ მეგრელს თოკი არა თუ სასარგებლოდ, არამედ მიუცილებელ საჭიროდ რამედ მიაჩნია, განსაკუთრებით გზაში. მართლაც: თუ ცხენის მოპარვა უნდა მეგრელს, თოკი სჭირია; თუ ცხენისთვის თივა ეჭირვება, თოკით თუნდა შეჰკრას და მოიტანოს; თუ წყალში უნდა გაიყვანოს ცხენი, უთოკოდ ვერ გაიყვანს; თუ ომში ტყვე დაიჭირა, უთოკოდ შინ ვერ წამოიყვანს; თუ ქურდი დაიჭირა და უნდა დასაჯოს, თოკი უნდა ჰქონდეს, რომ ხელები შეუკრას და ხეზე მიაბას. ერთის სიტყვით თოკი ისე საჭიროა ამ ქვეყანაში, რომ ყოველს მეგრელს იგი წელზე აქვს და დიდად აფასებს და ადიდებს მას. გარდა თოკისა აზნაურებს და შეძლებულ გლეხებს არტყიათ ტყავის ქამარი, რომელიც შემკულია ვერცხლის ფოლაქებით. ამ ქამარზე ჩამოიკიდებენ ხოლმე სხვა-და-სხვა რასმე, რაც კი გზაში დასჭირდებათ, ქამარზე ჩამოიკიდებენ პირველად ხმალს ფართო ღვედით, რომელსაც სიგრძე აქვს სამი, ოთხი თუ ხუთი მტკაველი, ისე რომ, როცა დადიან, ხმალს მიწაზე მიათრევენ გრძელ კუდსავით. ქამარზე ჩამოიკიდებენ კიდევ დანას თავისის სალესავით; პატარა საფულე ქისას, რომელშიაც ან სულ არაფერია და ან სულ ცოტა რამე ჰყრია; მეორე ქისაში უდევთ კვესი, კაჟი, წუმწუმა და აბჯდი; მესამე ქისაში აქვთ ნემსები სხვა და სხვა ნაირ ძაფებით; ჰკიდიათ აგრეთვე სავარცხალი, მახათი, წვრილი საბელი, ცხენისათვის სისხლის გამოსადენი რკინა, სულ პატარა ქისა ტყავისა დანაყილის მარილით სავსე, ერთი ქისა კიდევ პილპილით ან სხვა რაიმე სანელებელით სავსე. პატარა თაფლის სანთელიც ჰკიდიათ, ვინიცობაა ღამე გზაში დავრჩეთ და შემთხვევისამებრ დაგჭირდესო; ასი სხვა რამე წვრილმანი ჰკიდიათ, მაგრამ სიმოკლისათვის არ ჩამოვთვლით. ერთის სიტყვით მათ წელზე ჰკიდია მთელი მაღაზია. ფეხსაცმელს ოდიშში უმეტესს ნაწილად ჰკერავენ მოუქნელის ტყავისაგან, როგორც ჩვენი მთიული გლეხები; ბევრი ამ ფეხსაცმელს ისე შნოიანად ჰკერავს, რომ ბატონებიც კი იცვამენ სანადიროდ რომ მიდიან უფრო მარდად სიარულისათვის. ქალები და კე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილშობილები სპარსულ ქოშებს ატარებენ სამ გოჯიან ქუსლებით. ეს ქოშები სხვა-და-სხვა ფერის ტყავისაგან იკერება. ასეთი ტყავისაგან ჰკერავენ იმ წაღებსაც, რომელსაც ქალები იცვამენ ცხენოსნობის დროს. ეს წაღები მაღალ ყელიანი როდია, მხოლოდ წვივებამდე უწვდებათ ყელი. რაც შეეხება ღარიბს დედაკაცებს, მათთვის კაბა და პერანგი ერთი და იგივეა; პერანგის ამხანაგი კი ფეხებამდის უწვდებათ და ფეხები მუდამ შიშველი აქვთ.

თავად-აზნაურობა საკმაოდ კარგად იცვამს. პერანგს იკერავენ სხვა-და-სხვა ფერის აბრეშუმისაგან. პერანგის ყელსა და ჭობას ჰქარგავენ სირმით, ძვირფასის ქვებით და მარგალიტებით. ეს შემკულობა რომ ყველამ ცხადად დაინახოს, პერანგი შარვალს გარედ აქვთ გადმოფარფაშებული. პერანგზე აცვიათ ახალუხი, რომელიც მუხლებამდინ უწვდებათ. ეს ახალუხი შალის ან აბრეშუმის არის და მოქარგული პერანგი რომ არ დაფაროს, უფრო მოკლეა პერანგზე. მასზე ყელიდან წელამდე აკერიათ ნაჭედის ვერცხლის ღილები. წელზე არტყიათ სარტყელი, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, და სარტყელზე ოსმალური ხმალი ჰკიდიათ და, გარდა ამისა, ჰკიდიათ სახელ-განთქმული თოკი. ახალუხის ზევით, სიცივეში, აცვიათ მეორე ტანისამოსი, კიდევ უფრო მოკლე, კოზოკინის მსგავსი. ეს მეორე ტანისამოსი არის ან უფრო წმინდა შალისა, ან ფარჩისა და ან ხავერდისაგან და სარჩულად აქვს სამურის ტყავი.

დაბალი ხალხის ქუდი ნაბდისაგან არის გაკეთებული და უფრო ჰგავს კოთხოს, ვიდრე ჩვენებურ შაპოს, რადგან კალთები სულ არა აქვს და თავს ძლივს ჰფარავს. ამ ქუდს სხვა-და-სხვა სახეს აძლევენ. თავად-აზნეურები ამ ქუდს იკერავენ ან წმინდა შალისაგან და ან აბრეშუმისაგან; ზოგიერთები აქარგვინებენ მას, ან ამკობენ თათრულად სამურის ტყავით, ან სპარსულად აკერვინებენ წაწვეტილებს, როგორც კაპუცინების თავსახურავია და ამკობენ ვერცხლის ფერის ცხვრის ტყავით, რომელიც სპარსეთიდან მოაქვთ. როცა იმ ქვეყანაში ჩვენ ჩავედით, მეგრელებმა რომ ჩვენი შაპო დაინახეს და დარწმუნდნენ, რომ ეს შაპო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან გამოსადეგია წვიმის და მზის დროს, მოინდომეს მისი შემოღება. ჯერ მღვდლებმა, მერე აზნაურებმა და ბოლოს გლეხებმაც მართლა შემოიღეს იგი. მაგრამ რადგან ასეთი შაპოსთვის საჭარო მატერიის გამკეთებელი ოსტატი არ ჰყავთ, ფორმა მაინც გადაიღეს მისი და ზოგი აკეთებინებს მას შალისაგან და შიგ კარდონს დაუდებს, ზოგი—ხის კანისაგან და ზედ გადააკრავს ხოლმე გასანთლულ ტილოს; ზოგი კი—ხარატის დაზგაზე ამოღებული ხის კანისაგან. ამ შაპოს პირდაპირ თავზე არასოდეს არ დაიხურავენ, არამედ თავიანთ ქუდის ზევით; არც ყოველთვის ატარებენ, არამედ მარტო წვიმის, ან მზის დროს.

წინდებს დაბალი ხალხი ქსოვს ადგილობრივის მატყლისაგან და ან აბრეშუმისაგან.

გარდა ამისა მეგრელები წვეულებასა და დღესასწაულში იცვამენ კიდევ ერთნაირ ტანისამოსს, რომელიც ფეხებამდის გრძელია და ყურთმაჯები მიწამდის უწვდება. ეს ტანისამოსი მეტად მშვენიერია, როგორც მოყვანილობით, აგრეთვე მდიდრულის ქსოვილით, რომლისაგანაც იკერება. ჰკერავენ ამ ტანისამოსს დამასკის ქსოვილისა, ან ხავერდისა და ფარჩისაგან; სარჩულად უდებენ სამურის ტყავს და მაღლიდან ქვედამდი შემკულია ოქროს ან მარგალიტის ღილებით. ყოველ თავად-აზნაურს ამისთანა ტანისამოსი რამდენიმე აქვს სხვა-და-სხვა ქსოვილისა, რომ გარემოებისამებრ ან ერთი ჩაიცვას, ან მეორე. ეს ტანისამოსი საერთოა როგორც კაცებისათვის, ისე ქალებისათვის.

ქალები თუმცა ჩვენს ქვეყანაზე შორს არიან, მაგრამ კეკლუცობაში ძალიან ჰგვანან ჩვენს ქალებს, რასაც მოწმობენ განსაკუთრებით მათი თმის დავარცხნა, თავ-დახურვა და ფერ-უმარილის ხმარება. ფერ-უმარილის შემწეობით ჰსურთ, ბუნების წინააღმდეგ, თეთრად ეჩვენონ ხალხს. ხოლო, რასაკვირველია, ჩვენებსავით მათ ხელოვნება არ აქვთ და არც მოწყობილობა. უმარილს ნაყენ და ისე იცხებენ, რომ პირისახე უფრო ფქვილშეყრილსა ჰგავს, ვიდრე შეღებილს. რაც შეეხება ფერს, ამისათვის საქონელს ისპანიით და სპარსეთით როდი იბარებენ, არი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედ ხმარობენ, რაც ხელში მოხვდებათ, მაგალითად: ლაქსა, სინგურსა და სხვა საღებავსა. მერე ლოყებზე ისე წაიცხებენ, თითქოს უცაბედად წასცხებიათ და არა ქალის მეცადინეობითაო. წარბებს კი გუნდით იღებავენ ისე, რომ აქეთ-იქით თითქმის ყურებამდე მიიტანებენ და შიგნით, ცხვირს ზევით, შეაერთებენ. იმავე საღებავით იღებავენ წამწამებსაც. წარმოიდგინეთ, რომ თვალებსაც აღარ ჰხოგავენ და რაღაც საცხებლით იყვითლებენ თვალის გუგებსაც. აგრე გამოწყობილს ან უკეთ ვთქვათ გადასხვაფერებულ ქალს მარტო ხმაზე თუ იცნობთ, თორემ სხვა ნიშნით შეუძლებელია მისი ცნობა. ასეთი შელესვა-შეღებვა ისე მოსწონთ მეგრელებს, რომ თუ მხატვარმა რომლისამე ქალის სურათი დახატა და ასე შელესილ-შეღებილი არ გამოიყვანა, მეტად აწყენინებს იმ ქალს. სწორედ აგრე მოუვიდა ერთს მხატვარს, რომელსაც მიანდვეს განსვენებულის დედოფლის სახე დაეხატა. მხატვარი იყო ნასწავლი იტალიაში, მან დახატა დედოფალი, როგორიც ნამდვილად იყო. უფერ-უუმარილოდ, მაგრამ როგორც კი სურათი დაინახეს კარის-ქალებმა, ისე იწყინეს და ისე შეაწუხეს მხატვარი, რომ იმას ხელ-ახლავ უნდა გაეკეთებინა სურათი მათ გემოზე.

თმას სხვა-და-სხვა ნაირად იწნავენ. გრძელ თმას დაჰყოფენ ოთხ ნაწნავად: ორს ყურებზე შემოიხვევენ და ორს, რომელიც უფრო გრძელია, ზოგი მხრებზე გადაიგდებს და ზოგი გულ-მკერდზე. ამ ორ უკანასკნელს ნაწნავს წვერებში აქვს შავი აბრეშუმის ფოჩები, შემკული ოქროთი, ძვირფასის ქვებით და მარგალიტებით. დანარჩენ თმასაც აგრეთვე შემკობილს გადაისკვნიან ყელთან და ნიკაპიდან აიტანებენ თავის კინკრიხთან, სადაც შეიკრავენ.

თავზე იხურავენ ძლიერ თხელს და თეთრს ლეჩაქს, სამ უბედ გამოჭრილს, ისე რომ ერთი უბე ზურგზე აქვთ ჩამოშვებული და დანარჩენი ორი—მხრებშე. ლეჩაქს თავზე ამაგრებს ოქრომკედის თუ აბრეშუმის ერთნაირი ქუდი, *) რომელიც

*) თავსაკრავი. მთარგმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირგვინსა ჰგავს. ამ ახირებულ გვირგვინზე ჩვეულებრივ წამოაცმევენ ფრთას ან მშვენიერ ყვავილსა.

VIII

პურის-ჭამა და წვეულება

მეგრელების საჭმელი ჩვეულებრივ საკმაოდ ზომიერია. ამის მიზეზი უფრო გაჭირვება არის, ვიდრე მათი სათნოება. ბუნებით მეგრელები სრულებით არ არიან ზომიერნი. პირიქით, უგუნურ პირუტყვსავით შეუძლიანთ ერთ ჯერზედ შეყლაპონ რამდენიმე დღის სამყოფი საჭმელი. არასოდეს მომავლისათვის არ ზრუნავენ. ყოველთვის მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ დღეს როგორ დავიკმაყოფილოთ კუჭი; მომავალში კი ის იქნება, რასაც ბედი მოგვიტანსო. ამიტომაც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ საჭმელი შემოაკლდებათ და ძალა-უნებურად სასტიკი მარხვა უნდა შეინახონ. მათ რომ სანოვაგე გამოელევათ, ხილის დროც მოაწევს და სიმშილს იმით ებრძვიან, რომ დაუმწიფარ ხილსაც კი მიირთმევენ. დაბალ ხალხს ჩვეულებად აქვს, რომ პირველი ხილი როგორც კი შემოვა, ალარავინ თავის ოჯახში არას ხარშავს და ყველამ თავი უნდა ირჩინოს იმ ხილით, რომელსაც იშოვის მინდვრად ან ბაღებში. მხოლოდ დიდ დღესასწაულებში ამზადებენ ღომს ანუ ჩვენებურ პანიკოს (panico). ღომს ჯერ გაცეხვენ საცეხველში. შემდეგ გარეცხენ, ჩაყრიან კარდალში*) (პატარა ქვაბში), დადგამენ ცეცხლზე მოსახარშავად პურის-საჭმელად დაჯდომის ცოტა-ხნით წინ, და როცა მოიხარშება და საკმაოდ შეიშრობს წყალს, შეუდგებიან ზელას და დაამგავსებენ საკმაო რბილ ცომს. შემდეგ ამისა ჯამებით დაურიგებენ სუფრაზე მსხდომთ, რომელნიც პურის მაგიერ სჭამენ, რადგანაც პური ნაკლებად მოდის.

---

*) ეს სიტყვა ასე იხმარება გურიაში. იტალიურად—caldaia, caldaro. მთარგმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება მაგიდას, სუფრას, ხელსახოცს, სკამს და ყველა იმ მოწყობილებას, რომელსაც ჩვეულებრივ ჩვენ ვხმარობთ, უმეტესი ნაწილი ოდიშელებისა ამათი ხმარებით თავს არ იწუხებს. სკამი რა არის, სრულებითაც არ იციან და ყველანი სხდებიან ან მიწაზე, ან ჭილოფზე და ან ხალზე. მხოლოდ ზოგიერთები, მაგიდასთან დასაჯდომად ხმარობენ ერთნაირ გრძელ სკამს, უზურგოს. მეორე ამისთანავე სკამს დგამენ კიდევ წინ, მაგიდას მაგიერ, მაგრამ სუფრას კი არ აფარებენ. მიწაზე მსხდომთ წინ უსუფრო მაგიდას დაუდგამენ. ეს მაგიდა ხონჩის მაგიერობასაც შვრება. მაზე აწყობენ ხორცს და ღომს. იმ შემთხვევაშიაც, როცა წვნიანი საჭმელია, მაგალითად მარხვაში, უთეფშოდ იოლად მიდიან, რადგან კოვზით ღომს ჩაალრმავებენ და იმაში ჩაასხამენ. დიდებულთა და მთავრის სახლებში მაგიდას მაგიერ აგებენ ტყავს, რომელსაც სიგძე აქვს ოცდა-ათი, თუ ორმოცი ტკაველი და სიგანე—სამი ტკაველი. ხოლო ეს ტყავი იმდენად ქონიანია, რომ იმაზე პურის ჭამა მეტად საზიზღარია.

პურის ჭამის დროს შუაგულ ადგილას ის დაჯდება, ვინც ღირსებით ყველაზე უფროსია. იქით-აქეთ შემოუსხდებიან მას სხვები უფროს უმცროსობის კვალობაზე. ქალები ჩვეულებრივ ვაჟებისაგან ცალკე სჭამენ პურსა. მხოლოდ დიდ დღესასწაულობაში თუმცა ერთად სჭამენ პურსა, მაგრამ ქალები ერთის მხრით და კაცები მეორეს მხრით დასხდებიან. ზამთარში, შუაგულ ოთახში, სადაც პურსა სჭამენ, გააჩაღებენ დიდ ცეცხლს, რომელიც კიდეც ათბობს და კიდეც ანათებს (სანთლის უქონლობის გამო) მთელ ოთახს. ამ დროს მეგრელები უფრო საჭმელს დათმობენ, ვიდრე ცეცხლის დაუნთებლობას; ზაფხულში კი, თუ ცუდმა ტაროსმა არ დაუშალა, მუდამ გარედ, ეზოში, სჭამენ პურს იმ ხეების ჩრდილს ქვეშ, რომელიც ასე ამშვენებენ მეგრელების ეზოებს. დასხდებიან თუ არა პურის საჭმელად, ცდილობენ დაივიწყონ ყოველივე უსიამოვნო ფიქრები, რათა ბედნიერად იგრძნონ თავი ჭამის დროს. რაც უნდა ცოტა საჭმელი ჰქონდეთ, პურის ჭამა მაინც დიდხანს გასტანს, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან საჭმელების ნაკლებობას შეავსებს ხოლმე ღვინის სიუხვე და ლაპარაკის სიმრავლე. პურის საჭმელად როცა დასხდებიან, ხელს იბანებენ. ამისათვის მოსამსახურე ტაშტით და ხელადით ცქვიტად ჩამოუვლის ყველას (უფროსიდან დაიწყებს, რა-საკვირველია) და მიართმევს ხელის დასაბან წყალს. ამ მოსამსახურეს მოსდევს მეორე და მოაქვს ერთი ხელსახოცი მხოლოდ პირველი სამი თუ ოთხი კაცისათვის, რომელნიც თავში სხედან; დანარჩენებმა კი თავიანთი ცხვირსახოცით უნდა შეიმშრალონ ხელები. ამავე ცხვირსახოცით ხელებს იწმენდენ პურის ჭამის დროს.

სამზარეულოდან საჭმელები მოაქვთ წინდაწინ დაწყობილის წესით. ყველაზე წინ მოაქვთ დიდი ქვაბით ღომი. ქვაბში გაყრილია ერთი კეტი, რომელიც მხრებზე ადევს ორ კაცს. ამათ მოსდევს ერთი კაცი, რომელმაც უნდა დაარიგოს ეს ღომი. მას მხარზე გადებული აქვს ჩოგანი (pala), რომლითაც ილებს ღომს. ამას მოსდევს მეორე მოსამსახურე პატარა კარდალით, რომელშიც კიდევ ღომია, მაგრამ უფრო თეთრი და უფრო კარგად დამზადებული. შემდეგ მოდის ხაბაზი. ამას მოაქვს ტყავის ჩანთით ხუთი თუ ექვსი პური, რომელიც უნდა ჩამოურიგოს ბატონს და უფრო პატივცემულ სტუმრებს. ხაბაზს მოსდევს რამდენიმე სხვა მოსამსახურე, რომელთაც ხონჩაზე მოაქვთ ხორცეულობა: ან ღორი ერთიანად მოხარშული ან ძროხა რამდენიმე ნაჭრად დაჭრილი და ისე ცუდად შემწვარი, რომ სულ სისხლი ჩამოდის გზაზე. სულ უკან მოდის რამდენიმე კაცი და ხელში უჭირავთ მრავალი შამფური, რომლებზედაც აგებულია ქათმები ან სხვა შემწვარი ხორცეულობა. მარხვაში კი ხორცის მაგიერ მოაქვთ ხონჩებით სხვა-და-სხვა მწვანილი და ფხალეულობა, რომელთა მისართავად ხმაროობენ მხოლოდ ნიგოზს და სანებელს.

აგრე სჭამენ პურს უბრალო დღეებში. რაც შეეხება ქორწილს ან სხვა დიდი წვეულობის დღეს, როდესაც პატიჟობენ სტუმრებს ასობით, მაშინ ბლომად ჰკლავენ ხარებს, ვინ ათს, ვინ ოცს და ვინ ოცდა ათს, იმდენსავე ღორს და ასიოდე ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამს და ყველრულს, რომელიც ხონჩებით მოაქვთ სტუმრებთან. ხშირად ორმოცდა ათამდე დაალაგებენ ამისთანა ხონჩებს, რაც დიდ-კაცობის და სიმდიდრის ნიშანია. გარდა ამისა დაამზადებენ ყოველნაირ ფრინველებს და ნადირებს, რომელიც კი იმ დროს იშოვება, და წამოაგებენ შამფურებზე. ერთ შამფურზე წამოცმულია კურდღელი, მეორეზე—ხოხობი, მესამეზე—ბატკანი, მეოთხეზე—ყველრულები, სხვებზე—ქათმები და წიწილები. ყველა ესენი ორმოცდათის კაცის სამყოფი მაინც უნდა იყოს. მოსამსახურეებს ეს შამფურები სწორედ ისე უჭირავთ, როგორც ყარაულებს თავისი ხიშტები უფროსის მისვლის დროს. რამდენიმე არჩეული მოსამსახურე ჩამოართმევს შამფურებზე წამოგებულ დაკლულებს და თითო-თითოდ შესწვავენ იმ ცეცხლზე, რომელიც იქვე დარბაზის შუაგულში ანთია, და მიართმევენ ბატონს და სტუმრებს.

საჭმელს რომ მოიტანებენ დანიშნულ ადგილს, სულ მიწაზე დაალაგებენ, და მერიქიფე მუხლებზე დაიჩოქებს და ისე შეუდგება ბატონის წინ სუფრის გაშლას. მაგიდის მაგიერ მას წინ გაუშლის ოსმალურ ჭრელს სუფრას; დაუდებს გვერდით მის დანას და სასმელისათვის ხუთს თუ ექვს ვერცხლის თასს, სხვა-და სხვა ზომისას. ამ დროს სხვა მოსამსახურეები გაშლიან ფრიად გრძელ ტყავს იმათ წინ, რომელნიც ბატონის იქით-აქეთ დასხდებიან; დანარჩენს დაბალ ხალხს დაუდგამენ წინ ეზოლოდ ტიტველ მაგიდას. სუფრაჯი (ასე უწოდებენ მესტუმრეს) დიდის მოწიწებით და მუხლ-მოდრეკით მიართმევს ბატონს ერთ პურს და თუ იქ არის ვინმე პურის ღირსი, იმასაც უთავაზებს პატარა ნაჭერს იმ პურისას მერე იწყებს ღომის ჩამორიგებას ის მოსამსახურე, რომელიც ჩოგანით ქვაბს მოსდევდა. იგი ქვაბიდან იღებს ღომს, დიდის სიჩქარით ჩამოურბენს დარბაზს თავიდან ბოლომდი და ყველას ჩამოურიგებს დიდ-დიდ ულუფა ღომს. ამის შემდეგ ის კაცი, რომელსაც მოჰქონდა თეთრი ღომი, ჩამოურიგებს ბატონთან ახლო მჯდომ სტუმრებს პატარა ჩოგნით ცოტაოდენს იმ თეთრ ღომს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომც დასამატად იმ ჩვეულებრივის ღომისა, რომელიც მათ სხვებთან ერთად დაურიგდათ.

ღომის ჩამორიგების დროს მზარეულიც სჭრის ხორცეულობას. ჩანგლები, რასაკვირველია, არ იციან. ყოველიფერს ხელით სჭამენ და, თუ დაჭრა დასჭირდათ, თავიანთი დანებით სჭრიან; უფრო დიდი ნაჭრებისათვის ხმალსაც ხმაროობენ.

სხვა-და-სხვა ნაჭრები მიჩენილი აქვს სხვა-და-სხვა კარისკაცს. ბატონს ან უფრო ღირსეულს ეკუთვნის მხრები. სწორედ ასეთი ჩვეულება იყო სამეფოს დროსაც. როცა სამეფოლმა მიიპატიჟა საული და მეფედ აკურთხა, უბრძანა მზარეულს, რომ მისთვის მიერთმია მხარი (I. Reg., cap. 7). ბატონს მხრებს გარდა სხვა ნაჭრებსაც მიართმევენ, რადგანაც, უძველესის ჩვეულებისამებრ, სანამ პურის-ჭამა არ დასრულდება, მან ყველა დამსწრეთა უნდა უთავაზოს, ხან ერთს და ხან მეორეს, სხვა-და-სხვა ნაჭრები.

ეს ჩვეულება ისეა გავრცელებული მთელ აღმოსავლეთის ერთა შორის, რომ ჩემის აზრით, იგი უძველესი ჩვეულება უნდა იყოს. ეს შეუნიშნავს ქსენოპონტეს, რომელიც ლაკედემონიის მეფე აგეზილაოსის შესახებ ამბობს: „ნადიმობის დროს იგი იღებდა ორ კერძს, რომლისაგან მხოლოდ ერთს იტოვებდა თავისთვის და მეორეს სხვას უთავაზებდა; მისის აზრით, მეფეს ორი კერძი უნდა ჰქონდეს არა გასაძღომად, არამედ იმ შემთხვევისათვის, თუ ვისიმე პატივისცემა ჰსურს“.

მეჯინიბეთ-უხუცესს ეკუთვნის თავი; მზარეულს—თირკმელები; ვინც ცეცხლს ანთებს, იმას წელები და დანარჩენ მოსამსახურეებს—მკერდი. ერთის სიტყვით, ყველამ კარგად იცის, რა ეკუთვნის მის თანამდებობას.

რაც შეეხება სასმელს, მისი თხოვნა უზრდელობაა. ამ მხრით სტუმრები უნდა დაემორჩილონ მერიქიფის ნებას. მერიქიფე კი ხან ისე ცოტა ღვინოს მიართმევს სტუმრებს, რომ წყურვილით მოჰკლავს, და ხან ისე უხვად, რომ მისი მონელება შეუძლებელია. თუ ერთხელ კი თქვა ვინმემ ღვინის უარი, მერე აღარ მიართმევს მერიქიფე. მხოლოდ ბატონს არ ეთაკილება ღვინის

ეროვნული ბიბლიოთეკ

მოთხოვნა, ისიც სიტყვით კი არა, არამედ ნიშნებით: ხელებით ტუჩებს მოიწმენდს, და როგორც კი ამას შენიშნავს მერიქიფე, მაშინვე მიართმევს თასით ღვინოს.

უცხოელები თუ არიან პურის-ჭამის დროს, მათ პატივსა სცემენ მათის ღირსების და წოდების კვალობაზე. თუ იგინი თანასწორნი არიან მასპინძლისა, მასპინძელი ფეხზე რჩება, რათა განკარგულება მოახდინოს, რომ სტუმრებს კარგად ემსახურონ და ყოველიფერი რიგზე იყოს. თავში მასპინძელი თავის ხელითაც ემსახურება ასეთს სტუმრებს, თვითონ მიართმევს საჭმელს, დაუსხამს პირველად სასმელს და მხოლოდ შემდეგ ამისა დაჯდება პურის საჭმელად.

მეგრელებს სადღეგრძელოების სმაც აქვთ ჩვეულებად, მაგრამ მათი სადღეგრძელოები ჩვენსას არა ჰგავს. ვისაც უნდა სხვას დაულიოს სადღეგრძელო, ასე უნდა მოიქცეს: მერიქიფე რომ მიართმევს თასით ღვინოს, სადღეგრძელოს მსმელი უბრძანებს მერიქიფეს, ეგ თასი ამა და ამ კაცს მიართვიო. ეს კაცი გამოართმევს მერიქიფეს თასს, ჯერ დაბლად თავს დაუკრავს იმას, ვინც სადღეგრძელოდ მოდის; ოდნავ მიაკარებს ტუჩებს და ცოტას მოსვამს; მერე ხელით მოსწმენდს თასის იმ ადგილს, სადაც ტუჩები მიაკარა, მეორედ დაუკრავს თავს და დაუბრუნებს თასს. სადღეგრძელოს მსმელი რომ მიიღებს ამ თასს, მთლად გამოსცლის და იმავე წესით გადასცემს თასს იმას, ვისიც სადღეგრძელო დალია, და ამით მოიხდის თავის მოვალეობას.

პურის-ჭამაზე მეგრელები ძალიან დიდხანს სხედან, რაც ჩვენ, იტალიელებისათვის, მეტად მოსაწყენია. რადგან ჩვენ ვეტანებით სწავლას, ხელოვნებას და ვაჭრობას, ჩქარაც ვდგებით სუფრიდან, რათა მოვასწროთ ყოველივე საქმის გაკეთება. მეგრელები ხომ მოკლებულნი არიან სწავლას, ხელოვნებას და ვაჭრობას და ისე გაერთობიან ხოლმე პურის-ჭამას, ისე დიდხანს სხედან, რომ გეგონებათ დასასრული არ ექნებაო. უბედურება ის არის, რომ საჭმელების ნაკლებობის გამო შეექცევიან უფრო ლაპარაკს და ღვინოს. დღესასწაულებში სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინლად ჩქარობენ ეკკლესიიდან გამოსელას. მათის აზრით დღესასწაულობა სუფრაზე უნდა გამოჩნდეს. რაც უფრო დიდხანს იქნებიან სუფრაზე, იმას უფრო ფასი აქვს მათ თვალში. ხშირად მოხდება, რომ სადილი შუადღეზე რომ დაწყებულა, შუადამეზეც არ დასრულებულა. რადგან დროს გატარებას ჰხედავენ მხოლოდ სმაში, ჩვეულებად აქვთ, რომ ნადიმის დასაწყისიდან ორი საათის შემდეგ მასპინძელი ამოირჩევს რამდენიმე მსმელს, რომელნიც რიგ-რიგად უნდა ადგნენ და მის წინაშე სვან ღვინო. ერთად დგებიან ხოლმე ექვს-ექვსი ან რვა-რვა მსმელი. სტუმართა შორის მასპინძელი ამოარჩევს ყოველთვის უფრო პატივცემულ კაცებს. მათი რიცხვი დამოკიდებულია სტუმრების რიცხვზე. თუ პირველი წყება მსმელისა იქნა რვა, ამ რვას უნდა ჰყავდეს თავისი რვა მოპირდაპირე. მეორე წყება რვას—კიდევ მესამე რვა და ეგრე შემდეგ, ვიდრე არ შესრულდება დანიშნული რიცხვი.

მასპინძლის წინ გაშლილ სუფრაზე მერიქიფე აწყობს შვიდს თუ რვას ვერცხლის თასს, თავში სულ პატარას, მერე უფრო დიდს და ბოლოში სულ დიდს. მაშინ დგება პირველი წყება მსმელებისა და მიდიან დანიშნულ ადგილისაკენ. იგინი მიდიან ნელის ნაბიჯით, მძიმედ და ისეთის სახით, თითქოს მიდიოდნენ სასმელად კი არა, არამედ რაიმე სამძიმო საქმის შესასრულებლად. რომ მიუახლოვდებიან დანიშნულს ადგილს, მერიქიფე გაუვსებს თასებს და მიართმევს ჯერ პატარას და მერე უფრო და უფრო დიდებს. მაშინ რამდენიმე მომღერალი იწყებს შეუწყობელ სიმღერას. რამდენადაც ეს სიმღერა ჩვენს ყურს არ ესიამოვნება, იმდენად იქაურებს ატკბობს. ამ სიმღერის დროს მსმელები სცლიან თასებს და მერიქიფე ავსებს. ხოლო დრო-გამოშვებით სმას შეაჩერებენ და სავსე თასებით ხელში მუსაიფს გააბამენ ისეთის სახით, თითქო დიდ საქმეებზე ჰქონდეთ სჯა. ნამდვილად კი მათი მუსაიფი იმაზე ტრიალებს—კარგი ღვინოა, თუ არა, და ვინ სჯობს ღვინის სმაში. რომ გაივლის ამასობაში დაახლოვებით მეოთხედი საათი, თასებს გაუშვებენ და თვითოეული მათგანი იპოვის თავის მოპირდაპირეს, რომელიც მის ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილას უნდა დადვეს და დალიოს. ერთმანეთს მუხლ-მოღრეკილნი მიესალმებიან და სიყვარულით ეამბორებიან. შემდეგ ამისა პირველი წყებისანი დასხდებიან და მათი მოადგილეები დაიწყებენ სმას. ესენი რომ კარგად გაიჟინთებიან ღვინით, იმავე წესით მესამე წყების მსმელებს გამოიწვევენ. ეს მესამენი—მეოთხეს და ასე ბოლომდი, ვიდრე ყველა დანიშნული მსმელები თავის მოვალეობას არ შეასრულებენ. შემდეგ ამისა ხელ-ახლად პირველი წყება დაიწყებს სმას და ამას იმავე წესით მოჰყვებიან დანარჩენი წყებები. ეგრე მოხდება სამჯერ, ან ხუთჯერ იმისდა მიხედვით, თუ რამდენია სტუმარი და რამდენად დიდებულია წვეულება. ბოლოს იქამდის დათვრებიან ხოლმე, რომ სრულებით გრძნობას ჰკარგავენ და სახლამდის ხელით მიიყვანებენ.

წარმოუდგენელია, რამდენი შეისმის ღვინო ასეთს შეკრებულობაში. ვინც ბევრს დალევს ისე, რომ გონება არ დაჰკარგოს, ის დიდ კაცად მიაჩნიათ. ჩემს დროს იქ იყო ერთი დიდებული, რომელიც ისე გამოჩენილი იყო სმაში, რომ მისი სახელი მთელს სპარსეთშიაც გავრცელდა. მისი ქება თვით სპარსეთის ხელმწიფის, შაჰ სეფის, ყურამდიც მივიდა. ამ ხელმწიფემ კაცი გამოუგზავნა დადიანს და შემოუთვალა, რომ გავიგე შენს სამთავროში ასეთი გამოჩენილი მსმელი გყოლია და გთხოვ გამომიგზავნოთ. დადიანმა დაუყონებლივ გაატანა იგი სპარსეთში შაჰის ახალგაზდა ცოლს, რომელიც იყო ათაბაგის სახლის შვილი და ისიც იყო მიემგზავრებოდა სპარსეთში. სპარსეთში რომ ჩავიდნენ ისინი, შაჰი ერთი-ორად იყო მოხარული, რადგან მიიყვანა ახალგაზდა ცოლიც და შესანიშნავი მსმელიც. ქორწილის გამო მრავალი წვეულება იყო სადაც მუდამ პატიჟობდნენ შედან ჭილაძეს (Scedan Cilazè). ეს იყო მსმელის სახელი და გვარი. ამან იქაც ისახელა თავი და ყველას სჯობნიდა სმაში. ამის გამო მუდამ ჯილდოს იღებდა: ხან ნაჭედი ოქროთი მოწყობილ უნაგირს, ხან მდიდრულ კაბას სამურის ტყავის სარჩულით, ხან ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოწყობილ თოფს და ხან მრავალ სხვა საჩუქარს, რომელსაც უხვი შაჰი აძლევდა. საქმე იქამდი მივიდა, რომ თვით შაჰმა მოინდომა მასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სმაში შებმა და იქამდი სვა, ვიდრე არ დასნეულდა და სული არ განუტევა. ჭილაძე კი, საჩუქრებით გამდიდრებული, სამშობლოში დაბრუნდა.

ხოლო დავუბრუნდეთ ისევ მეგრელების წვეულობას. დიდ ნადიმებზე, სადაც მრავალი დიდებული იკრიბება, და მთავრის დღესასწაულებზე ჩვეულებად აქვთ, რომ როცა რომელიმე დიდებული სასმელად ადგება, ამასთან ერთად დგება მთელი მისი ამალა, რომელიც შესდგება აზნაურებისაგან და რომელიც ემსახურება მას: ვინ მიართმევს წაღებს და ვინ ტანისამოსს. ტანისამოსი ამ შემთხვევაში საგანგებოა და მგონია ჰგავს ძველთა საქორწინო ტანისამოსს. იგია ფეხებამდი გრძელი, ვიწრო და მიწამდი გრძელის სახელოებით, რომელიც ზურგზედ გადაგდებული აქვთ. სარჩულად ამ ტანისამოსს აქვს კვერნის ან სამურის ტყავი და პირად ან ფარჩა, ან ხავერდი და ან დამსკის ქსოვილი. ყველა ცდილობს, რომ ასეთი ტანისამოსი სხვა და სხვა ქსოვილისა რამდენიმე ჰქონდეს, რათა, რამდენჯერაც სასმელად ადგება, იმდენჯერ მისმა ხელქვეითმა უნდა გამოუცვალოს მას ეგ ტანისამოსი, რაც დიდის სიმდიდრის ნიშნად მიაჩნიათ სამეგრელოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაური მიმოხილვა

მარგანეცის მრეწველთა კრება.—რამდენიმე ცნობა მარგანეცის მრეწველობის შესახებ.—საბჭოს ენერგიული და ნაყოფიერი მოქმედება.—მისი ზრუნვა მრეწველთა და მუშათათვის.—ფართო და საიმედო პროგრამმა მოღვაწეობისათვის.—საბჭოს მოღვაწეობის კრიტიკოსები.—ოპოზიციის მავნე მიმართულება.—უმეცრება და ინტრიგანობა.

მარგანეცის მრეწველთა მესამე კრების სხდომები დაიწყო 26 ივლისს და დასრულდა 13 აგვისტოს. მიუხედავად იმისა, რომ კრება ასე გაგრძელდა, საზოგადოება საგანგებო ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს მისს მოღვაწეობას და ადგილობრივი რუსულ-ქართული გაზეთები ერცელს ანგარიშებს ჰბეჭდავდნენ მის შესახებ. ასეთი ყურადღება ადვილად აიხსნება იმ მნიშვნელობით, რომელიც მრეწველობას აქვს საზოგადოდ და მარგანეცის მრეწველობას კერძოდ. ჩვენ არას ვიტყვით აქ მრეწველობის საზოგადო მნიშვნელობის შესახებ, რადგანაც ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა და დღესაც იწერება ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია საკუთრივ მარგანეცის მრეწველობის შესახებ ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

მარგანეცის მრეწველობა დაიწყო შორაპნის მაზრაში მე-70 წლების დასასრულიდან. მაშინ მუშაობას შეუდგა ორიოდე მრეწველი და არავის ეგონა, თუ საქმე მალე გადიდდებოდა და სასაცილოდ აგდებული ზემო-იმერეთის შავი-ქვა საპატიო ადგილს დაიჭერდა მსოფლიო ბაზარზედაც. მაგრამ გაიარა რამდენიმე წელიწადმა და ყველამ დაინახა, თუ რა სიმდიდრე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განძი ყოფილა ჩაფლული ყვირილის ნაპირების მთა-გორაკებში. მადნებს მრავალი ხალხი მიაწყდა და მალე დიდი საქმე გაიჩარხა. აღმოჩნდა, რომ შორაპნის მარგანეცი კარგის თვისებისაა და მადნებიც მეტად მდიდარია: პროფესორ კოცოვსკის გამოანგარიშებით, $7^1/_2$ მილიარდამდე მარგანეცი უნდა იყოს შორაპნის სამრეწველო რაიონში, ასე რომ 70 მილიონი ფუთი მარგანეციც რომ გაიტანონ ყოველ წლივ, ჩვენი მარგანეცი ერთ საუკუნეს ეყოფა მთელს ევროპას.. ჩვენდა საბედნიეროდ, უმთავრესი ნაწილი მრეწველთა ქართველი გამოდგა და ეს საქმე, წარმოებისა და მუშაობის მხრით მაინც, ჩვენებურებმა ჩაიგდეს ხელში; მხოლოდ მარგანეცის გაზიდვა უცხოელთა ხელში. თუ რამდენად იმატა მარგანეცის მრეწველობამ სჩანს შემდეგ ციფრებიდან. სულ 14 წლის განმავლობაში, 1885 წლიდან 1899-მდე, მადნებიდან ამოუღიათ 110.684.040 ფუთი მარგანეცი; ამ რიცხვიდან უმთავრესი ნაწილი უკანასკნელ წლებზე მოდის. პირველ ხუთ წელიწადში (1885—1889) ამოუღიათ—17.139 156 ფუთი, მეორე ხუთ წელიწადში (1890—1894)—48.238.936 ფუთი და მესამე ხუთ წელიწადში (1895—1899)—65.350.948 ფუთი, ესე იგი ყოველ ხუთი წლის გასვლისას წარმოება თითქმის გაორკეცებულა. 1885 წელს ამოიღეს მადნებიდან—3.640.800 ფუთი, 1899 წელს კი—34.052.432 ფუთი! ეს რიცხვი მარგანეცისა მადნებიდან ამოუღია (1899 წელს) 290 მრეწველს; თანასწორად რომ ვიანგარიშოთ თითო მრეწველზე 117 ათასი ფუთი მოდის. აქედან ცხადად სჩანს, რომ მარგანეცის საქმე ჯერ წვრილ მრეწველთა ხელშია. იმ მრეწველთა რიცხვი, რომელთ $^1/_2$ მილიონზე მეტი ფუთი მარგანეცი ამოაქვთ, მხოლოდ ათია; მილიონზე მეტი კი მხოლოდ ორი (ბ. აბესაძე და ბ. ემერიკი). ცხრა შეათედი ყველა მრეწველთა, როგორც ვთქვით, ქართველია. ამ რიგად ქართველებს ჩაუგდია ხელში ისეთი დიდმნიშვნელოვანი მრეწველობა, რომელსაც ნავთის მრეწველობის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო საქმეთა შორის. ისე, როგორც ნავთს, ჩვენებურ მარგანეცსაც პირველობა ეკუთვნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ბაზარზე. 1892 წლიდან 1899-მდე ყველა იმ ქვეყნებიდან, სადაც მარგანეცის მრეწველობაა, გაუტანიათ ბაზარზე 2.613.077 ტონნი მარგანეცი; ამ რიცხვიდან მარტო კავკასიიდან გაიტანეს ხსენებულ დროს განმავლობაში 1 303 320 ტონნი, ესე იგი თითქმის ნახევარს მოთხოვნილებას მთელის მსოფლიოსას აკმაყოფილებს შორაპნის მარგანეცი, მეორე ნახევარს ყველა დანარჩენი ქვეყნები ერთად! რაღა გასაკვირველია, რომ ასეთს დიდმნიშვნელოვანს საქმეს დიდი ყურადღება მიაპყრა ჩვენმა საზოგადოებამ?!

საზოგადო საქმეების მოწესრიგებისათვის მარგანეცის მრეწველებმაც, მთავრობის ნებართვით, გაიჩინეს საზოგადო კრება საბჭოთი. პირველი კრება შესდგა 1896 წელს, აპრილში, მეორე—1897 წელს, მაისში. კრებასა და საბჭოს მოქმედებას თავიდანვე მხნეობა დაეტყო. მიუხედავად იმისა, რომ კრებას სრულიად საშუალება არ ჰქონდა, მისი საბჭო ენერგიულად შეუდგა მოღვაწეობას და პირველ ორ კრებასვე წარუდგინა საყურადღებო საკითხები; მათ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, საბჭო შეუდგა მეცადინეობას, რათა სისრულეში მოეყვანა გადაწყვეტილი საგნები. პირველ კრებაზე განხილულ იქმნა პროექტები: კრების წესდებისა, ჭიათურის რკინის გზის ვაგონების და საწყობების განაწილებისა, მარგანეცის მწარმოებელთა გადასახადის ($^1/_2$ კაპ. ფუთზე) საბჭოსთვის გადაცემისა, ჭიათურაში საოლქო ინჟენერის თანაშემწის თანამდებობის დაარსებისა, სატეხნიკო კომიტეტის დაწესებისა, ქუთაისის გუბერნიაში სამთო სკოლის გახსნისა და სხვა. ყველა განზრახულებათა სისრულეში მოყვანისათვის საბჭოს საშუალება უნდოდა, ამიტომაც კრებამ დაადგინა, რომ თავდაპირველად საბჭომ იმეცადინოს, რათა ის ფული, რომელიც მწარმოებელთაგან იგროვებოდა ადმინისტრაციის მაგიერ კრებისათვის გადაეცა მთავრობას. მეორე კრებაზედაც საბჭომ აღძრა მეტად მწვავე საკითხები მრეწველთათვის, სახელდობრ: ჭიათურის გზაზე ტარიფის დაკლებისა და სამადნო რაიონში გზების გაკეთების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 ივნისს 1896 წელს მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭომ წარუდგინა სათანადო მთავრობას მშვენიერად დასაბუთებული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მრეწველთა საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადაეცეს თვით საბჭოს ის გარდასახადი, რომელიც მწარმოებელთ შეაქვთ თითო ფუთზე. შუამდგომლობა აქცევდა სამინისტროს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ, თუმცა მრეწველნი 1893 წლიდან იხდიან გადასახადს, მაგრამ მათ სასარგებლოდ თითქმის არაფერი გაკეთებულა ჯერ,—არც გზები, არც საავადმყოფო, არც სკოლაო; შუამდგომლობა აგონებდა სამინისტროს ბაქოს ნავთისმწარმოებელთა კრებას, რომელიც თავის ნებაზე ხარჯავს გარდასახადს და რომელმაც ამის გამო მოკლე ხანში ბევრი სასარგებლო საქმე გააჩაღა. მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობა მეტად საჭირო საქმეს შეეხება და ამასთანავე იმგვარ საქმეს, რომლის წინააღმდეგაც არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, მრეწველთა კრებას პასუხი მეტად დაუგვიანეს. საბჭომ იმავე წლის 16 ივლისს ხელ-მეორედ მიჰმართა სამინისტროს თხოვნით საქმის დაჩქარების შესახებ; ამგვარისავე თხოვნით მან მიჰმართა იმავე წელს ადმინისტრაციას და 1897 წელს სამთო დეპარტამენტის დირექტორს. ბოლოს მარგანეცის მწარმოებელთა თხოვნა შეწყნარებულ იქმნა 1898 წლის 2 თებერვალს, ფაქტიურად კი გადასახადი გადასცეს საბჭოს 1898 წლის ნოემბერში. ამრიგად უსაჭიროესი საქმე გადაწყვეტილ იქმნა დიდის მეცადინეობის შემდეგ მხოლოდ ორის წლისა და ხუთის თვის შემდეგ! ამ დრომდე კი საბჭო უსაშუალოდ იყო და ხელ-ფეხ შებორკილი მოღვაწეობდა; ასე რომ, ნორმალური მოღვაწეობა საბჭოსი, სამართლიანად რომ ვთქვათ, მხოლოდ ერთის წლის წინად, შარშან, დაიწყო! მიუხედავად ამისა საბჭომ შესამჩნევი მხნეობა გამოიჩინა და ბევრი გააკეთა.

საბჭოს მოღვაწეობა ორ ნაწილიდან შესდგება: 1) წარმომადგენლობა, შუამდგომლობათა აღძრა და მარგანეცის მრეწველთა ინტერესების დაცვა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წინაშე და 2) სამეურნეო მოღვაწეობა. ჩვენ ვერ შეუდგებით აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწვრილებით საბჭოს მოღვაწეობის განხილვას, რადგანაც ეს ძრიელ შორს წაგვიყვანს. ახლად დასრულებულს მრეწველთა კრებას საბჭომ წარუდგინა თვისის მოქმედების ვრცელი ანგარიში, რომელიც შეიცავს 200 გვერდს. საბჭოს მოღვაწეობის დაწვრილებით განხილვისათვის საჭირო იქმებოდა მთელის ამ ანგარიშის გადმოცემა, რაც მოუხერხებელიც არის და მეტიც ჩვენის წერილისათვის; ამიტომ აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ უმთავრესს მუხლებს საბჭოს მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობისას.

როგორც ახალს საქმეს, მარგანეცის მრეწველობას პირველ ხანებში უმთავრესად დასჭირდა დაცვა მისის ინტერესებისა, ორგანიზაცია, თავიდან აცილება ხელშემბორკველ გარემოებათა. ამის მიხედვით საბჭოს მოქმედებაც სხვა-და-სხვა საჭირო შუამდგომლობათა აღძრაში გამოიხატა. მოღვაწეობის ამ ნაწილის აღწერას ანგარიშში 188 გვერდი აქვს დათმობილი. მეტად საინტერესოა ეს ნაწილი ყველა იმათთვის, ვისაც აინტერესებ არა მარტო მარგანეცის მრეწველობა, არამედ საზოგადო მდგომარეობა, დღევანდელი ვითარება მრეწველობისა ჩვენში, ის პირობანი, რომელთა მეოხებით ხშირად ბრკოლდება საქმიანობა და წარმოება რუსეთში. არ არის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი შუამდგომლობა საბჭოსი, რომლის განხორციელება არ დაბრკოლებულიყოს დიდის ხნით მომაკვდინებელ ფორმალიზმისა და რუტინის, უფრო ხშირად კი სრულის უყურადღებობის გამო, რომელთაც იჩენენ ის მოხელენი, ვისიც ჯერ არს მრეწველობისა და საზოგადოდ ხალხის ეკონომიურ მოღვაწეობის განვითარებისთვის ზრუნვა. ყოველ საყურადღებო შუამდგომლობისთვის საბჭოს დასჭირდა განუწყვეტლივ მიწერ-მოწერის გამართვა, პირადი შუამდგომლობა, ვრცელის და დასაბუთებულის თხოვნების დაწერა და სხვა. ამ მხრივ საკვირველი ენერგია და ბეჯითობა გამოუჩენია საბჭოს და სწორედ ამ ენერგიის მეოხებით მოხერხდა ზოგიერთ აუცილებელ შუამდგომლობათა განხორციელება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ზემოდ უკვე აღვნიშნეთ ის, რაც საბჭომ წარუდგინა პირველ ორ კრებას და რის აღსრულებაც დაავალა ორივე კრებამ საბჭოს. თითქმის ყოველს საქმეს, ყოველ დავალების განხორციელებას დასჭირდა დიდის ხნის მაცადინეობა და ენერგიული წარმომადგენლობა. ამ მხრით პირველობა ეკუთვნის ისეთს საგანს, რომელიც პირველის შეხედვით არ უნდა ყოფილიყო ძნელი; სახელდობრ, გაზიდულ მარგანეცზე დაწესებულ გარდასახადის გადაცემა საბჭოსათვის. საფიქრებელია, რომ რაკი ნება დართეს და დააწესეს მრეწველთა კრება, რომელსაც ათასგვარი მოვალეობა დაეკისრა, საშუალებაც უნდა მიეცათ მისთვის. თუ კი საბჭოს საქმეს შეადგენს მადნების მუშებისათვის ზრუნვა, სამადნო რაიონის სანიტარულ მდგომარეობისათვის თვალ-ყურის გდება, საექიმო ნაწილის მოწყობა, სამრეწველო პოლიციის მოწყობა და შენახვა, მარგანეცის მწარმოებელთა ინტერესების დაცვა, მაშინ ყველა ის ფული, რომელიც მრეწველთა შორის იკრიბება სწორედ ამ საქმეთა მოწყობა-გაძღოლისათვის, უეჭველია კრებას უნდა გადაეცეს, ისე როგორც ნავთის მწარმოებელთა კრებას ეკუთვნის გაზიდულ ნავთზე დადგენილი გადასახადი. მაგრამ საბჭოს დასჭირდა ორ წელიწადნახევარი დაუღალავი მეცადინეობა ამ საქმის სასურველად დაბოლოებისათვის!.. ამ საქმეს მოჰყვა მრეწველთათვის კიდევ უფრო საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი საქმე: ტარიფის დაკლება ჭიათურის რკინის გზით გასაზიდავ მარგანეცზე.

ჭიათურის რკინის გზა იღებდა 10 კაპ. თითო ფუთ მარგანეცის გადაზიდვაში ჭიათურიდან შორაპნამდე. ეს ტარიფი საშინელია, თუ გავიხსენებთ, რომ ნორმალური ტარიფის კვალობაზე გამოანგარიშებით ჭიათურიდან შორაპნამდე უნდა გამოერთვათ ფუთზე მხოლოდ $^1/_2$ კაპეიკი! ამ რიგად რკინის გზა იღებდა 20-ჯერ მეტ ფასს, ვიდრე ნორმალური ტარიფი თხოულობდა. ასეთი დიდი ტარიფის დაწესება აიხსნება იმით, რომ მთავრობას ჰსურდა უკანვე დაებრუნებინა ხარჯი, რომელიც გასწია ხაზინამ ჭიათურის რკინის გზის გაკეთებაში, და აგრეთვე იმით, რომ ყველას ეგონა—შორაპნის მარგანეცს მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოქე არ ჰყავსო მსოფლიო ბაზარზე და ამიტომ ის ყოველ-
გვარ ხარჯს გაუძლებსო. მაგრამ მალე სულ სხვა აღმოჩნდა.
მე-90 წლებში ევროპის ბაზარზე დაიწყეს მოტანა მარგანეცი-
სა იაპონიიდან, ინდოეთიდან და ამერიკიდან. ეს მარგანეცი
შეიქმნა მძლავრ მეტოქედ ჩვენის მადნისა და ფასებმა დაწევა
დაიწყეს. მალე თითო ფუთი ჩვენის მარგანეცისა იყიდებოდა
საზღვარ გარედ 17—18 კაპეიკად; ხოლო რადგანაც ფუთი
მარგანეცის გადაზიდვა ღირდა თითქმის იმდენივე, ამიტომ ეკ-
სპორტერს მოგება აღარ რჩებოდა. დადგა საშინელი კრიზისი.
მრეწველობა დაეცა და პირველად ყოვლისა დაზარალდნენ
წვრილი მრეწველნი და მუშა ხალხი, რომელიც ცხოვრებდა
„შავიქვის“ გაყიდვით ან გადაზიდვით. „კვალი“-სტებისთანა
უმეცარ დემოკრატებს ჰგონიათ, რომ ტარიფის სიდიდეს არა-
ვითარი მნიშვნელობა არა აქვს მუშებისათვის და ამიტომ მისი
დაკლება მხოლოდ კაპიტალისტებისათვის არის სასურველი.
რამდენად ტყუილია ეს მოსაზრება, ნათლად სჩანს იმ ფაქტი-
დანაც, რომ, როგორც კი დაეცა საზღვარ-გარედ ჩვენი მარგანე-
ცის ფასი, მაშინვე დაეცა მუშის ფასიც. 1886—1887 წლებ-
ში, როდესაც მარგანეცს კარგი ფასები ჰქონდა, მუშები იღებ-
დნენ ერთ კუბიკურ საჟენის მადნების ამოღებაში 40—20 მა-
ნეთს, ხოლო 1896—1897 წლებში, როდესაც საგრძნობლად
დაიწია მარგანეცის ფასებმა, მუშები იმავე საჟენში იღებდნენ
17—22 მანათს! ასე რომ მუშის ხელფასი განახევრდა. გამო-
ანგარიშებულია, რომ მარგანეცის კრიზისის დროს, 1886 წლი-
დან 1897 წლამდე, ჭიათურის მუშებმა დაჰკარგეს 783.250
მანეთი. ასეთივე ზარალი მოუვიდათ გლეხებს, რომელნიც ეზი-
დებოდნენ მარგანეცს მადნებიდან ჭიათურის სადგურამდე. მათ
ხსენებულ ათის წლის განმავლობაში დაჰკარგეს 800.000 მა-
ნეთზე მეტი! ასე რომ მუშებმა და გლეხებმა, მარგა-
ნეცის მრეწველობის კრიზისის მეოხებით, დაჰკარგეს 1.660.000
მანეთზე მეტი! მარგანეცის მიწიდან ამოღება და ჭია-
თურის სადგურამდე მიტანა ოთხჯერ უფრო ნიკლები ჯდე-
ბოდა, ვიდრე მადნის გადაზიდვა შორაპნამდე. ასეთი ანორმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური მდგომარეობა გამოიწვია ჭიათურის რკინის გზის დიდმა ტარიფმა. აუცილებლად საჭირო იყო მისი დაკლება, თორემ მთელი მრეწველობა შეფერხდა და საშინლად შემცირდა, რის გამო ზარალობდნენ როგორც მრეწველნი—მსხვილიც და წვრილიც,—ისე მუშა ხალხიც.

ტარიფის დაკლების საჭიროების შესახებ საბჭომ შეადგინა ვრცელი და მშვენივრად დასაბუთებული მოხსენება, რომელიც წარედგინა მრეწველთა კრებას 1897 წლის მაისში. კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ საბჭოს ეშუამდგომლა სადაც ჯერ არს ტარიფის დაკლების შესახებ 10 კაპეიკიდან სამამდე. საბჭომ ერთ და იმავე დროს მიჰმართა თხოვნით ამ საგნის შესახებ ფინანსთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრებს და კავკასიის მთავარ-მართებელს. სწორედ ამ დროიდან იწყება საარაკო „мытарство“ მრეწველთა ინტერესების დამცველის ბ-ნ ზდანოვიჩისა, რომელიც შუამდგომლობის გაგზავნისათანავე წავიდა პეტერბურგს, რათა პირადად ემაცადინა მრეწველთა თხოვნის შეწყნათებისათვის! ძნელია წარმოიდგინოს კაცმა—რამდენის ახალის მოხსენების და თხოვნების მიცემა, რამდენი პირადად მოლაპარაკება და მიწერ-მოწერა, რამდენ სხდომებში მონაწილეობის მიღება და სხვაგვარი მეცადინეობა დასჭირდა მას ამ საქმის მოსაწყობად. წელიწად-ნახევარის განმავლობაში ის დაუღალავად ებრძოდა ათასგვარ მოულოდნელ დაბრკოლებას. სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ და კავკასიის მთავარ-მართებელმაც საჭიროდ სცნეს ტარიფის შემცირება, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს ზოგიერთი მოხელე წინააღუდგა შუამდგომლობას და საქმე მეტად გაჭიანურდა. დაეკითხნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას, შეჰკრიბეს ცნობები საზღვარგარედ, დაეკითხნენ სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველებს და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველგან მარგანეცის მრეწველთა სასარგებლოდ ავდებოდა დაკითხვა, საქმე არ ბოლოვდებოდა სასურველად. დაპირებაც ბევრი იყო, მაგრამ ყოველივე ამაოდ მიდიოდა, ბოლოს მრეწველთა წარმომადგენლები დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთანაც მივიდნენ და სთხოვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას დაშველება. დიდმა მთავარმა რესკრიპტით მიჰმართა ფინანსთა მინისტრს... ერთი სიტყვით, შუამდგომლობასა, თხოვნას, მუდარას საზღვარი არა ჰქონდა და, როგორც იქმნა, ეს ძნელი საქმე დაბოლოვდა დეკემბერში 1898 წელს: მთავრობამ 10 კაპეიკიდან 7-მდე დაუკლო ტარიფს. ვისაც ჰსურს გაიგოს, რა ძნელია ზოგიერთ შემთხვევაში საქმის გაკეთება, მას ვურჩევთ გადიკითხოს საბჭოს ანგარიში 130 გვერდიდან 185-მდე: იქ ის დაინახავს ნათლად—რამდენად სამართლიანია ფრანგების ანდაზა საქმის სიძნელისა და კრიტიკის სიადვილის შესახებ. ამას ვურჩევთ ნამეტურ საბჭოს მოღვაწეობის ქარაფშუტა კრიტიკოსებს, რომელნიც რაღაც სულელურის დაჟინებით იმეორებდნენ კრებებზე—საბჭომ ვერ მოახერხა საქმის დაჩქარებაო. „სულელურის დაჟინებით“-ო ვამბობთ იმიტომ, რომ ყოველი ჭკუათამყოფელი კაცი დარწმუნდება, რომ საბჭოს არ დაუკლია არაფერი, არ დაუტოვებია არაფერი, რათა საქმე დაეჩქარებინა, მაგრამ „მისგან დამოუკიდებელ მიზეზების“ წინაშე რა უნდა ექნა! მოხსენებათა უკეთესი დასაბუთება შეუძლებელია, თხოვნა წარჩინებულთა წინაშე ბევრი იყო,—ერთი სიტყვით ყოველმხრივი მეცადინეობა განუწყვეტელი იყო და საბჭო სასწაულს ხომ ვერ მოიქმედებდა...

თუმცა ტარიფი ძალიან მცირედ იქმნა შემცირებული, მაგრამ ამანაც მშვენიერი გავლენა იქონია მარგანეცის მრეწველობაზე. იმ დროს, როდესაც აღძრული იყო შუამდგომლობა ტარიფის დაკლების შესახებ, 1897 წელს, მარგანეცი გაუზიდავთ სულ 12.077.017; 1899 წელს კი, როდესაც დაიწყო მოქმედება შემცირებულმა ტარიფმა სულ გაზიდეს 24 მილიონი ფუთი! მრეწველობა გაცხოველდა და ამით მოიგეს მრეწველებმაც და თვით რკინის გზამაც...

მარტო ეს ორი საქმე—ტარიფის დაკლება და გადასახადის გადაცემა საბჭოსთვის—რომ გაეკეთებინა მრეწველთა საბჭოს, მაშინაც მისი ღვაწლი დიდი იქმნებოდა მრეწველთა წინაშე, მაგრამ მარტო ამით კი არ სრულდება საბჭოს მოღვაწეობა. ანგარიშში ჩვენ ვხედავთ კიდევ ბევრ სხვა შუამდგომლობათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქმეებს. თუმცა ისინი საინტერესონი არიან, მაგრამ ჩვენ აქ ვერ შეეალთ, უადგილობისა გამო, მათ დაწვრილებით განხილვაში და მხოლოდ აღვნუსხავთ ზოგიერთ მათგანს, რადგანაც უბრალო აღნუსხვიდანაც დაინახავს მკითხველი, რამდენად სრული ყოფილა საბჭოს მოღვაწეობა.

მარგანეცის მრეწველობის გაძლიერება ტარიფის შემცირების შემდეგ იწვევს დაბრკოლებას რკინის გზაზე: უკანასკ. ნელს არა აქვს სამყოფი ვაგონი და ძალა გადაზიდოს დიდ-ძალი მადანი; გარდა ამისა არა აქვს სამყოფი საწყობები სადგურებზე მადნის მოსათავსებლად. საბჭო ბევრს ცდილობს ამ დაბრკოლების მოსაშორებლად, როგორც რკინის გზის მმართველობისა, ისე ადგილობრივ უმთავრესს ადმინისტრაციისა და ცენტრალურ მმართველობის წინაშე. მაცადინეობამ ბოლოს აქაც გასჭრა და ხსენებული დაბრკოლების აცდენისათვის მზადებას უკვე შეუდგა ვისიც ჯერ არს.

სამთო სამრეწველო ზედამხედველობის მოწყობისა და გაძლიერებისათვის, საბჭომ 1896 წლის ოქტომბერში მიჰმართა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შუამდგომლობით: 1) განთავისუფლებულ იქმნას სამადნო პოლიცია საზოგადო პოლიციის მოვალეობათა აღსრულებისაგან და შემუშავებულ იქმნას ინსტრუქცია სამადნო ზედამხედველობის მოწყობისათვის. 2) დაარსებულ იქმნას თანამდებობა სამთო საოლქო ინჟენერის თანაშემწისა, რომელმაც უთუოდ ჭიათურაში უნდა იცხოვროს. სამინისტრომ შეიწყნარა მეორე შუადგომლობა, ხოლო პირველის აღსრულება გადაიდვა.

მრეწველობის გაძლიერებამ გამოიწვია საჭიროება სამთო ტეხნიკოსთა დაქირავებისა. საზოგადოდ, სამთო სპეციალისტები ძალიან საჭირონი არიან ჭიათურის მრეწველთათვის. ამიტომ საბჭო 1896 წლის აგვისტოში აგზავნის დასაბუთებულს შუამდგომლობას სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ქუთაისის გუბერნიაში სამთო სასწავლებლის დაარსების შესახებ. შემდეგ ამავე საგნის შესახებ საბჭო შუამდგომლობს კავკასიის სამთო მმართველობის უფროსის წინაშე, კავკასიის ადმინისტრაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაშე; მაგრამ სასწავლებლის დაარსების საქმეს გულ-გრილად შეხედეს და საბჭოს შუამდგომლობა ჯერ-ჯერობით უყურადღებოდ დარჩა...

1898 წელს საბჭომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა თავის სხდომებზე ხშირად იხილავს საგნებს, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვს მარგანეცის მრეწველობასთან და რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველთა ინტერესებისათვის. ამის გამო საბჭომ საჭიროდ დაინახა, რომ ხსენებულ მმართველობის ამგვარ სხდომებზე მრეწველთა წარმომადგენლებიც იღებდენ მონაწილეობას და აღძრა ჯეროვანი შუამდგომლობა. რკინის გზის მმართველობამ საბჭოს შუამდგომლობა სამართლიანად სცნო და შეიწყნარა.

1898 წელს საბჭომ საჭიროდ დაინახა და მიჰმართა ქუთაისის გუბერნატორს მოხსენებით, რომელშიაც აღნუსხა მარგანეცის მრეწველობის ზოგიერთი საზოგადო საჭიროებანი და დახმარება სთხოვა; სახელდობრ საბჭო თხოულობდა: 1) ტარიფის შემცირებას 7 კაპეიკიდან 3-მდე; 2) მარგანეცის შესანახად და გადასაზიდავად დახურულ პლატფორმებისა და ვაგონების შემოღებას, რათა ამით უზრუნველ ყოფილ იქმნას მადანი სინოტიეესაგან; 3) ჭიათურის გზაზე ვაგონების მომატებას; 4) ფოთში მარგანეცის უფასოდ შენახვის შემოკლებულ ვადის მოსპობას; 6) სოფლებ პერევისში, ითხვისში და შუკრუთში ადგილ-მამულის გამიჯვნის დაჩქარებას; 7) სამადნო პოლიციის უკედ მოწყობას; 8) ჭიათურის პოსადად აღიარებას და შემოკლებულ თვით-მმართველობის შემოღებას და 9) ჭიათურაში მომრიგებელ სასამართლოს დაწესებას. ამ შუამდგომლობათა განსახილველად ქუთაისის გუბერნატორმა საჭიროდ სცნო და დააარსა საგანგებო კომისია საგუბერნიო მმართველობის უფროს მი,ხელეს ბ. ბ. პრინცის თავმჯდომარეობით; კომისიის წევრებად არიან სხვა-და-სხვა უწყებათა და მარგანეცის მწარმოებელთა წარმომადგენელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება საბჭოს სამეურნეო მოღვაწეობას, იგი იწყება მხოლოდ იმ დღიდან, რა დღესაც საბჭოს განკარგულებაში გადვიდა მარგანეცზე დაწესებული გადასახადი. ეს მოხდა 1898 წლის ბოლოს. ერთის წლის განმავლობაში საბჭო, ცხადია, ბევრს ვერას გააკეთებდა, მაგრამ ამ მხრითაც ეტყობა საბჭოს მოღვაწეობას მხნეობა და ნაყოფიერება.

თავდაპირველად საბჭო შეუდგა სამადნო რაიონის გზების შეკეთებას. ამ საჭიროებაზე მან წელიწად ნახევარში 54 ათას მანეთზე მეტი დახარჯა და შეაკეთა მადნების ყველა გზები, რომელნიც სრულიად უვარგისნი და გამოუსადეგარნი იყვნენ. —არც სულიერი მოთხოვნილება დავიწყებია საბჭოს და მოკლე ხანში ამ მხრითაც გაკეთებულა საქმე: შემწეობა აღმოუჩენია ადგილობრივ სამრევლო სკოლისათვის, დაუარსებია ორი სამკითხველო,—ერთი ქუთაისში და მეორე ჭიათურაში ტ სხ. გარდა ამაებისა საბჭოს ყურადღება მიუქცევია და დაუწყია ზრუნვა მადნების სასანიტარო-საექიმო ნაწილის გაუმჯობესებისათვის...

როგორც ზევითა ვთქვით, ჩვენ არ შეგვიძლიან დაწვრილებით განვიხილოთ ყოველივე ის, რის შესახებაც უშუამდგომლია საბჭოს, და ჩამოვთვალოთ ყველა წვრილმანი საქმეები, რომელიც მას გაუკეთებია. ამისათვის მეტად დიდი ადგილი დაგვჭირდებოდა და არც არის საჭირო, რადგანაც ჩვენის მოკლე აღწერიდანაც მკითხველი დაინახავს, თუ რა ენერგიული და ნაყოფიერი ყოფილა საბჭოს მოქმედება. ოთხი წელიწადია, რაც ის არსებობს და ამ ოთხ წლიდან მხოლოდ ერთი წელიწადია ხელთ აქვს საჭირო საშუალება, მაგრამ ამ მოკლე ხანში მან ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები დაასრულა, რომ სწორედ სიცოცხლე ჩაჰბერა და სწორ გზაზე დააყენა ახალი მრეწველობა!

ბევრი გააკეთა საბჭომ, მაგრამ ახალგაზდა დაწესებულებას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი და ის არც ჰფიქრობს მოსვენებას. პირ-იქით, როგორც სჩანს წრევანდელს კრებაზე განხილულ საგნებიდან, საბჭოს ფართო პროგრამა შეუმუშავებია თავის მოღვაწეობისათვის ახლო მომავალში. ამ მხრივ ახ-

ლად დასრულებულმა კრებამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. კავკასიის რუსულ-ქართულ გაზეთებში თითქმის ერთ და იმავე სიტყვებით ამბობდნენ, რომ კრების მოღვაწეობა ფართო და ნაყოფიერი იყოო. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ საბჭომ წარუდგინა კრებას ბევრი საყურადღებო საგანი, მრეწველთა და მუშათათვის სასარგებლო და დიდ-მნიშვნელოვანნი. ჩვენ ჩამოვთვლით აქ უმთავრესს ამ საგნებიდან, რათა დავანახოთ მკითხველთ, თუ როგორი ფართო და საიმედო პროგრამმა შეუმუშავებია საბჭოს.

სულ კრებას წარედგინა განსახილველად და გადასაწყვეტად 20 საგანი. უმთავრესი მათგანი შეიძლება სამ ჯგუფად გავანაწილოთ: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან საგნები, რომელთაც სახეში აქვთ მრეწველობის გაუმჯობესობა ან თვით მრეწველთა ინტერესები; მეორე ჯგუფში მოხვდნენ საგნები, რომელთა დანიშნულებაა მუშათა კეთილდღეობის განკარგება; ხოლო მესამე ჯგუფს შეადგენენ საგნები, რომელთაც საზოგადო სასარგებლო მნიშვნელობა აქვთ. პირველი ჯგუფის საგნებიდან ჩვენ დავასახელებთ აქ შემდეგთ: 1) რა წესრიგი უნდა იქმნას შემოღებული მარგანეცის ხარისხ-ხარისხად დაყოფისათვის, რათა მარგანეცის გასაღება რიგიანად სწარმოებდეს; 2) მარგანეცის მადნების დასაცველად ტეხნიკურის კომიტეტის დაარსება; 3) გაყვანა გზა-ტკეცილებისა და გაუმჯობესებულ მისავალ გზებისა: მავთულის გზებისა და მეხანიკურ მოწყობილებისა მარგანეცის საზიდავად მადნებიდან; 4) შტეიგერთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია; 5) მარგანეცის გაზიდვას ხომ არ აბრკოლებს რამე: ან რკინის გზა, ან ფოთის ნავთსადგური და 6) პლატფორმების და ვაგონების განაწილება. მეორე ჯგუფის საგნებია: 1) მადნების მუშათათვის მუდმივის საავადმყოფოს დაარსება და 2) საპენსიო კასსის ანუ მუშათა დამზღვევი საზოგადოების დაწესება და, საზოგადოდ, მარგანეცის მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ზომათა მიღება; გარდა ამისა ხარჯთ-აღრიცხვაში საბჭოს შეუტანია ხარჯი სახალხო თეატრისა, საკითხებისა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოსაწყობად. საზოგადო საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როების საგანთა ჯგუფში მოთავსებულია: 1) ჭიათურის პოსადად აღიარება და შემოკლებულ თვითმართველობის წესის შემოღება; 2) მომრიგებელ-სასამართლოს დაწესება ჭიათურაში; 3) სტატისტიკურ ბიუროს დაარსება; 4) სამთო-სამრეწველო სკოლის დაარსება და სხვა.

ამ უბრალო აღნუსხვიდანაც დარწმუნდება მკითხველი, რა დიდი პროგრამმა ჰქონია მომავლისათვისაც მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭოს! ამის უკედ გათვალისწინებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ შემოკლებით ხარჯთ-აღრიცხვა *), რომელიც საბჭომ წარუდგინა კრებას და რომელიც დამტკიცებულ იქმნა ზოგიერთ ცვლილებათა მოხდენით:

ა) მუდმივი ხარჯი:

1) საზოგადო კრება . .	1750 მ.
2) კრების საბჭო . .	27670 „
3) დაზღვევა მუშებისა . .	7600 „
4) სტიპენდიები . . .	2840 „
5) სასწავლებლები . .	7600 „
6) პოლიცია . . .	1500 „
7) სამკურნალო . . .	19273 „
8) სანიტარია . . .	2580 „
9) ტეხნიკური ზედამხ. .	12300 „
10) გზები	31500 „
სულ .	116.113 მ.

ბ) ერთდროებითი ხარჯები:

1) სამკურნალო ნაწილი .	85900 მ.
2) გზები	56223 „
3) სამეურნეო ნაწილი . .	32000 „
4) საპენსიო კასსა . .	2400 „
5) შემწეობა და საჩუქრება .	6725 „
სულ .	183.248 მ.

*) მოგვყავს „ივერიიდან“, № 188.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, მთელი ხარჯი უდრის თითქმის 300 ათას მანეთს, რაც სამჯერ აღემატება ქალაქ ქუთაისის სახარჯო ბიუჯეტს!..

ყოველივე ეს ცხადად გვიჩვენებს, რომ მარგანეცის მრეწველობა ბოლოს დროს წესიერ ორგანიზაციას იღებს და რომ მრეწველთა და მრეწველობის ბედ-ილბალი და ინტერესები საიმედო ხელში ჩავარდნილა. სასიხარულოა, რომ ქართველთა ხელში ჩავარდნილი საქმე ასე მწყობრად მიდის წინ და თანდათან ვითარდება. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარგანეცის მრეწველთა კრება და მისი საბჭო კარგ მიმართულებას ადგიან და მათ მოღვაწეობას არ ეტყობა ცალმხრივობა. ნავთის მრეწველთა კრება დიდხანს მარტო მსხვილ მწარმოებელთა ინტერესების დამცველი იყო; მუშების ვოფა-ცხოვრებას მან ყურადღება უკანასკნელ დროს მიაქცია, და ისიც მთავრობისა და საზოგადოების მოთხოვნითა და რჩევით... თუმცა 15 წელიწადია, რაც არსებობს.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მარგანეცის მრეწველთა საბჭოსა და მის ხელმძღვანელთა მოღვაწეობას სუსტი მხარე არ ჰქონდეს, მაგრამ „კარგ მთქმელს“, ნათქვამია, „კარგი გამგონი უნდაო“, კარგ მოსაქმეს—კარგი კრიტიკოსი. საქმიანი კრიტიკა, კრიტიკა დაფუძნებული ფაქტებზე და არა ლიტონი სიტყვები, საქმეს მართლა შველიან და საქმის სათავეში მდგომს, თუ იგი სერიოზული მუშაკია, მხოლოდ სარგებლობას მოუტანენ. სამწუხაროდ, წრევანდელს მრეწველთა კრებაზე საბჭოს მეტად ფუქსავატი და ამასთანავე მავნე კრიტიკოსები აღმოუჩნდნენ. ჩვენი საზოგადოება ნაჩვევია უსაგნო, წვრილმან კრიტიკას, ჩვენში ადგილი ჰქონია უმნიშვნელო და მავნე „ოპპოზიციასაც“, მაგრამ, ვგონებთ, მრეწველთა კრების წრევანდელმა „ოპპოზიციამ“ ყველას გადააჭარბა ფუქსავატობითა და საქმის უცოდინარობით. არავითარი პროგრამმა, არავითარი წინად შემუშავებული გეგმა ამ ოპპოზიციას არ წარმოუდგენია და მისი კრიტიკაც მხოლოდ სიტყვების რახა-რუხი იყო და სხვა არაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ასულდგმულებდა ამ ოპოზიციას? თუ დავუჯერეთ მის სიტყვებს, მისი წარმომადგენელნი გამოესარჩლნენ წვრილ მრეწველთ, მაგრამ ეს ლიტონი სიტყვაა და სხვა არაფერი. ოპპოზიციამ მთელის კრების განმავლობაში ვერაფრით ვერ დაამტკიცა, რომ მას მართლა გული შესტკივა წვრილ მრეწველთათვის, ვერაფერი საშუალება ვერ წამოაყენა, რომლით შეიძლებოდეს წვრილი მრეწველის შველა, ვერაფერზე მიგვითითა ისეთზე, რაც საბჭოს მოექმედოს წვრილ მრეწველთა წინააღმდეგ. ცარიელი გულზე ხელის ცემა და ფიცი—წვრილ მრეწველის დამცველი ვარო, მხოლოდ ბავშვს და სრულიად უმეცარ კაცს დააჯერებს. ყველას, ვისაც თვალყური უდევნებია საბჭოს მოქმედებისთვის, თუნდაც შორიდან, ყველას, ვისაც გადაუთვალიერებია მისი მოღვაწეობის ანგარიში, ცხადად დაუნახავს, რომ საბჭოს ენერგიული მოღვაწეობა მრავალმხრივია, რომ მას ძალა და ღონე არ დაუზოგავს ყველა მრეწველთა ინტერესების დაცვისათვის. ამგვარ საბჭოს მოქმედების კრიტიკა თუ გსურს, უნდა ფრთხილად და სერიოზულად გამოიკვლიო საქმე, უნდა მოემზადო, უნდა ჩაუკვირდე საქმეს, უნდა გაითვალისწინო, რას აპიროობ და რა საგანი აქვს შენს კრიტიკას. არაფერს ამ გვარს ოპპოზიციის ყურადღება არ მიუქცევია; სრულიად მოუმზადებლად, დაუფიქრებლად გამოვიდა და მხოლოდ მაღალ ფრაზების რახა-რუხით უნდოდა გაეტანა ლელო. მთელი მისი მოქმედება გვარწმუნებს, რომ საქმისთვის გული არ შესტკივოდა და გამსჭვალული იყო მხოლოდ ერთის სურვილით, ერთის მისწრაფებით—აგიტაცია გამოეწვია ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ. ბ. ზდანოვიჩი, როგორც ვიცით, საბჭოს სულის ჩამდგმელია, საბჭოს მოღვაწეობის ხელმძღვანელი და ინიციატორი. მისის ენერგიისა და საქმის ცოდნის, მისის საქმისადმი სიყვარულისა და საზოგადო დარბაისლობის მეოხებით არის, რომ ქართული საქმე თავდაპირველადვე კარგს ნიადაგზე დადგა და ცხოველად წავიდა. თუ ამგვარ მოღვაწის წინააღმდეგ წახვალ, უთუოდ ძალიან სერიოზული მიზეზები უნდა გქონდეს; უთუოდ დიდ-მნიშვნელოვანი საბუთები უნდა გქონდეს, როდესაც აგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაციას იწვევ იმ მოღვაწის წინააღმდეგ, რომლის მეოხებით საქმე ფეხზე დადგა, საქმე გაჩაღდა, რომელიც არა თუ არაფერს აფუჭებს, არამედ ფართო პროგრამმას ადგენს და იმედებს იძლევა უკეთესის მუშაობისა და მოღვაწეობისას. ქუთაისის კრების ოპოზიციამ ვერ წარმოადგინა ერთი სერიოზული საბუთი ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ. ოპოზიციის ამმხრივი მოქმედება სამარცხვინო საქმე იყო და სხვა არაფერი.

უბედურებაა, ნამდვილი უბედურება, როდესაც დარბაისელს მოღვაწეს, რომელმაც დიდი უნარიც გამოიჩინა საქმეში, რომელსაც ძალა და ღონე არ დაუზოგავს და საქმე რიგიანად დაუყენებია, რომელსაც მართლა სტკივა გული საქმისათვის, ისეთი კრიტიკოსები გამოუჩნდებიან, როგორც ქვარიანები, ფირცხალავები, გაჩეჩილაძეები და tutti quanti. ვინ არიან ეს პირები? რა საქმე გააკეთეს მათ და რით ისახელეს თავი? რა მომზადებით გამოსულან საზოგადო ასპარეზზე? არაფერი მათ არ გაუკეთებიათ არასოდეს და არც არავინ იცოდა დღემდის მათი ვინაობა საზოგადო ასპარეზზე. დღეს კი მათი გაცნობა ადვილია: აიღეთ თუნდ გაზეთ „ივერიის“ ნომრები, გადაიკითხეთ კრების ანგარიშები და თქვენ ნათლად წარმოგიდგებათ სრული არარაობა რამდენიმე უმეცართა, რომელთაც არ გაეგებათ, რას სჩადიან, რას ემსახურებიან. ვიღაცას, რომელიღაც ბოროტ ძალას მათთვის წაუჩურჩულებია: წვრილ მრეწველთათვის არაფერი კეთდებაო და ეს სულ ზდანოვიჩის ბრალიაო; ეს საკმარისი გამხდარა ფუქსავატ ვაჟბატონთათვის, გამომხტარან და გაიძახიან: „ვინ ხართ თქვენ, ჩვენა ვართ, რაც ვართო!...

ჩვენ ზევით აღვნუსხეთ, თუ რა გააკეთა ბ-ნმა ზდანოვიჩმა და რის გაკეთებას გვპირდება მომავალში. ჩვენ ვხედავთ სრულს პროგრამას მოღვაწეობისას, ჩვენ ვხედავთ, რომ ოთხის წლის განმავლობაში კაცს არ შეუსვენია, უშრომნია, უწერნია, ულაპარაკნია, საკვირველის მხნეობით დაუცავს მრეწველობისა და მრეწველთა ინტერესები და შეუქმნია საქმე, რომელსაც კარგი მომავალი მოელის. რაც უნდა ვთქვათ, მრეწველობას საიმედო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაცია გაუჩნდა და არსდება მუშათათვის დიდ-მნიშვნელოვანი დაწესებულებანი. ნუთუ ამის მომქმედი მოღვაწე ღირსი არ იყო სერიოზულის კრიტიკისა და ნუთუ მის ნაღვაწნამუშევარს ისეთი ბავშვური ტიტინი ეკადრებოდა, როგორიც გაგვაგონეს ოპპოზიციის ლიდერებმა?! ნუთუ დასაგმობი არ არიან ის უმეცარნი, რომელნიც ასეთის სიმჩატით ეკიდებიან ახალსა და დიდს საქმეს და რყვნიან საზოგადოებას სამარცხვინო აგიტაციით?!

რაც უნდა ეცადოთ, თქვენ ვერ მოსძებნით საგანს, რომელიც დაკვირვებით გაერჩიოს ოპპოზიციას ან თვით წამოეყენებიოს. ყველა საყურადღებო საგნები თვით საბჭომ აღძრა და საბჭოს ინიციატივით განხორციელდა; ოპპოზიციას თავისი წვლილი, მცირედიც კი, არ შეუტანია არცერთ საყურადღებო საქმეში. გაირჩა ისეთი დიდი საქმე, როგორც მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობა, მაგრამ ოპპოზიციის წინამძღოლთ, **ერთი აზრი, ერთი ნათელი მოსაზრება** არ წარმოუთქვამთ; გაირჩა, მათისავე მოთხოვნით, წვრილ კრედიტის საქმე, ოპპოზიციის წინამძღოლთ **ერთი სიტყვაც** ვერ უთქვამთ; გაირჩა საყურადღებო საქმე იმის შესახებ, რომ მარგანეცის ფასის აღსადგენად და ჩვენის მარგანეცას ღირსების ასამაღლებლად საჭიროა მისი ხარისხ-ხარისხად დაყოფა, გარეცხვა და სხვა; ოპპოზიციამ ისახელა თავი „ნათელის“ მოსაზრებით—ვის რა ხელი აქვს, მე თუ მინდა ტალახსაც გავყიდიო; გაირჩა დიდმნიშვნელოვანი საქმე მადნების სატეხნიკო ზედამხედველობის მოწყობის შესახებ; ოპპოზიციამ ვერ გაიგო, რაშია საქმე. ერთად-ერთი საგანი, რომელსაც ის ჩაებღაუჭა, იყო—პლატფორმების განაწილება, მაგრამ ვაი ამისთანა ჩაბღაუჭებასაც: რამდენიმე დღე იწურეს ოფლი ამ საარაკო ოპონენტებმა და შეადგინეს „პროექტი“, **რომლის** თავი და ბოლო თვითონაც **არ ესმოდათ.** აი როგორ აღგვიწერს ამ უცნაურ ამბავს „ივერიის“ კორრესპონდენტი.

მ. გ. ემერიკი. რამდენი საქონი ბაქანი უნდა მიიღოს ბ-ნ ქვარიანის პროექტით ექსპორტერმა, რომელსაც 5 მილიონი ფუთი გააქვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ა. ქვარიანი ითვლის და გამოდის 70 საუნი.

ა. მ. სოლოვეიოვი. ჰკითხეთ ბ-ნ ქვარიანს, რამდენ საუნს მომცემს, თუ ათი მილიონის გატანა მინდა?

ს. ა. ქვარიანი. იძლევა ისეთს პასუხს, რომ საზოგადოებას ვერ გაუგია, რამდენი საუნი მიეცემა ან ერთს ან მეორეს.

თავმჯდომარემ პროექტი გადასცა თვით ქვარიანს; ქვარიანი კითხულობს, მაგრამ საზოგადოება მაინც ვერ იგებს გარკვეულად ვერაფერს.*).

პლატფორმებისა და ვაგონების განაწილების საკითხს საკმაოდ საყურადღებო მნიშვნელობა აქვს წვრილ მრეწველთათვის და მოსალოდნელი იყო, ამ საკითხში მაინც მოემზადებოდნენ ეს ჩვენი ფუქსავატი დემოკრატები, მაგრამ ამაოდ: ამათ აქაც იოლად უნდოდათ წასვლა—ყვირილითა და ბაქიბუქობით ჰსურდათ დაენახვებინათ, რომ იმათ წვრილ მრეწველთათვის სტკივათ გული.

მეორე საყურადღებო საგანი წვრილ მრეწველთათვის იყო კრედიტის ორგანიზაცია. თვისდა საუბედუროდ, რომელღაც ოპპოზიციონისტს წამოსცდა ეს საკითხი და იგი მოხვდა განსახილველ საგანთა რიცხვში. როდესაც მისი განხილვის ჯერი დადგა, კრების თავჯდომარე დაეკითხა—ვის ჰსურს ლაპარაკი. მაგრამ დავუთმოთ სიტყვა ახლა „ნოვ. ობოზრენიის“ **) კორრესპონდენტს:

როდესაც თავმჯდომარემ კრედიტის შესახებ საკითხი დაადგინა, დარბაზში სრული სიჩუმე გამეფდა; ყველას ეგონა, რომ ვინც ეს საკითხი წამოაყენა, ის გაატანობს კრებას თავის მოსაზრებასა და მოტივებს; მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და დარბაზში ღრმა სიჩუმე იყო; გაჩუმებული იყო ქვარიანიც და სანდისსან ბ-ნ ემერიკს შეხედავდა იმ იმედით, რომ ის იტყვის რამესო და მე გავიმეორებ მის უკანასკნელ სიტყვებსაო. მაგრამ ემერიკმა არ გაამართლა ქვარიანის იმედი და სდუმდა, თითქოს პირი წყლით ჰქონდა სავსე...

*) «ივერია» № 199.

**) «ნოვოე ობოზრ.» № 5451.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ინციდენტში ნათლად იხატება სრული არარაობა იმ ჯგუფისა, რომელმაც იკისრა ოპოზიციონისტობა მრეწველთა კრებაზე. ერთხელ მიეცა ამ ჯგუფის უბედურ წევრთ საშუალება გამოეჩინათ თავი ეკონომიურისა და ფინანსიურის კითხვების ცოდნაში, საქმისთვის მომზადებაში, წვრილ მრეწველთა ნამდვილ გულშემატკივრობაში და მათ არა თუ ცოდნა ვერ გამოიჩინეს, უბრალო აზრი, **ერთი დაუსაბუთებელი წინადადებაც** კი ვერ წარუდგინეს კრებას...

თუ საგნების განხილვაში ოპოზიციამ სრული უმეცრება გამოიჩინა, საბჭოს მოხელეების არჩევის საქმეში ჩვენ ვხედავთ ვიღაცას ინტრიგიანობასაც. თუმცა უმეცარ დემოკრატთა ფუქსავატობა ცხადია, მაგრამ ჩვენ არა გვჯერა მაინც, რომ მათ მოფიქრებით აეწონ-დაეწონოთ საქმე და ისე წამოეყენებინოთ ბ-ნი კალატოზიშვილი ზდანოვიჩის მაგიერ! ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველი მათგანი ჰგრძნობს ბ-ნ ზდანოვიჩის საქმისთვის მრავალგვარ უპირატესობას ბ-ნ კალატოზიშვილთან შედარებით; ჩვენ საქმის ცოდნა და საზოგადო მოღვაწეობის უნარი კი არა გვაქვს მარტო სახეში, მიმართულების მხრით ვამბობთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ მხრითაც ესმით ქვარიანებსა და ფირცხალავებს ბ ნ ზდანოვიჩის უპირატესობა; მაგრამ, თუ მიუხედავად ამისა, მათ ბ-ნ კალატოზიშვილის ჩასკუპება მოინდომეს თავმჯდომარის სავარძელში, აქ, ჩვენა გვგონია, ისინი სხვის სურვილს ასრულებდნენ და უბრალო პამპულებად გახდნენ კულისების უკან მდგომ ბოროტ განმზრახველთა...

ამბობენ, ვითომც ოპოზიციას ბ-ნი ნ. ნიკოლაძე უნდოდა თავმჯდომმრედაო, მაგრამ რადგანაც მან უარი განაცხადა, ამიტომ წამოაყენეს კანდიდატურა ბ-ნის კალატოზიშვილისაო. თუ ამისთანა თავის გამართლებას ჭკუათა-მყოფელი კაცი გამოსთქვამს, მაშინ ყოველისფერის თქმა შეიძლება. მაშ ისიც შესაძლებელი იქნებოდა, რომ ბ-ნ კალატოზიშვილსაც უარი ეთქვა, ს. ქვარიანის ან რომელიმე მისი მომხრეთაგანის კანდიდატურა წამოეყენიბინათ?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხარო არ არის, მკითხველო, რომ ჩვენში ნიადაგს პოულობენ იმგვარი „მოღვაწენი“, რომელთაც არაფერი გაეგებათ და რომელნიც ტიკინების როლს ასრულებენ „მოხერხებულ“ ინტრიგანების ხელში?!..

ჩვენდა საბედნიეროდ, წელს მრეწველთა საქმე მშვიდობითა და სასურველად გათავდა; მათი საბჭო არ ჩავარდა ისეთსავე განსაცდელში, როგორშიაც იმყოფება ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი. მაგრამ ჩვენ საზოგადოებას დიდი მხნეობა ჰმართებს, რათა მრეწველთა კრების საქმეც არ ჩაუვარდეს ხელში იმ ელემენტებსა და მათ მსგავსებს, რომელთაც უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენეს ქუთაისის ბანკი.

ლ.ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

უცხოეთის მიმოხილვა

არეულობა ჩინეთში.—პეკინის აღება.—მოკავშირეთა ძნელი მდგომარეობა.—რუსეთის მთავრობის წინადადება.—რუსეთი და ევროპა შორეულს აღმოსავლეთში.—შორეული და მახლობელი აღმოსავლეთი.—ინგლის-ტრანსვაალის ომის უკანასკნელი ამბები *).

დიდხანს არ დასჭირდა ევროპას ლოდინი: მისმა ჯარებმა, საკვირველის სისწრაფითა და ჩვეულებრივის მამაცობით, აღასრულეს თავისი მინდობილება. არ გაუვლია ორ თვესაც, მოკავშირეთა ჯარებმა დაამხეს უმთავრესი სამხედრო ძალა ჩინეთისა და აიღეს ცისქვეშა იმპერიის სატახტო ქალაქი...

ივლისის შუა რიცხვებში მოკავშირეთა რაზმები დაიძრნენ ტიანცზინიდან. გზაში მათ მხოლოდ ერთ ადგილას აღმოუჩინეს ჩინელებმა საკმაოდ მძლავრი წინააღმდეგობა. ეს იყო ქალაქ პეიცზანთან. სასტიკი ბრძოლა დასრულდა ჩინელების სრულის დამარცხებით, მათი ჯარი განიფანტა, ევროპიელებმა და იაპონელებმა კი თავისუფლად განაგრძეს გზა და ივლისის 30-ს უკვე პეკინის გალავანს მიადგნენ. აქ მოკავშირეთა სარდლებმა გადასწყვიტეს ორი დღე მოასვენონ ჯარები და 2 აგვისტოს იერიში მიიტანონ პეკინზე. მაგრამ მეორე დღესვე შესცვალეს თავისი განზრახვა, რადგანაც პეკინიდან ზარბაზნების გრიალის ხმა მოდიოდა; სარდლები მიხვდნენ, რომ ჩინელები უკანასკნელად თავს ესხმიან საელჩოებს და დაყოვნება აღარ ეარგოდა. იმავე ღამეს, ესე იგი 31 ივლისს, მოკავშირენი გაემართნენ ქალაქისაკენ, სძლიეს წინააღმდეგობა და 1-ლ აგვისტოს შევიდნენ პეკინში. როგორც წინა შემთხვევებში, ისე ახლაც ჩი-

*) სავსებით ვერ იბეჭდება.

ნელებმა გამოიჩინეს თავისი სისუსტე, მხდალობა, სულის სიმდაბლე და სამხედრო ორგანიზაციის უქონლობა. მოკავშირეთა ჯარებს სრულიადაც არ გასჭირებიათ მათი ძლევა. პეკინის აღებაც ნათლად ამბობს, რომ ვერც ჯარების დიდრიცხოვნება, ვერც ზარბაზნების სიმრავლე ვერ უშველიან ერს, რომელიც დაბლა სდგას თავის კულტურით, რომლის სული არ არის გამტკიცებული და გამაგრებული მოვალეობათა შეგნებით, ეროვნულისა და კაცურ-კაცის ღირსების დაფასების ცოდნით, კულტურულის აღზრდითა და სწავლა-განათლებით...

პეკინის აღებით ჩინეთის არეულობა, რასაკვირველია, ვერ გათავდებოდა. პირიქით, როგორც წინანდელს „მიმოხილვაშიაც“ ვამბობდით, საქმე ეხლა უფრო გამწვავდა და მოკავშირე სახელმწიფონი ეხლა უფრო გასაჭირს მდგომარეობაში არიან. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ჩინეთის ძლიერება კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომ მოკავშირეთა ერთობა და თანხმობა არ იყო ხანგრძლივი. ისინი ერთად და ძმურად მოქმედებდნენ იმ დრომდე, სანამ ჩინეთის უმთავრესი მხედრობა არ იყო ძლეული და სანამ მათი ელჩები საერთო განსაცდელში იყვნენ. მაგრამ, რაკი პეკინის აღებით ჩინეთის მხედრობაც დამხობილ იქმნა და ელჩებიც განთავისუფლებულ იქმნენ, თანხმობა სახელმწიფოთა შორის შესუსტდა და თავი იჩინა ძველმა ქიშპობამ. სხვა-და-სხვაობა ინტერესებისა და ერთმანეთის უნდობლობა უფრო და უფრო იჩენენ თავს და მეტად აძნელებენ ისედაც ძნელის საკითხის გადაწყვეტას. საქმე გამწვავდა, გარდა ამისა, იმ გარემოებით, რომ მოკავშირეთ პეკინში აღარ დახვდათ არც მეფე და არც ქერივი დედოფალი, არც პრინცები, არც მთავრობა. ესენი რომ პეკინში ყოფილიყვნენ, ევროპიელნი მაშინვე შეუდგებოდნენ მშვიდობიანობაზე მოლაპარაკების გამართვასა და წესრიგის აღდგენისთვის ზრუნვას. შესაძლებელია მაშინ ისევ შეთანხმებულიყვნენ მოკავშირენი და შეექმნათ რაიმე დროებითი modus vivendi; მაგრამ ახლა, როდესაც არავინ იცის, სად არის ჩინეთის მთავრობა, რას აპირობს იგი, საქმე ძნელდება და მწვავდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინის აღების შემდეგ პირველად მოკავშირეთა შორის ხმა ამოიღო რუსეთმა. მან გამოუცხადა დანარჩენ სახელმწიფოებს, რომ თავს ანებებს ჩინეთს, სპობს ომიანობას და სხვებსაც აძლევს წინადადებას ასევე მოიქცნენ... მოკავშირე სახელმწიფოთა უმრავლესობას არაფრად ეპიტნავა რუსეთის ამგვარი წინადადება. გერმანიას ჯერაც არ შეუწყვეტია მზადება ტ დღესაც დიდძალ ჯარებს გზავნის ჩინეთისაკენ; მისი ფელდმარშალი, გრაფი ვალდერზეე, რომელიც დანიშნულ იქმნა შეერთებულ ჯარების მთავარ-სარდლად, დიდ მინდობილებით აღჭურვილი მიდის შორეულს აღმოსავლეთში; იმპერატორი ვილჰელმი ჯერაც მუქარით იხსენიებს ჩინელთ და მოწადინებულია იმ გვარად დასაჯოს ისინი, რომ დიდხანს არ დაივიწყონ გერმანელების ძლევამოსილება. ევროპის გაზეთები (საფრანგეთს გარდა) ამტკიცებენ, რომ ჯარების გაყვანას ჩინეთიდან, სანამ მშვიდობიანობის პირობები დამტკიცებული არ იქნებიან, ჩინელები ევროპის სისუსტედ ჩასთვლიანო და შემდეგშიაც არ მოგვერიდებიანო. ეს მოსაზრება არ არის სიმართლეს მოკლებული. ჩინელები თითქმის არასოდეს არ სთვლიან თავის თავს დამარცხებულად და სარგებლობენ ყოველის შემთხვევით, რომ აღიარონ თავისი გამარჯვება. მთავრობა ამ შემთხვევაში ძალიან ცდილობს ხალხის მოტყუებას. მაგალითის საძებრად შორს წასვლა არ არის საჭირო. იაპონიასთან ომის დასრულებისა და ზავის ჩამოგდების შემდეგ, ჩინეთის მთავრობამ გამოუცხადა ხალხს—იაპონიის მხედრობა გავანადგურეთო და რადგანაც შესაბრალისნი შეიქმნენ, ფულები ვაჩუქეთ და ისე გავისტუმრეთ, საიდანაც მოვიდნენო! 1860 წელსაც აიღეს ევროპიელებმა (ფრანგებმა და ინგლისელებმა) პეკინი; დაასრულეს მოლაპარაკება და შემდეგ წავიდნენ პეკინიდან. როგორც კი დასტოვეს ევროპიელმა ჯარებმა პეკინი, ჩინელებმა მაშინვე ასტეხეს საშინელი სროლა. მეორე დღეს გამოაცხადეს, რომ ევროპიელები გვიანობდნენ და ყოყმანობდნენ და ჩვენ ავიძულით დაჩქარებით წასულიყვნენ სატახტო ქალაქიდანაო! ამ მაგალითებიდანაც ცხადად სჩანს, რომ, თუ დღეს მოკავშირეებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლა ისეთის სისწრაფით დაანებეს თავი პეკინს, როგორსაც რუსეთი ურჩევს, ჩინელები მაშინვე მიაწერენ ამას ევროპის სისუსტესა და თავიანთ ძლიერებას. ამიტომაც ინგლისი, გერმანია, იტალია, ავსტრია და იაპონია იმ აზრისანი არიან, რომ თავდაპირველად საჭიროა ჩინეთის მთავრობის აღდგენა, მასთან ზავის შეკვრა და მხოლოდ მერე შეიძლება პეკინის დატოვებაო; ხოლო რუსეთი, საფრანგეთი და, როგორც სჩანს, ამერიკის შეერთებული შტატებიც მზად არიან ეხლავ გაიყვანონ ჩინეთიდან თავიანთი ჯარები და შემდეგ დაიწყონ მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება.....

ცხადია, რომ ჩინეთის განაწილება გადადებულ იქმნება სხვა დროისათვის, რადგანაც არც რუსეთს, არც საფრანგეთს და, შესაძლებელია, ამერიკასაც არ ჰსურთ ჯერ, ან მოუხერხებლად მიაჩნიათ ჩინეთის დაყოფა და წინააღუდგებიან ყოველს ამგვარს განზრახვას. ხოლო განაწილების გადადებამ, მოსალოდნელია, სამუდამოდ იხსნას ჩინეთი დაღუპვისაგან, რადგანაც იგი გამოფხიზლდა და ამ შორეულ აღმოსავლეთის იმპერიამაც განახლებისა და რეფორმების გზაზე შესდგა ფეხი....

აგერ მალე წელიწადი შესრულდება, რაც ძლევა მოსილი დიდი ბრიტანია ებრძვის ბურებს და ომის დასასრული ჯერ კიდევ არა სჩანს. პარტიზანული ბრძოლა ბურებისა ხან სრულიად ჰქრება, ხან შესამჩნევად ძლიერდება. ინგლისის ჯარები მეტად შეწუხებულნი არიან ბურების მხნე მოქმედებით და მათი საქმე—ბურების რესპუბლიკების დამორჩილება—ისევ ძნელ შესასრულებელ საქმედ რჩება...

პრეტორიის აღების შემდეგ ლორდმა რობერტსმა ახალი გეგმა შეიმუშავა. ინგლისელების პრეტორიისაკენ მსვლელობის დროს ბურების მხედრობა ორ უმთავრეს ნაწილად გაიყო: ერთმა ნაწილმა, ლუი ბოტას წინამძღოლობით, დაიწია ჩრდილოეთ ტრანსვაალში ლეიდენბურგისა და მიდელბურგისაკენ, მეორე კი,—დეევეტისა და ოლივიეს წინამძღოლობით, დარჩა სამხრეთ ტრანსვაალში კრონშტადტ-ბეთლემ-გარრისმიტის შუა. გარდა ამისა აქა-იქ ორანჟეს რესპუბლიკაში და ტრანსვაალში მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკ

მედებდნენ ბურების პატარა რაზმები, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ ინგლისელთ და უმთავრესად ხელს უშლიან სურსათის გადაზიდვას. ბურების მოქმედების მიხედვით რობერტსის გეგმაც სამ საგნად გაიყო. უმთავრესი ნაწილი მისი ჯარისა დაიძრა პრეტორიიდან ჩრდილოეთისაკენ, რათა განედევნა ბოტა და ბოლოს მიემწყვდია იგი დელაგოას ნავთსადგურთან; ამის განხორციელების შემდეგ ბურებს გასანძრევი ადგილი აღარ ექნებათ და ისინი ძალაუნებურად უნდა დამორჩილდნენ ინგლისელთ. მეორე ნაწილი რობერტსის ჯარისა, რამდენსამე რაზმად განაწილებული, უკანვე დაბრუნდა სამხრეთისაკენ და სამის მხრიდან მიუახლოვდა დევეტ-ოლივიეს რაზმებს; მეოთხე მხრიდან მათ მოადგნენ ნატალიდან მომავალი ბულლერის რაზმები. ამ რიგად ინგლისელთ უნდა შუაში გამოემწყვდიათ სამხრეთ ტრანსვაალში მებრძოლი ბურები და ტყვედ წაეყვანათ ისინი. გარდა ამისა რამდენიმე მცირე რაზმს დაევალა ბურების პატარა რაზმების დევნა და მცხოვრებთარვის იარაღის ახდა.

ყველაზე უფრო მხნედ მოქმედებდა თავდაპირველად ჩრდილოეთის მხედრობა. იქ რობერტსმა მალე დააწევია უკან ბოტას; აიღო მიდელბერგი და შემდეგ ლეიდენბურგიც, რომელიც პრეტორიის აღების შემდეგ ტრანსვაალის სატახტო ქალაქად იქმნა აღიარებული. კრიუგერი თავის თანაშემწეებით და მოხელეებით გაიხიზნა ჩრდილოეთ მთებში, თავის უკანასკნელ თავშესაფარავში... ბურების საქმე ცოტა უკედ წავიდა სამხრეთ ტრანსვაალში. აქ, როგორც ვთქვით, ბურების მცირე ჯარი მოქმედებდა მხნე და თავგინწირულ გმირების წინამძღოლობით. მათ ყოველ მხრიდან შემოესია მტერი: აღმოსავლეთ-სამხრეთიდან მათ წინააღმდეგ მოდიოდა ბულლერი, სამხრეთ-დასავლეთიდან—რენდლი და ბრაბანტი, ჩრდილოეთიდან—მეტუენი. ბურების ჯარი არ აღემატებოდა 6000 კაცს, მაშინ როდესაც ხსენებულ გენერლებს ჰყავდათ 80 ათასამდე ჯარი მრავალის ზარბაზნებით. დამწყვდეული ოლივიე და დევეტი ხან ერთ ადგილას ამოჰყოფდნენ თავს და ხან მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილას; ხან ჩრდილოეთიდან მომავალ მეტუენს დაეცემოდნენ თავს, ხან სამხრეთიდან მომავალ რენდლს შეაჩერებდნენ. მაგრამ ერთი მუჭა გმირები, რასაკვირველია, ვერ გაუმაგრდებოდნენ უთვალავ მტერს და მათ აირჩიეს ინგლისელების ჯარის რომელიმე ნაწილის გარღვევა და სხვა ადგილას წასვლა. ეს განზრახვა გასაკვირველის ხერხითა და გმირობითა აღასრულა დეველტმა. ის წავიდა ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ და ქალაქ გონიგსპრუიტთან ცხვირისწინ ჩაუარა მეტუენს, გადვიდა მდ. ვაალის მეორე ნაპირას და ამ რიგად თავს უშველა იმ საშინელ განსაცდელისაგან, რომელშიაც აუცილებლად უნდა ჩავარდნილიყო.. დეველტის გმირულმა მოქმედებამ ისევ გაამხნევა ბურები და მათ რამდენსამე ალაგას საგრძნობლად დაამარცხეს ინგლისელები. თვით ჩრდილოეთის რაზმებიც წამოვიდნენ წინ და მხნედ დაიწყეს მოქმედება პრეტორიის ახლოს. იქ დელარეიმ დაამარცხა რუსტენბურგთან ბადენ-პაუელი, შემდეგ აიღო ციხე ელანდსრიეკი, სადაც დაატყვევა ინგლისელთა მცირე რაზმი...

მიუხედავად ამგვარის მამაცობისა, ბურების საქმე ცუდად მიდის. ექვსი ათასს ვაჟკაცს, რაც უნდა თავ-განწირულნი იყვნენ ისინი, არ ძალ-უძთ იხსნან თავიანთი ქეყანა 250 ათას მეომარისაგან! ურიცხვი მტერი შეუპოვრად მიდის წინ და დღეს იქმნება თუ ხვალ სრულიად დაამხობს გმირულად მებრძოლ ერს... როდესაც ეს სტრიქონები იწერება (30 აგვისტოს) დეპეშას უკვე ცნობა მოაქვს, რომ ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა ტრანსვაალის შეერთება ინგლისთანაო. ამ ცნობას მწუხარებით მიეგებება ევროპის და ამერიკის განათლებული საზოგადოება, რომელსაც ომის დაწყებიდანვე ბურების მხარე უჭირავს და რომელიც სულგანაბული ადევნებდა თვალყურს ერთ მუჭა ერის ბრძოლას თავის დამოუკიდებლობის დაცვისათვის. მართალია, ინგლისის გამოცხადება ტრანსვაალის შემოერთების შესახებ ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბრძოლის დასრულებას, მაგრამ იმის მაჩვენებელი კი არის, რომ დიდ-ბრიტანიას მტკიცედ გადაუწყვეტია სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების ბედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილბალი: მათი დამოუკიდებლობა მოსპობილი იქნება და ინგლისი ყოველ ღონისძიებას იხმარს დაუმორჩილოს ბურები თავის მართვა-გამგეობას. ამის მალე განხორციელებას ინგლისი ეხლა უფრო ენერგიულად ეცდება, რადგანაც საერთაშორისო პოლიტიკის დღევანდელი მომენტი სრულს მის ყურადღებასა და მხნეობას მოითხოვს.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ლალი

რედაქტორი
ალექსანდრე ჭეჯანია

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადარი